

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემული
წიგნების, დაცული დისერტაციებისა და გამოქვეყნებული
სტატიების ანოტირებული ბიბლიოგრაფია

შემდგენელი

ფსიქოლოგიის დოქტორი ხატია წიკლაური

„ტექნიკური უნივერსიტეტი“
თბილისი
2017

**Грузинский технический университет
Научно-образовательный центр теологии**

**Библиография изданных книг, защищенных
диссертаций и
опубликованных статей
по истории Грузинской Церкви**

Составитель

Доктор психологии Хатия Циклаури

„Технический университет“

Тбилиси

2017

**Georgian technical university
Educational-Scientific center of theology**

**Annotated bibliography of the published books,
theses and papers on the history of the
Georgian Orthodox Church**

**Compiled by
Khatia Tsiklauri, PhD (Psychology)**

**„Technical university“
Tbilisi
2017**

ედგნება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის 100 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-
აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის
დაბადებიდან 85 და აღსაყდრების 40 წლისთავს

Посвящается 100-летию со дня восстановления автокефалии Грузинской
Апостольской Православной Церкви, 85-летию со дня рождения и 40-летию
со дня интронизации Католикоса-Патриарха всея Грузии, Архиепископа
Мцхетского и Тбилисского, митрополита Пицундского и Цхум-Абхазского
Святейшего и Блаженнейшего Илии II

Dedicated to 100 years of restoration of autocephaly of Georgian Orthodox
Apostolic Church and 85 years since birth and 40 years of enthronement of
Catholicos-Patriarch of All Georgia, Archbishop of Mtskheta-Tbilisi, Metropolitan
Bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia, His Holiness and Beatitude Ilya II

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

ISBN

პროექტის ხელმძღვანელი

მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ანანია (ჯაფარიძე)

სარედაქციო კოლეგია:

თეოლოგიის, ისტორიისა და განათლების მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი,
დეკანოზი ლევან მათეშვილი;
სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
დეკანოზი კახაბერ შურღია;
აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე;
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული;
თეოლოგიისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე;
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ირინე კაპანაძე;
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე გორგიძე;
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;
ფილოლოგიის დოქტორი ივანე ჯაგოდნიშვილი;
ალექსანდრე გრიგოლიშვილი.

რეცენზენტი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გოილაძე

სარჩევი

გვ.

წინასიტყვაობა —————

შემდგენელისგან —————

1978 წლამდე გამოცემული წიგნები და მათი თანამედროვე გამოცემები —————

1978 წლამდე დაცული დისერტაციები —————

1978 წლამდე გამოქვეყნებული სტატიები და წერილები —————

არქივებში დაცული პირადი ფონდები —————

1978-2017 წლებში გამოცემული წიგნები და კრებულები —————

1978-2017 წლებში დაცული დისერტაციები —————

1978-2017 წლებში გამოქვეყნებული სტატიები —————

წინასიტყვაობა

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემულ ნაშრომთა (იგულისხმება მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, დაცული დისერტაციები) ბიბლიოგრაფიული გამოცემა პირველად ხორციელდება. აღნიშნული უნიკალური გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს ინფორმაციის სწრაფად და კომპეტენტურად მოძიებაში, ასევე საკვლევით თემატიკის დიფერენცია-სისტემატიზაციაში, რაც ნებისმიერი კვლევის საწყისი ეტაპის – წყაროთმცოდნეობის თუ ლიტერატურის მოძიების დიდი და რუტინული შრომის გამარტივებას ნიშნავს.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მეცნიერული კვლევა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ავტორი სკრუპულოზურად აღრიცხავს ყველა ნაშრომს, რაც ამ თემატიკას ეხება. როგორც თავად შემდგენელი აღნიშნავს, ბიბლიოგრაფიაში შესულია საბჭოთა პერიოდის მეცნიერთა შრომებიც, რომლებიც ნეგატიურად და ტენდენციურად იკვლევდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს და იდეოლოგიურ მტრად მოიაზრებდნენ საქართველოს ეკლესიას. მიუხედავად საკითხისადმი ამგვარი მიდგომისა, მათი კვლევები საინტერესოა თანამედროვე მეცნიერებისათვის, თუნდაც ეკლესიის ისტორიის ამ პერიოდის უკეთ შეფასებისა და გააზრებისათვის.

ბიბლიოგრაფიას ღირსებას მატებს შემდგენლის დაუზარელი ძალისხმევა, რამეთუ ამ მნიშვნელოვან საძიებელში ინფორმაციები მოძიებულია საქართველოს ყველა ძირითადი ბიბლიოთეკიდან, არქივიდან თუ პირადი ფონდიდან, სადაც კი დაცულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ ნაშრომები, შესაბამისი მითითებებით. ეს საშუალებას აძლევს თანამედროვე მკვლევრებს უმოკლეს დროში მოიძიონ მათთვის საინტერესო მასალა.

საძიებელი პირობითად დაყოფილია მე-19 საუკუნიდან 1978 წლამდე გამოცემული ლიტერატურისა და დაცული დისერტაციების და 1978 წლიდან დღემდე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდი) არსებული კვლევების ქვეთავებად. ასეთი კლასიფიკაცია აადვილებს საძიებო სამუშაოს.

ბიბლიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა თანამედროვე კვლევების აღნუსხვას. საბჭოური ცენზურის გარეშე, დამოუკიდებლობის პერიოდში შექმნილი ნაშრომები მართლაც ახალი სიტყვაა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში. მიუხედავად ამისა, ამ საკითხებით დაინტერესებულ თანამედროვე მეცნიერებს უამრავი გადაუჭრელი პრობლემა აქვთ გამოსაკვლევი.

ჩვენი მხრივ, ვლოცავთ და დიდ მადლობას ვუხდით ფსიქოლოგიის აკადემიურ დოქტორს, ქალბატონ ხატია წიკლაურს ასეთი ტიტანური და საჭირო შრომის გაწვევისთვის. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფია თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკლესიის შესახებ წარმოებულ მომავალ კვლევებში.

მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი
პროფესორი ანანია (ჯაფარიძე)

შემდგენელისგან

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია XIX საუკუნიდან 2017 წლამდე საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემული მასალა, რომელიც მოძიებულია ყველა ძირითადი ბიბლიოთეკისა და არქივის წიგნად ფონდში: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები, ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევრების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

მასალა დალაგებულია ანბანის მიხედვით ქრონოლოგიურად. ძველი გამოცემები შეტანილია იმ სახით, როგორც არის შესაბამის წიგნებში (მაგალითად, ჯერ სახელი და შემდეგ – გვარი ან ჯერ სასულიერო პირის წოდება, შემდეგ – სახელი და გვარი). გამოცემას ბოლოში დართული აქვს ანბანური საძიებელი. სასულიერო პირები შესულია სახელით, გვარით და წოდებით, თუმცა, შესაძლებელია, მოიძებნოს გვარითაც. თუ გამოცემას ავტორის გვარი არ აწერია, იგი შესულია სათაურით.

არქივებში დაცული მასალის და დისერტაციების ადგილმდებარეობა აღნიშნულია მათ გასწვრივ კვადრატულ ფრჩხილებში.

ბიბლიოგრაფიის სისრულისათვის არც ის მასალა გამოგვიტოვებია, რომელშიც ტენდენციურადაა წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის ისტორია (იგულისხმება ათეისტური ხანა).

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია ის უცხოელი ავტორებიც, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. უცხოენოვანი გამოცემები შესულია შესაბამის ენაზე.

წარმოდგენილი დისერტაციები და სტატიები საინტერესო იქნება მომავალი მკვლევრებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ საკვლევი საკითხის დუბლირება.

შესაძლოა, აღმოჩნდეს ისეთი ავტორები ან ნაშრომები, რომლებიც ვერ მოხვდა ბიბლიოგრაფიაში. ყველა გამოხმაურება აღინუსხება მომდევნო გამოცემებში.

დასასრულ, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ზემოთ ჩამოთვლილი ბიბლიოთეკებისა და არქივების თანამშრომლებს, ვინც გულისხმიერება გამოიჩინა და დახმარება გამიწია მასალის შეგროვებისას.

ხატია წიკლაური

1978 წლამდე გამოცემული წიგნები და მათი თანამედროვე გამოცემები

ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში: სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“.

გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა. რედ. ე. ხოშტარია-ბროსე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2005, 171 გვ. ISBN 99940-805-9-8, ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზეა.

წიგნში შესულია XIX-XX სს.-ის დიდი საეკლესიო მოღვაწის, პედაგოგის, მისიონერისა და მკვლევრის წმ. ამბროსის (ხელაია) ერთ-ერთი პოლემიკური ნაშრომის რუსული დედანი და მისი ქართული თარგმანი.

ამბროსი ხელაია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თხზულებანი. წიგნი I. სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 12, შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2011, 592 გვ. ISBN 978-9941-9175-1-6.

წიგნში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას თხზულებების ნაწილი: „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და „ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“.

ამბროსი ხელაია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თხზულებანი. წიგნი II. სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 13, შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2012, 672 გვ. ISBN 978-9941-9175-3-0.

წიგნში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას თხზულებები: „სტატიის გამო «ხმა სოხუმიდან»“; „სიტყვა თქმული კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევის დღეს“; „კულტურულ კაცობრიობას გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს“; „მეშვესრულე ჩემი მოვალეობა“; „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ და სხვ.

ანდერძი ანტონ II საქართველოს კათალიკოსისა.

გამოცემული დიმიტრი პეტრეს ძის ფურცელადისაგან, Дозволено цензурою, Тифлиси, 1 Ноября 1890 года, Типография Е. Хеладзе, ე. ხელადის სტამბა, ტფილისი, 1890, 20 გვ.

წიგნში გადმოცემულია მოკლე ცნობები საქართველოს კათოლიკოს ანტონ II-ის შესახებ და ანდერძი, რომელიც აღებულია მისი ხელნაწერიდან.

არქიმანდრიტი ამბროსი. ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“.

წაკითხულ იყო საზოგადო კრებაზე დეკემბრის 28, 1907 წ. ტფილისი, ელექტ. მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკ. სახლი №5, 1911, 29 გვ.

წერილში საუბარია არქიმანდრიტი ამბროსის (ხელაია) მიერ აღმოჩენილ „ქართლის მოქცევის“ მანამდე უცნობ ვერსიაზე, რომელიც ისტორიაში შევიდა ჭელიშური ვარიანტის სახელით.

Гавриіль епископъ Имеретіи. Обозреніе Абхазскихъ и Самурзаканскихъ церквей въ 1869 году. Путевыя записки.

Изъ журнала „Православное обозреніе“ 1870 года, Печатать позволяется, Москва, юня 21 дня 1870 года, Цензоръ: Протоіерей С. Зерновъ, Въ Университетской Типографіи Катковъ и К°, на Страстномъ бульварѣ, 24 гв.

ნაშრომში საუბარია გალის რაიონში (სამურზაყანოში) არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ, რომლებიც გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძე) აღწერა 1869 წელს.

Гавриіль епископъ Имеретіи. Обозреніе Абхазскихъ и Самурзаканскихъ церквей въ 1870 году. Путевыя записки.

Изъ журнала „Православное Обозреніе“ 1870 года, Печатать позволяется, Москва, января 10 дня 1871 года, Цензоръ: Протоіерей С. Зерновъ, Въ Университетской Типографіи Катковъ и К°, на Страстномъ бульварѣ, 33 гв.

ნაშრომში მოცემულია გალის რაიონში (სამურზაყანოში) არსებული ეკლესია-მონასტრების გაბრიელ ეპისკოპოსისეული აღწერა, რომელიც მან 1870 წელს ჩაატარა.

Гавриіл Епископ. Обозрение абхазскихъ и самурзаканскихъ приходоѡ въ 1872 году. Путевыя записки.

Въ Университетской типографіи (Катковъ и К°), Москва, 1873, 15 гв.

ნაშრომში მოთხრობილია აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამრევლოების მდგომარეობის შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში.

გეგეშიძე დავით. ქართული მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა.

რედ. თ. მენაბდიშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი, 1976, 32 გვ. 27 400 ც.

ნაშრომში ქართულ მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი განხილულია ათეისტური პოზიციიდან.

გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, რედ. ს. მახარაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, „მეცნიერება“, თბილისი, 1994, 288 გვ. 400 ც.

წიგნი ეძღვნება XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელისა და მისი მოწაფის – გიორგი მცირის ცხოვრებასა და სამწერლო საქმიანობას. მასში განხილულია „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ხელნაწერი, მისი გამოცხადებული ძველ ქართულ მწერლობაში, გამოცემები და შესწავლის ისტორია, ასევე ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია.

გობრონ საბინინი – ბერ-მონოზონი. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა.

შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, Дозволено цензурою, С.-Петербург, 24 Февраля 1882 года, ჩუბს წელსა 1882, პეტერბურდი, 639 გვ. წიგნიში გადმოცემულია იმ დროისათვის წმინდანად შერაცხილ მოღვაწეთა ცხოვრება და ღვაწლი.

გობრონ (მიხაილ) პავლეს ძე საბინინი (საბინაშვილი) – ბერ-მონოზონი. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა.

გამოცემელი გ. კალანდაძე, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ღიადემა“, თბილისი, 2010, 599 გვ. წიგნი წარმოადგენს გობრონ (მიხაილ) პავლეს ძე საბინინის (საბინაშვილის) მიერ 1882 წელს შედგენილი ამავე სახელწოდების წიგნის თანამედროვე გამოცემას. მასში გადმოცემულია იმ დროისათვის წმინდანად შერაცხილთა ცხოვრება და ღვაწლი.

გოგებაშვილი იაკობ. რანი ვიყავით გუშინ.

რედაქტორ-შემდგენელი ზურაბ კალანდაძე, „მთაწმინდა“, თბილისი, 2011, 295 გვ. ISBN 978-9941-9140-8-9.

წიგნიში საქართველოს ისტორიის შესახებ ავტორის სხვადასხვა წერილებთან ერთად შესულია: „წმინდა გუნდი ცამეტთა კაპადოკიელთა მამათა“; „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის“.

გოგსაძე მ. გელათის ძეგლის ისტორიიდან.

რედ. ს. ყაუხჩიშვილი, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქ. სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემლობა, ლ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, 1949, 170 გვ. 1200 ც. ნაშრომში გადმოცემულია გელათის მონასტრის ისტორია და აღწერილობა.

გოზალიშვილი გიორგი. ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური. ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა.

რედ. ელ. სარჯველაძე, „განათლება“, თბილისი, 1974, 99 გვ. 1000 ც.

წიგნში განხილულია რელიგიის ისტორიული მნიშვნელობა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე; გაშუქებულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს განვითარების ახალი საფეხურის შექმნა და ახალი მსოფლმხედველობის დანერგვა.

Горгадзе С. Свобода совести и свобода Церкви в древней Грузии. Историческая справка.

ცალკე ამონაბეჭდი, უთარილო, 11 გვ.

ნაშრომში ავტორი აკეთებს ისტორიულ ექსკურსს საქართველოში ეკლესიისა და სინდისის თავისუფლების თავისებურებების შესახებ.

გრიგოლ ფერაძე. თხზულებანი.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 14, შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2011, 258 გვ. ISBN 978-9941-9175-4-7.

წიგნში წარმოდგენილია წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის თხზულებები: „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“; „ბერ-მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ და სხვა.

Г. Садзагелов-Иверіели. Историко-археологический очеркъ Метехскаго храма.

Издание редакції журнала „Пастырь“, Кутаись, Типографія журнала „Мцкемси“, (П. Д. Гамбашидзе), 1893, 50 გვ.

მღვდელ კირიონ საძაგლიშვილის (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ნაშრომში მოცემულია მეტეხის ტაძრის ისტორია და აღწერილობა.

Dadeshkeliani P. The Autocephaly of the Ortodox Church of Georgia.

Article published in „The Christian East“ (July 1922 – Vol. III. №2 and October 1922 – Vol. III. №3), London, 1922, 16 გვ.

ნაშრომში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია“ განხილულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორია, მისი გაუქმებისა და შემდგომში აღდგენის საკითხი.

დადეშქელიანი ილამაზ – ბატონიშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი.

რედ. ზ. აბაშიძე, თარგმნა და კომენტარები დაურთო ვ. ნარსიამ, თბილისი, 2011, 32 გვ. ISBN 978-9941-0-3491-6.

წიგნი წარმოადგენს ბატონიშვილ ილამაზ დადეშქელიანის ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში დაცული ნაშრომის ქართულ თარგმანს, რომელშიც განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები, რასაც ფონად გასდევს კანონიკურ-სამართლებრივი შინაარსის მსჯელობა და შეფასებები, რაც წარმოადგენს გვიქმნის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამოკიდებულებაზე საეკლესიო და სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვის ფაქტისადმი.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა.

გამოცემა პირველი, შედგენილი დეკანოზის დავით ღამბაშიძისაგან. გადმობეჭდილ არს 1887 წლის „მწყემსი“-ს ჟურნალიდან, სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-სა, ქ. ქუთაისი, 1888, 19 გვ. ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული გელათის მონასტრის ისტორია და მისი ამშენებლის – დავით IV აღმაშენებლის ცხოვრება და მიღვაწეობა.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა.

გამოცემა მეორე, შედგენილი და გამოცემული დეკანოზის დავით ღამბაშიძისაგან. გადმობეჭდილ არს 1887 წლის „მწყემსის“ ჟურნალიდან, Типография журнала „Мцкემსი“ (П. Д. Гамбашидзе), Кутаись, 1893, 63 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია გელათის მონასტრის ისტორია და მისი ამშენებლის – დავით IV აღმაშენებლის ცხოვრება და მიღვაწეობა.

დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაქვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან.

გამომცემელი ლ. ბაქრაძე, რედ.: თ. თვალავაძე, ი. ლაღუა; გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, სტამბა „საარი“, თბილისი, 2013, 919 გვ. ISBN 978-99940-28-77-1.

ანჩისხატის მღვდლის – ნიკიტა თალაქვაძის დღიურები უაღრესად საინტერესო პერიოდს (1916-1933 წწ. წყვეტებით) ასახავს და ეხება ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორცაა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება, ბრძოლა ეკლესიის შიგნით, დამოუკიდებლობაადღგენილი საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქები, გასაბჭოების წლები და შემდგომი კოლექტივიზაციის პერიოდი.

დიდიძე ს. რით შესცოდა ჩვენმა ქართულმა მრავალ-ტანჯულმა მართლმადიდებლის ივერიის ეკლესიამ.

უთავფურცლო, „სორაპანი“, თბილისი, 2 გვ.

წიგნი დაცულია რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (მოსკოვი).

დმიტრი ჯანაშვილი – მღვდელი. ისტორიული სურათები. ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი.

წინასიტყვაობის ავტორი მოსე ჯანაშვილი, მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, იასონ კერესელიძის გამოცემა, გორი, 1914, 285 გვ.

წიგნში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები საქართველოს ისტორიიდან, როგორცაა: სასულიერო წოდების ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ისტორიაში, ქართველი ქალისა და თავადაზნაურობის როლი ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში.

Джанашвили М. Г. Исторія Грузинской Церкви. Книга I. Обращение картвельцевъ.

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. д. №21, 1898, 95 გვ.

წიგნში აღწერილია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების წინაპირობები, იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალური ვითარება, წმიდა ნინოს შემოსვლა და ქართველთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება.

Джанашвили М. Г. Исторія Грузинской Церкви. Книга I. Обращение картвельцевъ.

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. д. № 21, 1898, 95 გვ.

Джанашвили М. Г. Царица Тамара.

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. д. №21, 1900, 127 გვ.

წიგნში გაერთიანებულია მოსე ჯანაშვილის ორი ნაშრომი: „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ და „თამარ მეფე“.

Дурново Н. Н. Мутный источникъ или по поводу речи Г. Пуришкевича въ Государственной Думе по делам Грузинской Церкви.

Москва, Типография „Русская Печатня“ Я. М. Сарандинаки, Арбат, д. Толстого, 1909 г, 6 გვ.

ნაშრომში ნ. დურნოვო აკრიტიკებს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის – გ. პურიშკევიჩის პოზიციას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

Дурново Н. Н. Историческій очеркъ автокефальныхъ церквей: Иверской и Имеретинской со списками 120 епархій и католикосов Мцхетскихъ и Имеретинско-Абхазскихъ.

Москва, Типография „Русская Печатня“ Я. М. Сарандинаки, Арбат 29, 1910, 12 გვ.

ეს არის საცნობარო ხასიათის ნაშრომი, რომელშიც აღწერილია მცხეთის, ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოების ისტორია და იქ მოღვაწე მამათმთავარნი.

დურნოვო ნიკოლოზ. ბედი ქართული ეკლესიისა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე.

რუსულიდან თარგმნა გ. ტოტოჩავამ, წიგნი იბეჭდება შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტრის მოძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით; თბილისი, 1997, 108 გვ. ნაშრომი გამოცემულია მოსკოვში, 1907 წელს, ტიპოგრაფია „რუსკაია პენატნაია“-ს მიერ, არბატი, ს. ტოლსტოისა.

წიგნში მიუკერძოებლად არის განხილული რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

Епископ Давид. К вопросу об автокефалии Иверской Церкви.

1-го октября 1912 года, 12 გვ.

ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) ნაშრომში ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აქტუალურ საკითხებს.

Е. К. (Кирион II). Жизнь и подвиги преподобного Антонія Столпника, Чудотворца Марткопскаго.

Издание второе, Тифлисъ, Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. д. №21, 1899, 13 გვ.

ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული წმ. ანტონ მარტყოფლის ცხოვრება და ღვაწლი.

Е. К. (Кирион II). Святой Давид III Возобновитель, царь Грузии (1089-1125).

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе и К^о, Николаевская ул. д. №21, 1899, 15 გვ.

ნაშრომი ეძღვნება დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

Е. К. (Кирион II). Двенадцативековая религиозная борьба православной Грузии съ исламомъ.

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе и К^о, Николаевская ул. д. №21, 1899, 113 გვ.

ნაშრომში განხილულია ისლამსა და ქრისტიანობას შორის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიის ძირითადი მომენტები.

Епископ Кирион. Заслуги грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества. Преп. Иоаннь Зедазнели, основатель монашества въ Иверіи.

Тифлисъ, Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. д. №21, 1899, 62 გვ.

ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) ნაშრომში აღწერილია საქართველოს მონასტრებისა და მონაზვნების დამსახურება საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში VI-VIII საუკუნეებში.

Е. К. (Кирион II). Преподобный Давидъ Гареджели и его лавра.

Юбилейное издание, Тифлисъ, Типографія Тр. Чарквиани, 1901, 41 გვ.

წიგნში გადმოცემულია ერთ-ერთი ასურელი მამის – დავით გარეჯელისა და მის მიერ დაარსებული სამონასტრო კომპლექსის ისტორია.

Е. К. (Кирион II). Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столѣтіе.

Тифлисъ, Типографія К. П. Козловскаго, Головин. просп. №12, 1901 Печатать разшиль Кирион Епископъ, Горійскій, 1901 года 22-го сентября, 345 გვ.

ეპისკოპოს კირიონის (სამაგლიშვილი) ნაშრომში ასახულია საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული საეკლესიო-პოლიტიკური ურთიერთობები, 1811 წლის შემდეგ ჩვენს ეკლესიაში მომხდარი ცვლილებები, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მმართველობის (იმერეთის კათოლიკოსატი) გაუქმება, ოსეთის სასულიერო კომისიისა და საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

ეპისკოპოსი კირიონი. ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი.

რედ. ა. სტურუა, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გარდაცვალების მე-80 წლისთავს, გამოიცა მაღალყოვლადუსამღვდელოესი რუსთაველ მიტროპოლიტ ათანასეს ლოცვა-კურთხევით; რუსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა, შპს „ჯალი“, თბილისი, 1998, 47 გვ.

ეპისკოპოს კირიონის (სამაგლიშვილი) ეს ნაშრომი უნდა გამოქვეყნებულიყო „ვეს კავკაზ“-ის მე-2 ნომერში, მაგრამ, იმის გამო, რომ 1904 წელს მისი გამოცემა შეწყდა, ნაშრომმა მკითხველამდე ვერ მიაღწია. მასში გადმოცემულია „ტიფლისის“ გუბერნიის სიღნაღის მაზრაში მდებარე ხირსის მონასტრისა და მისი დამაარსებლის – ღირსი სტეფანეს ისტორია.

Епископ Кирион. Ахтальский монастырь.

რედ. დ. ბერძენიშვილი, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ელდარ ბუბულაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2005, 160 გვ. ISBN 99940-0-463-8.

წმიდა მოწამე კირიონ II-ის (სამაგლიშვილი) ნაშრომი მოგვითხრობს ახტალის მონასტრის წარსულისა და სიძველეების შესახებ. კვლევის ტექსტი ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში. წიგნი ეძღვნება წმიდა პატრიარქის დაბადებიდან 150-ე წლისთავს.

ეფრემ მცირე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების.

ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1959, 61 გვ.

წიგნი წარმოადგენს XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწის – ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც მიზნად ისახავს გაარკვიოს და ბერძნული წყაროების მიხედვით

დაასაბუთოს ისტორიიდან ზოგიერთი სადავო საკითხი ქართველთა მოქცევისა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების შესახებ.

Возобновление молитвенно-канонического общения между двумя православными церквями – Грузинской и Русской.

„Полиграфкнига“, Москва, 1944, 15 გვ.

ეს არის რუსულენოვანი მკითხველისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტი, რომელიც გამოცემულია რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარების შემდგომ. მასში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) მოკლე ბიოგრაფია, ამონაწერი რუსეთის წმინდა სინოდის 1943 წლის 19 ნოემბრის №12 სხდომის ოქმიდან, პატრიარქ სერგის წერილი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან და სხვა.

თამარაშვილი მიხეილ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.

სერიიდან „ქართული ეკლესიის ისტორია“, ტ. 3, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს **ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშვილმა**; ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი „კანდელი“, თბილისი, 1995, 799 გვ. 1500 ც.

წიგნი წარმოადგენს 1910 წელს რომში გამოქვეყნებულ, მიხეილ თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორიის“ თანამედროვე გამოცემას. თან ახლავს 104 პორტრეტი და ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

თამარაშვილი მიხეილ. თხზულებანი.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 8, შემდგენელ-რედაქტორი **ბონდო არველაძე**, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2010, 576 გვ. ISBN 978-9941-9077-3-9.

წიგნში წარმოდგენილია მიხეილ თამარაშვილის ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ და სხვა.

თარხნიშვილი მიქელ. წერილები.

სერიიდან „ქართული ეკლესიის ისტორია“, ტ. 1, კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო **თამარ ჭუმბურიძემ**; რედ. ლ. ხევსურიანი, სარედაქციო კოლეგია: ზ. ალექსიძე, ი. აბულაძე, ზ. ბოკუჩავა, თ. ჩხაიძე; ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი „კანდელი“, თბილისი, 1994, 542 გვ. 2000 ც.

წიგნში თავმოყრილია დიდი ქართველი მეცნიერის მიხეილ თარხნიშვილის წერილები, რომლებიც სხვა მრავალფეროვან საკითხებთან ერთად შეეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიასაც: „ქრისტეანობა საქართველოში“; „ქართველი ბერების ცხოვრებიდან“; „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და განვითარება“; „ქართული ეკლესიის

ადრეული ისტორიის სომხურ-ქართული წყაროები“; „წმ. ნინო – ქართლის განმანათლებელი“; „ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში“.

თარხნიშვილი მიქელ. თხზულებანი.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 14, შემდგენელ-რედაქტორი **მიხეილ ქავთარია**, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2011, 259-536 გვ. ISBN 978-9941-9175-4-7. წიგნში შესულია მღვდელ მიხეილ თარხნიშვილის თხზულებები: „ქრისტიანობა საქართველოში“; „ქართველი ბერების ცხოვრებიდან“ და სხვა.

თარხნიშვილი მიხეილ. საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე.

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **ნუგზარ პაპუაშვილმა**; რედ.: ზ. კიკნაძე, ჰ. კაუფჰოლდი; სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 470 გვ. ISBN 978-9941-22-235-1. წიგნი წარმოადგენს ქართველი თეოლოგისა და ისტორიკოსის, კათოლიკე მღვდლის – მიხეილ თარხნიშვილის მონოგრაფიის ქართულ რედაქციას, რომელიც დაიწერა რომში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. იგი მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიას ქრისტიანობის გავრცელებიდან მე-7 საუკუნის ჩათვლით.

თაყაიშვილი ექვთიმე. მარტვილის მონასტერი.

რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა, „სამშობლო“, თბილისი, 1993, 79 გვ. 10000 ც. 1913 წლის ზაფხულში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მივლინებით ექვთიმე თაყაიშვილი იმყოფებოდა სამეგრელოში. შეკრებილ მასალას მან თავი მოუყარა ნაშრომში „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“, რომელიც გამოქვეყნდა საზოგადოების სერიულ სამეცნიერო კრებულში „მველი საქართველო“ (ტომი III, 1913-1914 წწ.). აღნიშნული წიგნი არის ნაშრომის ერთი თავი, რომელიც მარტვილის მონასტრის ისტორიასა და ნივთების აღწერილობას მოიცავს.

თაყაიშვილი ექვთიმე. ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები.

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, გამოსაცემად მოამზადა **ზაზა სხირტლაძემ** ნ. გელდიაშვილის მონაწილეობით, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2010, 231 გვ. ISBN 978-9941-0-3134-2.

წიგნი ჯრუჭის მონასტრისა და მისი სიძველეების შესახებ ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში დაცული მასალების პირველად გამოქვეყნებული გამოცემაა. იგი წარმოადგენს 1919 წლის აგვისტოში მეცნიერის მოგზაურობის შედეგად თავმოყრილ მასალას, რომელიც საგულისხმოა ქრისტიანული საქართველოს ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო

კერის ისტორიისათვის. ტექსტს თან ერთვის დიმიტრი ერმაკოვისა და ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციების დროს გადაღებული ფოტომასალა.

Иверскій монастырь на Афоне въ Турціи, на одном изъ выступовъ Халкидонскаго полуострова.

Составилъ А. Натроевъ, Изданіе П. Г. Туманова, Тифлисъ, Типографія „Трудъ“, Б. М. Мачковскаго №11, უთარილო, 455 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ათონის მთაზე მდებარე ივერთა მონასტერს.

იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი.

ილ. ნებოძირელისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, Дозволено цензурою, Тифлисъ, 8-го мая 1902 г, სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ. №21, თბილისი, 1902, 31 გვ.

გამოცემაში შესულია ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე, შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ბიოგრაფიული მონაცემები.

Иоселіани Платон. Краткая история Грузинской Церкви.

Изданіе второе, Печатать позволяется: Августа 24 дня 1843 года, Цензоръ: Морскаго Собора Протоіерей Тимофей Никольскій, С.-Петербургъ, Въ Типографіи А. Сычева, 1843, 154 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია.

Иоселіани Платон. Описание Марткопскаго монастыря.

Тифлисъ, въ Типографіи Канцелярїи Наместника Кавказскаго, 1847, 142 გვ.

წიგნში მოცემულია მარტყოფის მონასტრის ისტორია და აღწერილობა.

Иоселианъ Платонъ. Жизнеописаніе святыхъ прославляемыхъ православною грузинскою церковію.

Тифлисъ, въ Типографіи Канцелярїи Наместника Кавказскаго, 1850, 86 გვ.

წიგნში უძველესი და იმდროინდელი ისტორიული, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და ფილოლოგიური წყაროების საფუძველზე გადმოცემულია წმინდანების: წმიდა ნინოს, წმიდა რაჟდენის, წმიდა შუმანიკის, წმიდა იოანე ზედაზნელისა და წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრება და ღვაწლი. ავტორი ნაშრომს უძღვნის თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებს.

Иоселіани Платон. Икортскій монастырь въ Карталиніи.

Изъ журнала „Грузинскій Духовный Вестникъ“, Ноябрь 1865 года, გვ. 67-96.

ნაშრომში ავტორი აღწერს იკორთის ცნობილ მონასტერს, სადაც დასაფლავებული არიან ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

Иоселіани Платон. Посланія Иерусалимскаго патріарха Досіоея въ Грузію.

Извлеч. из делового кодекса, хранящегося в б-ке святогробского подворья в Константинополе и пер. с новогреч. яз. на рус. Архим. Порфирием Успенским, в св. граде Иерусалиме. Тифлисъ, Изъ Груз. журнала и «Духовного Вѣстника» за май месяц 1866 года, 26 гв.

იერუსალიმის პატრიარქის მიმართვა და სვეტიცხოვლის მონასტრის სიგელი ამოღებულია საქმიდან, რომელიც ინახება კონსტანტინოპოლის სვიატოგრობსკის ეკლესიის ბიბლიოთეკაში. ბერძნულიდან რუსულად თარგმნა არქიმანდრიტმა პორფირი უსპენსკიმ.

Иоселіани Платонъ. Речь, произнесенная въ залѣ Тифлисской духовной семинаріи по случаю торжества пятидесятилетія.

1 Октября 1867 года, Действительнымъ Статскимъ Советникомъ Платономъ Иоселіани, Посвящается питомцамъ Тифлисской Духовной Семинаріи, Тифлисъ, въ Типографіи Управленія Наместника Кавказскаго, Перепечатано изъ газеты „Кавказъ“, №90, 1867, 29 გვ.

გამოცემაში შესულია პლატონ იოსელიანის საიუბილეო სიტყვა, წარმოთქმული თბილისის სასულიერო სემინარიის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

Ioseliani Platon. A short history of the Georgian church.

Translated from the russian of P. Ioseliani and adited with additional notes. The rev. S. C. Malan vicar of Broadwindsor, dorset. London, Brook street, 1868.

მიკროფირზე გადატანილია პლატონ იოსელიანის ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“. [დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში].

იოსელიანი პლატონ. აღწერა მარტყოფის მონასტრისა.

რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ხათუნა მარუშაშვილმა, რედ. გ. წიბახაშვილი, ეძღვნება პლატონ იოსელიანის დაბადების 200 წლისთავს, „კოლორპრინტი“, თბილისი, 2009, 233 გვ. ISBN 9 78-9 941-0-1291-4.

წიგნში შესულია პლატონ იოსელიანის მოკლე ბიოგრაფია, მისი ნაშრომის ქართული თარგმანი, დანართი, შენიშვნები და კომენტარები.

История грузинской иерархіи. Присовокуплениемъ обращенія въ Хрістіанство Осетін и другихъ горскихъ народовъ.

по 1-е Генваря 1825 года, Москва, Въ Синодальной Типографіи, 1826, 96 გვ.

წიგნში გადმოცემულია ცნობები საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის, საქართველოს ეკლესიის იერარქიული მოწყობისა და სასულიერო პირების, ოსეთის სასულიერო კომისიის მოღვაწეობის შესახებ ქართველ მთიელთა გაქრისტიანების საქმეში.

კაკაბაძე სარგის. წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ა. მ. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. №34, ტფილისი, 1912, 14 გვ.

ბროშურაში დაბეჭდილია ავტორის ლექცია წმიდა ნინოს როლზე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, რომელიც წაკითხულ იქნა 1912 წლის 14 იანვარს.

კაკაბაძე სარგის. მე-XIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები.

ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახ. №5, ტფილისი, 1913, 8 გვ.

გამოცემაში შესულია მოკლე ცნობები მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათოლიკოსების შესახებ.

კაკაბაძე სარგის. სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო.

ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახ. №5, ტფილისი, 1913, 10 გვ.

ნაშრომი ეხება მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ საეკლესიო დოკუმენტს „სამართალი კათალიკოსთაი“. ავტორი მიიჩნევს, რომ იგი უნდა შედგენილიყო 1472 წელს.

კაკაბაძე სარგის. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს.

ტფილისი, სტამბა ბ. ა. კილაძისა, ველიამინოვის ქუჩა №6, 1913, 12 გვ.

ნაშრომი ეხება იმერეთის მეფე სოლომოს I-ის მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმას, კერძოდ, 1758 წელს ქუთაისის საეკლესიო კრებაზე ახალი საეპისკოპოსო კათედრების (ხონისა და ქუთაისის) დაფუძნებას.

კაკაბაძე სარგის. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი.

სტამბა ს. ლოსაბერიძისა, ტფილისი, 1914, 69 გვ.

გამოცემაში წარმოდგენილია ავტორის მიერ 1909 წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების არქივში ნაპოვნი ხელნაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, შედგენილია მე-17 საუკუნეში. მასში შესულია აგრეთვე გელათის წმ. გიორგის 1545 წლის სიგელი.

კაკაბაძე სარგის. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი II.

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფილისი, 1921, 180 გვ.

წიგნში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, რომლებიც თარიღდება 1615-1812 წლებით და რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ამ პერიოდის საქართველოს ეკლესიის ვითარებაზე.

აკაბაძე სარგის. ვახტანგ გორგასალი.

რედ. ლ. ცინისთავი, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1959, 85 გვ. 20000 ც.

წიგნში აღწერილია ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება, მასში შესულია წერილები: „კათალიკოსობის დაფუძნება 475 წელს“ და „მამასახლისების ინსტიტუტის შესუსტება“.

კალისტრატე ჩიჩუა – მღვდელი. ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო.

შედგენილი და გამომცემული მ. მ. კალისტრატეს მიერ, კ. თავართქილაძის სტამბა, ახალ-სენაკი, 1894, 56 გვ.

წიგნში მოცემულია ცნობები ხობის ისტორიული მონასტრის შესახებ.

კ. ცინცაძე, შენიშვნა ტფილისის სამღვდელოების 1905 წლის 12 დეკემბრის განჩინის გამო.

უთარილო, 8 გვ.

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) წერილში გამოთქვამს თავის მოსაზრებას თბილისის სამღვდელოების ფინანსური საკითხების მოგვარების გზების თაობაზე.

კალისტრატე ცინცაძე. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში.

სერიიდან „ქართული ეკლესიის ისტორია“, ტ. 2, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, რედ. ზ. ალექსიძე, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „კანდელი“, თბილისი, 1994, 303 გვ. 1500 ც.

წიგნში გადმოცემულია ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ისტორია, სამივე ტაძრის აღწერილობა, მონაცემები წინამძღვრების შესახებ.

კალისტრატე ცინცაძე – უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ჩემი მოგონებებიდან.

რედ. მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), მთარგმნელები: რ. კორძია, ნ. ჯოლოხავა, ა. ბრეგაძე; გამომცემელი ა. ბრეგაძე. დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოს ანანიას ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2001, 240 გვ.

მოგონებები რუსულ ენაზე დაწერილი 1938 წელს. ქართულად ითარგმნა 1994 წელს. მასში სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად აღწერილია ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის რუსეთის იმპერიის გავლენისგან გათავისუფლებისა და ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

კალისტრატე ცინცაძე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თხზულებანი. წიგნი I.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 9, შემდგენელ-რედაქტორი **მიხეილ ქავთარია**, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2010, 528 გვ. ISBN 978-9941-9077-6-0.

წიგნში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის თხზულებების ნაწილი: „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“; „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის“; „ნიკიფორე ირბაქის ვინაობისათვის“; „მწარე მოგონებანი“ და სხვ.

კალისტრატე ცინცაძე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თხზულებანი. წიგნი II.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 10, შემდგენელ-რედაქტორი **მიხეილ ქავთარია**, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2010, 528 გვ. ISBN 978-9941-9077-7-7.

წიგნში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის თხზულებების ნაწილი: „ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“; „რომელ წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა“; სიტყვები; „ჩემი მოგონებებიდან“ და სხვ.

კეკელიძე კორნელი. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში.

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, დაიბეჭდა 18. XI. 1929, ცალკე ამონაბეჭდი, ტფილისი, გვ. 313-345.

ნაშრომში განხილულია საეკლესიო-კანონიკური წყობილება შუა საუკუნეებში.

კეკელიძე კორნელი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV.

რედ. ჭ. თევზაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957, 383 გვ. 3000 ც.

თხზულებათა კრებულში შეტანილი ზოგიერთი წერილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას: „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“; „ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობისათვის“.

Кириона Епископа Алавердскаго. Отзывъ [по делу о присвоении Армяно-Григорянским церковным ведомством православной Бодавской Георгиевской часовни].

Въ Грузино-Имеретинскую Святейшаго Правительствующаго Синода контору, Шуамтинскій монастырь, Сентября 21-го дня 1899 года, Разрешается печатать, Тифлисъ, 29-го сентября 1899 г. Типографія М. Р. Шарадзе, Николаевская ул. д. №21, 12 გვ.

წერილში ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) აბათილებს ბოდავის მონასტრის შესაძლო სომხური წარმომავლობის ვერსიას.

კირიონ II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ქრისტიანული, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის.

გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ და ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 8 გვ. ISBN 99940-0-448-4.

ბროშურაში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) მოკლე ბიოგრაფია და სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 2 ივნისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

კირიონ II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. წერილები, სტატიები.

რედ. ნ. მეგრელაური, გამოსაცემად მოამზადა ნატო ბუკიამ, თბილისის ექ. თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006, 119 გვ. ISBN 99940-0-866-8.

კრებულში თავმოყრილია წმ. მღვდელმოწამის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მკვლევრისა და ისტორიკოსის კირიონ II-ის წერილები, სტატიები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს შეეხება.

კირიონ II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თხზულებანი.

სერიიდან „მწიგნობრობა ქართული“, ტ. 11, შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, რედაქტორ-გამომცემელი ა. ბრეგაძე, იბეჭდება მანგლელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, „ციცინათელა“, თბილისი, 2011, 559 გვ. ISBN 978-9941-9175-0-9.

წიგნში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის თხზულებები: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“; „წმიდა მოწამე აბო ტფილელი“; „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა“; „წმიდა დავით III აღმაშენებელი“; „ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი“ და სხვა.

ლომინაძე ბაბილინა. ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში.

რედ. ი. კაჭარავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სერია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959, 127 გვ. 2000 ც.

წიგნში განხილულია საკითხები: ეკლესიის ეკონომიკური ძალა და პოლიტიკური სახე პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ, ეკლესიის რეაქციული როლი პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა

ეკლესიის რეაქციული როლის წინააღმდეგ პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში.

ლომინაძე ბაბილინა. გელათი. (მეგზური).

მეორე, შევსებული გამოცემა. სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1959, 57 გვ.

ილუსტრირებულ მეგზურში მოცემულია მოკლე ინფორმაცია გელათის მონასტრის ისტორიისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

ლომინაძე ბაბილინა. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები. I.

რედ. დ. ბაქრაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1966, 246 გვ. 1000 ც.

ნაშრომი ეხება ქართული ფეოდალიზმის პერიოდის ერთ-ერთ საკითხს – სენიორიების ისტორიას. წარმოდგენილია გარეჯისა და ბიჭვინთის სენიორიები (სათავადოები), მათი მიწათმფლობელობის ფორმები. ბიჭვინთის სენიორია წარმოდგენილია XVI-XVII საუკუნეებით, როცა ბიჭვინთიდან გელათში გადავიდა საკათალიკოსო რეზიდენცია.

მანველიშვილი ალექსანდრე. ქრისტიანობა საქართველოში.

პარიზი, 1954, 32 გვ.

ნაშრომი მოგვითხრობს საქართველოში ქრისტიანობის დასაწყისის, განმტკიცების, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

მანველიშვილი ალექსანდრე. ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიისა.

სან ფრანცისკო, 1989, 412 გვ.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული წერილები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას შეეხება: „რუსეთი და საქართველო“ (პარიზი, 1951 წ.); „ქრისტიანობა საქართველოში“ (პარიზი, 1951 წ.); „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“ (სან ფრანცისკო, 1984 წ.).

Март Н. Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен.

№5, декабрь 1906 года, ამონაბეჭდი, გვ. 107-142.

1906 წელს პეტერბურგში სინოდისწინარე სხდომაზე განიხილეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოზანშეწონილობის საკითხი, რომელზეც ნიკო მარი საგანგებო მოხსენებით გამოვიდა. ეს არის მოხსენების ერთი ვარიანტი.

Марткопскій монастиръ и жизнеописание святого Антонія Марткопскаго.

Издание редакції журнала „Пастырь“, Кутаисъ, Типографія журнала „Пастырь“, (Ц. Д. Гамбашидзе), 1890, 15 გვ.

წიგნში აღწერილია მარტყოფის მონასტერი და იქ დაცული სიწმინდეები.

მელიტონ კელენჯერიძე – მღვდელი. გაბრიელი - ეპისკოპოსი იმერეთისა.

სტამბა „ძმობა“, ქუთაისი, 1913, 322 გვ.

წიგნი მოგვითხრობს XIX საუკუნის დიდი სასულიერო მოღვაწის, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ცხოვრებისა და საქმიანობის, ასევე მაშინდელი საქართველოს მღვდმარეობის შესახებ.

მელიტონ კელენჯერიძე – მღვდელი. საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია.

შედგენილი დეკ. მელიტონ კელენჯერიძის მიერ, მთავრიშვილისა და ამხ. წიგ. მალაზიის გამოცემა, ფერადის და ამხ. სტამბა, ქუთაისი, 1918, 201 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, ეკლესიის იერარქიული წყობილება, მონაცემები საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსებისა და კათალიკოსების, ასევე სასულიერო განათლების კერების შესახებ.

Меликсетъ-Бековъ Л. М. Къ вопросу о настоящемъ имени шпросъ тельницы Грузии.

Тифлисъ, Типографія „Эсперанто“, Елимаветин №17, 1914, 27 გვ.

ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეკოვი ეყრდნობა მოვსეს ხორენაცის ცნობას, რომელშიც დაფიქსირებულია წმიდა ნინოს სახელი – ნუნე და ადარებს სხვა ავტორთა მონაცემებს.

Mossoulichvili Pavle. Notice historique sur les Chants Georgiens: executes en Europe pour la premiere fois par le Choeur Georgien.

(fondee a Paris en 1923), sous la direction de M. Pavle Mossoulichvili, Paris, 1928, 10 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მოკლე მიმოხილვას.

მოქცევაი ქართლისაი. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები.

გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ, ეძღვნება მცხეთის ჯვრის 1400 წლისთავს, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2007, 60 გვ. ISBN 978-99940-69-18-7.

„მოქცევაი ქართლისაი“-ს სინურ რედაქციებში გადმოცემულია საქართველოში წმიდა ნინოს შემოსვლისა და ქრისტიანობის გავრცელების ისტორია.

მოხსენება პროფესორ ა. ცაგარელისა ნათარგმნი სინოდის ორგანის «Църковныя Вѣдомости»-დან, 1906 წლ.

გამ. „სინური საქმეების“ რედაქციისა, №8, სტამბა ი. ხელაძისა, ქუთაისი, 1911, 53 გვ.

მოსხენება ეყრდნობა XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალურ მიმოწერებს საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელი.

Дозволено Цензурою 20 января 1887 года, გამოცემა „მწყემის“ რედაქციისა, სტამბა ღამბაშიძისა, ქ. ქუთაისი, 1887, 18 გვ.

გამოცემაში მოკლედ არის მოცემული მცხეთის ტაძრის ისტორია და წმიდა ნინოს ცხოვრების აღწერა.

მწყემი.

ქართული სასულიერო ჟურნალი, გამოდიოდა 1883-1910 წლებში ყვირილაში (ახლანდელი ზესტაფონი), რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დავით ღამბაშიძე. მასში გამოქვეყნებული მასალები ასახავდა ყველა მოვლენას, რაც ხდებოდა იმდროინდელი საქართველოს ეკლესიაში. ჟურნალში იბეჭდებოდა სინოდის განკარგულებანი, სამღვდელოების კრებების მასალები, სასულიერო პირების იუბილეები, ბიოგრაფიები, გარდაცვალება, ქადაგებები, ქრისტიანული სწავლანი, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, ინფორმაცია სასულიერო პირებისა და ეგზარქოსების დანიშვნის, სამრევლო სკოლების შესახებ და სხვა.

Натроевъ А. Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели.

Издание комитета по реставраціи Мцхетскаго собора, Тифлисъ, Типографія К. П. Козловскаго, Головинскій пр. №12, 1900, 464 გვ.

ნაშრომში ვრცლად არის გადმოცემული მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ისტორია და აღწერილობა.

Натроевъ А. Иверскій монастырь на Аонѣ в Турціи, на одномъ изъ выступовъ Халкидонскаго полуострова.

Издание П. Г. Туманова, Тифлисъ, Типографія «Труд», Б. М. Мачковскаго, Мадатовская № 11, 1909, 259 გვ.

ნაშრომი მოგვითხრობს ათონის ივერთა მონასტრის შესახებ.

Никандръ Покровскій – священникъ. Краткая историческая записка о Тифлисской Верійской св. Иоанно-Богословской церкви.

Тифлисъ, Типографія Евѳимія Ив. Хеладзе, 1896, 30 გვ.

ნაშრომი მოგვითხრობს თბილისის ვერის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის შესახებ.

Никандръ Покровскій – священникъ. Краткий очеркъ церковно-исторической жизни православной Грузіи со времени появленія въ ней христіанства и до вступленія въ подданство Россіи.

Составилъ законоучитель 1-й Тифлисской Великой Княгини Ольги Теодоровны женской гимназіи, священникъ Никандръ Покровскій, Тифлисъ, электропечатня газеты „Тифлисскій Листокъ“, 1905, 165 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ქრისტიანობის გავრცელებიდან XIX საუკუნემდე.

ნიკოლაძე ევსეი. საქართველოს ეკლესიის ისტორია.

თ. მთავრიშვილი და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა, ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ქუთ. განყ. სტამბა, ქუთაისი, 1918, 250 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია ქრისტიანობის გავრცელებიდან 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

ნინოს ცხოვრება.

არსენ ბერის რედაქციის მიხედვით თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი მოამზადა ქეთევან ცხადაძემ, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ზოგიერთი შენიშვნა-განმარტება დაურთო ოლეგ გოლიაძემ, რედ. ი. ამირხანაშვილი, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების მე-20 წლისთავს, თბილისი, 1998, 48 გვ.

წიგნში თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოცემულია ქართული მწიგნობრული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი სინკრეტული ხასიათის ძეგლი „ნინოს ცხოვრება“.

ოთხასი წელიწადი კალოუბნის ეკლესიის არსებობისა.

Тифлисъ, Типография „Культура“, Михайловский просп. №102, 1918, 14 გვ.

წიგნში ქართულ და რუსულ ენებზე მოკლედ არის გადმოცემული თბილისის ერთ-ერთ უბანში – კალოუბანში – მდებარე წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ისტორია.

პავლე სმირნოვი – დეკანოზი. მოკლე საეკლესიო ისტორია და უმთავრესი მოთხრობანი საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან.

ნათარგმნი და შედგენილი მღვდელ ს. მჭედლიძის მიერ, „შინაური საქმეების“ გამოცემა, ხელაძის სტამბა, რედ. №2, ქუთაისი, 1908, 59 გვ.

წიგნი დაცულია ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პაიჭაძე გიორგი, ჯაფარიძე ვახტანგ. ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში.

რედ. გ. ჩიტაია, საქართველოს საისტორიო საზოგადოება, „მეცნიერება“, თბილისი, 1974, 55 გვ. 10000 ც.

სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში ავტორები მოგვითხრობენ ასტრახანის მიძინების ტაძრის ისტორიას, ასევე ტაძრის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა და ქართველი მეფეების: ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის სამარხების შესწავლის შესახებ.

Платонъ Иосселианъ. Кацхскій храмъ въ Имеретіи.

Тифлисъ, въ Типографіи Главнаго Управленія Закавказскимъ краемъ, 1845, Изъ Закавказскаго Вестника, №16, 8 გვ.

ნაშრომში აღწერილია X საუკუნის კაცხის ეკლესია.

Платонъ Иосселианъ. Описаніе Шиомгвимской пустыни въ Грузіи.

Составленное Колежскимъ Ассесоромъ и кавалеромъ Платономъ Иосселианомъ, Тифлисъ, въ Типографіи Главнаго управленія Закавказскимъ краемъ, 1845, 67 გვ.

წიგნში მოცემულია შიომღვიმის მონასტრის ისტორია და აღწერილობა.

Поѣздка въ Сванетію для обозрѣнія церквей Гурійско-Мингрельскаго епископа Григорія (Изъ отчета, представленнаго въ советъ общества возстановленія въ православнаго христіанства на Кавказѣ).

Дозволено Цензурою, Тифлисъ, 7 декабря, 1882 г. типографія Л. Тугуши, 1893, 76 გვ.

ნაშრომი არის XIX საუკუნის ბოლოს მოღვაწე, გურია-ოდიშის ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) სვანეთში მოგზაურობის და იქაური ეკლესია-მონასტრების შემოწმების ანგარიში.

პოლიეკტოს კარბელაშვილი – მღვდელი. იერარქია საქართველოს ეკკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ. თფილისი, 1900, 212 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია, ასევე მონაცემები კათალიკოსთა და მღვდელმთავართა შესახებ დასაწყისიდან მე-18 საუკუნემდე.

პოლიეკტოს კარბელაშვილი – მღვდელი. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში.

ისტორიული მიმოხილვა მღ. პ. კარბელაშვილისა, სტამბა „გუტენბერგი“ (თ. გ. დიასამიძისა), ტფილისი, 1902, 74 გვ.

წიგნში გადმოცემულია ცნობები ანჩისხატის ტაძრის შესახებ, ასევე პარაკლისი ხელთუქმნელი „ანჩის პირი ღვთის ხატისა“.

პოლიეკტოს კარბელაშვილი – მღვდელი. იერარქია საქართველოს ეკკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. მეორე გამოცემა.

რედ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ბონდო არველაძემ, შედგენილი მღ. პოლიეკტოს კარბელაშვილის მიერ, „კაბადონი +“, თბილისი, 2011, 171 გვ.

წიგნი წარმოდგენს ავტორის მიერ 1900 წელს გამოცემული ამავე სათაურის ნაშრომის თანამედროვე გამოცემას.

Посланіе Святѣйшаго Леоніда, Католикоса-Патріарха всея Грузіи, къ Святѣйшему Тихону, Патріарху Московскому и всея Россіи.

Печатается по постановленію Совета Католикосата всея Грузіи, отъ 20 ноября 1919 года, за № 457, Типографія „Сорапанъ“, Тифлисъ, 1920, 45 გვ.

მიმართვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) არგუმენტირებულად პასუხობს რუსეთის პატრიარქ ტიხონის ბრალდებებს და ასაბუთებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას.

Пр. М. Ткемаладзе. Тифлисскаѣ Сіонскій кафедральный Соборъ.

Печатается съ разрешенія духовнаго начальства, Сент. 23 числа, 1904 г. съ 13-ью рисунками, Тифлисъ, Типографія Е. И. Хеладзе, 1904, 160 გვ.

ნაშრომში აღწერილია თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის ისტორია და იქ დაცული სიწმინდენი.

Про ф. А. А. Цагарели. Статьи и замѣтки по Грузинскому церковному вопросу. Къ столѣтію (1811-1911 г.г.) вдовства Грузинской Церкви.

С.-Петербургъ, Типографія Главнаго Управленія Удѣловъ, Моховая 40, 1912, 135 გვ.

პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ პერიოდში – ეგზარქოსობის ხანაში.

ჟანენ რემონ. ქართველები იერუსალიმში.

ავტორის წინასიტყვაობით (ფრანგულიდან), პ. შალვა დადიანისა, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა, სტამბოლი, 1921, 40 გვ.

ფრანგი სასულიერო პირი, მღვდელი რემონ ჟანენი იმყოფებოდა პალესტინაში, მონახულა ქართველების ყველა ძველი საგანე, კრიტიკულად გამოიკვლია მათი ისტორია და დაწერა ნაშრომი, რომლის ქართულ თარგმანსაც წარმოდგენს აღნიშნული გამოცემა.

ჟორდანია თედო. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰჰანის ქვაბთა.

გამოცემული გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ვიკარის ალექსანდრეს მიერ, თბილისი, სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა, 1896, 90 გვ.

წიგნში შეკრებილია შიო-მღვიმის მონასტრის შესახებ არსებული საისტორიო საბუთები.

ჟორდანია თედო. თხზულებანი.

საგამომცემლო ჯგუფი: ნ. ბაგაური, ე. ბაილოშვილი, ე. კვანჭიანი, ვ. ტულუში, მ. წიკლაური, ი. ხელაია, ა. ჯიქურიძე; „არტანუჯი“, თბილისი, 2011, 488 გვ. ISBN 978-9941-421-27-3.

კრებულში თავმოყრილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მეცნიერის თ. ჟორდანიას თხზულებები, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის 10-იანი წლების ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ისტორიოგრაფიული ნაშრომები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას შეეხება. მათ შორის აღსანიშნავია: „გატანილია თუ არა ჩვენი ქვეყნიდამ უმთავრესი სიწმინდე საქართველოსი კვართი უფლისა“; „მოკლე ცნობები ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს“; „Антоній I, католикосъ Грузіи и архієпископъ Владимирскій и Яропольскій“; „Абхазскіе католикосы“; „Краткія историческія свєденія объ автокефаліи Грузинской Церкви“.

Сабинин Гоброн (Михаиль). Исторія Грузинской Церкви до конца VI века.

С.-Петербургъ, Типогр. и Литогр. Д. И. Шеметкина, Невскій, д. Бенардаки № 86, 1877, 184 გვ.

გობრონ საბინინის წიგნში თანმიმდევრულად არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაწყისიდან VI საუკუნის ჩათვლით.

საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული.

რედ. დეკ. ბ. კანდელაკი, ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა, ტფილისი, 1928, 34 გვ. 1000 ც.

კრებულში შესულია ს. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიისა და სამღვდლოების შესახებ, სრულიად საქართველოს ეკლესიის კრებათა, სინოდის, საეპარქიო და საოლქო საბჭოების დადგენილებანი და საეკლესიო ცხოვრების ქრონიკა.

საქართველოს ეკლესიის აკლება.

ბაქოს წიგნების გამომცემელი ამხ. „კალამი“, სტამბა „იდეალი“. ტფილისი, 1907, 24 გვ.

წიგნში ანონიმი ავტორი აღწერს, ეგზარქოსობის პერიოდში როგორ იძარცვებოდა ჩვენი ეკლესია-მონასტრები.

საქართველოს ეკლესიის აკლება.

რედ. დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, თბილისი, 2002, წიგნი პირველად გამოიცა 1907 წელს ტფილისში, სტამბა „იდეალში“, ბაქოს წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „კალამი“-ს მიერ.

წიგნში დაცულია პირველი გამოცემის ენა და სტილი. მასში ნათლად ჩანს, როგორ ძარცვავდნენ მომხვედრნი საქართველოს ეკლესიას.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე.

სტამბა „ცხოვრება“, გაბაანთ შესახვევი №4, ტფილისი, 1917, 26 გვ.

წიგნში წარმოდგენილია 1917 წლის საეკლესიო კრებაზე მიღებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ძირითად საკითხებს. მასში შესულია იმ დროისთვის არსებული ეპარქიების ჩამონათვალი.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა.

იბეჭდება თანახმად სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს 1920 წლის ივლისის 20, №262 განჩინებისა, სტამბა ბ. კილაძისა, ველიამინოვის ქ. №3, 1920, 40 გვ.

წიგნში წარმოდგენილია 1920 წლის საეკლესიო კრებაზე მიღებული დოკუმენტი, რომელიც არის 1917 წელს მოღებული დოკუმენტის შესწორებული ვარიანტი და მოიცავს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ძირითად საკითხებს. მასში შესულია იმ დროისათვის არსებული ეპარქიების ჩამონათვალი.

საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია.

1917, 26 გვ.

წიგნში წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის დებულება: საზოგადო დებულებანი, მართვა-გამგეობა, ცენტრალური გამგეობა, საეპარქიო მართვა-გამგეობა, საოლქო მმართველობა, სამრევლო, საეკლესიო სამართალი.

საქართველოს კალენდარი.

ყოველწლიური გამოცემა, რომლის შემდგენელი და გამომცემელი იყო ვალერიან გუნია. კალენდარი გამოდიოდა 1888-1905 წლებში. მასში იბეჭდებოდა მრავალფეროვანი მასალები, მათ შორის, სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების ჩამონათვალი რექტორების, ზედამხედველებისა და პედაგოგების მითითებით, ინფორმაცია ეკლესიებთან არსებული სამრევლო სკოლების, ეგზარქოსების, ეპარქიების, საკათედრო ეკლესია-მონასტრების შესახებ წინამძღვრების მითითებით, ასევე გამოჩენილი სასულიერო პირების მოკლე ბიოგრაფიები.

სვეტიცხოველი.

საქართველოს საპატრიარქოს ყოველკვირეული ორგანო. შეიქმნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წელს, ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის გადაწყვეტილებით. რედაქტორად დაინიშნა პავლე ინგოროყვა. ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს, აკრიტიკებდა რუსეთის დროებითი მთავრობის და სინოდის პოზიციას საქართველოს ეკლესიის მიმართ, აშუქებდა I საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომის ანგარიშებს და სხვა აქტუალურ საკითხებს.

Священникъ К. Цинцадзе. Автокефалія Церкви Грузинской. Историческій очеркъ IV–XI в.

Тифлисъ, Скоропечатня Ар. В. Кутателадзе, Николаевская ул. №21, 1905, 58 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მდგომარეობა IV-XI საუკუნეებში.

Священник К. Цинцадзе. Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской Церкви.

Тифлиς, Скоропечатня „Братство“, Московская, собств. домъ, №5, 1906, 96 стр.

წიგნი პოლიემიკური ხასიათის ნაშრომია, რომელიც ასახულებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულობას და, შესაბამისად, მოითხოვს მის აღდგენას.

Священник П. Карбелов. Древній Анчисхатскій соборъ въ г. Тифлиς. Историческій очеркъ.

Дозволено Духовною ценз. Тифлиς, 22 января 1899 года, Типографія Ев. Ив. Хеладзе, 1899, 88 გვ.

მღვდელ პოლიემიკტოს კარბელაშვილის წიგნში გადმოცემულია ქ. თბილისის ანჩისხატის ტაძრის ისტორია და აღწერილობა.

სიონის ტაძრისათვის მცირედი ცნობანი.

საქართველოს საკათოლიკოზოს გამოცემა, ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, 1946, 11 გვ. 2000 ც.

ბროშურაში მოცემულია მოკლე ცნობები სიონის ტაძრის ისტორიისა და იქ დაცული სიწმინდეების შესახებ.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოსაგან. (1922 წლის ოქტომბრის 19-ის სხდომის №47 ჟურნალის თანახმად).

დოკუმენტში საკათალიკოსო საბჭო უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის (ხელაია) ხელმძღვანელობით საუბრობს იმ აუცილებელ რეფორმებზე, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო 1922-1923 წლებში და რომელთა მიზანი იყო ეკლესიის გაწმენდა საუკუნოვანი რუსული მონობის რეციდივებისაგან. დოკუმენტს ხელს აწერენ: სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს თავმჯდომარე, კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი და საბჭოს წევრნი: მიტროპოლიტი ნაზარ ქუთათელი, ეპისკოპოზი დავით ჭყონდიდ-შემოქმედელი, ეპისკოპოზი იოანე ცხუმ-აფხაზეთელი, ეპისკოპოზი ქრისტეფორე ურბნელი, დეკ. კ. ცინცაძე, დეკ. მ. ტყემალაძე, პროფ. კ. კეკელიძე, ივანე რატიშვილი (გადმოტანილია უცვლელად), 2 გვ.

Судьбы Грузинской Церкви (По вопросу о Грузинской церковной автокефалии). 1-е Добавление.

Издание Редакциі газеты „Русскій Стягъ“, Москва, Тип. „Русская Печатня“, Арбатъ, д. Толстого, 1907 г, 49 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკლესიის ბედი ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ პერიოდში.

Топсмелис. Правда об автокефалии Грузинской Церкви (Отвѣтъ г. В. Самуилову и К-^о).

„Коммерческая“ типография В. Чиладзе и К^о, Кутаись, 1906, Тифл. ул. соб. д. 345 გვ.

ნაშრომში ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი (სავარაუდოდ, დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე) პასუხობს ისტორიკოს ვ. სამუილოვის ტენდენციურ წერილს, რომელშიც იგი ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, თითქოს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არასოდეს ჰქონია.

ფერაძე გრიგოლ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ.

სერიიდან „ქართული ეკლესიის ისტორია“, ტ. 4, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ, რედ. ა. ჭანტურია, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი, „კანდელი“, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, 1995, 167 გვ. 1000 ც.

წიგნში გადმოცემულია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი შრომების ბიბლიოგრაფია და ნაწყვეტები ნაშრომებიდან, რომლებიც პალესტინის ქართულ მონასტრებსა და იქ მოღვაწე სასულიერო პირებს შეეხება.

ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია.

შედგენილი დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის მიერ. რედ.: გ. ბედოშვილი, მ. ერისთავი; დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით. კონსულტანტი ს. ვარდოსანიძე, გამოცემის ხელმძღვანელი ც. ქოჩეჩაშვილი, „ცის ნამი“, თბილისი, 2012, 133 გვ. ISBN 978-9941-26-3.

წიგნის პირველი გამოცემა განხორციელდა ქ. ქუთაისში 1913 წელს. ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე.

ჩაჩანიძე ვასილ. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში.

რედ. ს. ენუქაშვილი, „მეცნიერება“, თბილისი, 1974, 146 გვ. 15000 ც.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ეყრდნობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ავტორის მიერ მოძიებულ მასალებს დიპლომატიური მისიით მოღვაწეობის დროს იტალიაში (1945-1950 წწ.). წიგნის პირველი ნაწილი ეთმობა მასალებს დიდი ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერიელის შესახებ, მეორე ნაწილი კი მოიცავს ცნობებს იტალიელი არქეოლოგის ვ. კორბოს მიერ ჩატარებული საძიებო სამუშაოების შესახებ იერუსალიმში, იორდანის უდაბნოში.

Чачანიძე Василий. Петр Ивер и археологические раскопки грузинского монастыря в Иерусалиме.

რედ. С. Енукашвили, Академия наук Грузинской ССР, Институт философии, „Мецниереба“, Тбилиси, 1977, 235 გვ. 10000 ც.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ეყრდნობა იმ მასალებს, რომლებიც ავტორმა შეაგროვა იტალიაში დიპლომატიური მისიით ყოფნის პერიოდში (1945-1950 წწ.). მასში გადმოცემულია V საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერის ცხოვრება, წარმომავლობა და მოღვაწეობა, იერუსალიმის არქეოლოგიური გათხრების მონაცემები, ასევე იერუსალიმში 1955 წელს იტალიურ ენაზე გამოცემული ვ. კორბოს წიგნის ზოგიერთი ნაწილის რუსული თარგმანი, რომლებიც ეხება იმ ძეგლებს, რაც ნაპოვნი იქნა ქართული მონასტრის გათხრებისას ბირ ელ-კუტის რაიონში.

ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველთ-მომქმედი მარტყოფელისა.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა №21, ე. კ. ტფილისი, 1899, 14 გვ. წიგნში გადმოცემულია საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად შემოსული ერთ-ერთი ასურელი მამის – ანტონ მარტყოფლის ცხოვრება და ღვაწლი.

ცხოვრება წმიდა ნინოსი. XI-XII ს. ხელნაწერიდან.

შედგენილი არსენი ქართლისა კათალიკოზის მიერ X საუკუნეში, Дозволено духовною цензурою, Тифлиси, 1-го Сентября, 1902 г., გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა №10, სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა №21, ტფილისი, 1902, 53 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად შემოსული წმიდა ნინოს მოღვაწეობა და იმდროინდელი საქართველოს ისტორიული ვითარება.

ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში.

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვაჟა ოთარაშვილმა. რედ. ს. ანდლულაძე, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით. ეძღვნება წმინდანად შერაცხილ ძმებს: ფილიმონს, ანდრიას, პოლიევქტოსს, პეტრეს და ვასილ კარბელაშვილებს. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 2013, 182 გვ. ISBN 978-9941-0-5439-6.

წიგნში მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ისტორიული ნაშრომის „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“ და „პარაკლისი ხელთუქმნელი ანჩის-ხატისა“-ს გარდა მკითხველი ეცნობა გამოკვლევას წმიდა აღმსარებელი პოლიევქტოს კარბელაშვილის გენეალოგიისა და ღვაწლის შესახებ, საარქივო დოკუმენტებს, უნიკალურ ფოტომასალას.

წმ. გრიგოლ ფერაძე. თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი. ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში. ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია.

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო **დავით ყოლბაიამ**, კრებული გამოდის მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრეას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, ვარშავის უნივერსიტეტი, ვარშავა, 2012, 409 გვ. ISBN vol. 1: 978-83-61325-24-6.

წმ. გრიგოლ ფერაბის თხზულებათა კრებულის პირველ წიგნში შესულია ნაშრომი „ბერმონაზვნობის ისტორია საქართველოში“.

წმ. მღვდელმთავრე კირიონ II. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. საარქივო მასალები, 1906 წ.

რედ. თ. გოგონაშვილი, გამოსაცემად მოამზადა **ლუკა ხუნდაძემ**; იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ალილო“, თბილისი, 2005, 63 გვ. ISBN 99940-0-403-4.

წიგნში თავმოყრილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (სამაგლიშვილი) წერილები და დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხება.

წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.

გამოცემა პირველი, შედგენილი **დეკ. დავ. დამბაშიძისაგან**. Типографія журналу „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе), Кутаисѣ, 1888, 14 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმინდანების – დავითისა და კონსტანტინე მხეიძეების და მოწამეთას მონასტრის მოკლე ისტორია.

ჭიჭინაძე ზაქარია. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, Дозволено цензурою, Тифлиси, 16-го Сентября 1903 года, მსწრაფლ-მბეჭდავი ა. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ. №21, ტფილისი, 1903, 64 გვ.

გამოცემაში შესულია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ბიოგრაფია და წერილები.

ხახანაშვილი ალექსანდრე. გუჯრები.

გამოცემა დეკ. დ. დამბაშიძისა, Кутаисѣ, Типографія редакції журналу „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе), 1891, 178 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია, ეკლესიის მნიშვნელობა და გავლენა, ეკლესიისათვის შეწირული მიწების საბუთები.

ამავე წიგნში შესულია **თედო ჟორდანიას** მიერ შეკრებილი „**ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები**“.

გამოცემა ეპისკოპოს ალექსანდრესი, სტამბა ლ. მ. ტულუშისა, ფოთი, 1903, 272 გვ.

Хахановъ А. С. Источники по введенію христіанства въ Грузіи.

Изъ I тома III выпуска „Древностей Восточных“ императорскаго Московскаго Археологическаго Общества, Москва, Типографія и словолитня О. О. Гербека, Чернышевскій пер. №5, 1893, 47 გვ.

ნაშრომში შეკრებილი და გაანალიზებულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დამადასტურებელი წერილობითი წყაროები.

Хахановъ А. С. Жизнь и дѣятельность католикаса Грузии Антонія I.

უთარილო, 16 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული მე-18 საუკუნეში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს ანტონ I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა და მისი ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებების ნაწილი.

ხუციშვილი მირიან. საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში (1880-1917 წწ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მეცნიერება“, თბილისი, 1972, 81 გვ. 600 ც.

საარქივო მასალებზე დაყრდნობითა და ლიტერატურული წყაროების გამოყენებით ნაშრომში ნაჩვენებია ის ღონისძიებები, რომლებიც გაატარა საქართველოს საეგზარქოსომ მოსახლეობაში ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობის წინააღმდეგ. საეგზარქოსოს ინიციატივით საქართველოში შეიქმნა რელიგიური საზოგადოებები და ორგანიზაციები, რომლებიც ყველა საშუალებით ებრძოდნენ მოსახლეობაში მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებას.

ჯანაშვილი მოსე. საქართველოს საეკლესიო ისტორია.

გამომცემელი „მწყემსი“-ს რედაქტორი მ. ღამბაშიძე, გამოცემა „მწყემსი“-ს რედაქციისა, ექვთიმე ხელაძის სტამბა, ტფილისი, 1886, 152 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდან XIX საუკუნემდე.

ჯანაშვილი მოსე. მისი უწმიდესობა კირიონი, უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოზ-პატრიარქი ყოვლისა საქართველოსა.

სტამბა „სორაპანი“, ქვსა ოგ-სა, ქრისტესით ჩშიზ წ, თბილისი, 6 გვ.

წიგნში მოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) მოკლე ბიოგრაფია და ცნობები საქართველოს კათოლიკოს კირიონ I-ის შესახებ.

ჯანაშვილი მოსე. საქართველოს საეკლესიო ისტორია.

პასუხისმგებელი გამოცემაზე ე. ნადარეიშვილი, კოოპერატიული ფირმა „აისი“, თბილისი, 1990, 158 გვ. 10000 ც.

წიგნი წარმოადგენს 1886 წელს „მწყემსის“ რედაქციის მიერ გამოცემული ნაშრომის თანამედროვე გამოცემას, მასში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია ქრისტიანობის გავრცელებიდან XIX საუკუნემდე.

ჯვარი ვაზისა.

ყოველკვირეული სურათებიანი საეკლესიო-საზოგადოებრივი გაზეთი, გამოდიოდა XX საუკუნის დასაწყისში. მასში შექმნილია საქართველოს საეკლესიო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები.

1978 წლამდე დაცული დისერტაციები

Гврितिшвили Л. Церковно-монастырское хозяйство Грузии XI-XIII вв.

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилисский государственный университет, Тбилиси, 1973, [წიგნის პალატა].
ნაშრომში განხილულია XI-XIII საუკუნეების საქართველოს ეკლესიის სამონასტრო მეურნეობები.

Гогсадзе М. Очерки истории Гелатского памятника.

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Академия наук Грузинской ССР, Институт истории им И. Джавахишвили, Тбилиси, 1953, 26 გვ. [წიგნის პალატა].
ნაშრომში შესწავლილია გელათის მონასტრის ისტორია და იქ დაცული სიწმინდეები.

Диденко Михаил - протоиерей. Сионский собор г. Тбилиси. Описание и значение памятника в истории христианского искусства.

Московская Духовная академия, сектор заочного обучения, курсовое сочинение по кафедре церковной археологии, Троице-Сергиева Лавра, г. Загорск, 1966-1970 гг. 131 გვ.
საკურსო ნაშრომში შესწავლილია თბილისის სიონის ტაძრის ისტორია, აღწერილობა და მნიშვნელობა.

Иероманас Илья (Шиолашвили, ныне Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх Всея Грузии Илия II). История иверского монастыря на Афоне.

Руководитель: Ник. Иванов, Загорск, Свято-Троице-Сергиева Лавра, 1960, [საქართველოს საპატრიარქოს არქივი].
ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაციაში გაშუქებულია ათონის ივერთა მონასტრის ისტორია.

ლომინაძე ბაბილინა. ქართული საეკლესიო სენიორიის ისტორიიდან. შიო-მღვიმის მონასტერი.
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1949, 191 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში აღწერილია შიო-მღვიმის მონასტრის დაარსებისა და განვითარების ისტორია, დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან, ორგანიზაციული წყობა, სამამულო ურთიერთობა.

Саникидзе Тамаз. Гергетская Семеба.

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения, Научный руководитель: член-корр. Академии наук ГССР, проф. В. Беридзе, Тбилисский государственный университет, „მეცნიერება“, Тбилиსი, 1967, 27 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში შესწავლილია გერგეტის სამების ისტორია და ხუროთმოძღვრება.

Соселия Ольга. Сеньории в Западной Грузии, Имеретинском царстве, Гурийском и Одишском княжествах феодального периода.

Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, специальность: история СССР - 5710, Академия наук Грузинской ССР, Институт истории, археологии и этнографии им И. Джавахишвили, Тбилиსი, 1969, 67 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში შესწავლილია ფეოდალური საქართველოს პერიოდის იმერეთის, გურიისა და ოდიშის სენიორიების ისტორია.

Фомин-Цагарели Мелитон. Грузинская церковь, свидетельница православия Русской Церкви.

Сочинение окончившего курс в С.-Петербургской Духовной Академии Мелитона Фомина-Цагарели.

Санкт-Петербургъ, въ Типографіи Императорской Академіи Наукъ, 1848, 52 გვ.

მელიტონ თომას ძე ფომინ-ცაგარელმა საკურსო ნაშრომი დაწერა 1847 წელს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრებისას. იგი ეხება საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობას.

Цинцадзе Калистрате. Иверская Церковь в период Сассанидов (265-570).

კალისტრატე ცინცადის საკანდიდატო თხზულება რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1891-92, 61 გვ. კალისტრატე ცინცადის პირადი არქივი, საქმე №96. [კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი].

ნაშრომში განხილულია ქართლის ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა III-VI საუკუნეებში, როგორც იყო იგი დამოკიდებული ჯერ ანტიოქია-კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების იურისდიქციაზე და შემდეგ როგორ მოიპოვა ავტოკეფალია V საუკუნეში, რა პრობლემები შეექმნა მას კავკასიაში ირანელთა სამხედრო ინტერვენციის დროს.

წმიდა მღვდელმონაწამე გრიგოლ ფერაძე. ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში.

თამარ ჭუმბურიძის გამოკვლევითა და რედაქციით, რედ. ა. ხორნაული, „ნეკერი“, თბილისი, 2006, 150 გვ. ISBN 99940-910-1-8.

ნაშრომი წარმოადგენს გრიგოლ ფერაძის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც ცალკე თავებად დაიბეჭდა ევროპის სამეცნიერო ჟურნალებში 1926-1930 წლებში, დიდი ნაწილი

გერმანულად, ერთი ნაწილი – ფრანგულად. თარგმანი გერმანულიდან ეკუთვნის თ. ჭუმბურიძეს, ფრანგულიდან – ც. ბიბილეიშვილს.

ხელაია ამბროსი. ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში.

საკანდიდატო დისერტაცია, 1901, მიკროფირი, ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, ნაშრომები, საქმე №1, [კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი].

ნაშრომში სხვადასხვა წყაროების საფუძველზე განხილულია ქრისტიანობის ბრძოლა ისლამურ რელიგიასთან შუა საუკუნეებში.

Хуцишвили Мириан. Грузинский экзархат на службе колониальной политики царизма (1811-1917 гг.).

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Научный руководитель: кандидат исторических наук, доцент Ш. Хантадзе, Академия наук Грузинской ССР, Институт истории археологии и этнографии им. И. Джавахишвили, Тбилиси, 1972, 22 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში განხილულია საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობა 1811-1917 წლებში.

ჯავახიშვილი ივანე. ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.

ამობეჭდილია ჟურნალ „მოამბიდან“, 1900 წ. №5, გვ. 56-70. დაწერილია 1898 წ. პეტერბურგში.

წარმოდგენილი ნაშრომი არის ივანე ჯავახიშვილის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესრულებული სამაგისტრო შრომა.

1978 წლამდე გამოქვეყნებული სტატიები და წერილები

ავტოკეფალია.

„მეგობარი“, ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1906, №57, გვ. 2.
გაზეთში განთავსებულია მოკლე ინფორმაცია პეტერბურგში გამართული სრულიად რუსეთის სამღვდელთა მომავალი კრების კომისიის ერთ-ერთი სხდომის შესახებ.

ათონის ქართველ ბერების ეხლანდელი ყოფა.

„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1878, №238, გვ. 1-2.
პუბლიკაციაში განხილულია ათონის ქართველთა მონასტერში მოღვაწე ბერების იმდროინდელი პრობლემები.

ამირეჯიბი შალვა. საქართველოს ეკლესიის საკითხი.

„კლდე“, ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი, 1913, №17, გვ. 1-2.
შალვა ამირეჯიბის წერილი ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს.

არქიმანდრიტი ლეონიდი – მისსიონერი და სკოლების ინსპექტორი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1895, №16, გვ. 1-4.
ჟურნალში გამოქვეყნებულია არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) ბიოგრაფიული მონაცემები.

აფხაზეთის რუქა.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1893, №11, გვ. 8.
პუბლიკაციაში შეფარულად არის მხილებული რუსეთის მიერ ქართველთა საზიანოდ წარმოებული პოლიტიკა აფხაზეთში.

ახალი ამბავი.

„ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1886, №21, გვ. 2.
ჟურნალში მოცემულია ინფორმაცია რუსეთის სინოდში განსახილველ ათონის ქართველთა მონასტრის საკუთრების საკითხთან დაკავშირებით. სინოდზე მიწვეული იყვნენ დეპუტატები თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობიდან.

ახალი ამბავი.

„ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1897, №63, გვ. 1.

გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია ეხება თბილისში ახალი სამხედრო ტაძრის მშენებლობის დასრულებასა და კურთხევას.

ბ. გეგეჭკორი და საქართველოს ეკლესია.

„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1912, №17, გვ. 1-3.

წერილში ანონიმი ავტორი აკრიტიკებს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატს ევგენი გეგეჭკორს საქართველოს ეკლესიის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო.

ბენედიქტე ბარკალაია – სხიმონაზონი. ათონის მთიდამ.

„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1882, №226, გვ. 1-2.

წერილში ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი მოგვითხრობს ქართველი ბერების იმდროინდელი პრობლემების შესახებ.

ბენედიქტე (ვენედიქტე) ბარკალაია – სხიმონაზონი. წერილი რედაქტორთან.

„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1882, №267-№268, გვ. 3-4.

გაზეთის აღნიშნულ ნომრებში გამოქვეყნებული წერილები შეეხება ათონის მთაზე ქართველ და ბერძენ ბერებს შორის დაძაბულ ურთიერთობებს.

ბერი. საქართველოს ეკლესია.

„სიტყვა“, ყოველ-კვირეული გაზეთი, 1906, №12-№13-14.

ჟურნალის აღნიშნულ ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიაში ანონიმი ავტორი მოკლედ მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ.

გარსევანოვი ალექსანდრე. არბოს ანუ გერისთავის წმიდის გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის.

„ცისკარი“, ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, 1866, №9, გვ. 4.

სტატიაში გადმოცემულია გორის მაზრაში მდებარე არბოს ეკლესიის აგების ისტორია.

გოგიაშვილი თეიმურაზ. ცნობარი ძეგლთა შესწავლისათვის.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება, 1975, №3, გვ. 54-59.

სტატიაში მოცემულია მატერიალური ძეგლების ცნობარი ძველი ქართული მწერლობის I პერიოდის შესწავლისათვის, რომელსაც დართული აქვს ძეგლთა შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა.

გოგიჩაიშვილი ფილიპე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

„ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1906, №4, გვ. 2-3.

გაზეთში გამოქვეყნებულია ავტორის მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით.

გორგაძე სერგი. საქართველოს ეკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკლესიას: ბერძნებთან ერთად თუ შემდეგ?

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1901, №22, გვ. 3-4.

სტატიის ავტორი აღწერს რომის კათოლიკური ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა დიდი განხეთქილების შემდეგ.

გორგაძე სერგი. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი.

„მოამბე“, თვეური ჟურნალი, 1905, №3-№4-№5, განყ. II.

ჟურნალის აღნიშნულ ნომერებში გამოქვეყნებულ წერილებში ავტორი მოგვითხრობს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

გორის-ჯვარის ეკლესია და მისი ისტორიული ნაშთები.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1885, №1, გვ. 6-8.

წერილში ანონიმი ავტორი (ი. ს. დ.) მოგვითხრობს გორის-ჯვარის ეკლესიის ისტორიას.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ. (1895).

„ქართველური მემკვიდრეობა“, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2010, ტ. XIV, გვ. 204-235.

ჟურნალში დაბეჭდილია ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც მიუღებლად არის მიჩნეული ლოცვების მეგრულ ენაზე თარგმნა.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. საქართველოს ექსარხოზები.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1892, №23-24, გვ. 3-4.

ავტორი გვაწვდის საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საექსარხოზოს სასულიერო სასწავლებლებში?

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1893, №17-№18, გვ. 1-4.

სტატიებში ავტორი მიმოიხილავს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების სწავლა-აღზრდის სისტემას.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. ჩვენი სამწუხარო გულ-გრილობა და დაუდევნელობა.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1897, №5, გვ. 1-3.

სტატიამი განხილულია სასულიერო ცხოვრების პრობლემები იმდროინდელ საქართველოში.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. მოკლე ისტორიული მოთხრობა საზოგადოდ საქართველოს ექსარხოზებზე 1811 წლიდან დღემდე.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1898, №5-№6.

სტატიებში მოცემულია მოკლე ცნობები საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შესახებ.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. ავტოკეფალია.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1905, №21, გვ. 7-8.

დეკანოზი დავით ღამბაშიძე საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას 1906 წლის წინარე საეკლესიო კრებისათვის პეტერბურგის აკადემიის საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორ ი. ი. სოკოლოვის მიერ მომზადებულ მასალაზე, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე?

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1906, №5, გვ. 1-2.

სტატიამი ავტორი მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით არსებულ იმდროინდელ ვითარებას.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. კიდევ საქართველოს ეკლესიაზე.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1906, №17-18.

წერილში ავტორი საუბრობს 1906 წელს სინოდის წინარე სხდომაზე განხილულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესახებ.

დავით ღამბაშიძე – დეკანოზი. საქართველოს ექსარხოზები.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1910, №3, გვ. 1-3.

წერილში ავტორი გვაწვდის ინფორმაციას საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შესახებ.

დიმიტრი ჯანაშვილი – მღვდელი. ბიბლიოგრაფია.

„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1882, №245, გვ. 3.

პუბლიკაციაში განხილულია გობრონ საბინინის „საქართველოს სამოთხის“ გამოცემა.

დიმიტრი ჯანაშვილი – მღვდელი. მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.
„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1884, №76–№80.
გაზეთის აღნიშნულ ნომრებში დაბეჭდილია ათონის ივერთა მონასტრის მოკლე ისტორია დაარსებიდან XIX საუკუნემდე.

დურნოვო ნიკოლოზ. წინასწარი თათბირი რუსეთის სამღვდელოების მომავალი კრებისა საქართველოს ეკლესიის შესახებ.

„მინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1914, №2, გვ. 3-5.

წერილში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოსურნე ნიკოლოზ დურნოვო საუბრობს, როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი სინოდის წინარე სხდომაზე.

დურნოვო ნიკოლოზ. ბედი ქართული ეკლესიისა.

„კრიალოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2007, №3, გვ. 20-23.

ჟურნალში დაბეჭდილია ნ. დურნოვოს ნაშრომი „ბედი ქართული ეკლესიისა“.

ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). საგრძნობელი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში.

„ჯვარი ვაზისა“, სურათებიანი ყოველკვირეული საეკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი, 1906, №11, გვ. 6-8.

წერილში ავტორი განიხილავს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს, რომელიც ზოგიერთის მიერ არასწორად იქნა გაგებული.

ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთში.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1905, №8, გვ. 7-8.

სტატიაში ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) ეწინააღმდეგება იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც გურია-ოდიშის ეპარქიაში ხდებოდა მოსახლეობის გარუსება.

Е. П. О хевсурских деканозах и хевизберах.

„Вестник Грузинскаго Экзархата“, 1916, № 8-9, გვ. 277-288.

სტატიაში ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე) საუბრობს საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში, წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების შერწყმის შესახებ.

ერისგანი. უუფლებო ეკლესია. ისტორიულ-კანონიკური სპრავკა.

„მინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1910, №26, გვ. 3-8.

წერილში ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რამდენად შეზღუდულია ეგზარქოსთა უფლებები საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიამ მოიპოვოს დამოუკიდებლობა.

ვართაგავა იპოლიტე. ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა.

I. ივერიის მონასტერი. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1901, №18, გვ. 4-7.

II. წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი პალესტინაში. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1901, №19, გვ. 3-5.

სტატიებში მოთხრობილია ათონის ივერთა და ჯვრის მონასტრებში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე). მეფე ერეკლეს დროს მომხდარი კრება.

„კვალი“, სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი, 1894, №37, გვ. 16-20.

წერილში აღწერილია ერეკლე II-ის დროს ჩატარებული საეკლესიო კრება.

ვ-ნი. რას თხოულობს სამღვდელოება.

„მიწა“, ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი, 1906, №3, გვ. 7-9.

ანონიმი ავტორის სტატიაში საუბარია ქართველი სამღვდელოების ბრძოლაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

თავ. დ. რ. წ. (წერეთელი დავით). ქართველთა მონასტრები უცხოეთში.

„შრომა“, 1882, №5, გვ. 2.

გაზეთში დაბეჭდილია მოკლე ინფორმაცია იერუსალიმსა და ათონის მთაზე არსებული ქართული მონასტრების შესახებ.

თ-დი დავით წერეთელი. ჩვენი ძველი და ახალი ეკლესიები.

„შრომა“, 1883, №24, გვ. 2-3.

სტატიაში საუბარია იმერეთის ეკლესია-მონასტრების შესახებ.

თათბირი ეკლესიის შესახებ.

„მეგობარი“, ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1906, №16, გვ. 2.

გაზეთში განთავსებულია მოკლე ინფორმაცია თბილისში გამართული სამღვდელოების დელეგატების შეკრების შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით.

თამარაშვილი მიხეილ. წმიდა ანდრია მოციქული საქართველოში.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1992, №1-2, გვ. 73-85.

სტატიაში ავტორს მოჰყავს ცნობები წმიდა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა მ. ვარაზაშვილმა.

თარხნიშვილი მიქელ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოშობა და განვითარება.
„მნათობი“, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო, 1989, №11, გვ. 157-166.
წერილში უცხოეთში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თარხნიშვილი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიას.

ივერიელი (კირიონ საძაგლიშვილი, ეპისკოპოსი). ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს.
„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1908, №14-№16-№18-№19.
გაზეთის აღნიშნულ ნომრებში „ივერიელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიებში ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) აკეთებს ანალიზს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეების ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ და ადარებს ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიისადმი.

ილია შუბლაძე – დეკანოზი. კათოლიკოს-პატრიარქის უფლებანი.

„ახალი სიტყვა“, ორკვირეული ჟურნალი, 1918, №11, გვ. 1-2.

წერილში საუბარია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების შესახებ.

იმედაშვილი იოსებ. მარტყოფის ტრაგედია.

„თეატრი და ცხოვრება“, სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი, 1918, №10, გვ. 4.

წერილში ი. იმედაშვილი მკითხველს აწვდის ინფორმაციას მარტყოფში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის საიდუმლო ვითარებაში გარდაცვალების შესახებ.

იმერელი ლ. ს. მათხოჯის დედათ საგანე.

„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1914, №2, გვ. 11-12.

სტატიაში ლ. იმერელის ფსევდონიმით ანონიმი ავტორი მოგვითხრობს სოფელ მათხოჯში არსებული დედათა მონასტრის ისტორიას.

ინგილო რ. (რაფიელ ივანიცკი). პოლიტიკური ვითარება და საქართველოს ეკლესია.

„სვეტიცხოველი“, ყოველკვირეული ორგანო, 1917, №2, გვ. 1-2.

რ. ინგილოს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში რაფიელ ივანიცკი საუბრობს, როგორი უნდა იყოს ახლად ავტოკეფალიადაღგენილი საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ინტერვიუ უწმინდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევრემ მეორესთან.

„საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1972, გვ. 6-8. პასუხისმგებელი გამოშვებისათვის კ. პ. ევრემ II, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა №4, თბილისი, 1972, 148 გვ.

ინტერვიუ ეხება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევრემ II-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

იპო ხეთელი (ვართაგავა). სამეგრელოს ვითარება.

„კვალი“, სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი, 1895, №5, გვ. 13-14.

წერილში იპოლიტე ვართაგავა საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც იმ დროს არსებობდა სამეგრელოში საეკლესიო სფეროში.

იროდიონ ოქროპირიძე – მღვდელი. ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

„მნათობი“, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო, 1989, №12, გვ. 106-123.

წერილში აღწერილია ქრისტიანობისა და ქრისტიანების მდგომარეობა საინგილოში.

იროდიონ ოქროპირიძე – მღვდელი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან.

პუბლიკაცია გიორგი გოჩიტაშვილის, „მნათობი“, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, 1990, №9, გვ. 140-144.

პუბლიკაცია მომზადებულია საინგილოს ყოფილი ბლალოჩინის (კეთილმოწესე) იროდიონ ოქროპირიძის ჩანაწერებიდან, რომლებიც დღიურის სახითაა შესრულებული.

კაკვასიის ექსარხოსი პლატონი და საქართველოს ეკლესია.

„სვეტიცხოველი“, ყოველკვირეული ორგანო, 1917, №2, გვ. 2-3.

სტატიისში საუბარია რუსეთის საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეგზარქოსყოფილ პლატონის განცხადების შესახებ, რომელიც ავტოკეფალისტებს ბრბოდ, ხოლო ავტოკეფალიას – მიუღებელ აქტად აცხადებდა.

კათოლიკოზობის მომხრე. შენიშვნა საქართველოს კათოლიკოზობის ამორჩევის შესახებ.

„დროება“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1882, №213, გვ. 2.

წერილში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას კათოლიკოსის არჩევის წესის შესახებ.

კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას სასამართლო პროცესი.

გაზეთ „კომუნისტის“ (ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების და სრ საქ მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო) 1924 წლის მარტის ნომერებში იბეჭდებოდა მასალები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და სხვა სასულიერო პირების სასამართლო პროცესის შესახებ.

ამბროსი ხელაიას სასამართლო პროცესი. 9 მარტი, გვ. 3;

საბჭოთა სასამართლოში. კათალიკოსის საქმის გამო. 9 მარტი, გვ. 5;

„პარიტეტული“ და „უწმინდესი“ კონტრ-რევოლუციის დაუღლება. 12 მარტი, გვ. 1;

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება. 12 მარტი, გვ. 2;

კონტრ-რევოლუციის დამცველები და ტფილისის პროლეტარიატის ზმა. „წმინდა მამების“ გასამართლება გრძელდება. 15 მარტი, გვ. 1;

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება. (13 მარტის სხდომა); მუშა გიგო ხერუაშვილი, ლექსი „ამბროსის გოდება“. 18 მარტი, გვ. 5;

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება. (14 მარტის სხდომა); ზიზლი „უწმინდესი კონტრ-რევოლუციის“ დამცველთ. 18 მარტი, გვ. 3;

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება. (15 მარტის სხდომა); სახელმწიფო ბრალმძებლის ამხ. მაჭავარიანის სიტყვა; ამხ. ოკუჯავას სიტყვა. 20 მარტი, გვ. 3;

უზენაესი სასამართლოს განაჩენი კათალიკოს ამბროსის საქმის გამო, რეზოლიუცია. 22 მარტი, გვ. 3.

კალისტრატე ცინცაძე – დეკანოზი. ჩემი დაკითხვა.

„მნათობი“, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, 1990, №9, გვ. 150-155.

ჟურნალში გამოქვეყნებულია იმჟამად დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის წერილი, რომელშიც იგი აღწერს 1923 წელს, მისი დაპატიმრებისას, დაკითხვის მიმდინარეობის პროცესს.

კარიჭაშვილი დავით. ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი.

„მოამბე“, თვიური ჟურნალი, 1901, №3, განყ. II, გვ. 1-15.

სტატიაში საუბარია ვახტანგ გორგასლის დროს სპარსელების მიერ გამოგზავნილ ცეცხლთაყვანისმცემელ ეპისკოპოს მობიდანზე, რომელსაც ცეცხლთაყვანისმცემლობა უნდა გაეგრძელებინა საქართველოში.

კეკელიძე კორნელი. სტატიების კრებული.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას შეეხება. მათ შორის აღსანიშნავია:

Къ вопросу объ Иерусалимскомъ происхожденіи Грузинской Церкви, Петроградъ, 1914, 8 გვ.;

საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1925, გვ. 82-107;

ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, „მიმომხილველი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, ტფილისი, 1926, 53 გვ.;

კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტფილისი, 1929, გვ. 313-345.

კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური კამპანია.

„კომუნისტი“, საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო, 1930, 1 იანვარი, გვ. 2.

გაზეთში გამოქვეყნებულია სამუშაო მოწოდება უღმერთოთა კავშირის ყველა საბჭოსა და უჯრედის მიმართ.

კინკილეთელი. რამდენიმე შენიშვნა მღვდელ-მონაზონ სერგის წერილზე.

„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1909, №11, გვ. 3-5.

წერილში ანონიმი ავტორი არ ეთანხმება თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ ინსპექტორს, მღვდელ-მონაზონ სერგის, რომელიც ავტოკეფალისტების მოთხოვნაში პოლიტიკურ მხარეს ხელდას.

კირიონის გადაყვანის მიზეზი.

„ისარი“, „“, ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1907, №72, გვ. 2.

გაზეთში მოცემულია ინფორმაცია ეპისკოპოს კირიონის (სადაგლიშვილი) სოხუმის ეპარქიიდან დათხოვნის შესახებ იმ საბაბით, თითქოს იგი სდევნიდა სოხუმის ოლქის რუს სამღვდელთა და მათ მაგივრად ქართველებს ნიშნავდა.

კირიონ II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ქართველი ბერ-მონაზვნებისა და მონასტრების დამსახურება სამამულო ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1998, №5-6; №7-8).

ჟურნალის აღნიშნულ ნომრებში გამოქვეყნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ნაშრომი, რომელიც ქართველი ბერ-მონაზვნების მოღვაწეობას შეეხება. თარგმნა ნ. ხურცილავამ.

კირიონ II. „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2009, №2, გვ. 45-51.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (სადაგლიშვილი) ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“.

К. Н. Ч. Очеркъ первоначального распространения христіанства въ Грузіи.

„Воскресный день“, иллюстрированный журнал для чтения въ христіанской семьѣ, 1900, №2, гв. 21-24.

სტატიამი ანონიმი ავტორი მოგვითხრობს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.

Когда и почему были приостановлены выборы католико́са Грузинской Церкви?

„Духовный вѣстник Грузинскаго Экзархата“, 1906, №6, газета „Слово“, გვ. 13-16.

სტატიამი საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ეგზარქოსობის მმართველობის დამყარების შესახებ.

კონსტანტინე ანთაძე – მღვდელი. საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დამფუძნებელი. შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1902, №21-№22.

ჟურნალის აღნიშნულ ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებში ავტორი საუბრობს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დამფუძნებლის თაობაზე.

კონსტანტინე ანთაძე – მღვდელი. აზრი საქართველოს ეკლესიის შესახებ რუსეთის განსაკუთრებული კრებისა.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1906, №1-2.

ჟურნალში ავტორი აქვეყნებს რუსეთის საეკლესიო კრების მიმდინარეობის ჩანაწერს.

ლენინი – ეპისკოპოსი იმერეთისა. საყურადღებოდ საქართველოს სამღვდელოების.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1906, №8, გვ. 1-2.

სტატიამი ეპისკოპოსი ლენინი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) საუბრობს საქართველოს ეკლესიაში არსებულ იმდროინდელ ვითარებაზე.

ლენტი მროველი – ეპისკოპოსი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა.

„ქართლის მოქცევა“, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 72-138.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილში აღწერილია წმ. ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგება და ქართლში ქრისტიანობის გავრცელება.

ლენტი მროველი – ეპისკოპოსი. მოქცევაი მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 41-59.

წერილში მოთხრობილია წმიდა ნინოს მიერ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.

—ლი. რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბირო.

„კლდე“, ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი, 1912, №3, გვ. 13.

პუბლიკაციაში ანონიმი ავტორის მიერ გამოთქმულია იმედი, რომ რუსეთის საეკლესიო კრება საქართველოს ეკლესიისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებდა და სოხუმის ეპარქია დარჩებოდა საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში.

ლომინაძე ბაბილინა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში.

„საქართველო რუსთაველის ხანაში“, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, გვ. 66-92.

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკლესიის მხარდაჭერა იმ ძალებისადმი, რომელთაც უნდოდათ ქვეყნის გაერთიანება.

მათიაშვილი აკაკი. შვეისწავლოთ, შვეინახოთ და დავაფასოთ ჩვენი ისტორია.

„სამგორი“, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო, 1969, №150, გვ. 4.

სტატიაში გადმოცემულია მარტყოფის ღვთაების მონასტრისა და მაცხოვრის ეკლესიის ისტორია.

მამულია გურამ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა გრიგოლ ხანძთელის თვალსაზრისით. (რუსულ ენაზე).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1969, ტ. 56, №3, გვ. 753-756.

სტატიაში ავტორი ავითარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და ჰარმონიული ურთიერთობა (გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით).

მგალობლიშვილი სოფრომ. ქართული ეკლესია და სამღვდლოება.

„თეატრი და ცხოვრება“, სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალი, 1917, №8, გვ. 2-3.

წერილში განხილულია XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემული ბრძანებულებები, რომლებიც ეხება საეკლესიო მამულებსა და სამღვდლოებას.

მდგომარეობა მართლმადიდებლობისა საქართველოს საექსარხოლოში.

„ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1898, №225, გვ. 2-3.

პუბლიკაციაში განხილულია ჟურნალ „Църковныя Вѣдомости“-ში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ასახულია უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის 1894 და 1895 წლების ანგარიშები მართლმადიდებელი სარწმუნოების მდგომარეობაზე საქართველოს ეპარქიებში.

მელიტონ კელენჯერიძე – მღვდელი. ცხოვრება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა.
„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1912, №24, გვ. 3-4.
წერილში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მომენტი.

მელიტონ კელენჯერიძე – მღვდელი. მაქსიმე აბაშიძე – უკანასკნელი კათალიკოსი იმერეთისა (1776-1795 წწ.).
„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1913, №8, გვ. 1-4.
სტატიაში ავტორი ეკამათება თელო ჟორდანიას იმერეთის კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის შესახებ დაწერილ წერილში „ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები“ დაშვებული უზუსტობების გამო.

მირიანაშვილი ესტატე. რამდენიმე სიტყვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებრივ უფლებაუნარიანობის განვითარების ისტორიიდან.
„მებრძოლი ათეისტი“, საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ყოველთვიური ორგანო, 1939, №8, გვ. 30-37.
წერილში ათეისტური პოზიციიდან არის განხილული ის „განსაკუთრებული“ უფლებები და პრივილეგიები, რაც ჰქონდა საქართველოს ეკლესიას ქრისტიანობის გამოცხადებიდან XX ს-ის 20-იან წლებამდე.

მირიანაშვილი პეტრე. რუსეთი და საქართველო.
„განათლება“, სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი, 1913, №2, გვ. 131-143.
სტატიაში მოკლედ არის განხილული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, მათ შორის, საეკლესიო სფეროში.

მიტროპოლიტი იონა (გელევანიშვილი).
„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1898, №4, გვ. 6.
სტატიაში გადმოცემულია რუისის მიტროპოლიტ იონა გელევანიშვილის (1737-1821) ცხოვრება და მოღვაწეობა.

მიხაილ ხელაევი – მღვდელი.
ალავერდის სობორო. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1885, №3-4;
შუამთის მონასტერი. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1885, №6;
მცხეთის სობორო. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1885, №8-9;
წმიდის ნინას სობორო. „მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1885, №11.
წერილებში გადმოცემულია აღნიშნული ტაძრების მოკლე ისტორია, აღწერილობა, ინფორმაცია მათში დაცული სიწმინდეების შესახებ.

მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკლესიის იერარქიისა.

„საქართველოს კალენდარი“, 1890, გვ. 206-227.

კალენდარში შესული მასალა მოიცავს შემდეგ თავებს: „წმ. ნინო და მეფე მირიანი“; „კათალიკოსობა საქართველოში“; „ანტიოქიას ნაკურთხნი კათალიკოსნი ქართველთა ტომისანი (549-629)“; „საქართველოში ნაკურთხნი კათალიკოსნი (629-704)“; „კურთხევა მირონისა“; „განგება დარბაზობისა“; „ეპისკოპოსების რაოდენობა“; „კათალიკოსნი ცოლოსანი (704-839)“; „იერარქია საქართველოს ძლიერებისა და აღორძინების დროს (X-XII ს.)“; „მონგოლთა შემოსევიდამ საკათალიკოსოს დანაწილებამდე (1220-1390)“; „საკათალიკოსო სამწყსოს ორად დანაწილება (1390-1796)“.

მოხსენება პროფესორ ა. ა. ცაგარელისა. (ნათარგმნი სინოდის ორგანის „ЦѢРКОВНЫЯ ВѢДОМОСТИ“-დან 1906 წ.).

„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1911, №6, გვ. 5-8.

მოხსენებაში საუბარია XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის მეთაურების (პატრიარქების) ოფიციალურ მიმოწერაზე რუსეთში, ირანსა და ოსმალეთში, რაც იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი, ავტოკეფალური იყო.

ნესტორ ყუბანეიშვილი – მღვდელი. მამა დავით გარეჯელი.

„მწყემსი“, ქართული სასულიერო ჟურნალი, 1893, №11-12.

სტატიებში აღწერილია ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის – წმიდა დავით გარეჯელის მოღვაწეობა საქართველოში.

ნოზაძე გიორგი. ივერიელთა მონასტერი ათონზე.

„მაყვლოვანი“, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა, 2012, №2, გვ. 27-39.

ჟურნალში წარმოდგენილია XX საუკუნის ქართველი ემიგრანტის, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის გიორგი ნოზაძის „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი“, სადაც ავტორი მკითხველს აცნობს ათონის ქართული მონასტრის – „ივირონის“ ძველი და უახლესი ისტორიის საინტერესო დეტალებს.

პარმენ ყიფშიძე – მღვდელი. აღრჩევითი წესი სამღვდელოებაში და მისი ცუდი მხარეები.

„შინაური საქმეები“, ყოველკვირეული გაზეთი, ქუთაისი, 1908, №7, გვ. 6-10.

სტატიაში განხილულია ახალი კანონპროექტი, რომელიც სამღვდელოების არჩევის წესს ეხებოდა.

პატივისცემელნი არხიმანდრიტის მაკარისა.

„ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1887, №221, გვ. 2.

გაზეთში საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია არქიმანდრიტ მაკარის (მიხეილ მატათაშვილი) მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

Peradse Gregor. Uber das georgische Monchtum.

ამონაბეჭდი ჟურნალიდან, გვ. 152-169, Bonn, 1926.

სტატია ეხება ბერ-მონაზვნობისა და სამონასტრო ცხოვრების, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას.

Peradse Gregor. Die Anfänge des Monchtums in Georgien.

ამონაბეჭდი ჟურნალიდან, გვ. 34-75, Bonn, 1928.

რედ.: T. Grdzeldze, Martin George, Lukas Vischer; გამომცემლობა „Bennett bloom“, London, 2006, 271 გვ. ISBN 1 898948 69 0. 978-1-898948-69-8.

ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის ლუკას ფიშერის საერთო რედაქციით 2006 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა მე-19-20 საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია. კრებულში შესულია ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევები.

აბაშიძე ზაზა, ბახტაძე მიხეილ, ჯანელიძე ოთარ. საქართველო და ქართველები. (საკითხავი წიგნი).

რედ. ზ. აბაშიძე, კონსულტანტები: ნ. ხაზარაძე, კ. ფიცხელაური; შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2013, 675 გვ. ISBN 9 78-99 41-0-5498-3.

წიგნში მოთხრობილია ქართველთა პოლიტიკური თავგადასავალი უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე. ცალკე თავებად არის გამოყოფილი: „IV საუკუნე, წმ. ნინო“ (გვ. 64-69), „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება“ (გვ. 447-449), „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“ (გვ. 556-558).

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.

რედ.: ნ. ნაცვლიშვილი, ქ. ლოლობერიძე; შპს „სეზანი“, თბილისი, 2010, 387 გვ. ISBN 978-9941-0-3140-3.

წიგნი ეძღვნება აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) დაბადებიდან 50-ე წლისთავს. მასში წარმოჩენილია ალავერდელი მიტროპოლიტის ცხოვრების გზა, თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულზე წარმოთქმული ქადაგებანი.

აბესაძე გურამ, აბესაძე ნოდარ. მართლმადიდებლური ეკლესია და ქართული სახელმწიფოებრიობა.

რედ. ვ. დოლიძე, თბილისი, 2011, 27 გვ. ISBN 978-9941-432-37-8.

ნაშრომში წარმოჩენილია მართლმადიდებლობის ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში, თანამედროვე სახელმწიფოებრივ მოდერნიზაციაში ეკლესიისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უდიდესი ავტორიტეტი და წვლილი.

აბრამიშვილი გურამ. ატენის სიონი.

რედ. დ. ვაჩნაძე, ინგლისური რეზიუმეს ავტორი ნ. კანკია, „ნეკერი“, თბილისი, 2012, 218 გვ. ISBN 978-9941-436-49-9.

წიგნში ვრცლად არის გამოკვლეული ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრის – ატენის სიონის ისტორია.

აბრამიშვილი ვაჟა. საქართველოს ეკლესიის მამული.

რედ. ზ. წაქაძე, გორი, 2004, 32 გვ.

წიგნში განხილულია საქართველოს ეკლესიის ქონების, საეკლესიო მამულებისა და შესაწირავის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები.

ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. (თბილისი-თელავი-ალავერდი, 2006 წლის ნოემბერი).

რედ. ნ. ბურჭულაძე, სარედაქციო კოლეგია: აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), ი. გაგოშიძე, დ. თუმანიშვილი, ვ. კიკნაძე, თ. საყვარელიძე, ვ. სილოგავა, ლ. ხუსკივაძე; მთარგმნელები: ინგლისურ ენაზე – ი. კუცია, რუსულ ენაზე – ლ. მურადოვა; ალავერდის ეპარქია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მიზეუმი, თბილისი, 2007, 220 გვ. ISBN 978-99940-68-39-5.

კრებულში თავმოყრილია 2006 წლის ნოემბერში გამართული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, სხვადასხვა ავტორთა მოხსენებები, რომლებიც შეეხება ალავერდის ეპარქიის დაარსებას, მის ისტორიას, ხუროთმოძღვრებას, წარწერებსა და მასში დაცულ სიწმინდეებს.

ალასანია გიული, გოილაძე ვახტანგ. საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა.

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2000, 48 გვ.

წიგნში გადმოცემულია მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) წიგნის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ ავტორებისეული შეფასება.

ალასანია გიული, ბადრიძე შოთა, არველაძე ბონდო, გოილაძე ვახტანგ, დიასამიძე ბიჭიკო, ვარდოსანიძე სერგო, აბაშიძე ზაზა, გურული ვახტანგ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომების შესახებ.

რედ. გ. გვილაგა, თბილისი, 2005, 116 გვ.

კრებულში შესულია ქართველი მეცნიერების წერილები მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ნაშრომების შესახებ.

Аласания Гиули, Арвеладзе Бондо, Вардосанидзе Серго, Абашидзе Заза, Гурули Вахтанг. Ученые о трудах исследователя Грузинской Церкви Митрополита Анания Джапаридзе.

Тбилиси, 2005, 32 გვ. Составители: И. Горгидзе, Ш. Начкебия, Р. Чиковани.

წიგნი წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ნაშრომების შესახებ ქართველ მეცნიერთა წერილების რუსულ გამოცემას.

ალასანია გიული. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში.

„დიასპორა-კრელო“, თბილისი, 2006, 80 გვ. ISBN 99940-862-2-7.

ნაშრომში მოთხრობილია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მთელი პერიოდის – 20 საუკუნის – ისტორია. ტექსტი დაიწერა UNESCO-ს ეროვნული კომისიის დავალებით აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით და წარმოდგენილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ალექსიძე ალექსანდრე. ათონი ათასწლოვანი.

რედ. მ. ერისთავი, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, 67 გვ. 10000 ც.

წიგნი ეძღვნება საბერძნეთში, ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე, არსებული ქართული კულტურის უდიდესი ცენტრის – ათონის ივერთა ლავრის – 1000 წლისთავს. მასში აღწერილია ათონის ქართულ კულტურულ სიძველეთა შესწავლისა და მასთან მრავალი წლით გაწყვეტილი კონტაქტის განახლების უკანასკნელი წლების ცდები, ასევე წიგნის ავტორის ათონზე მოგზაურობა, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა ძველ ქართულ ხელნაწერთა უნიკალური კოლექციის დღევანდელი ვითარების დადგენა.

ალექსიძე ზაზა. ქრისტიანული კავკასია 1. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი.

მთ. რედ. დ. ჩიტუნაშვილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010, 434 გვ. ISBN 978-9941-0-2994-3.

კრებულში თავმოყრილია ავტორის შრომები, რომლებიც სხვადასხვა წლებში იყო გამოქვეყნებული ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებსა და სამეცნიერო კრებულებში. წარმოდგენილია გამოკვლევები: „უხტანესის ცნობების კრიტიკისათვის კირიონ ქართლის კათალიკოსის დაბადების ადგილის გამო“; „მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების

ისტორიისათვის“; „ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო“ და სხვა.

ალექსიძე ზაზა. ქრისტიანული კავკასია 2. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი.

მთ. რედ. დ. ჩიტუნაშვილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დაიბეჭდა „ფავორიტი პრინტი“ს, თბილისი, 2011, 400 გვ. ISBN 978-9941-0-2995-0.

კრებულში შესულია ავტორის შრომები: „აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია“; „ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით“; „ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულისაგან დასრულდა“; „«მოქცევაი ქართლისაის» კათალიკოსთა სია“; „«მოქცევაი ქართლისაის ქრონიკაში» დაცული ტრადიცია ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროის შესახებ“; „მცხეთის ჯვარი – მცველი ყოვლისა ქართლისა“.

ალიბეგაშვილი კონსტანტინე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

თბილისი, 2011, 26 გვ.

ნაშრომში მოცემულია მოკლე ინფორმაცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, ასევე ჩვენი ეკლესიის ადგილის შესახებ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის.

ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, წმიდა ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია.

შეადგინა საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა კ. ალიბეგაშვილმა., თბილისი, 2011, 24 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, წმიდა ამბროსი ხელაიას ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია.

ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის ბიბლიოგრაფია.

შედგენილია დეკანოზ მიქაელ ბუკიას ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფის კ. ალიბეგაშვილის მიერ, თბილისი, 2011, 40 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, წმიდა კირიონ II-ის სრული ბიბლიოგრაფია.

ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის ბიბლიოგრაფია.

შეადგინა საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა კ. ალიბეგაშვილმა, თბილისი, 2011, 16 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცადის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან.

რედ. ე. კავლელაშვილი, წინათქმა – სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 151 გვ. ISBN 978-9941-17-828-3.

ნაშრომში განხილულია ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ პოპულარული და საკამათო საკითხი: ოქონის ხატის წარმომავლობა და საქართველოში მისი არსებობის ისტორია, თუმცა ავტორი ეხება არა კონკრეტულად ერთი ხატისა და ტაძრის, არამედ ოქონის სახელის მატარებელი თითქმის ყველა ხატისა და ტაძრის ისტორიას.

ამირანაშვილი გულბად. წმინდა ნინოს ცხოვრების ისტორიული ქრონოლოგია და ადრექრისტიანული ქართლის ისტორიის ქრონოლოგიური საკითხები.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა ჯ. ამირანაშვილმა, რედ. თ. მესხი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2014, 211 გვ. ISBN 978-9941-0-6589-7.

წიგნი ეძღვნება ადრექრისტიანული ქართლის სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიურ საკითხებს. ნაშრომი არის ცდა, დაზუსტდეს ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ცხოვრებისა და მისიონერული მოღვაწეობის წლები, ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ზუსტი თარიღი, აღდგენილია ქართლის ქრისტიან მეფეთა რიგი მათი ზეობის წლების მითითებით.

ამირანაშვილი გულბად. წმინდა ნინოს ცხოვრების ისტორიული ქრონოლოგია და ქართლის გაქრისტიანების თარიღი.

რედ. თ. მესხი, „ლოგოსი“, თბილისი, 2015, 234 გვ. ISBN 978-9941-0-7454-7.

წიგნი წარმოადგენს ავტორის ნაშრომის მეორე, შევსებულ გამოცემას. მასში მოცემულია ადრექრისტიანული ქართლის ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღის სიზუსტე და, ხშირ შემთხვევაში, გადათარიღების აუცილებლობა.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი I.

ახალციხე-რაბათი, 1983-1988, 667 გვ.

წიგნი მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიას I-დან VI საუკუნემდე, განხილულია ქრისტიანული თემის პრობლემა მოციქულთა ხანაში, წინარექრისტიანული ქართული სარწმუნოების ღვთისმსახურების ენის საკითხი და სხვ.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე.

რედ. ქ. თავართქილაძე, „საქართველო“, თბილისი, 1994, 138 გვ. 5000 ც.

წიგნი ძირითადად ეყრდნობა ბიბლიას და წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის შესავალ ნაწილს. მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ქართული ანბანის წარმოშობისა და დამწერლობის, ასევე ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას საქართველოში.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. ქართული ეკლესია XVII საუკუნეში.

„საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1994, გვ. 139-376, რედ.: გ. კობლატაძე, გ. რუხაძე; შემდგენლები: ლ. ჯაფარიძე, ნ. ბოკუჩავა, მ. ახვლედიანი; „სამშობლო“, თბილისი, 1994, 466 გვ. 5000 ც.

კალენდარში შესულია XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამადლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

1995, 118 გვ.

წიგნი მთლიანად ეყრდნობა ახალ აღთქმას – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, მოციქულთა ეპისტოლეებს, წმიდა მამათა განმარტებებს, თანამედროვე მართლმადიდებელი თეოლოგების ნაშრომებს. იგი წარმოადგენს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ცხოვრების ისტორიას.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. დედა ეკლესია. ქადაგებანი, წერილები.

რედ. ნ. სუხიტაშვილი, „განათლება“, თბილისი, 1996, 319 გვ. ISBN 5-505-01-987-0.

წიგნში თავმოყრილია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრის, მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) ქადაგებანი, წერილები და გამოკვლევები, რომლებიც სხვადასხვა წლებში იყო გამოქვეყნებული. ქადაგებანი და პუბლიცისტური წერილები გვამცნობენ ისტორიულ ბედს იმ ქართველებისა, რომლებიც განშორდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და გაუცხოვდნენ მშობელი ერისაგან. ავტორი აგრეთვე წარმოაჩენს თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებს, განიხილავს ახალი თაობის აღზრდის საკითხებს.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი I.

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, თბილისი, 1996, 447 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია მოციქულთა დროიდან მე-7 საუკუნის ჩათვლით, განხილულია ყველა ძირითადი მოსაზრება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, წმინდა მეფე ლუარსაბ II, მეფე თეიმურაზის ბრძოლა ქართველობისათვის, ტყვეთა სყიდვა.

თბილისი, 1996, 76 გვ.

წიგნში აღწერილია XVII საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია.

რედ. თ. ჯაფარიძე, თბილისი, 1997, 65 გვ.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვრის – არსენ ბერის დამოკიდებულება ქართული ენის, ქართული ეთნოსის, ქართველ მეფეთა წარმომავლობისა და, ზოგადად, საქართველოს მიმართ, განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ შესავალში წარმოჩენილი დამოკიდებულებისაგან აღნიშნული საკითხებისადმი. ნაშრომში განხილულია ამგვარ განსხვავებათა მიზეზები.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საზოგადოება „ზეციხე“, თბილისი, 1997, 36 გვ.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია ქართველის ერის ჩამოყალიბების პროცესი.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. მესხეთი. (ქართველთა გამაჰმადიანება).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1998, 43 გვ.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილი საქართველოს მცხოვრებთა, კერძოდ, მესხების გამაჰმადიანება.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. საინგილო. (ქართველთა გალეკება).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1998, 40 გვ.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) მცხოვრებ ქართველთა ბედი, რომლებიც თანდათან გადაიქცნენ მაჰმადიან მორწმუნეებად.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი II.

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, თბილისი, 1998, 399 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია VII-XI საუკუნეებში.

Anania (Japaridze) – Archbishop. Lazeti-Trialeti. Georgians' Hellenization.

Eparchy of Georgian patriarchate of Manglis-Tcalka, 1999, 20 გვ.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე

დაყრდნობით გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში ლაზეთსა და თრიალეთში მცხოვრები ქართველების გაბერძნების პროცესი. ნარკვევი განკუთვნილია უცხოენოვანი მკითხველისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. ქართლ-კახეთი. (ქართველთა გასომხება).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, 48 გვ.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში ქართლ-კახეთში მცხოვრებ ქართველთა ბედი, რომლებიც თანდათან გადაიქცნენ სომხური ეკლესიის მრევლად.

ანანია ჯაფარიძე – მთავარეპისკოპოსი. ლაზეთი-თრიალეთი. (ქართველთა გაბერძნება).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, 36 გვ.

ნაშრომი არის სერიიდან „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში გადმოცემულია ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში (ლაზეთსა და მესხეთში) მცხოვრებ იმ ქართველ მართლმადიდებელთა ბედი, რომელნიც, ოსმალური კანონების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მრევლად გადაიქცნენ.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი III.

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, თბილისი, 1999, 415 გვ. ISBN 99928-16-44-9.

ნაშრომი წარმოგვიდგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდს XII-დან XVIII საუკუნემდე.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად.

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2001, 18 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია ქართველ მეფეთა ოჯახში საიდუმლოდ დაცული ცნობები ქვეყნად მხსნელის მოვლინების შესახებ. უფალი ღმერთი საუკუნეთა მანძილზე ამზადებდა ერებს მაცხოვრის მისაღებად. ამ ხალხთა შორის ბიბლიის უდიდეს წინასწარმეტყველთა მიერ ქართველთა წინაპრებიცაა მოხსენიებული. „ძველ აღთქმასა“, „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით დაწერილი ნაშრომი განკუთვნილია მორწმუნე და მკითხველი საზოგადოებისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. აფხაზეთი. (ქართველთა „გააფხაზება“).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2001, 89 გვ.

ნაშრომში უხვ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია აფხაზეთის ქართველთა ბედი XVI საუკუნიდან XXI საუკუნემდე.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი.
2002, 22 გვ.

V საუკუნის ქართველ თეოლოგსა და ფილოსოფოს პეტრე იბერის მართლმადიდებლობაში ეჭვი შეეპარათ XVIII საუკუნეში. ამის მიზეზი სხვადასხვა დასს შორის პოლიტიკური ურთიერთქმედება იყო, ვიდრე სარწმუნოებრივი საფუძველი. ავტორი ნაშრომში ეხება ამ და სხვა საინტერესო საკითხებს.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი).

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2002, 22 გვ.

ნაშრომში უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია IV-V საუკუნეებში ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბებისა და ქართველების გაქრისტიანებისთანავე დაწყებული „წმიდა წერილის“ ქართული თარგმანების მომზადების პროცესი.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. პოლემიკა კათოლიკებთან. (კათოლიკური პროზელიტიზმის შესახებ).

„ქართული წიგნი“, 2002, 48 გვ.

საქართველოში პოლემიკური მწერლობა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჩაისახა. შუა საუკუნეებში კათოლიკეთა მხრიდან სარწმუნოებრივი პროპაგანდის გაძლიერებამ გამოიწვია ლათინთა საწინააღმდეგო ლიტერატურის შექმნა. ამ მხრივ აღსანიშნავია მთავარეპისკოპოს ანანიას ქადაგებანი და წერილები, რომლებიც აღნიშნულ კრებულშია შეტანილი.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს.
2002, 64 გვ.

უკანასკნელ წლებში უცხოეთში სამუშაოდ, საცხოვრებლად და სასწავლებლად ბევრი ქართველი გავიდა. ბროშურაში საუბარია იმ დიდ როლზე, რაც აკისრია ქართულ სამრევლოებს უცხოეთში, რათა ქართველებმა შეინარჩუნონ რწმენა და სწორად წარმართონ თავიანთი ქრისტიანული ცხოვრება.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია.

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2002, 42 გვ.

წიგნი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ პირველ ნაშრომს. მასში აგრეთვე განხილულია ეკლესიის ისტორიის წყაროები და საეკლესიო ისტორიოგრაფია. ავტორი მსოფლიო და საქართველოს საეკლესიო კრებათა მონაცემებზე დაყრდნობით აშუქებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ არსებულ თეორიებს და აჯერებს მათ თანამედროვე ისტორიოგრაფიის მონაცემებთან.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას.
თბილისი, 2002, 20 გვ.

ნარკვევი ეხება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპის ძიების პროცესს, რომლის გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საქმეში. იგი წარმოადგენს ერთგვარ გაფრთხილებას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრების მოსურნეთა მცდელობას – საქართველოს რეგიონალიზაციას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. პირველი გამოცემა.

რედ. თ. ცისკარიშვილი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2003, 66 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით.

რედ. ლ. შარვაშიძე, თბილისი, 2003, 44 გვ.

მონოგრაფია არის ქართულ საისტორიო მეცნიერებაში პირველად გამოქვეყნებული გამოკვლევა ქართველი ეპისკოპოსების მონაწილეობის შესახებ წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრებებში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ.

თბილისი, 2003, 28 გვ.

ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისში რუსულ იმპერიულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებული „ქართიზაციის“ თეორია, რომელსაც ამჟამადაც წარმატებით იყენებენ სეპარატისტები საქართველოს კუთხეთა მისაკუთრების მიზნით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი I. საკანონმდებლო კრებები. XII-XX სს.

„მერანი“, თბილისი, 2003, 429 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს საეკლესიო კრებები, რომელნიც უაღრესად მნიშვნელოვანნი არიან საეკლესიო სამართლისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესასწავლად. კრებათა ანალიზს ერთვის მათ მიერ გამოცემული კანონიკური სამართლის ძეგლები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი II. მიმდინარე კრებები. IV-XVIII სს.

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, თბილისი, 2003, 302 გვ.

ნაშრომში განხილულია წერილობით ძეგლებში გამოვლენილი IV-XVIII საუკუნეებში შემდგარი 21 მიმდინარე საეკლესიო კრება და აგრეთვე მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი III. მიმდინარე კრებები. XIX-XX სს.

რედ. ლ. შარვაშიძე, შპს „მერანი-3“, თბილისი, 2003, 350 გვ.

ნაშრომში განხილულია მე-19-20 საუკუნეებში შემდგარი 50-ზე მეტი საეკლესიო კრება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო-სახალხო ყრილობას წარმოადგენდა. კრებათა ანალიზს თან ერთვის მათ მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი IV.

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, თბილისი, 2003, 357 გვ, ISBN 99928-948-1-4.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის XIX-XX საუკუნეების პერიოდი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. მეორე გამოცემა.

თბილისი, 2004, 92 გვ. ISBN 99940-14-39-0.

ნაშრომში მოთხრობილია იმ ღვაწლის შესახებ, რომელსაც ეწეოდა საქართველოს ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ქართველი ერის სულიერი გადარჩენისათვის. წიგნში პირველად არის გამოყენებული წმიდა ბიბლია, როგორც საქართველოს ეკლესიის საისტორიო წყარო.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი, ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია. VIII კლასის სახელმძღვანელო.

რედ. ლ. ასათიანი, შპს „პოლიგრაფი“, თბილისი, 2004, 154 გვ.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება.

სტუ-ს სტამბა, თბილისი, 2004, 32 გვ.

ნარკვევში წარმოდგენილია ავტორის მიერ თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოცემული „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ სრული ტექსტი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმ. ნინოს ცხოვრება.

სტუ-ს სტამბა, თბილისი, 2004, 42 გვ.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ტექსტი, ჩაწერილი IV საუკუნეში სალომე უჯარმელის მიერ, შესულია „ქართლის ცხოვრებაში“. ეს ტექსტი თითქმის უცვლელად არის გადმოღებული ავტორის მიერ თანამედროვე ქართულ ენაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი, ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ. ულოცველთა ჟამი. კოსმოპოლიტიზმი: ძველი და ახალი.

„არტანუჯი“, თბილისი, 2005, 43 გვ. ISBN 99940-11-10-3.

ნაშრომში ნაჩვენებია ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის დაპირისპირების ისტორია საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.

ანანია ჯაფარიძე – მიტროპოლიტი, ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია. IX-X კლასების სახელმძღვანელო.

რედ. რ. ბალანჩივაძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 72-ე და აღსაყდრების 28-ე წლისთავს, თბილისი, 2005, 244 გვ.

სახელმძღვანელოში შესულია საქართველოს ეკლესიის ისტორია XIX-XX საუკუნეებში, საქართველოს ეკლესიის მამამთავარნი 326-დან 1811 წლის ჩათვლით, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიები და მათი მეთაურები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი და სხვ.

ანანია ჯაფარიძე – მიტროპოლიტი, ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია. XI კლასის სახელმძღვანელო.

რედ. რ. ბალანჩივაძე, თბილისი, 2005, 159 გვ.

სახელმძღვანელოში მოცემულია საქართველოს ეკლესია-მონასტრების ზოგადი დახასიათება.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს დედაეკლესია.

სერიიდან „საკითხავნი ყმაწვილთათვის“, ტ. 12, შემდგენელ-რედაქტორი და გამომცემელი ა. ბრეგაძე, „ციცინათელა“, თბილისი, 2006, 320 გვ. ISBN 99940-801-8-0.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია I-დან XX საუკუნის ჩათვლით. განკუთვნილია ბავშვებისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. აფხაზეთი. (ქართველთა „გააფხაზება“). მეორე გამოცემა.

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, შპს „თობალისი“, 2007, 91 გვ. ISBN 978-99940-938-8-5.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია XVI-XIX საუკუნეებში აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ბედი, კერძოდ, მათი გააფხაზების პროცესი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა.

„ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2007, 31 გვ.

ნაშრომი აბათილებს ათეისტურ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ დაარსების შემდეგ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ბუნებისა იყო და მოიცავდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთის რეგიონს, ხოლო დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში, ასევე კახეთში, შემდეგში შეიჭრა და გააუქმა იქ არსებული სხვა საეკლესიო იურისდიქციები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. მესამე გამოცემა.

თბილისი, 2007, 66 გვ. ISBN 99940-14-39-0.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიის მესამე, შესწორებულ გამოცემას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. დედა ღვთისმშობელი - შემწე ქართული ენისა.

რედ. ა. ჩიქოვანი, შპს „მწიგნობარი“, თბილისი, 2008, 332 გვ. ISBN 978-9941-9019-1-1.

კრებულში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული წერილები, განხილულია ბერძენ-რომაელ ავტორთა ის ცნობები, რომლებიც თანხვდებიან ძველ ქართველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს. წიგნში ასევე შედის ე. წ. „ქართიზაციის თეორიისადმი“ მიძღვნილი სტატიები და მოხსენებები.

Анания (Джапаридзе) - Митрополит. Месхети. Мусульманизация Грузии.

„Универсал“, Тбилиси, 2008, 50 გვ. ISBN 978-9941-12-386-3.

ნაშრომი არის ნაწილი ავტორის მონოგრაფიების სერიისა „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მასში გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილი საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში მცხოვრებთა, კერძოდ, მესხების გამაჰმადიანება.

Anania (Caparidze) – Piskopos. Mesheti Gürcülerin islamistirmasi.

„Universal yayinevi“, Tiflis, 2008, 20 გვ.

ნაშრომი მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიისგან განშორებული, გამაჰმადიანებული ქართველების ისტორიული ბედის შესახებ. განკუთვნილია თურქულენოვანი მკითხველისთვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ეკლესია – საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დულაბი.

თბილისი, 2008, 11 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) სიტყვა საქართველოს საპატრიარქოსა და ადენაუერის ფონდის ერთობლივ კონფერენციაზე: „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია.
თბილისი, 2008, 18 გვ.

ნაშრომში მოთხრობილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის მღებარეობის, საზღვრების და შემადგენელი მხარეების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ლევან II დადიანი – ხელმწიფე ივერიისა.
თბილისი, 2008, 16 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და „ქართველობის“ დამცველის, ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. დიპტიხი და დიასპორა.

რედ. თ. რევაზიშვილი, თბილისი, 2009, 84 გვ.

ნაშრომში მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალის საფუძველზე განხილულია საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში. განხილულია ასევე დიასპორის მიმართ საერთაშორისო საეკლესიო კანონები და შესაბამისი საკითხები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. მეორე გამოცემა.

რედ.: კ. ჭაბაშვილი, თ. რევაზიშვილი; „ალილო“, თბილისი, 2009, 1299 გვ.

წიგნში მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია უძველესი ხანიდან XXI საუკუნემდე. მონოგრაფიას ერთვის საეკლესიო კრებათა დადგენილებების განხილვა.

ანანია ჯაფარიძე – მიტროპოლიტი, ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია. IX-X კლასების სახელმძღვანელო. მეორე, შესწორებული გამოცემა.

რედ. რ. ბალანჩივაძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 72-ე და აღსაყდრების 42-ე წლისთავს, შპს „პოლიგრაფი +“, თბილისი, 2009, 240 გვ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის მამამთავარნი 326-დან 1811 წლის ჩათვლით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ, ინფორმაცია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრების შესახებ და სხვ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ. საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა.

„ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010, 60 გვ.

ნაშრომში გაერთიანებულია ორი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა: ქართველი საისტორიო პატრიარქის – ივანე ჯავახიშვილის გამორჩეული ისტორიოგრაფიული დასკვნის შესახებ, რაც საქართველოს ეკლესიის ერთიანობის ხელშეუვალობის მნიშვნელობას ეხება, და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა ე. წ. „ქართიზაციის თეორიის შესახებ“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. მეორე, შესწორებული გამოცემა.

რედ. კ. ჭაბაშვილი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010, 791 გვ. ISBN 978-9941-14-879-8.

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია IV-XX საუკუნეთა საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი. განხილულ 15 საკანონმდებლო და 50-ზე მეტ მიმდინარე კრების ანალიზს ერთვის კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. (საინგილო, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, მესხეთი, თრიალეთი, შიდა ქართლი).

რედ. თ. რევაზიშვილი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010, 525 გვ. 500 ც. ISBN 978-9941-14-813-2.

მონოგრაფიაში გაერთიანებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოცემული ნაშრომები, რომლებიც ეხება საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს.) დაწყებულ ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პროცესს. ნაჩვენებია, რა როლს ასრულებდა მართლმადიდებელი ეკლესია ქართველების ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებაში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. შემოკლებული გამოცემა.

რედ. თ. რევაზიშვილი, თბილისი, 2010, 301 გვ.

ნაშრომში აღწერილია ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისგან ისტორიული გარემოებების გამო განშორებული ქართველებისა აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

Анания (Джапаридзе) – Митрополит. Краткая история Грузинской Апостольской Церкви.

რედ.: Иерей Константин Георгадзе, М. Мацаберидзе; Перевод с грузинского: В. Долидзе, Н. Хурцилава; Издательский дом „Технический университет“, Тбилиси, 2010, 100 გვ. ISBN 978-9941-14-832-3.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია რუსულ ენაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ. გამოკვლევა რუკებით.

რედ. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011, 114 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-020-5.

წიგნში მოცემულია პროკოფი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორის, თეოფილაქტე სიმოკატას, თეოფანე ჟამთააღმწერლის, ეპიფანე კონსტანტინოპოლელისა და იმპერატორ იუსტინიანეს თხზულებების ნაკვეთები ლაზიკის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში.

რედ. ი. გორგიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011, 863 გვ. 100 ც.

ისტორიულ არიან ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა გაქრისტიანების შემდეგ მრავალი საეპისკოპოსო დააარსეს, რომელიც XI ს-ის შემდეგ „ლაზიკის ეპარქიაში“ გაერთიანდა. წიგნში მრავალ წყაროზე დაყრდნობით მიმოხილულია ამ რეგიონის საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ყოფითი და გეოგრაფიული ვითარება პირველ ათასწლეულში.

Анания (Джапаридзе) – Митрополит. Краткая история Грузинской Апостольской Святой Церкви. 2-е издание.

რედ.: Иерей Константин Георгадзе, М. Мацаберидзе; Перевод с грузинского: В. Долидзе, Н. Хурцилава; Издательский дом „Технический университет“, Тбилиси, 2011, 113 გვ. 200 ც. ISBN 978-9941-14-970-2.

წიგნი წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიის მეორე, შევსებულ გამოცემას რუსულ ენაზე. მასში მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის როლის შესახებ ქართველი ერის სულიერი ხსნის საქმეში საუკუნეების განმავლობაში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სტრაბონი კოლხეთის შესახებ. გამოკვლევა რუკებით.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011, 51 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-001-4.

ნარკვევში განხილულია I საუკუნის ავტორის – სტრაბონის (ძვ.წ. 63 – ახ.წ. 23) ცნობები კოლხეთის შესახებ. ნაშრომი გამდიდრებულია რუკებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ. გამოკვლევა რუკებით.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011, 41 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-015-1.

ნაშრომში მოყვანილია გელასი კესარიელის, სოკრატეს, თეოდორეტოს კვირელის, სოზომენეს, ტირანიუს რუფინუსის, მოკსეს ხორენაცის და სხვათა ცნობები წმიდა ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. დართული აქვს შესაბამისი რუკები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011, 428 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-010-6.

წიგნში შეკრებილია ავტორის გამოკვლევები ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობების შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა წლებში.

Анания (Джапаридзе) – Митрополит. Краткая история Грузинской Апостольской Святой Церкви. 3-е издание.

რედ.: Иерей Константин Георгадзе, М. Мацаберидзе; Перевод с грузинского: В. Долидзе, Н. Хурцилава; „Меридიანი“, Тбилиси, 2012, 113 გვ. ISBN 978-9941-10-526-5.

წიგნი წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიის მესამე, შევსებულ გამოცემას რუსულ ენაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. აბაზგიის ეპარქია.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 25 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-112-7.

ნაშრომში განხილულია აბაზგიის ეპარქიის შესახებ არსებული სხვადასხვა ისტორიული წყაროები. აღნიშნული საკითხის გამოკვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დადგენისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. აფხაზეთის საკათალიკოსო.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 36 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-093-9.

ქართული საეკლესიო წყაროების მიხედვით, აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა არა ბერძნული (როგორც მოსაზრებაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იყო გაბატონებული), არამედ საქართველოს ეკლესიის წიაღში. ნაშრომი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს ამ თვალსაზრისს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 38 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-115-8.

ნაშრომში განხილულია აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ისტორია, რომელიც იყო არა დამოუკიდებელი საეკლესიო ერთეული, არამედ საქართველოს ეკლესიის წიაღში არსებული ერთ-ერთი თავისთავადი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ეგრისი. გამოკვლევა რუკებით.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 189 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-115-8.

ნაშრომი წარმოგვიდგენს ისტორიულ წყაროებს იმის ფაქტის თაობაზე, რომ ვრცელი რეგიონი ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე არის ისტორიული საქართველო, რომელსაც ერქვა სამხრეთ ეგრისი. აქ მცხოვრებმა ტომებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართული სახელმწიფოს წარმოშობას ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე. აღწერილია ეგრისელი სასულიერო პირების ცხოვრება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა რუკები.

თბილისი, 2012, 25 გვ.

წიგნი შედგება ნოტიციებისა და V საუკუნის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობათა (Notitia Dignatuum)-ის რუკებისგან.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეკლესიო სამართალი. კანონები.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 259 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-050-2.

წიგნში პირველად გამოქვეყნდა ერთად შეკრებილი საქართველოს ეკლესიის კანონები, სამართლებრივი დადგენილებები და ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი I.

„გუმბათი“, დაიბეჭდა „ფავორიტი პრინტში“, თბილისი, 2012, 370 გვ. ISBN 978-9941-4693-3. წიგნში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან VI საუკუნემდე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი II.

„გუმბათი“, დაიბეჭდა „ფავორიტი პრინტში“, თბილისი, 2012, 331 გვ. ISBN 978-9941-0-4887-6.

წიგნი მოიცავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის VI-XI საუკუნეებს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი III.

„გუმბათი“, დაიბეჭდა „ფავორიტი პრინტში“, თბილისი, 2012, 327 გვ. ISBN 978-9941-0-5003-9.

წიგნი ასახავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას XII-XVI საუკუნეებში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი IV.

„გუმბათი“, დაიბეჭდა „ფავორიტი პრინტი“ში“, თბილისი, 2012, 269 გვ. ISBN 978-9941-0-5004-6.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია XVII-დან XX საუკუნის ჩათვლით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს წმიდა მეფეები.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 290 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-053-3.

წიგნში გადმოცემულია ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხილი, ფარნავაზიან და ბაგრატიონ კეთილმსახურ ხელმწიფეთა ცხოვრება და ღვაწლი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები.

თბილისი, 2012, 28 გვ.

ნაშრომში შესულია დოკუმენტური მასალა საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სახელმწიფო ენის განვრცობა - მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი.

თბილისი, 2012, 24 გვ.

წიგნში შედის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ორი საკონფერენციო მოხსენება, რომელთაც აერთიანებთ იდეა, რომ ქვეყნის სტაბილურობას ხელს უწყობს სახელმწიფო ენისა და ეროვნული კულტურის განვრცობა მის ყველა რეგიონში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძიდრიტების შესახებ. გამოკვლევა რუკებით.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 39 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-114-1.

ნაშრომში განხილულია ანტიკური ეპოქის მწერლის ფლავიუს არიანეს ცნობები საქართველოს შავიზღვისპირეთის შესახებ. ნაშრომს ახლავს მისი ცნობების მიხედვით შედგენილი რუკები, რომლებიც სწორად არ ასახავენ ისტორიულ და გეოგრაფიულ რეალობას, თუმცა მაინც გასათვალისწინებელია საეკლესიო საკითხების კვლევის დროს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები. ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია.

რედ. ი. გორგიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013, 107 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-394-7.

ნაშრომი შეეხება საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ქრისტიანული დაღესტნის საეკლესიო ცხოვრებას შუა საუკუნეებში.

Anania Japaridze – Metropolitan. A short history of the Georgian Church.

რედ. M. Matsaberidze, თარგმანი: B. Matsaberidze, M. Matsaberidze; „Nova Science Publishers“, New York, 2013, 93 გვ. ISBN 978-62808-536-5.

ნაშრომი გადმოგვცემს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიას. განკუთვნილია უცხოენოვანი მკითხველისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ივ. ჯავახიშვილი და უწმინდესი პატრიარქი ილია II საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ.

რედ. ი. გორგიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013, 71 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-395-4.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ხშირად აღნიშნავს საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ. საქართველოს ეკლესიის მთლიანობის შესახებ გადმოცემული აქვს ივანე ჯავახიშვილსაც თავის შრომებში. სწორედ მათ შეხედულებებს განიხილავს ავტორი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ. სტრაბონი კოლხეთის შესახებ. ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძიდრიტების შესახებ. პროკოფი კესარიელი (VI ს.) ლაზიკის შესახებ. ტ. I.

„მერიდიანი“, თბილისი, 2013, 275 გვ. ISBN 978-9941-10-705-4.

კრებულში გაერთიანებულია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ოთხი ნაშრომი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უწმიდესი ილია II და წმ. სინოდი არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ.

რედ. ი. გორგიძე, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013, 17 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-212-4.

ნაშრომი გვაცნობს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის შეხედულებას საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების თაობაზე და წმიდა სინოდის დადგენილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქალდეა. საეპისკოპოსოები ლაზიკაში.

რედ. ი. გორგიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013, 869 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-324-4.

წიგნში მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით მიმოხილულია დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-ქალდეასა და საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ყოფითი და გეოგრაფიული ვითარება პირველ ათასწლეულში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით. I ნაწილი.

რედ. ი. გორგიძე, „გუმბათი“, თბილისი, 2014, 148 გვ. ISBN 978-9941-0-5648-2.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს საერო და საეკლესიო ასამდე ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა, რომლებიც ასახავს საქართველოს ისტორიას უძველესი ხანიდან X საუკუნის ჩათვლით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. არიან ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში.

რედ. ი. გორგიძე, „ზ. პაბ“, დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“, თბილისი, 2015, 566 გვ. ISBN 978-9941-0-7900-9.

ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ გამოკვლევას მრავალი ქართული და უცხოური წყაროს დამოწმებით, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ტაო-ბასიანი და, საერთოდ, „იბერიის თემის“ ტერიტორია, ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს წარმოადგენდა, აზონ-ფარნავაზის ეპოქაში არიან-ქართლი ერქვა და ის ძველი ივერია იყო.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში. (ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას).

რედ. ი. გორგიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, 616 გვ. 120 ც. ISBN 978-9941-20-501-9.

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ვრცელი გამოკვლევის საიუბილეო გამოცემას, მრავალი ქართული და უცხოური წყაროს დამოწმებით, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ტაო-ბასიანი და, საერთოდ, „იბერიის თემის“ ტერიტორია, ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს წარმოადგენდა, მას აზონ-ფარნავაზის ეპოქაში არიან-ქართლი ერქვა და ძველი ივერია იყო.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიკის შესახებ.

რედ. ი. გორგიძე, თბილისი, 2015, 93 გვ.

ნაშრომი ეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრების კვლევას, რომელიც ეკუთვნის პროფ. გურამ გრიგოლიას და ეთანხმება რუის-ურბნისის კრებისა და წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ.

რედ. ი. გორგიძე, თბილისი, 2015, 35 გვ.

ნაშრომი აბათილებს ათეისტურ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ დაარსების შემდეგ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ბუნებისა იყო და მოიცავდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთის რეგიონს, ხოლო დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში, ასევე კახეთში, შემდეგში შეიჭრა და გააუქმა იქ არსებული სხვა საეკლესიო იურისდიქციები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სამეგრელო არქანჯელო ლამბერტისა და კორნელი ბოროზდინის აღწერით.

რედ. ი. გორგიძე, თბილისი, 2015, 46 გვ.

არქანჯელო ლამბერტის აღწერით, სამეგრელო ლევან II დადიანის დროს, XVII საუკუნის 50-იან წლებში, აყვავებული ქვეყანა იყო, ხოლო ბოროზდინის დროს, XIX საუკუნის 50-იან წლებში, ჩრდილოკავკასიური ტომების შემოჭრათა შედეგად – ტერიტორიებაკარგული. ორივე უცხოელი შესანიშნავად აღწერს იმდროინდელ ვითარებას. ნაშრომში გაანალიზებულია მათი მონაცემები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კირიონ I – დიდი კათალიკოსი ყოველი ივერიისა (VI-VII სს.).

რედ. მ. თოღუზაშვილი, „ქართული უნივერსიტეტი“, საქართველოს საპატრიარქოს სტამბა შპს „მეგობრობა“, თბილისი, 2015, 262 გვ. ISBN 978-9941-9450-2-1.

წიგნში წარმოჩენილია კათალიკოს კირიონ I-ის ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე, რის შედეგადაც ქართველი ერის ნაწილი გადარჩა სომხებთან ასიმილაციას – არმენიზაციას. წიგნში შეტანილია ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებული მასალებიც.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს მეფეთა ისტორია ფარნავაზიდან სოლომონ II-ის ჩათვლით.

რედ. ი. გორგიძე, „გუმბათი“, თბილისი, 2015, 334 გვ. ISBN 978-9941-0-6603-0.

წიგნი წარმოგვიდგენს ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხილი, ფარნავაზიან და ბაგრატიონ კეთილმსახურ ხელმწიფეთა, ასევე სხვა წმიდა მთავარ-დიდებულთა ღვაწლს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმინდა ამბროსი ხელაია რეგიონალიზმის წინააღმდეგ.

თბილისი, 2015, 12 გვ.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ბრძოლა რეგიონალიზმის წინააღმდეგ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კირიონ I – დიდი კათალიკოსი ყოველი ივერიისა (IV-VII სს.).

რედ. მ. ასათიანი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016, 261 გვ. 120 ც. ISBN 978-9941-20-616-0.

წიგნი აღწერს კათოლიკოს კირიონ I-ის დამსახურებას ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე. მან არმენიზაციის გზაზე შემდგარ ქართველებს გუგარქში აღუდგინა ქართულენოვანი ლიტურგია და ასიმილაციისგან იხსნა ქართველი ერის ერთი ნაწილი. წიგნში ასევე გამოყენებულია ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებული მასალის ნაწილი სხვა ნაშრომებიდან.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ.

რედ. მ. ასათიანი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016, 35 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-623-8.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ათეიზმის გაბატონების შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი ისტორიოგრაფია, რომელიც ამტკიცებს, რომ დაარსების შემდგომ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ბუნების იყო, მოიცავდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთის რეგიონს, IX-X საუკუნეებში შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, გააუქმა იქ კონსტანტინოპოლის იურისდიქცია, კახეთში გააუქმა ალბანეთის იურისდიქცია, სამხრეთ საქართველოში – სომხური ეკლესიის იურისდიქცია. წიგნი ეძღვნება აღნიშნული საკითხის კვლევას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სამეგრელო არქანჯელო ლამბერტისა და კორნელი ბოროზდინის აღწერით.

რედ. მ. ასათიანი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016, 47 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-622-1.

წიგნი წარმოადგენს არქანჯელო ლამბერტისა და კორნელი ბოროზდინის მიერ სამეგრელოს აღწერების ანალიზს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიკის შესახებ.

რედ. მ. ასათიანი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016, 93 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-624-5.

ნაშრომი განიხილავს გურამ გრიგოლიას კვლევებს დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ, აქვე გამოყენებულია წმიდა სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები). მე-3 გამოცემა.

საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, რეცენზენტები: გ. ალასანია, ს. ვარდოსანიძე; „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2017, 903 გვ. ISBN 978-9941-16-515-3.

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია IV-XX საუკუნეების საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი. განხილულ 15 საკანონმდებლო და 50-ზე მეტ მიმდინარე კრების ანალიზს თან ერთვის კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები.

ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე.

რედ. დ. მუსხელიშვილი, შენიშვნები და კომენტარები მ. ფხაჭიაშვილის, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 158 გვ. ISBN 978-9941-12-870-7.

კრებულში შესულია „ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიციის“ სრული ანგარიში და მისი ხელმძღვანელის, განსვენებული პროფ. დევი ბერძენიშვილის ბოლო, გამოუქვეყნებელი დღიური, რომელშიც აისახა V ექსპედიციის შედეგები.

ანდრიაშვილი რაგომ. ქართული მართლმადიდებლობა ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

რედ. დ. თაქთაქიშვილი, თბილისი, 2013, 78 გვ. ISBN 978-9941-0-5636-9.

წიგნში ასახულია საქართველოს ეკლესიის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი, ქართველი სასულიერო პირების ღვაწლი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ტაძრებში ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში.

ანდლულაძე სოფიო. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

რედ. ქ. პავლიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „პრინტ-ექსპრესი“, თბილისი, 2006, 174 გვ.

წიგნში ასახულია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილის) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ანტონ პირველი ბაგრატიონი.

რედ. ნ. პაპუაშვილი, საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე: ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ორგანო; დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით; ეძღვნება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ანტონ I-ის გარდაცვალების 200 წლისთავს; საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1996, 246 გვ.

კრებულში შესულია ნ. მთვარელიშვილის, თ. ჟორდანიას, ა. ხახანაშვილის, კ. კეკელიძის, მ. გუგუშვილის, ლ. ძოწენიძისა და ფრ. სინარულიძის სტატიები ანტონ I კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

არველაძე ბონდო. „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!

რედ. ა. აბდალაძე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 1996, 108 გვ.

ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“, რომლის მიხედვითაც, საქართველოში 650-მდე სომხური ეკლესიაა.

Арвеладзе Бондо. «Армянские» или грузинские церкви в Грузии?!

რედ. А. Абдаладзе, Тбилиси, 1996, 104 გვ.

წიგნი წარმოადგენს ავტორის ნაშრომის „«სომხური» თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“ რუსულ ვერსიას.

არველაძე ბონდო. ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება.

რედ. მ. უკლება, „ცოდნა“, თბილისი, 2006, 55 გვ. ISBN 99940-37-92-7.

ნაშრომში მხილებულია ზოგიერთი სომეხი მეცნიერის მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და ქართული ეკლესია-მონასტრების მისაკუთრების მცდელობის ფაქტები.

არველაძე ბონდო. ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში.

რედ. ე. ჯაველიძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 223 გვ. ISBN 978-9941-25-198-6.

წიგნი არის სომხური ეპარქიის წინამძღოლის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის განცხადების პასუხი, რომლითაც მან მოითხოვა 442 ქართული ეკლესიის სომხური ეკლესიისათვის გადაცემა.

ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული მიძღვნილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხსოვნისადმი.

რედ. გ. ოთხმეზური, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, 262 გვ. ISBN 99928-33-45-0.

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ისტორიკოსების სტატიები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

ახალგაზრდების ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის. კრებული.

რედ.: მ. დავითაშვილი, მ. ქირია, ქ. გოგავა; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბილისი, 2014, 83 გვ. ISBN 978-9941-0-6964-2.

კრებულში წარმოდგენილია ავტორთა სტატიები, რომელთა ნაწილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს.

ახალი შუამთა და რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი.

თბილისი, 2013, 14 გვ.

ბროშურაში მოცემულია მოკლე ინფორმაცია რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის, მისი ამშენებლებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი.

რედ. ქ. ლოლობერიძე, იბეჭდება ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ლოცვა-კურთხევით, 2002, 16 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის ისტორია.

ახალმოწამენი. ნაწილი I.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 45, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. კ. კენკიშვილი, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 221 გვ. ISBN 978-9941-21-603-9.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი სასულიერო პირების ცხოვრება და მოწამებრივი ღვაწლი.

ახალმოწამენი. ნაწილი II.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 46, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. კ. კენკიშვილი, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 227 გვ. ISBN 978-9941-21-618-3.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი სასულიერო პირების ცხოვრება და მოწამებრივი ღვაწლი.

ახალმოწამენი. მღვდელი სიმონ მჭედლიძე.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა დამანა მელიქიშვილმა, რედ. დ. მელიქიშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „გულანი“, თბილისი, 1995, 103 გვ. 5000 ც.

მღვდელი სიმონ მჭედლიძე იყო მის მიერ დაარსებული სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაზეთის „შინაური საქმეები“, შემდეგ – გაზეთის „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა“ რედაქტორი. წიგნში თავმოყრილია მისი პუბლიკაციები, რომლებშიც ასახულია საქართველოს ეკლესიის პრობლემები XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე.

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია.

იღვის ავტორი: ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (გეწაძე); პროექტის კოორდინატორი ს. ასათიანი; რედ.: ვ. ასათიანი, მ. ბერიძე, გ. მარსაგიშვილი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (გეწაძე), ქ. აბესაძე; ინგლისური თარგმანი: ლ. გაბეჩავა; წიგნი დაიბეჭდა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) ლოცვა-კურთხევით, დაიბეჭდა ლატვიაში, ზარზმის მონასტრის აღორძინების ფონდი „ზარზმის სავანე“, თბილისი, 2013, 915 გვ. ISBN 978-9941-0-6774-7.

წიგნი გადმოგვცემს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის ისტორიას, გვაწვდის ინფორმაციას ეპარქიის ტაძრების შესახებ. ნაშრომი გამდიდრებულია მრავალრიცხოვანი ფოტომასალით.

ახუაშვილი იაკობ (მუნათელი). დიდი სათავადო საყაფლანო.

რედ.: ა. გელოვანი, დ. ცინცაძე; „მესხეთი“, თბილისი, 2009, 292 გვ. ISBN 978-9941-0-2113-8.

წიგნში მოცემულია ინფორმაცია ფიჭარეთისა და წულრულაშენის მამათა მონასტრების შესახებ.

ბაგრატის ტაძარი – 1000.

მთ. რედ. ზ. ჯიბლაძე, პროექტის ავტორი და კოორდინატორი: თ. თოფურიძე, ეძღვნება ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის 1000 წლის იუბილეს, იბეჭდება მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მეუფე კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით; საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკა, იმერეთის რეგიონული ბიურო, ჟურნალ „განთიადის“ კომპიუტერული ცენტრი, ქუთაისი, 2001 წ. 21-27 სექტემბერი, 30 გვ.

ბროშურაში მოცემულია ბაგრატის ტაძრის მოკლე ისტორია და 2001 წლის სექტემბერში გამართული ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებების პროგრამა, ასევე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების შთაბეჭდილებები ტაძრის შესახებ.

ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორიის სახელმძღვანელო. V-VI კლასი.

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, შპს „პოლიგრაფ-სერვისი“, თბილისი, 2001, 176 გვ.

სახელმძღვანელოში გადმოცემულია ქრისტიანობის დაარსებისა და მისი გავრცელების მოკლე ისტორია, წარმოდგენილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი და ცნობები ზოგიერთი ტაძრის შესახებ.

ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორიის სახელმძღვანელო. V-VI კლასი.

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, მეორე გამოცემა, შპს „პოლიგრაფ“, თბილისი, 2002, 176 გვ.

სახელმძღვანელოში გადმოცემულია ქრისტიანობის დაარსებისა და მისი გავრცელების მოკლე ისტორია, წარმოდგენილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი და ცნობები ზოგიერთი ტაძრის შესახებ.

ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია. VII კლასის სახელმძღვანელო.

რედ. ვ. ასათიანი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია, იბეჭდება მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, შპს „პოლიგრაფ-სერვისი“, თბილისი, 2002, 128 გვ.

სახელმძღვანელოში შესულია საკითხები: საქართველოს მეფეები ფარნავაზიდან წმ. მეფე ვახტანგ გორგასლამდე, საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება და მიქაელ ეპისკოპოსი, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორია.

ბაქრაძე აკაკი. თხზულებანი. ტომი VIII.

რ. ჩხეიძის საერთო რედაქციით, ტომის რედ. ლ. ბაქრაძე, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი, 2006, 724 გვ. ISBN 99940-890-7-2.

კრებულში შესულია წერილი „ქართული ეკლესიის ისტორიის ერთი ფურცელი“, რომელიც ეხება ათონის ქართულ მონასტერთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბახტაძე ნოდარ, თევდორაშვილი ნათელა, ბაგრატიონი გიორგი. ნეკრესი. ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის.

რედ. ნ. ბახტაძე, საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქია, ყვარლის რაიონის არქეოლოგიური ფონდი, დაიბეჭდა ნეკრესელ მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი)ლოცვა-კურთხევით, ნეკრესი, 2010, 108 გვ. ISBN 978-9941-0-2499-3.

ცნობარი ეძღვნება ნეკრესის სამონასტრო ანსამბლს.

ბელიაშვილი თინათინ. საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერო პირები. (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი).

რედ. ს. ვარდოსანიძე, „ობიზა“, 2003, 40 გვ.

წიგნი ეძღვნება იმ ადამიანებს, რომლებიც ნინოწმინდის ეპარქიის საგარეჯოს რაიონის ეკლესია-მონასტრებში ემსახურებოდნენ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას.

ბენდელიანი მედეა. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სარწმუნოებრივი პოლიტიკა. (XX საუკუნის 30-40-იან წწ.).

რედ. ქ. პავლიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი, 1999, 40 გვ. 500 ც.

ნაშრომში გადმოცემულია XX საუკუნის 30-40-ან წლებში, „გამარჯვებული სოციალიზმის“ სტადიაში შესული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დამოკიდებულება და პოლიტიკა ეკლესიისა და სარწმუნოების მიმართ.

ბენდელიანი მედეა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში.

რედ. ქ. პავლიაშვილი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთაისის სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2002, 176 გვ.

ნაშრომში განხილულია საბჭოთა წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული საეკლესიო ცხოვრება XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გაშუქებულია „მებრძოლ

ულმერთოთა კავშირის“ ადგილი და დანიშნულება საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკაში, ქართველი სამღვდელთა აქტიური მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიისა და მისი კრებულის გადასარჩენად.

ბენიძე ვალერიან. ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

რედ. ვ. კუხალაშვილი, წიგნი გამოდის ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის, მეუფე სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, გამოცემის ხელმძღვანელი ი. ხაინდრავა, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 153 გვ. ISBN 978-9941-12-485-3.

წიგნში აღწერილია ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის ისტორია და ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირთა საქმიანობა.

ბეჟანიშვილი ნუნუ. ნეკრესი და ნეკრესელები.

რედ. თ. შავლაძე, „გულანი“, თბილისი, 1993, 35 გვ. 2000 ც.

ნაშრომში განხილულია ქართული ისტორიული წყაროები ნეკრესის, როგორც ქალაქის, ასევე ინფორმაცია სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობისა და ნეკრესში მოღვაწე ქართველი მღვდელმთავრების შესახებ.

ბერიძე-პავლაძე ღონარი, პავლაძე გოჩა. ბორი.

რედ. დ. ყურუა, საგამომცემლო ცენტრი, შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა, ქუთაისი, 2014, 271 გვ. 200 ც. ISBN 978-9941-9389-5-5.

წიგნში ხარაგაულის სოფელ ბორის ისტორიასა და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი მომენტების გარდა შესულია ბორის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორია და ცნობები ეკლესიის უკანასკნელი მოძღვრის ბასილ გორგაძის შესახებ.

ბეჭირიშვილი იოსებ. ქრისტიანობა აჭარაში.

ბათუმი, აჭარა, 1990, 97 გვ. 3000 ც.

წიგნში თავმოყრილია აჭარაში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და ტოპონიმიკური მასალები.

ბეჭირიშვილი იოსებ. ქრისტიანობა აჭარაში. მეორე, შესწორებული გამოცემა.

რედ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1991, 122 გვ. 20000 ც. ISBN 5-89512-080-6.

წიგნში თავმოყრილია აჭარაში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და ტოპონიმიკური მასალები. მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დრომდე ნაკლებად იყო ცნობილი.

ბოდბის მონასტერი.

ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერი, 2011, 64 გვ. ISBN 978-9941-0-2621-8.

წიგნში შესულია ბოდბის მონასტრის შესახებ არსებული ცნობები და მდიდარი ფოტომასალა.

ბოლნისის ეპარქია.

რედ. თ. თაქთაქიშვილი, მთარგმნელი ლ. გოგუაძე, შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2014, 120 გვ.

წიგნი-ალბომი გვაწვდის ინფორმაციას ბოლნისის ეპარქიის ისტორიისა და ტაძრების შესახებ.

ბოჭორიძე გიორგი. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები.

გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრი, დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011, 562 გვ. ISBN 978-9941-0-4419-9.

წიგნში აღწერილია ქართლის რეგიონში არსებული ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები.

ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II. (ცხოვრება და მოღვაწეობა).

რედ. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2002, 199 გვ. ISBN 99928-0-406-8.

მონოგრაფიაში შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის (1762-1827 წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოკვლევა ძირითადად ემყარება რუსეთსა და საქართველოს სიძველეთა საცავებში აღმოჩენილ ახალ საარქივო მასალებს.

ბუბულაშვილი ელდარ. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები.

რედ. ა. ბენდიანიშვილი, ქრისტიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „მემატიანე“, თბილისი, 2003, 116 გვ. ISBN 99928-0-438-6.

ნაშრომში ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ საარქივო მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია წმ. ილია მართლის ნააზრევი საქართველოს ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებით.

Bubulashvili Eldar, Abashidze Zaza, Abashidze Nino, Saitidze Gocha, Vardosanidze Sergio. Witness through troubled times. A history of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present.

რედ.: T. Grdzelidze, Martin George, Lukas Vischer; „Bennett bloom“, London, 2006, 271 გვ. ISBN 1 898948 69 0 · 978-1-898948-69-8.

ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის ლუკას ფიშერის საერთო რედაქციით 2006 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა მე-19-მე-20 საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია. კრებულში შესულია ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევები.

ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

რედ. მ. ქურდიანი, მოთავსებულია კაბრაში 3 დანარჩენ წიგნთან ერთად სათაურით „უფალი მეფობს“, „საქართველო“, თბილისი, 2008, 36 გვ. ISBN 978-9941-0-0766-8.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია I საუკუნიდან დღემდე.

Bubulashvili Eldar. The Georgian Apostolic Church.

რედ. Suzan Barriot, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ინგლისურად თარგმნა ნ. ჯალაბაძემ, International Center for Christian Studies at the Orthodox Church of Georgia, Tbilisi, Georgia, 2008, 31 გვ. ISBN 978-9941-0-0769-9.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია ინგლისურ ენაზე.

ბულეიშვილი მარინე. ქართული ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში. (XVIII ს. მეორე ნახევარი).

რედ. შ. ლომსაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მეცნიერება“, თბილისი, 1991, 106 გვ. ISBN 5-520-000772-1.

გამოქვეყნებული დოკუმენტების, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მასალების საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია ისტორია ორი ელჩობისა, რომლებიც გაემგზავრნენ საქართველოდან რუსეთში XVIII ს-ის მეორე ნახევარში (1752-54 და 1772-74 წწ.). „სათხოვარი პუნქტები“, რომლებითაც საქართველოს ეკლესიის მსახურები წარდგნენ საიმპერატორო ხელისუფლების წინაშე, საფუძვლად დაედო რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს.

ბურდიაშვილი მაია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში.

რედ. დ. ჭუმბურიძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 315 გვ. ISBN 978-9941-17-667-8.

ნაშრომი ასახავს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს – 1921-24 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მის ცალკეულ პერიპეტიებს, საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ მდგომარეობას და მის წვლილს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ბურდული გვანცა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი. (1906 წელი).

რედ. ვ. გურული, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 143 გვ. ISBN 978-9941-17-116-1.

ნაშრომი ეძღვნება ქართველი მეცნიერების – ნიკო მარისა და ალექსანდრე ცაგარელის მოღვაწეობას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების დასაბუთების მიზნით რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე 1906 წელს.

ბურდული გვანცა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი (1906).

რედ. ვ. გურული, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 68 გვ. ISBN 978-9941-12-942-1.

ნაშრომში ავტორი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის არქივში დაცული მასალების საფუძველზე წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ ღვაწლს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ბურდული გვანცა. ეპისკოპოს კირიონის მოხსენებები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906წ.).

რედ. ვ. გურული, „უნივერსალი“, თბილისი, 2011, 67 გვ. ISBN 978-9941-17-325-7.

კრებულში დაბეჭდილია ეპისკოპოს კირიონის (საბაგლიშვილი) მიერ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე 1906 წელს წარდგენილი ოთხი მოხსენება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებასთან დაკავშირებით.

ბურდული გვანცა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე.

რედ. ვ. გურული, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 425 გვ. ISBN 978-9941-17-612-8.

ნაშრომში მეტწილად დღემდე უცნობ დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით გაშუქებულია ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა მოღვაწეობა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში (1906 წ.) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებისა და ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებასთან დაკავშირებით.

გაბისონია პაპუნა. სამეგრელოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან, წალენჯიხის რაიონი.

თბილისი, 2009, 42 გვ.

ნაშრომში შესწავლილია წალენჯიხის მონასტრის და საეპისკოპოსოს ისტორია. განხილულია შუა საუკუნეების სკურის მონასტრის ისტორია და სხვა ისტორიული ძეგლები.

გაბრიელე ბრაგანტინი – მღვდელი, პაპუაშვილი ნუგზარ. სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე.

რედ. ზ. კიკნაძე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, 54 გვ. ISBN 999 40-65-03-3.

წიგნში განხილულია სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის ეკლესიის საკუთრებისა და მფლობელობის გარშემო წამოჭრილი პრობლემები, აგრეთვე ზოგიერთი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-საზოგადოებრივ-მცოდნეობითი საკითხი, რაც ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის აქტუალურია და მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

გაგოშიძე გიორგი. ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესია. (ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან).

რედ. დ. თუმანიშვილი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, შპს „ტრიადა“, თბილისი, 2003, 114 გვ. ISBN 99928-829-2-1.

წიგნში ქვემო ქართლის ერთ-ერთი ძეგლის – ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესიის – ისტორიის მაგალითზე განხილულია შუა საუკუნეების ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის საკითხები.

გაგოშიძე გიორგი, ჩიხლაძე ნინო. დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი.

სამეცნ. რედ. დ. თუმანიშვილი, რედ. ნ. ნადარაია, შპს „სი-ჯი-ეს“, თბილისი, 2006, 259 გვ. ISBN 99928-829-6-4.

წიგნი არის შუა საუკუნეების ქართული კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლის ილუსტრირებული მონოგრაფია, რომელშიც გადმოცემულია ცნობები დირბის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის ისტორიის, ხუროთმოძღვრების, წარწერების, რელიეფისა და მხატვრობის შესახებ.

გაგოშიძე იულონ, მინდორაშვილი დავით, გაგოშიძე გიორგი. ღალია, ქართველთა მონასტერი კვიპროსზე.

სამეცნ. რედ. დ. თუმანიშვილი, რედ. ქ. ქურდოვანიძე, მთარგმნელი ნ. გაბუნია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, შპს „სეზანი“, თბილისი, 2014, 204 გვ. ISBN 978-9941-0-7314-4.

წიგნში გადმოცემულია ცნობები კვიპროსზე არსებული ღირსშესანიშნავი ძეგლის – ღალიის ისტორიის, არქეოლოგიური გათხრების, ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის შესახებ.

გამახარია ჯემალ. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. (I ს. – 1921 წ.).

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), „ლიკა“, თბილისი, 2005, 1099 გვ.

წიგნში შესული მასალები ეხება საკითხებს: აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება, ქრისტიანობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ბრძოლა, აფხაზეთის საკითხი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, იმპერიული საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაზე მისი იურისდიქციის გავრცელება.

გამახარია ჯემალ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია).

რედ. ნ. კვარაცხელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თბილისი, 2011, 32 გვ. ISBN 978-9941-0-3929-4.

ბროშურაში წარმოდგენილია ავტორის მიერ გაკეთებული მოხსენება წმიდა აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

გამახარია ჯემალ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია).

რედ.: ლ. ახალაძე, ე. ბუბულაშვილი; თბილისი, 2012, 551 გვ. ISBN 978-9941-0-4415-1.

მონოგრაფიაში ვრცლად არის გაშუქებული წმ. აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში – ილორ-ოჩამჩირეში გატარებული ბავშვობიდან დაწყებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლობის უმძიმესი წლებით დამთავრებული. მასში შეტანილია აგრეთვე წმინდანის ცალკეული შრომები და გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალა.

გასვიანი გერონტი. აფხაზეთი ისტორიული საქართველოა.

რედ. ზ. რატიანი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შპს „პოლიგრაფი თბილისი“, თბილისი, 2011, 415 გვ.

წიგნში განხილულია აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ისტორია, მათი კუთვნილების საკითხი, შემოქმედება და არსი.

გაფრინდაშვილი ბესიკ. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ზონი, ნიკორწმინდა). 1529-1820.

რედ.: რ. მეტრეველი, ნ. სადღობელაშვილი; თბილისი, 2015, 272 გვ. ISBN 978-9941-0-7880-4.

წიგნში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიისა და მასში შემავალი საეპისკოპოსოების ისტორიას დასაბამიდან XVI საუკუნემდე, ახალი საეპისკოპოსოების დაარსების პროცესს XVI საუკუნეში, მათ საზღვრებსა და მდგომარეობას, იქ მოღვაწე ეპისკოპოსების საქმიანობას.

გეგეშიძე დავით. მოდერნიზმი თანამედროვე ქართული ეკლესიის საქმიანობაში.

რედ. ო. გაბიძაშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი, 1983, 32 გვ. 36 500 ც.

ნაშრომში საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მომენტი განხილულია ათეისტური პოზიციიდან.

გეგეშიძე დავით. საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის კრიტიკა.

რედ. ქ. მარგანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, 132 გვ.

ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის უსაფუძვლობა, გამოაშკარავებულია მისი პოლიტიკური ხასიათი და ნამდვილი მიზნები.

გეგეშიძე დავით. საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა.

რედ. გ. ვეკუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მეცნიერება“, თბილისი, 1986, 103 გვ. 2000 ც.

ნაშრომში ახსნილია საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის არსი და ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში საქართველოს ეკლესიის როლის ჰიპერბოლიზაციის მოტივები; დასაბუთებულია მათი მიუღებლობა, დამტკიცებულია საქართველოში მართლმადიდებლობის საპირისპირო რელიგიების არარსებობის საღვთისმეტყველო ინტერპრეტაციათა უნიადაგობა და ქართულ მართლმადიდებლობაში ქრისტიანობის პრინციპების წმინდად დაცვის პრეტენზიების უსაფუძვლობა.

გეგეჭკორი გურამ. მოწამეთა.

რედ. გ. თავბერიძე, „სარანგი“, ქუთაისი, 1991, 28 გვ. 20000 ც.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული ქუთაისიდან 6 კმ-ის დაშორებით, სოფელ მოწამეთაში მდებარე მონასტრის ისტორია.

გელასი აროშვილი – მღვდელი, ზურაბ აროშვილი – მღვდელი. საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997-2001 წლებში.

მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, თბილისი, 2001, 48 გვ.

ნაშრომში აღწერილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობიდან XX საუკუნის 90-იან წლებში.

გეწაძე თეიმურაზ. ანჩისხატი. ტაო-კლარჯეთიდან გაბრწყინებული საქართველო.

რედ. დეკანოზი ზაქარია (მინძიბაძე), იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 304 გვ.

წიგნში თავმოყრილია მასალები ანჩისხატის ხელთუქმნელი ხატისა და ანჩის ხატის სახელზე აგებული ტაძრების შესახებ.

გველესიანი გიორგი. საქართველოს ეკლესია-მონასტრები.

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2013, 126 გვ. ISBN 978-9941-448-31-7.

წიგნში თავმოყრილია ინტერნეტსაიტებსა და ლიტერატურულ წყაროებში არსებული მასალები საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

გვენტაძე ედიშერ, სიჭინავა ანზორ. სულორის ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია.

რედ. მ. საღლიანი, დაიბეჭდა ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ანტონის (ბულუხია) ლოცვა-კურთხევით, „ცოტნე“, თბილისი, 2007, 96 გვ. ISBN 56595959.

წიგნში მოცემულია ქვემო იმერეთში, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ სულორის ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ისტორია.

გვენტაძე ედიშერ. დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორიიდან. წმიდა ნაზარი (ლეჟავა).

რედ.: ლ. ოსიძე, ჯ. ნადირაძე; საქველმოქმედო ფონდი „ივერიელთა ეკლესიის მატთანე“, თბილისი, 2015, 150 გვ. ISBN 978-9941-0-7974-0.

წიგნში აღწერილია სოფელ დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორია და წმიდა ნაზარის (ლეჟავა) ცხოვრება და მოღვაწეობა.

გვენტაძე ედიშერ, გაგუა გულივერ. ოფეთის, წიაღუბნის, ნოდის, ბარსაჯავახოს, დაფნარის, ქორეთისუბნის (ვაზისუბანი), ქვაყუდის (გორმაღალი), ტოლების, ჭოკნარის (ჭოგნარი), ნიგორზღვის ეკლესიების ისტორიიდან.

რედ.: ვ შუბითიძე, ჯ. ნადირაძე; იბეჭდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ საბას (გივიბერია) ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ფონდი „ივერიელთა ეკლესიის მატთანე“, თბილისი, 2016, 142 გვ, ISBN 978-9941-0-8579-6.

წიგნში საარქივო და სხვა მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ხონი-სამტრედიის ეპარქიაში მდებარე სოფლების ეკლესიების ისტორია.

გიორგი გუგუშვილი – დეკანოზი. ლურჯი მონასტერი.

რედ. დეკანოზი დავით შარაშენიძე, თბილისი, 2011, 16 გვ.

ბროშურაში შესულია მოკლე ინფორმაცია და ფოტოები ლურჯი მონასტრის შესახებ.

გოგიაშვილი ომარ. ილია დღეს. წიგნი III. ილია მართალი (ჭავჭავაძე); გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), წმინდა მღვდელმთავარი; ილია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი.

რედ. რ. მეტრეველი, იბეჭდება მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტ ზოსიმეს (შიოშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2014, 635 გვ. ISBN 978-9941-0-7205-5.

მონოგრაფია წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის სისტემური გაანალიზების და გადმოცემის ცდას, რომელიც ყოველთვის იყო პოლიტიკური კონიუნქტურისა და მანიპულირების საგანი. მასში თავმოყრილი და გაანალიზებულია ილიას

ნააზრევი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთ მომენტს.

გოგუაძე ენვერ. ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერი.

სერიიდან „გურიის სიძველენი“, №1, ოზურგეთი, 1996, 20 გვ.

ბროშურაში მოცემულია მოკლე ინფორმაცია გურიის ჯუმათის მთავარანგელოზის სახელობის მონასტრისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

გოილაძე ვახტანგ. ქართული ეკლესიის სათავეებთან.

რედ. ი. ზაალიშვილი, „საქართველო“, თბილისი, 1991, 204 გვ. ISBN 5-529-00958-1.

ნაშრომი ეძღვნება ქართლში (ასევე ეგრისსა და სომხეთში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასა და ავტოკეფალიის მოპოვებას. გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება პონტო-კაპადოკიის ძველი მოსახლეობის ქართული წარმომავლობის შესახებ.

გოილაძე ვახტანგ. გზა ხსნიას, ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

რედ. შ. ბაღრიძე, სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბილისი, 1995, 15 გვ. 6000 ც.

ავტორი განიხილავს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის წევრის, მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) მონოგრაფიას „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

გოილაძე ვახტანგ. საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა.

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2000, 48 გვ.

წიგნში მოცემულია მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) წიგნის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ ავტორისეული შეფასება.

გოილაძე ვახტანგ. მირონის კურთხევის დაწესება საქართველოში.

რედ.: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), თამაზ ბერაძე; ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 27 გვ. ISBN 978-9941-12-160-9.

ბროშურაში აღწერილია ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშნის – წმიდა მირონის კურთხევის ისტორია საქართველოში.

გოილაძე ვახტანგ. ათასწლოვანი სვეტიცხოველი.

„უნივერსალი“, თბილისი, 2011, 217 გვ.

მონოგრაფიაში შესულია მასალები სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისა და ისტორიის შესახებ.

გოილაძე ვახტანგ. ათანასე ათონელი.

რედ. თ. მესხი, იბეჭდება ბერისაყდრის ათანასე ათონელის მამათა მონასტრის დამფუძნებლისა და წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას ლოცვა-კურთხევით, „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 24 გვ. ISBN 978-9941-22-304-4.

ნაშრომი მოგვითხრობს უდიდესი სასულიერო პირის – ათანასე ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ათონის მთის მონასტრებისა და იქ მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების შესახებ.

გოილაძე ვახტანგ. ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

რედ. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დაიბეჭდა შპს „მეგობრობა“-ში, თბილისი, 2015, 138 გვ. ISBN 978-9941-9382-7-6.

ნაშრომში მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთი გამავრცელებლის – ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა.

გოილაძე ვახტანგ. ქართველთა განმანათლებლები.

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), „უნივერსალი“, თბილისი, 2015, 54 გვ. ISBN 978-9941-22-567-3.

ნაშრომში საუბარია წმიდა ანდრია მოციქულის, წმიდა ნინოს, ასურელი მამების ღვაწლის შესახებ საქართველოში ქრისტიანობის შემოტანისა და განმტკიცების საქმეში.

გოილაძე ვახტანგ. რას მოგვითხრობს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე არიან-ქართლზე.

რედ. მ. თოღუზაშვილი, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2017, 40 გვ. ISBN 978-9941-16-517-7.

წიგნში ავტორის მიერ გაანალიზებულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „არიან-ქართლი“, რომელშიც აღწერილია საქართველოსგან პოლიტიკურად დაშორებულ ამ მხარეში არსებულ საეპისკოპოსოთა მრევლის ისტორია.

გორგიძე ივანე, ნაჭყებია შოთა, ჩიქოვანი რაფიელ, ჯავახაძე გურამ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.

რედ.: ა. ჩიქოვანი, დ. გორგიძე; თბილისი, 2007, 225 გვ.

კრებულში შესულია ქართველ მეცნიერთა წერილები საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევრის, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) შესახებ.

გიორგიძე მ. იყალთოს მონასტერი.

რედ.: ე. ტრიპოლსკი, ს. სნაპირი, ქ. ტოროტაძე; „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985, 28 გვ. 5000 ც.

ბროშურაში გადმოცემულია იყალთოს მონასტრის მოკლე ისტორია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

გრიშაკაშვილი ამბროსი. წმინდანი და მეცნიერი. უცნობი მასალები არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ.

წერილები პოლონურიდან თარგმნა, შეადგინა და გამოსცა ა. გრიშაკაშვილმა, რედ.: მ. ქურდიანი, ნ. ჯავახიშვილი; თბილისი, 2009, 85 გვ. ISBN 99928-63-85-5.

წიგნი ეძღვნება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, წმინდანისა და მეცნიერის გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და მოწამეობრივ აღსასრულს ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკში.

გუგუნავა ალექსანდრე. მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

რედ. ქ. პავლიაშვილი, „ფარნავაზი“, თბილისი, 1996, 70 გვ. 1000 ც.

ნაშრომში დაწვრილებით არის აღწერილი ისტორიულ ქართულ მხარეში – თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში – ართვინის, ყარსისა და ერზერუმის ვილაიეთებში რამდენიმეწლიანი მოგზაურობის შედეგები, თითოეული ციხე-სიმაგრისა და ეკლესია-მონასტრის მოკლე ისტორიული ექსკურსი და დახასიათება.

გუგუშვილი გორა. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია.

რედ. ე. ბუბულაშვილი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 16 გვ. ISBN 99928-0-957-4.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის ისტორია და ინფორმაცია ეპარქიაში არსებული ტაძრების შესახებ.

გუგუშვილი გორა. მცხეთა-თბილისის ეპარქია.

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ტექსტი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 2006, 48 გვ. ISBN 99940-0-871-4.

ნარკვევში აღწერილია მცხეთა-თბილისის ეპარქიის ისტორია და ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირების ღვაწლი.

გულბანი ნოდარ. მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა წარმართული კულტების წინააღმდეგ საქართველოს მთიანეთში.

რედ. რ. ანდრიაშვილი, თბილისი, 2010, 28 გვ. 300 ც. ISBN 978-9941-0-3016-1.

ბროშურაში ავტორი არსებულ ლიტერატურასა და პირველწყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი წარმართული რელიგიური რწმენა-

წარმოდგენებისა და საკულტო მოქმედებების მიმართ მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ.

გული ბრძენი, გონიერი.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 156 გვ.

კრებულში შესული სტატიების ნაწილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

გუნია ირაკლი. თბილისის მართლმადიდებლური ტაძრები. ენციკლოპედიური ცნობარი.

რედ. გ. კოპლატაძე, რეცენზ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2001, 84 გვ.

ახალგაზრდა ავტორი (10 წლის) საზოგადოებას აწვდის ძირითად ისტორიულ ცნობებს ქ. თბილისის მოქმედი და მშენებარე ტაძრების შესახებ.

გუნია ირაკლი. მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები. ენციკლოპედიური ცნობარი.

რედ. გ. კოპლატაძე, რეცენზ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2002, 159 გვ.

ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში შეტანილია ძირითადი ცნობები მცხეთა-თბილისის ეპარქიის მოქმედი და მშენებარე ტაძრების შესახებ.

გუნია ირაკლი. საქართველოს მონასტრები. ენციკლოპედიური ცნობარი.

რედ. რ. მეტრეველი, სარედაქციო საბჭო: ეპისკოპოსი შიო (მუჯირი), დეკანოზი ზაქარია (მაჩიტაძე), ზ. აბაშიძე, გ. ალასანია, გ. ბელოშვილი, ს. ვარდოსანიძე, ბ. კუდავა, ლ. ტოგონიძე; დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2005, 199 გვ. ISBN 99940-11-04-9.

ავტორი საზოგადოებას აწვდის ძირითად ისტორიულ ცნობებს საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ.

გურგენიძე ვახტანგ. წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი I.

რედ. მ. მურადაშვილი, „ლეგია“, თბილისი, 1995, 254 გვ. 10000 ც.

წიგნში თავმოყრილია ავტორის წერილები საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტების, ასევე ეკლესიისა და რწმენისათვის თავდადებულ მოღვაწეთა შესახებ.

გურგენიძე ვახტანგ. წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი II.

რედ. გ. ებანოიძე, „წიგნი“, თბილისი, 1997, 203 გვ.

ნაშრომში მოთხრობილია იმ თავდადებული საეკლესიო მოღვაწეების შესახებ, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე შეაღიეს ქვეყნისა და ეროვნული სულის უკვდავებას.

გურგენიძე ვახტანგ. სიყვარული აღგვამაღლებს... (საქართველოსა და რომის ეკლესიათა ურთიერთობისათვის).

მანქანაზე ნაბეჭდი, უთარილო, 25 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და რომის ეკლესიების ურთიერთობა სხვადასხვა საუკუნეებში.

გურგენიძე ვახტანგ. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესება.

ხელით ნაბეჭდი, უთარილო, 16 გვ.

ნაშრომში აღწერილია, როგორ მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია ვახტანგ გორგასლის დროს.

გურგენიძე ვახტანგ. ქართული სასულიერო კერები თურქეთში. ტაო-კლარჯეთი.

ხელით ნაბეჭდი, უთარილო, 18 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორია.

გურული ვახტანგ. მიტროპოლიტ ნაზარის საქმე.

რედ. გ. პაპუაშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 127 გვ. ISBN 978-9941-12-568-3.

წიგნში გამოქვეყნებულია ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისა (ლეჟავა) და სხვა ღვთისმსახურთა დაპატიმრების, ძიებისა და სასამართლოს მასალები.

გურული ვახტანგ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. 1811-1814.

რედ. ა. წოწკოლაური, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 120 გვ. ISBN 978-9941-12-990-2.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ერთი მეტად ტრაგიკული პერიოდი – რუსეთის საიმპერატორო კარის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებისათვის. კვლევის პირველი ნაწილი ეძღვნება მცხეთის უძველეს საპატრიარქოს, მეორე – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქოს გაუქმების ისტორიას.

გურული ვახტანგ. საქართველო და რუსეთი. (მფარველობიდან ანექსიამდე).

რედ. ა. წოწკოლაური, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 185 გვ. ISBN 978-9941-12-883-7.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, სტატიები და ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხებს, მათ შორის წარმოდგენილია წერილი „ღვთით ბოძებული უფლების ხელყოფა (რუსეთის და საქართველოს ეკლესია 1771-1814 წწ.)“, გვ. 140-149.

დავითაშვილი-ბაგრატიონი ნანა. სვეტიცხოველში საქართველოს გული ძალუმად ძგერდა. (ილია მეორის აღსაყდრების ოცი წლისთავისადმი).

„ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1997, 16 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ავტორის ნააზრევი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის 20-წლიანი მოღვაწეობის შესახებ.

დავიცვათ ქართული ეკლესიები. ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია.

შემდგენელ-რედაქტორი ბონდო არველაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 314 გვ. ISBN 978-9941-10-925-6.

კრებულში თავმოყრილია ლორე ტაშირის (ამჟამად სომხეთის ტერიტორია), სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორია) ქართული ეკლესიამონასტრების ისტორიისადმი მიძღვნილი შრომები, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული ქართულ პერიოდიკასა და სამეცნიერო გამოცემებში.

დარჩია ბორის. იაკობ შემოქმედელი.

რედ. მ. თავდიშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 574 გვ. ISBN 978-9941-12-489-1.

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი XVII საუკუნის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და პოეტის იაკობ შემოქმედელ-სამებელის, გვარად ღუმბაძის, ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოვლენილი, თავმოყრილი და გაანალიზებულია მის შესახებ არსებული ბიოგრაფიული მასალები, განხილულია ყველა მისი ნაწარმოები.

დასავლეთ ევროპის ეპარქია.

შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011, 80 გვ.

ბროშურა გვაცნობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შედარებით ახალგაზრდა – დასავლეთ ევროპის ეპარქიის ისტორიას და გვაწვდის ეპარქიის შესახებ არსებულ ფოტომასალას.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები, 1519-1814.

მასალა ენციკლოპედია „ქუთაისის“ პირველი ტომისათვის, ენციკლოპედია „ქუთაისის“ მოამბე, №10, გამოსაცემად მოამზადა თენგიზ ხითარიშვილმა, გამოდის ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, „ენციკლოპედია „ქუთაისი“, ქუთაისი, 2007, 24 გვ.

მასალაში მოცემულია მოკლე ცნობები 1519-1814 წლებში მოღვაწე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსების შესახებ, ასევე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული მასალის ბიბლიოგრაფია.

დევიდე ეკა. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები.

რედ. ს. ცაგარეიშვილი, შპს „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2010, 60 გვ. ISBN 978-9941-9128-5-6.

წიგნი იმერეთის რეგიონში ეპარქიების მიხედვით მოქმედი ეკლესია-მონასტრების ისტორიული ცნობარია. თითოეული ეკლესია-მონასტრის აღწერილობას თან ახლავს ლიტერატურული წყარო, აქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა რიცხვი, წინამძღვრის ვინაობა, ადგილმდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

დემეტრე თეთრუაშვილი – მონოზონი. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის წერილები.

თბილისი, 2009, 52 გვ.

წიგნი წარმოადგენს დოკუმენტების კრებულს, რომელშიც შესულია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ეპისტოლარული შინაარსის წერილები.

დვალი თამაზ. ოშკი: X საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ტექსტი: ნ. ანდლულაძე, ვ. სილოგავა; თარგმანი: ლ. გაბეჩავა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2009, 70 გვ.

წიგნი წარმოადგენს სერიას „ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ“. დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შესწავლას. ამ ძეგლების ისტორიის ცოდნის, სხვადასხვა ქვეყნებში „ქართული კვალის“ – სიძველეების აღრიცხვის, კვლევის, კონსერვაცია-რესტავრაციის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. გამოცემა მკითხველს შეძლებისდაგვარად აჩვენებს სამუშაოების მიმდინარეობას. სერიის ეს წიგნი ეძღვნება თურქეთის რესპუბლიკაში მდებარე ერთ-ერთ საოცრებას – ოშკის ტაძარს.

დიასამიძე ბიჭიკო. უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში.

რედ. თ. ფუტყარაძე, „ბათუმის უნივერსიტეტი“, შ.პ.ს. „გამა“, ბათუმი, 2000, 129 გვ. 300 ც. ISBN 99928-48-55-3.

ნაშრომში აღწერილია უძველესი საეკლესიო ცენტრების (პიტიუნტი, ფაზისი, სებასტოპოლისი, პეტრა) წარმოშობა და საქმიანობა, განსაზღვრულია მათი ადგილი ევროპის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

დიასამიძე ბიჭიკო. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. I-IX საუკუნეები.

რედ. გ. ლორთქიფანიძე, „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2001, 266 გვ. ISBN 99928-966-8-8.

გამოკვლევაში საუბარია დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, პირველი საეკლესიო ცენტრების წარმოშობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საეკლესიო ღვთისმსახურების ენის

საკითხს. შესწავლილია მთავარი საეკლესიო ცენტრები (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა), ახლებურადაა გააზრებული X საუკუნეში ძველ საეპისკოპოსოთა ცვლის პრობლემა, ის დიდი როლი, რაც ჯერ დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეასრულა მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში და შემდეგ, ერთიანმა საქართველოს ეკლესიამ – სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის გაერთიანებაში.

დასამძიე ბიჭიკო. ისტორიული ეტიუდები.

რედ. ნ. კახიძე, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009, 389 გვ. 200 ც. ISBN 978-9941-409-78-3.

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული ნარკვევები საქართველოს ისტორიის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე: „ბიზანტია–დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ურთიერთობისათვის IX საუკუნეში“; „სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოს შექმნის და სტატუსის საკითხისათვის“; „ნიკო ბერძენიშვილი და ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები“; „ქრისტიანობა აჭარაში“; „ქრისტეს პირველმოციქულები გონიო-აფსაროსში“; „ერთიანი ქართული ეკლესია – ქვეყნის გაერთიანების საფუძველი“; „ქრისტეს პირველმოციქულები დასავლეთ საქართველოში“; „ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია“; „ჩვენი ქრისტიანული წარსულის მოწმენი“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ეკლესია ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის ხანაში“.

დასამძიე ბიჭიკო. ისტორიული ეტიუდები II.

რედ.: ნ. კახიძე, თ. ჯიბაშვილი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, შპს „თეგი“, ბათუმი, 2016, 406 გვ, ISBN 978-9941-0-8575-8.

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული ნარკვევები საქართველოს ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე: „თხილვანის ეკლესიის დათარიღებისათვის“; „საიდან იწყება სხალთის ეპარქიის ისტორია“; „საქართველოს ერთიანობისათვის წამებული კათოლიკოსი“; „აჭარა ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში“; „მეჩეთები ნაეკლესიარებზე – რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში“; „ახალი ოსმალური დოკუმენტები ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობის შესახებ“; „ადრეფეოდალური ხანის ცნობილი საეკლესიო ცენტრების (ფაზისის სამიტროპოლიტო, სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო) ადგილმდებარეობის შესახებ“; „ეგრის-აფხაზეთის საეკლესიო ცენტრები X საუკუნეში“; „რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარის მაგალითზე)“; „ქრისტიანობა XIX საუკუნის II ნახევრის აფხაზეთში და წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)“.

დიდაჭარობა – 2008.

დიდაჭარობა – 2009.

დიდაჭარობა – 2010.

რედ.: დ. მელიქიშვილი და სხვ.; კრებულებზე მუშაობდნენ: მ. შავაძე, ხ. მელაძე, მ. აბულაძე; იბეჭდება სხალთის ეპისკოპოს სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, სხალთის ეპარქია, დაიბეჭდა შპს „სეზანში“.

კრებულებში თავმოყრილია 2008, 2009 და 2010 წლების კონფერენციების მასალები, რომლებიც ეხება სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის ისტორიასაც.

დიდნი საქმენი.

პროექტის ხელმძღვანელი და მთ. რედაქტორი როინ მეტრეველი, საგამომცემლო რედაქტორი ბუბა კუდავა, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2011, 559 გვ. ISBN 978-99940-55-94-4.

კრებულში მოცემულია ცალკეული ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, მოთხრობილია სხვადასხვა მოვლენისა და ფაქტის შესახებ, არის მცდელობა წარმოჩნდეს, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყოთ კვლავაც“ (ი. ჭავჭავაძე). ცალკეულ ნარკვევებში გადმოცემულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცალკეული მომენტები.

დიმიტრი სუნიტაშვილი – დეკანოზი. კვართი ქრისტესი.

რედ. გ. კობლატაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, „სამშობლო“, თბილისი, 1999, 88 გვ. 1000 ც.

წიგნში შესულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გადმოცემული საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, ქრისტეს კვართის ისტორია და უხვი ფოტომასალა აღწერით.

ელიზბარაშვილი ირინე. ნეკრესი.

რედ.: მ. ერისთავი, ნ. ტუშა; „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, 27 გვ. 20000 ც.

ნაშრომში ქართულ და რუსულ ენებზე მოკლედ არის გადმოცემული კახეთის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლის – ნეკრესის მონასტრის ისტორია და აღწერილობა.

ვარაზაშვილი აკაკი. საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი.

რედ. ო. ჯანელიძე, „ინტელექტი“, თბილისი, 1999, 43 გვ. 500 ც. ISBN 99928-67-76-0.

ბროშურაში ავტორი საზოგადოებას აცნობს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ისტორიკოსების შეხედულებებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მასთან დაკავშირებული საკვანძო მომენტების შესახებ.

ვარაზაშვილი აკაკი. ალექსანდრე ცაგარელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში.

რედ. ო. ჯანელიძე, „ინტელექტი“, თბილისი, 2000, 47 გვ. 500 ც. ISBN 99928-67-65-5.

ნარკვევში გაშუქებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალ. ცაგარელის განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა.

ვარაზაშვილი აკაკი. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში.

რედ. ო. ჯანელიძე, „ინტელექტი“, თბილისი, 2000, 144 გვ. 200 ც. ISBN 99928-67-90-6.

ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში XX საუკუნის დასაწყისში.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. (1917-1918).

რედ. მღვდელმონაზონი გურამ ბერბიჭაშვილი, ოზურგეთი, 1993, 31 გვ. 2500 ც.

ნაშრომში მოკლედ, პოპულარული ენით არის გადმოცემული კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) ბიოგრაფია, განსაკუთრებით მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. (1917-1918).

რედ. მღვდელი გურამ ბერბიჭაშვილი, „ორთოდოქს-კიფსელი“, საბერძნეთი, 1994, 30 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) ბიოგრაფია, მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

Vardosanidze Sergo. Georgian Orthodox Church.

„ST Nino“, Tbilisi, 1998, 14 გვ.

ცნობარში მოკლედ არის აღწერილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი მომენტები. განკუთვნილია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი. (1918-1921 წწ.).

რედ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), თბილისი, 2000, 46 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ევრემ II. (1960-72 წ.წ.).

რედ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2000, 28 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის ასახული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ევრემ II-ის (სიდამონიძე) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში.

რედ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2000, 151 გვ. 500 ც.

მონოგრაფიაში საარქივო მასალების საფუძველზე დაწვრილებით არის აღწერილი საქართველოს ეკლესიის ისტორია 1917-27 წლებში კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონ II-ის (საძაგლიშვილი), ლეონიდესა (ოქროპირიძე) და ამბროსის (ხელაია) მოღვაწეობის პერიოდებში.

ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წლებში.

რედ. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2001, 212 გვ. 500 ც. ISBN 99928-830-9-X.

წიგნში საარქივო მასალების საფუძველზე დაწვრილებით არის აღწერილი საქართველოს ეკლესიის ისტორია 1927-52 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) მოღვაწეობის პერიოდში.

ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში.

რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, „მეცნიერება“, თბილისი, 2001, 323 გვ. ISBN 99928-891-1-X.

მონოგრაფიაში საარქივო მასალების საფუძველზე დაწვრილებით არის აღწერილი 1917-52 წლების საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი მომენტები.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წწ.).

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისი, 2004, 120 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს (ცინცაძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი. (1921-1927 წწ.).

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისი, 2005, 112 გვ. 800 ც. ISBN 99940-0-286-4.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის (ხელაია) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

Vardosanidze Sergo, Abashidze Zaza, Abashidze Nino, Bubulashvili Eldar, Saitidze Gocha. Witness through troubled times. Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present.

რედ.: T. Grzelidze, Martin George, Lukas Vischer; „Bennett bloom“, London, 2006, 271 გვ. ISBN 1 898948 69 0 · 978-1-898948-69-8.

ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის ლუკას ფიშერის საერთო რედაქციით 2006 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა მე-19-მე-20 საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია. კრებულში შესულია ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევები.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II. (1960-1972 წწ.).

რედ. არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 2007, 143 გვ. ISBN 978-9941-0-0094-2.

ნაშრომში გადმოცემულია უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის (სიდამონიძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, XX საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ვითარება. წიგნს ერთვის მანამდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

რედ. დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, ებღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2008, 488 გვ. ISBN 978-9941-0-0303-5.

ნაშრომი არის პირველი მცდელობა, მონოგრაფიულად იქნას შესწავლილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. (1932-1952 წწ.).

რედ. მ. ქავთარია, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009, 208 გვ. ISBN 978-9941-9049-2-9.

ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სრულად არის წარმოჩენილი უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს (ცინცაძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. ნაშრომს ერთვის მრავალრიცხოვანი უნიკალური საარქივო მასალა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი. (1921-1927 წწ.).

რედ. ილუმენი ამბროსი (მაღლაკელიძე), „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009, 226 გვ. ISBN 978-9941-9049-3-6.

წიგნში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სრულად არის წარმოჩენილი უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის (ხელაია) ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ნაშრომს ერთვის მრავალრიცხოვანი უნიკალური საარქივო მასალა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III. (1927-1932 წწ.).

რედ. ე. ბუბულაშვილი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009, 180 გვ. ISBN 978-9941-9049-1-2.

ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სრულად არის წარმოჩენილი უწმიდესისა და უნეტარესი ქრისტეფორე III-ის (ციციშვილი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. ავტორი შეეცადა, ცივი გონებით შეეფასებინა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ტრაგიკული ფურცლები. ნაშრომს ერთვის მრავალრიცხოვანი უნიკალური საარქივო მასალა.

ვარდოსანიძე სერგო. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და მატერიალური შემწევობით, თბილისი, 2010, 200 გვ. ISBN 978-9941-9049-7-4.

ნაშრომი მოგვითხრობს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ისტორიას დაარსებიდან 2010 წლამდე.

ვარდოსანიძე სერგო. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). პირველი გამოცემა.

რედ. არქიმანდრიტი ისააკი (ღაღუა), რეც.: არქიმანდრიტი ამბროსი (მაღლაკელიძე), არქიმანდრიტი ღოროთე (ყურაშვილი), დეკანოზი მიქაელი (ბუკია); „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010, 513 გვ. ISBN 978-9941-9049-5-0.

ნაშრომი ეძღვნება მე-20 საუკუნის ქართველი მღვდელმთავრების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ვარდოსანიძე სერგო. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები.

რედ. ვ. გურული, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2011, 220 გვ. ISBN 978-9941-0-3948-5.

მონოგრაფიაში აღწერილია მე-20 საუკუნის ქართველი პატრიარქების წინააღმდეგ ზოგიერთი სასულიერო იერარქის ბრძოლა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. (1932-1952 წლები).

სერიიდან „დიდი ქართველები“, ტ. 2, პროგრამის ხელმძღვანელი და მთ. რედ. ზ. აბზიანიძე, თბილისი, 2011, 166 გვ. ISBN 978-9941-425-29-5.

წიგნში ასახულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი. (1861-1927 წლები).

სერიიდან „დიდი ქართველები“, ტ. 4, პროგრამის ხელმძღვანელი და მთ. რედ. ზ. აბზიანიძე, ტომის რედ. ილუმენი ამბროსი (მალაკელიძე), თბილისი, 2011, 190 გვ. ISBN 978-9941-425-30-1.

წიგნში აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრება და მოღვაწეობა.

Vardosanidze Sergo. Gúrcistan Patriği II İlia.

რედ. Giorgi Dekanozi, „Natlismtsemeli“, Tiflis, 2012, 94 გვ. ISBN 978-9941-0-3958-4.

ბროშურა ეხება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. საცნობარო ხასიათის ნაშრომი განკუთვნილია თურქულენოვანი მკითხველისათვის.

ვარდოსანიძე სერგო. პატრიარქები. წიგნი I. პატრიარქი ეფრემ II, პატრიარქი დავით V.

რედ. ზ. აბზიანიძე, დაბეჭდილია თურქეთში, ტიპოგრაფიაში, თბილისი, 2013, 189 გვ.

გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციით გამოსული წიგნების სერიის „XX საუკუნის პატრიარქები“ აღნიშნულ წიგნში შესულია მასალები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების: ეფრემ II-ისა (სიღამონიძე) და დავით V-ის (ღევდარიანი) შესახებ.

ვარდოსანიძე სერგო. პატრიარქები. წიგნი II. პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III.

რედ. ზ. აბზიანიძე, დაბეჭდილია თურქეთში, ტიპოგრაფიაში, თბილისი, 2013, 214 გვ.

გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციით გამოსული წიგნების სერიის „XX საუკუნის პატრიარქები“ აღნიშნულ წიგნში შესულია მასალები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების: კალისტრატესა (ცინცაძე) და მელქისედეკ III-ის (ფხაკლაძე) შესახებ.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

რედ. ზ. აბზიანიძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წლისთავს, თბილისი, 2013, 283 გვ.

წიგნში ასახულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაშრომი ახალი მასალებითაა შევსებული.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.).

რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014, 287 გვ. ISBN 978-9941-9049-0-5.

ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სრულად არის წარმოჩენილი უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. მოწამებრივად აღსრულებული კათოლიკოს-პატრიარქი, გამორჩეული სასულიერო მოღვაწე კირიონ II საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ნაშრომს ერთვის მრავალრიცხოვანი უნიკალური საარქივო მასალა.

ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე. (1861-1921).

რედ. არქიმანდრიტი ამბროსი (მალაქელიძე), „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014, 174 გვ. ISBN 978-9941-9360-0-5.

ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სრულად არის წარმოჩენილი უწმიდესისა და უნეტარესი ლეონიდე (ოქროპირიძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ, იგი ურთულეს პერიოდში ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ნაშრომს ერთვის მრავალრიცხოვანი უნიკალური საარქივო მასალა.

ვარდოსანიძე სერგო. მზიანი ღამის 38 წელი.

რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, 185 გვ. ISBN 978-9941-9450-1-4.

წიგნში აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. ავტორის წინა გამოცემების მასალებს დამატებული აქვს კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის ამსახველი ახალი მასალები (2010-დან 2015 წლამდე).

ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე. (1917-2017 წწ.).

რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, 650 გვ.

წიგნში მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოცემულია 1917-2017 წლებში მოღვაწე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა და მღვდელმთავრების ცხოვრება და საქმიანობა.

ვაშაყმაძე ზაზა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში. 1990-2010.

„ნეკერი“, თბილისი, 2011, 40 გვ.

ნაშრომში განხილულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე.

ვაშაყმაძე ზაზა. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა. 1917 წლის მარტისექტემბერი.

რედ. გრ. რუხაძე, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, „ნეკერი“, თბილისი, 2011, 32 გვ. ISBN 978-9941-416-96-5.

წიგნში განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთი პერიოდი – საქართველოს ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა და პირველი ნაბიჯები თავისუფლების გზაზე. გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შექმნილი საეკლესიო სამართლებრივი აქტები.

ვაშაძე ნ., მამსუროვა ს. საქართველოს ისტორიული ძეგლები. I. კახეთი.

რედ. ლ. ზამბახიძე, თბილისი, 1979, 84 გვ.

წიგნში შესულია კახეთში არსებული ეკლესია-მონასტრებისა და ისტორიული ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

ვაშაძე ნ., მამსუროვა ს. საქართველოს ისტორიული ძეგლები. II. ქართლი.

სსის სტამბა, თბილისი, 1979, 129 გვ.

წიგნში შესულია ქართლში არსებული ეკლესია-მონასტრებისა და ისტორიული ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

ვანჩაძე მერაბ, გურული ვახტანგ. საქართველოს ეკლესიის ისტორია. XX-XXI საუკუნეები. დოკუმენტები და მასალები. ტომი პირველი. 1901-1904.

საგამომცემლო ჯგუფი: მ. გურაბანიძე, ი. ხელაია, ა. ჯიქურიძე; „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 213 გვ. ISBN 978-99940-59-73-7.

კრებულში გამოქვეყნებულია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და მასალები. ქრონოლოგიურად კრებული მოიცავს 1901-1904 წლების პერიოდს.

ვანაძე მერაბ, გურული ვახტანგ. საქართველოს ეკლესიის ისტორია. XX-XXI საუკუნეები. დოკუმენტები და მასალები. ტომი მეორე. 1905.

საგამომცემლო ჯგუფი: მ. გურაბანიძე, ი. ხელაია, ა. ჯიქურიძე; „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 261 გვ. ISBN 978-99940-55-09-8.

კრებულში თავმოყრილია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და მასალები. ქრონოლოგიურად კრებული მოიცავს 1905 წლის პერიოდს.

ვეფხვაძე იზა. ხარაგაული.

რედ. ე. თავბერიძე, საგამომცემლო ცენტრი, სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2002, 579 გვ. 300 ც.

წიგნში ხარაგაულის რაიონის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომენტებთან ერთად შესულია ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ისტორია.

ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). საქართველოს სოფელი. (იკოთის მოკლე ისტორია).

შპს „პოლიგრაფისტი“, თბილისი, 2004, 68 გვ. ISBN 99940-781-7-8.

ნაშრომში სოფელ იკოთის ისტორიასა და იქ აღზრდილი გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებთან ერთად გადმოცემულია იკოთის დედათა მონასტრის ისტორია.

ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). მიტროპოლიტი ვარლამი (ქსნის ერისთავი). ცხოვრება და მოღვაწეობა.

კონსულტანტი ვლ. ღუნაშვილი, კომპიუტერული ცენტრი „აიდიო“, თბილისი, 2006, 40 გვ. ISBN 99940-839-3-8.

ნაშრომში დოკუმენტური მასალების საფუძველზე აღწერილია გამოჩენილი სასულიერო პირის – მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავის (1762-1827) ცხოვრება და მოღვაწეობა. მის მიმართ არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნას ის რთული პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მას მოუწია სასულიერო ასპარეზზე გამოსვლამ.

ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური). ცხოვრება და მოღვაწეობა.

კონსულტანტი ლ. ტოგონიძე, კომპიუტერული ცენტრი „აიდიო“, თბილისი, 2006, 30 გვ. ISBN 99940-839-3-7.

ბროშურაში აღწერილია დედაწმინდის სასულიერო პირის - მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფიცხელაური) ცხოვრება და საქმიანობა.

ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია, ეკლესია-მონასტრები. (ისტორიული ქრონიკები).

კონსულტანტი ვ. ხოცუაშვილი, თბილისი, 2007, 103 გვ. ISBN 99940-839-3-8.

ნაშრომში მოთხრობილია ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის დაარსების, იქ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეების ისტორია.

ზანგურაშვილი ვლადიმერ. საქართველოს სოფელი ლარგვისი და ლარგვისის მონასტერი.

კონსულტანტი გ. გასიტაშვილი, შპს „აიდიო“, თბილისი, 2008, 44 გვ.

ავტორი არსებული წყაროების საფუძველზე აღწერს სოფელ ლარგვისისა და ლარგვისის მონასტრის ისტორიას.

ზანგურაშვილი ვლადიმერ. ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია.

რედ. ი. ხუცურაული, კონსულტანტი: ტაძრის არქიტექტორი მ. კიკნაძე, თბილისი, 2015, 44 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის ისტორია, ნაძალადევის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის უდიდესი მნიშვნელობა, მისი შექმნის პერიპეტეები და საქართველოში ჩამობრძანების ისტორია.

ზარათი, წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.

წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ: ფ. დევდარიანი, ი. ხუსკივაძე; ტექსტი: ი. ხუსკივაძე; თარგმანი: ნ. მატარაძე; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ეროვნული ცენტრი, შპს „სეზანი“, თბილისი, 2008, 89 გვ. ISBN 978-9941-0-0835-1.

წიგნში გადმოცემულია იმერეთის სოფელ ზარათის წმიდათა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის ისტორია ქართულ და ინგლისურ ენებზე, დაბეჭდილია იქ დაცულ სიწმიდეთა ფოტოები.

ზარიძე ვლადიმერ. არჩილის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული მნიშვნელობის საკითხისათვის.

რედ. ზვ. ზარიძე, საქართველოს ეროვნული აკადემია, „ჯისიაი“, თბილისი, 2006, 64 გვ. ISBN 99940-17-73-X.

წიგნი ეხება VIII საუკუნის თვალსაჩინო ქართველი სახელმწიფო მოღვაწის – არჩილ მეფის ღვაწლს და მისი როლის შეფასებას საქართველოს ისტორიაში, გადმოცემულია არჩილის სამონასტრო კომპლექსის შექმნის ისტორია და თანამედროვე სავალალო მდგომარეობა.

ზედგინიძე ვალოდია. ზედგინიძეები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი-წინამძღვრიაანთკარი, 2014, 151 გვ.

წიგნში მოცემულია მოკლე ინფორმაცია დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის, შიომღვიმის მონასტრის, სამთავისისა და ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრებისა და ზედაზნის წმ. იოანე ზედაზნელის სახელობის მონასტრის შესახებ.

ზენონი (იარაჯული) – ეპისკოპოსი. სამხრეთის კარიბჭე.

თბილისი, 2005, 236 გვ.

წიგნი არის ისტორიული ნარკვევი დმანისისა და ლორე-ტაშირის მხარისა და მისი საეპისკოპოსოს შესახებ.

ზინობი ჟვანია – მღვდელი. ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ტაძარი.

რედ. ზ. კუზნიანიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „საქართველო“ (ქუთაისის ფილიალი), ქუთაისი, 1997, 19 გვ. 1200 ც.

ნარკვევი ეძღვნება ქუთაისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (ბაგრატის) ტაძარს. მასში მოკლედ არის მოთხრობილი, რა გაკეთდა ძეგლის დაცვისა და შესწავლისათვის, ვინ რა წვლილი შეიტანა ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

თაღუმაძე მაია. საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. (XIX საუკუნის პირველი ნახევარი).

რედ. ე. ორჯონიკიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1993, 59 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოში გლეხთა ერთ-ერთი კატეგორიის, კერძოდ, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის I ნახევარში. საარქივო მასალების საფუძველზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა, გადასახადების სახეობები, მიწით სარგებლობისა და მიწათმფლობელობის ფორმები.

თაგებრიძე ილია. ჯუმათის მონასტრის სიძველეები.

რედ. გ. კობლატაძე, წიგნი მომზადდა გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრის დახმარებით, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2005, 115 გვ. ISBN 99940-852-6-3.

წიგნში სხვადასხვა ავტორების მონაცემებზე დაყრდნობით აღწერილია ჯუმათის მონასტრის ისტორია და იქ დაცული სიძველეები.

თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამოცემა, 2009-2016.

შრომები წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერიოდულ ორგანოს. მასში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ახალი და ძველი აღთქმის, პატროლოგიის სხვადასხვა საკითხებისადმი.

თეოლოგიის კათედრა 5 წლისა – სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქო, იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო ცენტრი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2007, 231 გვ. 200 ც. ISBN 99940-57-63-4.

კრებულში შეტანილია სამეცნიერო მასალები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს შეეხება, ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა, წარმოთქმული თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს, თეოლოგიის კათედრის დამაარსებლის, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ბიოგრაფიული მონაცემები.

თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი 10 წლისა – ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქო, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს საინჟინრო აკადემია, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 131 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-052-6.

კრებულში შეტანილია სამეცნიერო მასალები, რომლებიც სხვა თეოლოგიურ საკითხებთან ერთად საქართველოს ეკლესიის ისტორიასაც ეხება.

თომაძე ნინო. იცხაკ დავითი და ჯვრის მონასტრის სიძველეები.

რედ. ნ. ვაჩნაძე, „არტანუჯი“, თბილისი, 2003, 90 გვ. ISBN 99940-11-07-3.

ნაშრომში განხილულია ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელის – იცხაკ დავითის (დავითაშვილი) კვლევები ჯვრის მონასტრის სიძველეების შესახებ და შეფასებულია მისი როლი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თორაძე ვახტანგ. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

მანქანაზე ნაბეჭდი, თბილისი, 1984, 75 გვ.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასახულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება.

თორაძე ვახტანგ, თორაძე ნინო. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში.

რედ. გ. ებანოძე, „რუბიკონი“, თბილისი, 1995, 335 გვ.

წიგნში აღწერილია საქართველოს ეკლესიის ისტორია რუსეთის მიერ მისი ავტოკეფალიის გაუქმებიდან 1990-იან წლებამდე.

თორაძე ვახტანგ, თორაძე ნინო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია.

„ელფი“, თბილისი, უთარილო, 632 გვ. ISBN 99940-65-67-X.

წიგნში გამოყენებულია მრავალრიცხოვანი საარქივო მასალა, დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთები, ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების როგორც ძველი, ასევე ნაკლებად შესწავლილი თუ შეუსწავლელი საისტორიო წყაროები.

თხინვალი არჩილ. ქართული ეკლესია XIX-XX სს. (მოკლე მიმოხილვა).

რედ. მ. ვაჩნაძე, თბილისი, 2012, 51 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის მიმოხილული XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორია.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და სხვა ქართული სავანეები წმიდა მიწაზე.

შემდგენელი ირაკლი კამკაძე, რედ. დეკანოზი დავითი (ისაკაძე), იბეჭდება ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 86 გვ.

წიგნი შედგენილია დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის, მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის, ელდარ მამისთვალიშვილის, წმიდა დიმიტრი როსტოველის, არქიმანდრიტ რაფაელ კარელინისა და სხვათა შრომების, აგრეთვე კრებულ „ქართულ მწერლობასა“ და გაზეთ „მრევლში“ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

იველაშვილი თინა. სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

მთ. რედ. თ. ჭყონია, რედ. ნ. ხაზარაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „იმეპტიანე“, თბილისი, 2005, 63 გვ.

წიგნი გვაწვდის ცნობებს სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შესახებ.

იველაშვილი თინა, არველაძე ბონდო. მარდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.

რედ. ნ. ხაზარაძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 79 გვ. ISBN 978-9941-12-549-2.

ნაშრომში შესწავლილია ქალაქ ახალციხეში მდებარე მარდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ისტორია, განხილულია ეკლესიის შესახებ არსებული ზოგიერთი დოკუმენტი.

ითონიშვილი ვახტანგ. ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან.

რედ. ვალ. ითონიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მომზადდა „მემატიანე“-ში, დაიბეჭდა „ნეკერი“-ში, თბილისი, 2003, 91 გვ. 300 ც.

ნარკვევების მიზანია, მკითხველს გააცნოს ზოგადი მონაცემები დემოგრაფიული და სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში, წარმოაჩინოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორია და ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

ილია II. მღვდელმთავრად გამორჩევა. მოგონებები. წიგნი 3.

რედ. ზ. აბზიანიძე, თბილისი, 2013, 224 გვ.

კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წლისთავს. მასალები ნელი შიოლაშვილის და სერგო ვარდოსანიძის.

ილია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ოთხტომეული.

პროექტის ავტორი და შემდგენელი სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივის დირექტორი **მზია კაცაძე**, რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, კონსულტანტები: სერგო ვარდოსანიძე, ელდარ ბუბულაშვილი; „კვირის პალიტრის“ ბიბლიოთეკა, მთ. რედ. მ. ალუდაური, „პალიტრა L“, 2016, ISBN 978-9941-24-467-4.

ნაწილი I – 1932-1985 წლები, 389 გვ;

ნაწილი II – 1986-1995 წლები, 437 გვ;

ნაწილი III – 1996-2004 წლები, 429 გვ;

ნაწილი IV – 2005-2013 წლები, 339 გვ.

ოთხტომეულში გაერთიანებულია საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული მასალები – უტყუარი ამბები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. გამოცემაში შესულია უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წერილები, ფოტოები, დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი პირველად გამოვიდა სამზეოზე.

იმერეთის მეფე სოლომონ I, წმინდა მეფე სოლომონ II, გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი.

სერიიდან „საქართველოს იმედი II“, წიგნი 55, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. კ. კენკიშვილი, „პალიტრა L“, თბილისი, 2016, 185 გვ. ISBN 978-9941-24-393-6.

წიგნი მოგვითხრობს საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან საერო და სასულიერო პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ისტორია შეულამაზებლად.

შემდგენლები: **ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია**; რედ.: რ. მეტრეველი, ს. ვარდოსანიძე; „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, 254 გვ. ISBN 978-9941-9382-5-2.

კრებულში წარმოდგენილია XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცალკეული ეპიზოდები. ავტორები არიან: რ. მეტრეველი, ს. ვარდოსანიძე, მ. გიორგაძე, ვ. გურული, გ. საითიძე, ჯ. სამუშია, ვ. სართანია.

იღუმენი თამარ მარჯანიშვილი. (მოგონებანი დედა ფამარაზე).

რუსულიდან თარგმნა ც. კალმახელიძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 39 გვ.

წიგნი ეძღვნება XX საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებული სქემიღუმენის, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დის – თამარ მარჯანიშვილის ხსოვნას. ეს არის 1995 წელს წმ. ტიზონის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის მიერ გამოცემული ბროშურის „Матушка Фамарь“-ის ქართული თარგმანი, რომელშიც შესულია მონაზონ სერაფიმას მოგონებები და დედა ფამარის ორი მოგონება-ნარკვევი.

კალანდია გიორგი. ოდიშის საეპისკოპოსოები. (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი).

რედ. მ. ლორთქიფანიძე, დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი, „არტანუჯი“, თბილისი, 2004, 343 გვ. ISBN 99928-993-7-9.

ნაშრომი საქართველოს უძველესი სასულიერო ცენტრების – ცაიშის, ბედიის, ხობისა და მოქვის ეპარქიების ისტორიას ასახავს. დადგენილია აქ მოღვაწე ეპისკოპოსებისა და წინამძღვრების ქრონოლოგიური რიგი, მოცემულია ეპარქიების საზღვრები და სოციალური სურათი, გამორჩეულ საეკლესიო პირთა ბიოგრაფიები.

კალისტრატე ცინცაძე – 150. საიუბილეო კრებული.

რედაქტორ-შემდგენელი ნუგზარ პაპუაშვილი, სარედ. კოლეგია: ზ. აბაშიძე, ს. ვარდოსანიძე, ე. მანია, მ. ქავთარია; გერმანულენოვანი ტექსტის რედ. მ. დამენია, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2017, 311 გვ. ISBN 978-9941-9497-9-1.

კრებული ეძღვნება ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და მეცნიერის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დაბადებიდან 150 წლისთავს და მისი გერმანელი მეუღლის – ოტილია-ნინო ტომას-ცინცაძის ხსოვნას. წარმოდგენილ მასალებში განხილულია პატრიარქის ცხოვრების, მოღვაწეობისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი მემკვიდრეობის არსებითი მხარეები, მისი თანამედროვე ეპოქის ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მასთან უშუალოდ არის დაკავშირებული.

კარბელაშვილი ანდრე. ბოდბელ-ალავერდელი ეპისკოპოსი ვასილ კარბელაშვილი.

გამომცემელი და რედაქტორი ი. ტოლიაშვილი, თბილისი, 2006, 20 გვ.

ავტორი წიგნში აღწერს თავისი პაპის ანდრია კარბელაშვილის ძმის – ეპისკოპოს ვასილ კარბელაშვილის სასულიერო მოღვაწეობას.

კარიბჭე.

მართლმადიდებლური ჟურნალი, გამოდის 2004 წლიდან ორ კვირაში ერთხელ. ჟურნალს აქვს ბევრი საინტერესო რუბრიკა, რომლებიც შეეხება საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, მათ შორის საქართველოს ეკლესიისა და ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

კაცულაშვილი ზურაბ. საქართველოს პირველი წამებული კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ევდემოზ II (დასამიძე). (1634-1649).

რედ. ს. ვარდოსანიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, წინასიტყვაობა ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ რევაზ ტომარაძის; თბილისი, 2010, 63 გვ. ISBN 978-9941-0-2537-2.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს პირველი წამებული კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ევდემოზ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, ასევე მისი საფლავის ისტორია, რომელიც ანჩისხატის ტაძარში მდებარეობს.

კაჭახიძე დოდო. კურორტი კოჯორი.

იდეის ავტორი ანტონ ინგოროყვა, რედ. ე. ჩაბრაძე, „ინოვაცია“, თბილისი, 2010, 285 გვ. ISBN 978-9941-9133-4-1.

წიგნში შესულია ცნობები კოჯორსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრების (კაბენის მონასტერი, „ორმოცთა“ ეკლესია, ბეთანიის ეკლესია) შესახებ.

კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები.

რედ. რ. თოფჩიშვილი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2005, 64 გვ. 500 ც. ISBN 99940-848-4-4.

წიგნის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ეგზარქოსობისდროინდელ (1811-1917 წწ.) რაჭის ეკლესიებსა და იქ მოღვაწე მღვდლებზე. ნაშრომი მთლიანად საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობა.

კეზევაძე მერაბ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს.

რედ. გ. მჭედლიძე, საქ. იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, საგამომცემლო ცენტრი, შპს „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2006, 338 გვ. 500 ც. ISBN 99940-888-3-1.

წიგნში მრავალი ახალი საარქივო დოკუმენტის მოშველიებით დეტალურადაა გადმოცემული გელათის სამონასტრო ცხოვრების პერიოდი XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი ლენჩუმისა და სვანეთის ეკლესიები და მღვდლები.
რედ. რ. თოფჩიშვილი, საგამომცემლო ცენტრი, შპს „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2007, 51 გვ. ISBN 99940-848-8-7.

წიგნის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ეგზარქოსობისდროინდელ (1811-1917 წწ.) ლენჩუმსა და სვანეთში არსებულ ეკლესიებსა და იქ მოღვაწე მღვდლებზე. ნაშრომი მთლიანად საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობა.

კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები.

რედ. რ. თოფჩიშვილი, საქ. იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქ. ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, საგამომცემლო ცენტრი, შპს „ხომლი“, ქუთაისი, 2008, 247 გვ. 1000 ც. ISBN 978-9941-0-0830-6.

წიგნი საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას ეგზარქოსობისდროინდელ (1811-1917 წწ.) იმერეთში აგებულ ეკლესიებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

კეზევაძე მერაბ. ქუტირის წმინდა გიორგის ეკლესია.

რედ. მ. ფეიქრიშვილი, წიგნი ეძღვნება ქუტირის წმინდა გიორგის ეკლესიის კურთხევის 125 და განახლების 15 წლისთავს, იბეჭდება ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბას (გიგიბერია) ლოცვა-კურთხევით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი, გამომცემლობა „მოწამეთა“, ქუთაისი, 2010, 20 გვ. ISBN 978-99928-53-88-7.

ნარკვევში საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აღწერილია ქუტირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წარსული და თანამედროვეობა.

კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები. მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა.

რედ. რ. თოფჩიშვილი, ეძღვნება ნიკორწმინდის ტაძრის 1000 წლისთავს, დაიბეჭდა ნიკორწმინდელ მიტროპოლიტ ელისეს (ჯონხაძე) ლოცვა-კურთხევით, საქ. იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქ. ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, საგამომცემლო ცენტრი, შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა, ქუთაისი, 2014, 136 გვ. 600 ც. ISBN 978-9941-9388-3-2.

ავტორის წიგნის მეორე გამოცემა გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას ეგზარქოსობისდროინდელ რაჭის ეკლესიებსა და იქ მოღვაწე მღვდლებზე. ნაშრომი მთლიანად საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობა.

კეკელია თათია, გავაშლიშვილი ელენე, ლადარია კონსტანტინე, სულხანიშვილი ირინა. მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 397 გვ. ISBN 978-9941-18-145-0.

წიგნი წარმოადგენს შედეგს კვლევისა, რომელიც განხორციელდა შვეიცარიული აკადემიური ქსელისა (Academic Swiss Caucasus Net) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2010 წლის სექტემბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, საქართველოს ეკლესია და ნაციონალიზმი საბჭოთა კავშირში, საბჭოთა კავშირიდან დღემდე და სხვა.

კენკებაშვილი თემურ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიული წარსული და საქართველოსთვის დაბრუნების საკითხის პერსპექტივები.

რედ. ი. გაგოშიძე, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 26 გვ. ISBN 978-9941-17-602-9.

ბროშურაში წარმოდგენილია ავტორის მოხსენება, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილებას.

კენკებაშვილი თემურ. გრიფით „საიდუმლო“. წიგნი I. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის კომისია რელიგიის საკითხებში.

რედ.: ს. ვარდოსანიძე, ო. თუმურაშვილი; საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევითი ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 168 გვ. ISBN 978-9941-17-792-7.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 1917-1921 წლებში, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის რელიგიის საკითხებში კომისიის საქმიანობა და თავმოყრილია დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია საბჭოთა რუსეთის პირობებში საქართველოს ეკლესიის მიმართ, ასევე კომუნისტური მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ეკლესიისა და სასულიერო პირთა შეურაცხმყოფელი პლაკატები.

კენკებაშვილი თემურ. საისტორიო პარადიგმები. ტომი I. „აწმყო, შობილი წარსულისაგან“.

მთ. რედ. ი. გაგოშიძე, ტომის რედ. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევითი ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 420 გვ. ISBN 978-9941-17-667-8.

კრებულში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, რომელთა შორის აღსანიშნავია: „კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ IX-ის სასახლე კოჯორში“; „კოჯორის სასულიერო კერები“; „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიული წარსული და საქართველოსთვის დაბრუნების პერსპექტივები“.

კიკნაძე ვაჟა. ეკლესიის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში XVIII ს-ში სოლომონ I-ის დროს. (1752-1784).

მანქანაზე ნაბეჭდი, უთარილო, 28 გვ.

ნაშრომში ასახულია ეკლესიის მდგომარეობა XVIII საუკუნის ბოლოს, დასავლეთ საქართველოს იმჟამინდელ მძიმე პოლიტიკურსა და ეკონომიკურ პირობებში.

კიკნაძე ვაჟა. ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა.

რედ. ა. დაუშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2003, 213 გვ.

გამოკვლევაში, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მღვდლვარე მოვლენების ფონზე, გადმოცემულია გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, ალავერდისა და გორის ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის (1836-1909) ბიოგრაფია და ღვაწლი.

კიკნაძე ვაჟა. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს-ის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში.

რედ. ნ. აბაკელია, თსუ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 352 გვ. ISBN 978-9941-12-675-8.

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ის უმთავრესი საკაცობრიო და ეროვნული პრობლემები, რომლებიც XIX-XX სს.-ის მიჯნის საქართველოს სამღვდლოების საუკეთესო წარმომადგენლებს აღელვებდათ. განხილულია აგრეთვე ეპისკოპოსების: გაბრიელ ქიქოძის, კირიონ სამაგლიშვილის, პეტრე კონჭოშვილის და ღვთისმეტყველების კანდიდატის მიხეილ (გობრონ) საბინინის შემოქმედება.

კიკნაძე ვაჟა. ეკუთვნის თუ არა ეპისკოპოს კირიონს ხელნაწერი „ახტალის მონასტერი“?

რედ. გ. არახამია, „უნივერსალი“, თბილისი, 2011, 51 გვ. ISBN 978-9941-0-3745-0.

ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას თბილისში 2005 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნზე: „Епископ Кирион. Ахталский монастырь“. ავტორი დაწვრილებით განიხილავს აღნიშნულ პუბლიკაციას და ასაბუთებს, რომ ნარკვევი არ ეკუთვნის ეპისკოპოს კირიონს და, საერთოდ, ქართველის დაწერილი არ არის, ყურადღებას ამახვილებს პუბლიკაციის ნაკლოვანებებზე და ურთავს ფოტომასალას.

კობახიძე ნინო. მეუფე ათანასეს ცხოვრება, მოღვაწეობა და ქადაგებანი.

კონსულტანტი ს. ვარდოსანიძე, დაიბეჭდა მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, შპს „გოდოლი-პრინტი“, თბილისი, 2009, 207 გვ. ISBN 978-9941-0-1663-9.

კრებულში შესულია მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ბიოგრაფია, მოღვაწეობა და ქადაგებები.

კობიაშვილი ქეთევან. ცნობარი-საძიებელი. წიგნი I.

რედ. ზ. თორია, „ოპიზა“, თბილისი, 1999, 175 გვ.

ცნობარში თავმოყრილია მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტების, მათ შესახებ სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებების თუ ფაქტობრივი მონაცემების იოლად მოკვლევის შესაძლებლობას იძლევა.

კოზმანაშვილი ვაჟა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები IV-XXI საუკუნეებში, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული პერსონოგრაფია. (ქართველ საისტორიო პიროვნებათა ნუსხა).

„სვეტი“, მცხეთა, 2012, 104 გვ. ISBN 978-9941-0-4422-9.

წიგნში მოცემულია ნუსხა და მოკლე ცნობები საქართველოს ეკლესიის მეთაურების შესახებ ქრისტიანობის გავრცელებიდან XXI საუკუნემდე.

კონსტანტინე კაჭარავა – დეკანოზი. სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია.

რედ. ა. კაჭარავა-კერესელიძე, შპს „სიტყვა“, თბილისი, 2009, 144 გვ. ISBN 978-9941-0-1357-7.

წიგნი მოგვითხრობს ჭყონდიდის ეპარქიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტაძრის – სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორიას. იგი შედგენილია მრავალრიცხოვანი საისტორიო წყაროებისა და საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე. დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძარი.

რედ. გ. ბაგრატიონი, თბილისი, 2007, 28 გვ. ISBN 978-9941-0-0194-9.

ნაშრომში გადმოცემულია ისტორიული ცნობები ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის საბრძანებლის აგებისა და მოხატვის, აგრეთვე იმ სამღვდელო და საერო პირთა მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც წვლილი შეიტანეს ამ საქმეში.

კრიალოსანი.

ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა. მასში იბეჭდება საქართველოსა და მსოფლიოს საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ეპიზოდები, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტერთა ისტორიები, გამოჩენილ სასულიერო პირთა ბიოგრაფიები, მოგონებები, სწავლანი და სხვ.

კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია 120 წლისაა. (1895-2015).

საიუბილეო ბროშურა გამოსაცემად მოამზადეს დეკანოზმა კონსტანტინე ლეკიშვილმა და დეკანოზმა არჩილ ხაჩიძემ; რედ. ნ. კვანტალიანი, 23 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის ისტორია, მონაცემები წინამძღვრებისა და მასში დაცული სიწმინდეების შესახებ, შესაბამისი ფოტომასალა.

ლაზარე ბუნჰაგენელი – ბერდიაკონი. საქართველო: წმინდა მიწა კავკასიაში.

პროექტის ავტორები: მღვდელი მალხაზ ყიფიანი, ზვიად ცაბაძე, იოსებ კაპანაძე, დავით მეცხოვრიშვილი, გურანდა შუბითიძე; რედ.: ნ. ორმოცაძე, ნ. ბალათურია; გერმანულიდან თარგმნეს ნ. ანსიანმა, რ. ნიკოლოზიშვილმა, დ. გოგიშვილმა; ინგლისურად თარგმნა ქ. ჩიგოგიძემ; რუსულად თარგმნა ნ. ორმოცაძემ, წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, იბეჭდება ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, მთარგმნელობით-საგამომცემლო ცენტრი „სპეკალი-1“, გამომცემლობა „მერიდიანი“, სტამბა შპს „მუხა 2012“, თბილისი, 2013, 191 გვ. ISBN 978-9941-10-688-0, ახლავს დისკი.

ღირსი მამის ლაზარეს (ბუნჰაგენიდან) ეს საინტერესო ჩანაწერი მოგვითხრობს, თუ როგორ გაიცნეს გერმანელმა ბერებმა საქართველო. მასალა წარმოდგენილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ლაცაბიძე თამარ, ლაცაბიძე თამაზ. იტრია.

რედ. მ. ხაჩიძე, „ლიხი“, ხაშური, 2010, 177 გვ. ISBN 978-941-9124-3-6.

იტრია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია სურამის წყლის ხეობაში. სოფლის განაპირას მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ცნობილი სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც საინტერესო ისტორიული წარსული აქვს. ნარკვევი სწორედ ამ ტაძარს ეძღვნება.

ლაცაბიძე თამარ, ლაცაბიძე თამაზ. იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი.

რედ. მ. ხაჩიძე, ხაშური, 2012, 50 გვ. ISBN 978-9941-0-4522-6.

წიგნში გადმოცემულია იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სამონასტრო კომპლექსის ისტორია.

Леван Матешвили – протоиерей. Иберия в процессе христианизации (IV-V вв.).

რედ. М. Преображенская, Посвящается 80-летию со дня рождения Католикоса-Патриарха всея Грузии, архиепископа Мцхета-Тбилиси и митрополита Пицунды и Цхум-Абхазии, Илии II; Публикуется с благословения Манглиско-Цалкского Митрополита Анания (Джапаридзе), „Технический университет“, Тбилиси, 2012, 183 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-157-8.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია იბერიის როლი საქართველოს გაქრისტიანების პროცესში.

ლევან მათეშვილი – протоиерей. Проблемы объявления христианства государственной религией в Грузии.

რედ. М. Преображенская, Посвящается 80-летию со дня рождения Католикоса-Патриарха всея Грузии, архиепископа Мцхета-Тбилиси и митрополита Пицунды и Цхум-Абхазии, Илии II; Публикуется с благословения Манглиско-Цалкского Митрополита, профессора Анания (Джапаридзе), „Технический университет“, Тбилиси, 2013, 153 გვ. 30 ც. ISBN 978-9941-20-178-3.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი მოციქულთა მოღვაწეობიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი, მახაშვილი ქეთევან, ბოქოლიშვილი ლელა. მეცნიერი მღვდელმთავარი (ეძღვნება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის 65 წლის იუბილეს).

სამეცნ. რედ. დეკანოზი კახაბერ შურღაია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, 554 გვ. 100 ც. ISBN 978-9941-20-464-7.

ნაშრომი ეხება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში, განხილული და გაანალიზებულია მისი მრავალრიცხოვანი შრომები.

ლევან მათეშვილი – протоиерей. Проблемы христианизации Грузии (I-IV вв.).

რედ. М. Преображенская, Посвящается 85-летию со дня рождения и 40-летию со дня интронизации Католикоса-Патриарха всея Грузии, архиепископа Мцхета-Тбилиси и митрополита Пицунды и Цхум-Абхазии, Илии II; Публикуется с благословения Манглиско-Тетри-Цкаройского Митрополита, профессора Анания (Джапаридзе), „Технический университет“, Тбилиси, 2017, 194 გვ. ISBN 978-9941-20-178-3.

ქრისტიანობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში შემოვიდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. უმოკლეს დროში ის გახდა იბერიისა და კოლხეთის ოფიციალური რელიგია. თუმცა საქართველოს გაქრისტიანების პირველი საუკუნეების მოვლენები მაინც რჩება თეთრ ლაქად როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში. ავტორი ბოლო პერიოდში დაგროვილი მასალების საფუძველზე ცდილობს გაარკვიოს, კორექტირება მოახდინოს და მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.

ლევან მექოშვილი – მღვდელი. „საქართველო მეორედ მოსვლის წინ“: მითი და სინამდვილე.

რედ.: მ. ხითარიშვილი, ზ. ნაჭყებია; „პეტიტი“, თბილისი, 2009, 127 გვ. ISBN 978-9941-9029-6-3.

წიგნში საუბარია საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემების შესახებ.

ლექვეთქვეთილი საბა. მოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები აჭარაში.

„მწიგნობარი“, ბათუმი, 2001, 114 გვ. 200 ც. ISBN 99928-49-09-6.

ავტორი ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით გადმოგვცემს აჭარაში ქრისტიანობის გავრცელების, ასევე ბათუმისა და სხალთის ეპარქიაში იმჟამად მოქმედი ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

ლომინაძე ბაბილინა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX ს-მდე (1917 წ.). (ზოგადი მიმოხილვა).

რედ. დ. მელიქიშვილი, ქუთაისი, 1997, 46 გვ.

ნაშრომში საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის მიწათმფლობელი სუბიექტებისა და მათ მფლობელობაში არსებული მიწების შესახებ.

ლომინაძე ბაბილინა. საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. მელიქიშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის სასულიერო აკადემია, „ნეკერი“, თბილისი, 2010, 188 გვ. ISBN 978-9941-416-75-0.

ნაშრომში გაშუქებულია მცხეთის საპატრიარქო კათედრის – სვეტიცხოვლის ტაძრის მიწათმფლობელობა. კვლევა ემყარება გამოცემულ და გამოუქვეყნებელ საარქივო-სამუზეუმო დოკუმენტებს. ავტორი მიმართავს ანალოგიებს სხვა საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან.

ლომინაძე ბაბილინა. გელათი.

რედაქტორ-გამომცემელი დ. მელიქიშვილი, გამოიცა რუსთავის მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, ეძღვნება გელათის აკადემიის 900 წლისთავს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2014, 124 გვ, ISBN 978-9941-9422-7-3.

წიგნი არის ავტორის ნაშრომის „გელათის გზამკვლევი“ თანამედროვე გამოცემა, რომელშიც გათვალისწინებულია თვით ავტორის სამუშაო ხელნაწერი შენიშვნებიც, რომლებიც წინა გამოცემების ტექსტებს ერთვოდა.

ლომოური ნოდარ. ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში. მეორე, შევსებული გამოცემა.

რედ. გ. კობლატაძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, „სამშობლო“, თბილისი, 2009, 71 გვ. 500 ც. ISBN 978-99940-852-5-5.

ნაშრომში მეცნიერული კვლევის შედეგად დასაბუთებულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული საეკლესიო გადმოცემები.

ლორთქიფანიძე გრიგოლ. ფიქრები საქართველოზე.

რედაქტორ-შემდგენელი პ. სურგულაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995, 369 გვ. 1500 ც. ISBN 5-511-00536-3.

წიგნში ავტორის სხვადასხვა ნაშრომებთან ერთად შესულია წერილი „ეკლესიის ბრძოლა საქართველოსათვის“.

მამისთვალშიშვილი ელდარ. გორის ისტორია. წიგნი I. (1801 წლამდე).

რედ. ს. ხუციშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „მეცნიერება“, თბილისი, 1994, 383 გვ. 3000 ც. ISBN 5-520-01476-0.

წიგნში ვრცლად არის განხილული გორის ისტორიის სხვადასხვა მხარე, მათ შორის, გორში არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების ისტორია, (გვ. 285-297).

მამისთვალშიშვილი ელდარ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია. ქართული პერიოდი.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გორი, 2002, 125 გვ. ISBN 99928-896-2-4.

წიგნში ქართულ და უცხოურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი, თავმოყრილია დღეისათვის არსებული ან უკვე დაკარგული ფრესკებისა და წარწერების ფოტოპირები. ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზეა.

მამისთვალშიშვილი ელდარ. ქრისტეს კვართის ისტორია.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ლერი გამგებელის სახელობის სააქციო საზოგადოება „პირველი სტამბა“, თბილისი, 2003, 191 გვ.

1625 წელს შაჰ აბასის ელჩებმა, თითქოს საქართველოდან გატაცებული ქრისტეს კვართი მოსკოვში მიიტანეს და რუსეთის ხელმწიფეს და პატრიარქს მიართვეს. ამ საჩუქარმა სერიოზული ეჭვი გამოიწვია – იყო თუ არა იგი ნამდვილად ქრისტეს კვართი. სიძარტის დადგენის სურვილმა საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობას XVII საუკუნეში გარკვეული მიმართულება მისცა. ამ საკითხმა აქტუალობა არ დაკარგა XIX-XX საუკუნეებშიც. ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ქრისტეს კვართის ისტორიის დაწერა, ამ საკითხისადმი გამოთქმული სრულიად განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, დადგენა იმ უცილობელი ჭეშმარიტებისა, რომ ქრისტეს კვართი ყოველთვის მცხეთაში, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში განისვენებდა და იგი არასოდეს არავის ამოუღია და გაუტანია.

მამისთვალშიშვილი ელდარ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, „საარი“, გორი, 2014, 400 გვ. ISBN 978-9941-427-75-6.

წიგნი წარმოადგენს ავტორის ამავე სახელწოდების ნაშრომის მეორე გამოცემას. მასში ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი, შესულია დღეისათვის არსებული ან უკვე დაკარგული ფრესკებისა და წარწერების ფოტოპირები.

მამუკელაშვილი ელგუჯა, ბეჟიტაშვილი გიორგი. ალავერდელ-ცაგერელი მიტროპოლიტი გრიგოლ ცერცვაძე.

რედ. გ. კობლატაძე, „სვეტი“, თბილისი, 2011, 80 გვ. ISBN 978-9941-0-3153-3.

მდიდარი საარქივო მასალების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია კახეთში არსებულ საეპარქიო სავანეთაგან ალავერდის ეპარქიის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ალავერდის ეპარქიის ერთ-ერთი გამორჩეული მიტროპოლიტის – გრიგოლის (ცერცვაძე) მოღვაწეობა და ეპარქიის მღვდელმსახურთა ცხოვრებისეული გამოცდილება.

მამუკელაშვილი ვალერიან. სვეტიცხოველი.

რედ. ა. დიდებაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ინგლისურად თარგმნა ლ. ტყემელაშვილმა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, დაიბეჭდა შპს „ეტიკეტის“ სტამბაში, მცხეთა, 2004, 48 გვ.

წიგნში ქართულ და ინგლისურ ენებზე მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით გადმოცემულია სვეტიცხოვლის შექმნის ისტორია, მისი სახე და საკაცობრიო არსი.

მამულაია გიორგი. ქართლის ეკლესია V- VI საუკუნეებში.

რედ. ტ. ახალაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1992, 102 გვ. 1000 ც. ISBN 5-520-01313-6.

მონოგრაფიაში შესწავლილია V-VI საუკუნეების ქართლის ეკლესიის ისტორია. ისტორიოგრაფიაში აქამდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ წყაროთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხილულია ქართლის ეკლესიის ურთიერთობა ნესტორიანობასთან, მონოფიზიტობასთან და ქალკედონიტობასთან. ნაჩვენებია, რომ ხსენებულ პერიოდში ქართლის ეკლესია, მცირე გამონაკლისის გარდა (V ს-ის 20-40-იანი წლები), პრობიზანტიურ ორიენტაციას ემხრობოდა. ცალკე თავი ეძღვნება ქართლის ეკლესიის იერარქიული დამოუკიდებლობისა და ავტოკეფალიის საკითხს.

მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. ჯ. გამახარია, სარედაქციო საბჭო: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), დეკანოზი ბიძინა (გუნია), თ. მჟავია, ე. ბუბულაშვილი, შ. გოგოხია, თ. მიბჩუანი, მ. მირესაშვილი, ნ. ნათაძე, ზ. პაპასკირი, ს. საჯაია, ბ. ხორავა, დ. ჯოჯუა; თბილისი, 2005, 339 გვ.

კრებულში თავმოყრილია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

მარსაგიშვილი მანანა. წმ. ნინოს ეკლესია.

21 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის აღწერილი მთაწმინდის რაიონში მდებარე წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მდიდარი ისტორია, მისი ბედი საბჭოთა რეჟიმის პირობებში და თანამედროვეობა.

მარჯანიშვილი გიორგი. ჰერეთი.

ჰერეთის სერია, მთ. რედ. ბ. კუდავა, რედ. ი. მირიჯანაშვილი, „არტანუჯი“, თბილისი, 2005, 90 გვ. ISBN 99940-11-71-5.

ნარკვევი შეიცავს მასალას ისტორიული ჰერეთის შესახებ. ავტორი მიმოიხილავს იქ არსებულ კულტურულ ძეგლებს, გვაწვდის საინტერესო ისტორიულ მასალასა და ლეგენდებს. ნარკვევს ერთვის ძეგლების გეგმები და ჭრილები.

მაყვლოვანი.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა, გამოდის 2010 წლიდან სამ თვეში ერთხელ. მასში იბეჭდება მასალები, რომლებიც შეეხება საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

მაჩურიშვილი გიორგი. ალავერდის ეპარქია 1917-2007 წლებში.

რედ. ს. ვარდოსანიძე, „ალილო“, თბილისი, 2009, 240 გვ. ISBN 978-9941-0-1177-1.

ნაშრომი საარქივო მასალების საფუძველზე მოგვითხრობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უძველეს – ალავერდის ეპარქიის ისტორიას 1917-2007 წლებში.

მაჩურიშვილი გიორგი, ტოგონიძე ლუარსაბ. XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

რედ. დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე, „ალილო“, საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბილისი, 2012, 520 გვ. ISBN 978-9941-0-3648-4.

ნაშრომში ბევრი საგულისხმო მასალაა შეტანილი XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე თავდადებული სასულიერო პირების ცხოვრებასა და პატრიოტულ მოღვაწეობაზე, ბევრი მაგალითია იმისა, თუ რა ღირსეულად გადაიტანა მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ის დევნა-შევიწროება, რასაც მათ მიმართ ჰქონდა ადგილი სხვადასხვა წლებში.

მაჭარაშვილი ტრისტან. ჯრუჭის მონასტერი.

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, იბეჭდება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 42 გვ.

ნაშრომში წარმოჩენილია ზემო იმერეთში მდებარე ჯრუჭის მონასტრის დიდებული წარსული და დღევანდელი სავალალო მდგომარეობა. საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი

სასულიერო და კულტურული საგანმანათლებლო კერა 1991 წლის მიწისძვრამ ერთიანად დაანგრა.

მაჭარაშვილი ტრისტან. ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიიდან. (XI-XIV საუკუნეებში).

რედ. ნ. ასათიანი, თბილისი, 2009, 186 გვ.

წიგნში ასახულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამოკიდებულება რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI საუკუნიდან XIII საუკუნის პირველ მესამედამდე.

მაჭარაშვილი შოთა. თამარისის წმიდა თამარ მეფის სახელობის ეკლესია.

რედ. ნ. გუგუშვილი, „ივერია XXI“, თბილისი, 2012, 71 გვ.

წიგნში აღწერილია თამარისის წმიდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის ისტორია.

მგალობლიშვილი თამილა. ახალი იერუსალიმები საქართველოში.

რედ.: ჯ. ხოფერია, მ. ჯანჯალია; ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ინგლისური თარგმანი: ნ. მატარაძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, თბილისი, 2013, 101 გვ. ISBN 978-9941-0-5203-3.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წმ. ქალაქ იერუსალიმის ხატებათა შექმნა უკვე IV საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და მათ „ახალი იერუსალიმები“ ეწოდება. მათ შორის გამორჩეულია საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა და ასევე უძველეს ქართულ ისტორიულ პროვინცია ტაოში მდებარე ოთხთა ეკლესია. სწორედ ამ ქართულ „ახალ იერუსალიმებს“ ეძღვნება კრებული.

მელიქიშვილი დამანა. გელათი - „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“: გელათი—900.

გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2006, 45 გვ.

ნაშრომში საუბარია წმინდა ქალაქ მცხეთის, როგორც „სხუა ათინასა და ახალი იერუსალიმის“, მნიშვნელობაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

XX საუკუნის მოღვაწეები. გული ქრისტესთვის განმზადებული.

შემდგენელ-გამომცემელი დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე, თბილისი, 2007, 43 გვ. ISBN 978-99940-0-986-2.

წიგნი არის მცდელობა იმ მოღვაწეთა გახსენებისა, რომელთაც ტანჯვა-წამებისა და თავგანწირვის ფასად გადაარჩინეს მართლმადიდებლური სარწმუნოება, გაუძლეს სისხლიან რეჟიმს და არ დაუტევეს ღვთისმსახურება.

XX საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს.

შემდგენელ-გამომცემელი **დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე**, მასალები მოიძია ნ. მახარაძემ. კონსულტანტი ს. ვარდოსანიძე, დაბეჭდილია პოლიგრაფიულ ფირმა „პრინტ-ექსპრესში“, თბილისი, 2005, 99 გვ. ISBN 99940-0-496-4.

ნაშრომში შეკრებილია მასალები XX საუკუნის იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვას. მასალები აღებულია გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანი“-დან და სხვა სასულიერო და საერო გამოცემებიდან.

XX საუკუნის მოღვაწეები. მაშვრალნი და ტვირთმძიმენი.

შემდგენელ-გამომცემელი დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე, თბილისი, 2006, 26 გვ.

ბროშურაში შესულია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის იმ სასულიერო პირების სურათები და დაბადება-გარდაცვალების წლები, რომლებმაც თავი შესწირეს სარწმუნოების დაცვას.

XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. კონფერენციის მასალები.

რედ. ქ. პავლიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 195 გვ. ISBN 978-9941-12-353-3.

კრებული შეიცავს სხვადასხვა ავტორთა სტატიებს, რომლებიც წარმოდგენილ იქნა კონფერენციაზე.

მერკვილაძე დავით. ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო.

რედ. გ. ჯამბურია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „პირველი სტამბა“, თბილისი, 1996, 36 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ასურელ მამათა საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ერთ ნაწილს, სადაც განხილულია ასურელ მამებთან დაკავშირებული ქრონოლოგიური საკითხები.

მერკვილაძე დავით. ქართლის ოფიციალური რელიგია ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ფონზე.

რედ. გ. ჯამბურია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „ინტელექტის“ სტამბა, თბილისი, 1997, 23 გვ. 300 ც.

ნაშრომში ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ფონზე წარმოჩენილია ქართლის ეკლესიის დოგმატურ-რელიგიური მიმართულებანი მისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეპოქაში – VI ს-ში.

მერკვილაძე დავით. ასურელი მამები. VI ს-ის სირიელი სასულიერო მოღვაწენი საქართველოში. წიგნი I.

რედ. მ. ბახტაძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2006, 217 გვ. ISBN 99940-61-24-0.

გამოცემა წარმოადგენს ასურელი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი გამოკვლევის პირველ წიგნს. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ასურელ მამებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები: ქრონოლოგია, აღმსარებლობა, წარმოშობა, სახელები და რაოდენობა.

მესხი თამარ. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის სამეცნიერო ცენტრი, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2002, 223 გვ. ISBN 99928-0-338-X.

წიგნი ეხება თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემას – როგორი უნდა იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ეკუმენისტური მოძრაობის გაძლიერების პირობებში.

მესხი თამარ. სინა და საქართველო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რედ. მ. შანიძე, „ლოგოსი“, თბილისი, 2013, 240 გვ. ISBN 978-9941-437-40-3.

ნაშრომში შესულია ახალი ცნობები სინას მთის ქართული ეკლესიების შესახებ, ასევე განხილულია სინა-საქართველოს ურთიერთობები X-XX საუკუნეებში.

მეტრეველი როინ. დავით IV აღმაშენებელი.

რედ. ე. მესხი, „საბჭოთა საქართველო“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1990, 368 გვ. ISBN 5-529-01040-7.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული დავით აღმაშენებლის ეპოქა, ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის მნიშვნელოვან ისეთ მომენტებზე, როგორცაა დიდი გარდაქმნები ეკლესიაში და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება.

მეტრეველი როინ. 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი.

რედ. ზ. შეყილაძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია, დაიბეჭდა „საარში“, თბილისი, 2002, 34 გვ. ISBN 99928-39-65-1.

ნაშრომში გაშუქებულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარების წინაპირობები და აუცილებლობა.

მეტრეველი როინ. გელათი: მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა.

წინასიტყვაობა: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეძღვნება გელათის 900 წლისთავს, ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 60 გვ. ISBN 99940-55-30-5.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია გელათის ისტორია და მისი როლი საეკლესიო და საგანმანათლებლო საქმეში. წიგნს დართული აქვს მდიდარი ფოტომასალა.

მეტრეველი როინ. პატრიარქი – ერის სულიერი მამა.

რედ. ბ. კუდავა, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 91 გვ. ISBN 978-99940-59-96-6.

ნაშრომში ნაჩვენებია პატრიარქობის ისტორია ბიბლიური დროიდან დღემდე, განხილულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

მეტრეველი როინ. საქართველოს მეფეები და პატრიარქები.

რედ. ბ. კუდავა, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2010, 178 გვ. ISBN 978-9941-421-21-1.

წიგნში გამოკვლეულია შუა საუკუნეების საქართველოს ორი უმაღლესი რანგის მოღვაწის – მეფისა და პატრიარქის ურთიერთობა, სამეფო და პატრიარქის ინსტიტუტებთან დაკავშირებული საკითხები.

მზიანი ღამე.

საავტორო-სარედაქციო ჯგუფი: მ. ქურდიანი, ნ. ჭავჭავაძე, ლ. ტოგონიძე, დიზანი „ბენეფისი“; თარგმანი ინგლისურად: ც. ბოცვაძე, ნ. სანიკიძე; ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლის იუბილეს, საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2008, 79 გვ. ISBN 978-9941-0-0763-7.

წიგნში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოკლე ბიოგრაფია და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა.

მიხეიანი თეიმურაზ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია.

რედ. [ლ. სანიკიძე], საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX, X და XI კლასებისათვის, „რაეო“, თბილისი, 2003, 255 გვ. ISBN 99928-30-07-7.

წიგნში აღწერილია აფხაზეთში მდებარე ეკლესია-მონასტრების ისტორია.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. (მეცნიერთა წერილები მეუფე ანანიას ნაშრომების შესახებ).

საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, თბილისი, 2007, 225 გვ.

კრებულში შესულია ქართველი მეცნიერების წერილები მიტროპოლიტ ანანias (ჯაფარიძე) ნაშრომების შესახებ.

მონაზონი სერაფიმა. მოგონებანი დედა ფამარაზე.

რედ. ბ. კუდავა, მთარგმნელები: ზ. ტაბალუა, თ. გზირიშვილი; მეცნიერების აღორძინების ფონდი „ინტელექტი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1995, 31 გვ.

წიგნი მოგვითხრობს ცნობილი სასულიერო მოღვაწის, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის უფროსი დის – თამარ მარჯანიშვილის, სქემილუმენი დედა ფამარის (1869-1936) შესახებ, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში იყო რეპრესირებული. 1983 წელს საფრანგეთში, რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის კრებულში დაიბეჭდა მონაზონ სერაფიმას მოგონებები დედა ფამარაზე. წიგნი არის მისი ქართული თარგმანი მცირეოდენი შემოკლებით.

მრავალენობული ანტონ II – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 40, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 132 გვ. ISBN 978-9941-21-543-8.

წიგნში ასახულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მუმლაძე კარპე. ჩვენთან არს ღმერთი: როგორ განანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი.

რედ. მ. ასათიანი, „მერანი“, „პერგამენტი“, თბილისი, 1991, 81 გვ. 10000 ც.

წიგნი მოგვითხრობს 724-წლიანი წყვეტილობის შემდეგ რუსთავში მღვდელმსახურების აღდგენის თაობაზე.

მუშკუდიანი ქეთევან. იმერეთის ეპარქიის სამრევლო ეკლესიები. (საჩხერის საწინამძღვრო ოლქი, XIX ს. – XX ს-ის დასაწყისი).

რედ.: ე. ნადირაძე, ნ. ელიზბარაშვილი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, „მერიდიანი“, თბილისი, 2009, 182 გვ. ISBN 978-9941-10-170-0.

კრებული მოიცავს XIX ს-ის II ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის იმერეთის ეპარქიის საჩხერის საწინამძღვრო ოლქში შემავალი სამრევლო ეკლესიების, მათი კრებულისა და მრევლის აღწერებს, მონაცემებს სამრევლო სკოლებზე, ცნობებს ეკლესიების მშენებლობისა და შეკეთება-აღდგენის შესახებ, ასევე საკანცელარიო მიმოწერას: მიმართვებს, თხოვნებს, დადგენილებებს, ოქმებს, ანგარიშებს და სხვა.

მღებრიშვილი ალექსანდრე. მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში.

რედ. ს. სიგუა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017, 300 გვ. ISBN 978-9941-22-958-9.

მონოგრაფიაში განხილულია XX საუკუნის ცხინვალის რეგიონის სასულიერო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. წინა პლანზე გამოტანილია მღვდელ იროდიონ ოქროპირიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები.

მშვილდაძე მარია. ადრეული ქრისტიანობა საქართველოში.

რედ. გ. ლორთქიფანიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 157 გვ. ISBN 978-9941-12-443-3.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე, არქეოლოგიურ მასალასა და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ახ. წ. I-IV სს.-ის იბერიასა და კოლხეთში არსებული პოლიტიკური სიტუაცია დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა კონტექსტში. შესწავლილია ქრისტიანობის გავრცელების წინამძღვრები და გავრცელება საქართველოში, რელიგიის როლი ქვეყნის ორიენტაციის საკითხში.

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

ტექსტის და პროექტის ავტ. მონოზონი ანა (ნიაური), 2013, 39 გვ. ISBN 978-9941-0-5644-4.

წიგნი მოკლედ მოგვითხრობს მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ისტორიისა და დღევანდლობის შესახებ.

მწყემსი საქართველოსი: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

რედ. რ. მეტრეველი, საგამომცემლო ჯგუფი: ნ. ბაგაური, ე. ბაილოშვილი, ს. კობიაშვილი, ლ. სხირტლაძე, ა. ჯიქურიძე, ი. ხელაია; ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადებიდან მე-80, მღვდელმთავრობის 50-ე და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს; საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 190 გვ. ISBN 978-9941-421-96-9.

კრებულში თავმოყრილი მასალები ასახავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მჭედლიძე გიორგი, კეზევაძე მერაბ. ქუთაის-გაენათის ეპარქია. (ისტორია და თანამედროვეობა).

რედ. მ. ქურდიანი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გელათის მეცნიერებათა აკადემია, საგამომცემლო ცენტრი, შპს „ხომლი ენ“, ქუთაისი, 2008, 575 გვ. ISBN 978-9941-0-1468-0.

წიგნში არსებული წყაროებისა და ისტორიოგრაფიის სრული გათვალისწინებით, გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი (აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს მემკვიდრის) ეპარქიის ისტორია დაარსებიდან დღევანდლობამდე. განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: დასავლეთ საქართველოს

ეპარქიების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა, აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა, ეგრისში ქართული სალიტერატურო ენის გავრცელება და სხვა.

მჭედლიძე გულიკო. ფიტარეთის მონასტერი. (ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან).

რედ. გ. ოთხმეზური, დაიბეჭდა ბოლნელ ეპისკოპოს ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთხევით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „ფავორიტი“, თბილისი, 2009, 150 გვ. ISBN 978-99928-69-99-4.

მონოგრაფიაში სათანადო მასალების გაცნობის საფუძველზე შესწავლილია მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ფიტარეთის მონასტრის ისტორია და ამ სამონასტრო კორპორაციის მეურნეობა. ავტორი ცდილობს გაარკვიოს მონასტრის დაარსების თარიღი.

მჭედლიძე გულიკო. გუდარეხის მონასტერი. (ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან).

რედ. ვ. კიკნაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 140 გვ. ISBN 978-9941-12-822-6.

ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლში მდებარე გუდარეხის მონასტრის ისტორია. სათანადო საისტორიო წყაროების გაანალიზების საფუძველზე შესწავლილია გუდარეხის სამონასტრო სენიორიის მეურნეობა და მიწათმფლობელობის ფორმები.

ნადარაია ფაუსტ, ბიგვავა ზურაბ. მარტვილი.

რედ. მ. მაღლაკელიძე, გაზეთ „მარტვილის“ რედაქცია, შპს „ენციკლოპედია ქუთაისი“, ჭყონდიდი, 2009, 143 გვ. 500 ც. ISBN 978-9941-0-1528-1.

წიგნში გადმოცემულია მარტვილის რაიონში მდებარე ტაძრებისა და ჭყონდიდელ მღვდელმთავართა მოღვაწეობის ისტორია.

ნადირაძე ელდარ, ნადირაძე თებრო. უდაბნო საღვთოთ შემოკრებულთა: ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორიიდან.

რედ. ზ. თვალჭრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „ტრიადა“, თბილისი, 2001, 129 გვ. ISBN 99928-0-292-8.

ნაშრომში არსებული წყაროების განხილვის საფუძველზე აღწერილია ბერ-მონაზვნობის ისტორია საქართველოში.

ნათელი ქრისტესი. საქართველო. წიგნი I.

პროექტის ავტ. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, მთ. რედ. რ. მეტრეველი, მთ. კონსულტანტი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე; სარედაქციო საბჭო: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზი

ზაქარია მაჩიტაძე, დეკანოზი გიორგი საბიაშვილი, ზ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, ვ. ახალაძე, ნ. ბერძენიშვილი, ე. ბუბულაშვილი, ი. გორელიშვილი, ლ. დათაშვილი, რ. თვარაძე, მ. თოდუა, თ. კირთაძე, გ. კობლატაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მელიქიშვილი, დ. ნინიძე, რ. სირაძე, გრ. ფარულავა, ლ. ქაჯაია, ი. ჩომახაშვილი, ჯ. ხეცურიანი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, 960 გვ. ISBN 99940-20-84-6. კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა სტატიები, რომლებიც შეეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდან XX საუკუნემდე.

ნათელი ქრისტესი. საქართველო. წიგნი II.

პროექტის ავტ. და მთ. რედ. **ნესტან (ელისაბედ) კირთაძე**, მთ. კონსულტანტი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე; სარედაქციო საბჭო: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), ილუმენი ადამი (ახალაძე), დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, დეკანოზი გიორგი საბიაშვილი, ზ. აბაშიძე, ქ. აბაშიძე, გ. ავსაჯანიშვილი, ზ. ალექსიძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. გორელიშვილი, მ. დიდებულიძე, შ. თეთრუაშვილი, დ. თუმანიშვილი, გ. ინაშვილი, თ. კირთაძე, გ. კობლატაძე, დ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, ვ. სილოგავა, ლ. ტოგონიძე, გრ. ფარულავა, ლ. ქაჯაია; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 2006, 990 გვ. ISBN 99940-65-16-5.

კრებულში შესული სტატიები შეეხება საქართველოს ეკლესიის ღირსეულ წარმომადგენლებს – სასულიერო და საერო პირებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

ნათელი ქრისტესი. საქართველო. წიგნი III.

პროექტის ავტ. და მთ. რედ. **ნესტან (ელისაბედ) კირთაძე**, მთ. კონსულტანტი და რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე; მთ. კონსულტანტი მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი); სარედაქციო საბჭო: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა), მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე), დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, დეკანოზი გიორგი საბიაშვილი, ილუმენია ნინო (გრიგოლაძე), ზ. აბაშიძე, ქ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, მ. ანდრიაძე, ნ. ბურჭულაძე, ი. გორელიშვილი, მ. დიდებულიძე, ს. ვარდოსანიძე, შ. თეთრუაშვილი, დ. თუმანიშვილი, მ. ინასარიძე, გ. კალანდია, ი. კაპანაძე, მ. კაცაძე, ლ. კერესელიძე, თ. კირთაძე, ბ. კუდავა, თ. მგალობლიშვილი, დ. მელიქიშვილი, ლ. ჟვანია, ჯ. სამუშია, გ. სიამაშვილი, ლ. ტოგონიძე, ი. ჩომახაშვილი, მ. ჩხაიძე, ჯ. ხეცურიანი, ს. ჯანგულაშვილი, ლ. ჯეჯელავა; პროექტის გენერალური დირექტორი: გ. რობაქიძე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი; ივ. ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, დაიბეჭდა შპს „სეზანში“, თბილისი, 2007-2016, 1268 გვ. ISBN 978-9941-13-490-6.

სერიის მესამე წიგნში წარმოდგენილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ქრონოლოგიური რიგი ქრისტიანობის გავრცელებიდან დღემდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბიოგრაფიის ცალკეული მომენტები, მოგონებები, წერილები სასულიერო და საერო პირებისადმი, საქართველოს ეკლესიის ახალი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები. წიგნი გამდიდრებულია ფოტომასალით.

ნათმელაძე მაცვალა, დაუშვილი ალექსანდრე. საქართველოს უახლესი ისტორია. (1921-2000 წწ.).

რედ. ე. ხოშტარია-ბროსე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „მემატიანი“, თბილისი, 2004, 507 გვ. წიგნში ცალკე თავებადაა შესული „საეკლესიო ცხოვრება ომის პერიოდში“ (გვ. 251-254) და „რელიგიური პოლიტიკა. სასულიერო-საეკლესიო ცხოვრება“ (XX ს-ის 90-იან წლები, გვ. 454-459).

ნაომი ვაჭრიძე – მღვდელმონაზონი. მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე).

თბილისი, 2000, 34 გვ.

ბროშურაში თავმოყრილია ბიოგრაფიული მონაცემები და ავტორის პირადი მოგონებები მიტროპოლიტ გრიგოლის შესახებ.

ნიკაჭაძე ქეთევან. ტაბაკინის წმ. გიორგის სახელობის მონასტერი.

რედ. მ. კეზევაძე, იბეჭდება ცხუმ-აფხაზეთისა და მარგვეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, რედ. მ. კეზევაძე, მარგვეთის ეპარქია, 2003, 41 გვ.

ნაშრომში აღწერილია ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინში არსებული წმ. გიორგის ძლევის მონასტრის თანმიმდევრული ისტორია, შეძლებისდაგვარად თავმოყრილია ყველა ისტორიული მასალა, რომელიც დაკავშირებულია მონასტერთან.

ნიკოლაიშვილი ცირა, თავართქილაძე შალვა. სოფელი ბახვი.

რედ. ლ. ფრუიძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2003, 822 გვ. 500 ც. ISBN 99928-32-99-1.

წიგნში ასახულია სოფელ ბახვში გაბრიელ ქიქოძის მიერ აშენებული ეკლესიის მშენებლობისა და ბოლშევიკების მიერ მისი დანგრევის ისტორია.

ნიკოლეიშვილი ავთანდილ. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

რედ. ვ. ხარჩილავა, დაიბეჭდა ქუთაის-გაენათისა და ცაგერ-ლენჩხუმ-სვანეთის ეპარქიების მთავარეპისკოპოს კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „მერანი“, თბილისი, 1990, 124 გვ. 10000 ც.

წიგნში მოთხრობილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მღვდელმთავრისა და მამულიშვილის, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

ნიკოლეიშვილი მიხეილ. გელათი.

„ხელოვნება“, თბილისი, 1982, 51 გვ.

ნაშრომში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მოკლედ არის გადმოცემული გელათის მონასტრის ისტორია.

ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარი.

რედ. მ. ჩიკვილაძე, ნიკორწმინდის ეპარქია, 2007, 28 გვ.

ბროშურა გვაცნობს ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის მოკლე ისტორიას.

ნინიძე დავით. „ქართველთა მირონისა“ და ავტოკეფალიის საკითხისათვის. (ასცელნის ნაკვალევზე).

რედ. ა. გოგოლაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2005, 30 გვ. 150 ც. ISBN 99940-46-12-8.

ნაშრომში მოცემულია უცნობი ინფორმაცია „ქართველთა მირონისა“ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესახებ, რომელიც დაცულია რომის პაპის ინოკენტი IV-ის ელჩის, ასცელნის მისიის წევრის – სიმონ დე სენ-კვენტინის მიერ მონღოლებთან ელჩობის აღწერილობაში.

ოთარაშვილი ვაჟა. სამთავისი.

რედ.: გ. ოთარაშვილი, ლ. ოთარაშვილი; „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 2010, 16 გვ.

ბროშურაში აღწერილია კასპის რაიონში მდებარე სამთავისის ცნობილი ტაძრის აგების ისტორია, არქიტექტურული თავისებურებები, ცნობები ტაძრის ქტიტორებისა და არქიტექტორების, ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

ოთარაშვილი ვაჟა. კასპის ისტორია.

რედ. ვ. შუბითიძე, რედ.-კონსულტანტი ვ. გოილაძე, იბეჭდება მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე), მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი), მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავა), ეპისკოპოს დამიანეს (ხუფენია) ლოცვა-კურთხევით; „ლიტერატურა და ხელოვნება“, შპს „გაზეთ საქართველოს მაცნეს“ სტამბა, თბილისი, 2015, 352 გვ. ISBN 978-9941-0-7401-1.

მონოგრაფიაში აღწერილია ქ. კასპის, როგორც ანტიკური ქალაქის, წარმოშობის წინამძღვრები, გამოკვლეულია სახელწოდება „კასპის“ წარმომავლობა, სრულად არის აღწერილი ყველა ქრისტიანული ტაძარი და ეკლესია (როგორც არსებული, ისე - ნანგრევი), რომელიც ქ. კასპში და მის შემოგარენში მდებარეობს, ყველა წმინდანის ცხოვრება, რომელიც კასპთან და კასპის რაიონთან არის დაკავშირებული.

ონიანი მარინე, დოლონაძე თათია. ქუთაისის და მისი ახლო შემოგარენის ღირსშესანიშნაობები.

რედ. მ. კუბეცია, თარგმანი: ნ. მაღლაფერიძე, ნ. ტურაბელიძე; ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2009, 60 გვ. ISBN 978-9942-408-24-3.

წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზე გვაწვდის მოკლე ცნობებს ქუთაისსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში.

რედ. თ. ბოცვაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1995, 252 გვ. 1000 ც.

ნაშრომში განხილულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, ქართველი სამღვდელთა ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ საკითხთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაკავშირება.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში.

რედ.: ო. ჟორდანიას, გ. აფრიდონიძე; თსუ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „გიორგი აფრიდონიძე“, თბილისი, 2000, 300 ც.

მონოგრაფიაში სხვადასხვა საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილია ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა 1917-1921 წლებში.

პავლიაშვილი ქეთევან. საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში.

რედ.: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ო. ჟორდანიას; იბეჭდება ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, „დანი“, თბილისი, 2008, 486 გვ. მონოგრაფიაში ასახულია საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო შემოიფარგლება ადრეფეოდალური ხანიდან საბჭოთა ეპოქის ჩათვლით. გადმოცემულია ყველა იმ საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის ისტორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდებში.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. (1800-1945). ნაწილი I. (სახელმძღვანელო სასულიერო აკადემიისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის).

წიგნი დაიწერა და გამოიცა მანგლელ-წალკელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 552 გვ.

სახელმძღვანელოში საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ფონზე გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობის რთული გზა, რომელიც განვითარდა რამოდენიმე სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმათა პირობებში. იგი მოიცავს მეფის რუსეთის, რუსეთის „დროებითი მთავრობისა“ და საბჭოთა წყობილების ეპოქებში საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში განვითარებულ მოვლენებს. განკუთვნილია სასულიერო აკადემიის სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

პაპუაშვილი ნუგზარ. საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის.

გამომცემელი და რედაქტორი: დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, თბილისი, 1996, 32 გვ.

აღნიშნული პერიოდი ისტორიის დრამატული ფურცელია. მისი წნეხი მძიმედ დააწვა საქართველოს ეკლესიას. ომმა, რევოლუციამ და დევნილებამ გამოაჩინა დაფარული, სადაც ავი და კარგი, ღალატი და ძმობა, რწმენა და ცრურწმენა, მეცნიერება და უმეცრება, პროგრესი და რეგრესი ერთმანეთს გადაწვნიდა. ესაა ეპოქის არსი და, ავტორის ფიქრით, იგი დღეს მხოლოდ გახსნილი გონებით, დინჯი მსჯელობით და შემწყნარებლობით შეიმეცნება.

Papuaashvili Nugzar. Auf der jungsten vergangenheit der georgischen orthodoxen kirche.

რედ. Reinhold Rieger, „Universal“, Tiflis, 2012, 148 გვ. ISBN 978-9941-17-624-1.

წიგნში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახლო წარსულიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი – ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, კორნელი კეკელიძე 1917 წლის საკათალიკოსო საბჭოზე, ავტოკეფალიის განახლება და რეფორმები. წიგნი გერმანულ ენაზეა გამოცემული.

პაპუაშვილი ნუგზარ. სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე.

ზურაბ კიკნაძის რედაქციით და წინასიტყვაობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 144 გვ. ISBN 978-9941-0-5614-7.

წიგნში განხილულია მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ამჟამად არსებული პრობლემები საკუთრების საკითხზე. მთავარი ადგილი დათმობილი აქვს გორის ეკლესიის ისტორიას.

პატრიარქი. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

პროექტის ავტორი და შემდგენელი სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივის ხელმძღვანელი მზია კაცაძე, რედ. დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, კონსულტანტი სერგო ვარდოსანიძე, წიგნზე მუშაობდნენ: ნ. წურწუშია, ნ. შიოლაშვილი; თარგმანი ინგლისურ ენაზე: მ. ახვლედიანი, ლ. ჯონაძე; წიგნი რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, დეპარტამენტის თავმჯდომარე ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), OJSC „Yantarny Skaz“, რუსეთი, კალინინგრადი, 507 გვ. 1000 ც. წიგნში გამოყენებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ეპისტოლეები, ქადაგებები, სიტყვები და საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული ფოტომასალა.

ყვანია ზვიად. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან.

რედ. ე. თავბერიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „მოწამეთა“, ქუთაისი, 1994, 109 გვ. 2000 ც.

წიგნში XX საუკუნის საეკლესიო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა განხილული, მოკლედ და მოთხრობილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განვლილი გზა, დახასიათებულია ეპარქიები და მათი მმართველები.

რატიანი შალვა. ფილადელფოს კიკნაძე.

რედ. მ. კუპრეიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 2009, 70 გვ. ISBN 978-9941-0-1473-4.

მონოგრაფიული ნარკვევი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და იდეოლოგის, ბერ-მონაზონ ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლის პირველი მცდელობაა.

რაფაელ კარელინი – არქიმანდრიტი. ტრაგიკული შეცდომა, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს. I და II წერილი.

თბილისი, 1997, 12 გვ.

წერილებში გამოცემულია ავტორის აზრი და შეხედულება იმდროინდელ საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე.

რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას? ათონის წმინდა მთის მონასტერთა საერთო წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

თბილისი, 1997, 20 გვ.

წერილში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი და დაგმობილია ეკლესიაში განხეთქილების შეტანის ყოველგვარი მცდელობა.

რელიგია.

სამეცნიერო-სადღვთისმეტყველო ჟურნალი, დაარსდა 1992 წელს ვიქტორ რცხილაძის თაოსნობით. ამჟამად ჟურნალის რედაქტორია მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი). გამოცემაში იბეჭდება მასალები, რომლებიც შეეხება ღვთისმეტყველებას, საქართველოს ეკლესიის ისტორიას და რელიგიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

რეხვიაშვილი მიხეილ. იმერეთი XVIII საუკუნეში. (ნარკვევები).

რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982, 351 გვ. 10000 ც.

წიგნში შესულია დასავლეთ საქართველოს 1759 წლის საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრებასთან დაკავშირებული მასალები.

რიბაკოვი ანტონ. „კეისრის საბრძანებლოში“: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსისა და სტრუქტურის პრობლემა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ. (XIX საუკუნის პირველი ნახევარი).

რედ. რ. მეტრეველი, ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო გ. ჟუჟუნაშვილმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი, დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში, თბილისი, 2015, 71 გვ. ISBN 978-9941-13-402-9.

ანტონ რიბაკოვის ნაშრომი ეძღვნება საქართველო-რუსეთის საეკლესიო ურთიერთობის საკითხების კვლევას. ეს არის შეხედულება თანამედროვე რუსი ისტორიკოსისა, რომელიც დიდი ხანია იკვლევს ქართული და რუსული საეკლესიო ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

როგავა გივი. როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში. (XX საუკუნის 20-30-იანი წლები).

რედ. ო. გაბიძაშვილი, თსუ-ს სოხუმის ფილიალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, 140 გვ. 500 ც. ISBN 5-511-00625-4.

მონოგრაფიაში მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კრიტიკულად არის განხილული საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა რელიგიისა და ეკლესიის მიმართ XX ს-ის 20-30-იან წლებში, ნაჩვენებია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ისლამის წინააღმდეგ არა მარტო იდეოლოგიური, არამედ პოლიტიკური ბრძოლის მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, მბრძანებლური მეთოდებით „მასობრივი ათეიზმის“ ცხოვრებაში დანერგვის მანკიერი პრაქტიკა.

როგავა გივი. საქართველოს ეკლესიის ისტორია. (ლექციების კურსი).

რედ. ო. გაბიძაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, „სამშობლო“, თბილისი, 1996, 351 გვ.

წიგნში საარქივო წყაროების ანალიზისა და არსებული ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე განხილულია თექვსმეტსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის განვითარების ძირითადი ეტაპები, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების, ორგანიზაციული განმტკიცების, მისი ავტოკეფალურად ჩამოყალიბების პროცესი, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა დიქტატურის პირობებში.

როგავა გივი. ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში. (1801-1917 წწ.).

რედ. ო. ჟორდანიას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1997, 240 გვ.

მონოგრაფიაში საარქივო დოკუმენტებისა და სათანადო ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რეორგანიზაცია, რუსი შოვინისტი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიისა და კულტურის წინააღმდეგ, ქართველი მისიონერების მოღვაწეობა და რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში, ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის და მისი აღდგენა და სხვ.

როგავა გივი. რელიგია და ეკლესია საქართველოში. (დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის).

რედ. ო. გაბიაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მერანი-3“, თბილისი, 2000, 159 გვ.

წიგნში განხილულია თექვსმეტსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი ეტაპები, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების, ეკლესიის ორგანიზაციული განმტკიცების, მისი ავტოკეფალურად ჩამოყალიბების პროცესი, ეკლესიამონასტრების როლი ქართული კულტურის განვითარებაში, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

როგავა გივი. რელიგია და ეკლესია საქართველოში. (XIX-XX სს.).

რედ.: შ. მისაბიშვილი, თ. მიბჩუანი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, „პაპირუსი“, თბილისი, 2002, 503 გვ.

მონოგრაფიაში მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტებისა და სათანადო ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რეორგანიზაცია, რუსი შოვინისტი სამღვდელოების ბრძოლა ქართული კულტურის წინააღმდეგ, ქართველი მისიონერების მოღვაწეობა და რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში, ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის და მისი აღდგენა, არამართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისა და სექტების საქმიანობა საქართველოში.

როგავა გივი. რელიგია და ეკლესია აფხაზეთში.

რედ. თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2004, 212 გვ.

ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში განხილულია აფხაზეთა რელიგიური შეხედულებების განვითარების ძირითადი ეტაპები, გაანალიზებულია აფხაზეთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების პროცესი, აფხაზეთა საკათალიკოსოს შექმნის მიზეზები და მისი ფუნქციონირების ისტორიული პირობები, აფხაზეთა კვლავ გაწარმართება და ისლამის მიერ ქრისტიანობის დასუსტება XVI-XVIII საუკუნეებში, XIX ს-ში ქრისტიანობის აღდგენა, რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

როგავა გივი. რელიგია და ეკლესია აფხაზებში.

რედ. კ. შელია, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, „უნივერსალი“, თბილისი, 2007, 212 გვ. ISBN 978-9941-12-102-9.

ნაშრომი არის ავტორის მიერ 2004 წელს გამოცემული ამავე სახელწოდების წიგნის მეორე გამოცემა.

როსტომაშვილი ნინო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე).

რედ. დ. ჭუმბურიძე, „უნივერსალი“, „თაგალი“, თბილისი, 2009, 199 გვ. ISBN 978-9941-01604-0-2.

წიგნში გადმოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

სალუაშვილი მიხეილ (გელა). მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხისათვის.

თბილისი, 2012, 19 გვ.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და სახელმწიფოს ეკლესიისადმი დამოკიდებულების საკითხები. ასევე განხილულია სახელმწიფოს ეკლესიისადმი დამოკიდებულების მაგალითები ზოგიერთ ქვეყანაში.

სალუაშვილი საბა. I. ქრისტეს მოციქულები და საქართველო ანუ ქრისტიანობის გავრცელების სათავეების საისტორიო ძიებანი; II. ქრისტეშობიდან საქართველოს გაქრისტიანებამდელი დროის სამი პირობითი ნიშანსვეტი.

თბილისი, 2009, 27 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

სალუაშვილი საბა. ქართლის მოქცევის თარიღი: 328 წლის 20 ივლისი.

თბილისი, 2010, 63 გვ.

წიგნში წარმოდგენილია გამოკვლევა, რომელიც ეხება ქართლის გაქრისტიანების თარიღს. ასევე სხვადასხვა მეცნიერების რეცენზიები ავტორის მონოგრაფიაზე: „ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული საისტორიო ძიებანი“.

სალუაშვილი საბა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აგების დროითი მიჯნები.

თბილისი, 2010, 15 გვ.

ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს, დაადგინოს სვეტიცხოვლის ტაძრის აგების თარიღი.

სალუაშვილი საბა. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებული სომხური წყაროების ზოგიერთი მინიშნებანი.

თბილისი, 2011, 51 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია ის სომხური წყაროები, რომლებიც ეხება ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს.

სალუაშვილი საბა. ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი მე-16 საუკუნის სამი უნიკალური დოკუმენტი.

თბილისი, 2011, 19 გვ.

ბროშურაში შესულია სამი დოკუმენტი: 1588 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის მეფის თევდორესადმი მიწერილი ეპისტოლე; 1589 წელს ალექსანდრე II-სა და რუსეთის ელჩებს შორის შემდგარი საუბრის ამსახველი წერილი; 1590 წელს ალექსანდრე II-ის მიერ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ იობისადმი მიწერილი ეპისტოლე.

სალუაშვილი საბა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავართა ტიტულატურისა და მათი მონაცვლეობის საკითხისათვის.

თბილისი, 2011, 32 გვ.

ბროშურაში განხილულია ქართველ მღვდელმთავართა ტიტულატურის საკითხი, ასევე მოცემულია საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა სია ქრისტიანობის გავრცელებიდან დღემდე.

სამუშია ჯაბა. ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი. (1988-2004 წწ.).

მეცნ. რედ. რ. მეტრეველი. რედ.: მ. ინასარიძე, ზ. ნაჭყებია; საქართველოს საპატრიარქო, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010, 396 გვ. ISBN 978-9941-9139-4-5.

წიგნი ვრცლად მოგვითხრობს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

საპატრიარქოს უწყებანი.

საქართველოს საპატრიარქოს საინფორმაციო სამსახურის ყოველკვირეული გამოცემა, რომელშიც იბეჭდება საქართველოსა და მსოფლიო საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ეპიზოდები, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტერთა ისტორიები, გამოჩენილ სასულიერო პირთა ბიოგრაფიები, ქადაგებები, სწავლანი და სხვ. გამოიცემა 1999 წლიდან.

საქართველო და ქრისტიანობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. ნ. მინდაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2001, 138 გვ.

კრებული შეიცავს ავტორთა სტატიებს, რომლებიც წარდგენილ იქნა აღნიშნულ კონფერენციაზე.

საქართველო და ქრისტიანობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. ნ. ჟღენტაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 215 გვ. ISBN 978-9941-10-460-2.

კრებულში შესულია სხვადასხვა ავტორთა მიერ კონფერენციაზე წარდგენილი სტატიები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, მცხეთა, სვეტიცხოველი, 1997, 40 გვ. 1000 ც.

დებულება მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს.

საქართველოს ეკლესია გუშინ, დღეს. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. ა. არველაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 100 გვ.

კრებულში შესულია კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომები.

საქართველოს ეკლესიის 1905 წლის რეორგანიზაციის პროექტი.

გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ვაშაყმაძემ, რედ. ვ. სილოგავა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ნეკერი“, თბილისი, 2010, 24 გვ. ISBN 978-9941-416-28-6.

ბროშურაში წარმოდგენილია ახალი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – საქართველოს ეკლესიის 1905 წლის „რეორგანიზაციის პროექტი“, რომელშიც აისახა, ერთი მხრივ, XX საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით სამღვდელოების, თავდადებული მისწრაფება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისაკენ და, მეორე მხრივ, ამ აღდგენის იურიდიული გაფორმების მაღალი სამართლებრივი კულტურა.

საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია.

ხელით ნაბეჭდი, ავტორი და გამომცემის წელი მითითებული არ არის, 15 გვ.

ნაშრომში მოკლედ არის აღწერილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია გავრცელებიდან 1979 წლამდე.

საქართველოს იმედი.

გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემული წიგნების სერია, რომელიც მოიცავს „საქართველოს იმედის“ ხატზე გამოსახული ყველა (270-მდე) წმინდანის ცხოვრებასა და ღვაწლს ქრისტიანობის ისტორიაში, თბილისი, 2012-2016.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები.

რედ. რ. მეტრეველი, „ნეკერი“, თბილისი, 2000, 219 გვ. ISBN 99928-58-20-6.

არსებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გათვალისწინებით, წიგნში მოცემულია ქართლის, სრულიად საქართველოს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქთა ქრონოლოგიური რიგი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები. (1917 წლის 13 მარტი – 14 სექტემბერი).

რედ.: ზ. აბაშიძე, ს. ვარდოსანიძე; გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა: ნინო შიოლაშვილმა და ირინა აბულაძემ, ეძღვნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრიარქად აღსაყდრების 40 წლის საიუბილეო თარიღებს, „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 427 გვ. ISBN 978-9941-25-223-5.

წიგნი დაწვრილებით აშუქებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ დროებითი მმართველობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მასში საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მრავალი ფაქტია წარმოდგენილი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი.

ჟურნალი „ორნატი“, №1, მთ. რედ. გ. გუგუშვილი, საქართველოს საპატრიარქო, ნიკორწმინდის ეპარქიის საღვთისმეტყველო სამეცნიერო გამოცემა, ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა შპს „ორნატში“, 2003, 70 გვ. ISBN 99928-0-525-0.

ჟურნალში მოცემულია მოკლე ინფორმაცია XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ეკლესიაში არსებული 31-ვე ეპარქიის შესახებ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინება. (საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნები).

საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1999, 47 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 1998 წლის 8 ოქტომბრის სხდომის განჩინება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნები მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. 1917 წ. 12/25 მარტი.

გამოსაცემად მოამზადა ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 16 გვ. ISBN 99940-0-185-X.

ბროშურაში წარმოდგენილია 1917 წლის 12/25 მარტს მიღებული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის სრული ტექსტი, რომელიც წაკითხულ იქნა მცხეთის სვეტიცხოვლის საკათოლიკოსო ტაძარში.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. რ. მეტრეველი, შემდგ. ვ. გურული, კონფერენცია ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2010, 139 გვ. ISBN 978-9941-9145-2-2.

კრებულში შესული მასალების უმეტესობა ეხება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

საყვარელიძე თეიმურაზ. ბოლნისის სიონი.

რედ.: ც. ნიკურაძე, ა. პანდელია; „ხელოვნება“, თბილისი, 1983, 30 გვ. 20000 ც.

ნაშრომში აღწერილია ბოლნისის სიონის ტაძრის ისტორია და არქიტექტურა ქართულ და რუსულ ენებზე.

სვეტიცხოველი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, რომელშიც იბეჭდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევები. გამოდის 2009 წლიდან.

სვეტიცხოველი: სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.

რედ. მ. ყიფშიძე, ტექსტის ავტორები: არქიმანდრიტი ისააკი (ღაღუა), მ. სურგულაძე, ვ. გურული, ს. ვარდოსანიძე, ე. ბუბულაშვილი, გ. ოთხმეზური, ლ. ხაჩიძე, ნ. ზაზუნაშვილი, დ. ხოშტარია, გ. პატაშური, ნ. ჩიხლაძე; შპს „ექსკლუზივ პრინტ“, დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტი“. თბილისი, 2015, 301 გვ.

წიგნი-ალბომი გვაწვდის დიდი მოცულობის ინფორმაციას სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ისტორიის, არქიტექტურის, აღმშენებლობითი სამუშაოების, მასში დაცული სიწმინდეების შესახებ.

სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 11-13 ოქტომბერი, 1995.

კონფერენცია ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რედ. გ. ჯაფარიძე, ინგლისური ტექსტი: ა. ჭანტურია, „წმინდა ნინო“, თბილისი, 1998, 482 გვ. ISBN 99928-10-00-9.

კონფერენციის მასალების ნაწილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას.

სილოგავა ვალერი. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი.

რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ნეკერი“, თბილისი, 2003, 192 გვ.

წიგნში წარმოდგენილია შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილი მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტოპუბლიკაცია ტექსტთან ერთად, გამოკვლევებითა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატით. ანდერძის დედანი დაიწვა 1919 წელს. 1973 წელს აღმოჩნდა მისი ფოტონეგატივი, გადაღებული 1895 წელს, რომელიც ქვეყნდება წიგნში.

სილოგავა ვალერი. ოშკი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მესხეთის ფილიალი, „ნეკერი“, თბილისი, 2006, 377 გვ. ISBN 99940-890-6-4.

წიგნი ეძღვნება X საუკუნის ოშკის ტაძარს, გადმოცემულია მისი ისტორია, ინფორმაცია იქ დაკრძალული პირების შესახებ. წიგნი ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზეა.

სინაურიძე ამირან-ლაზარე. მიმყვანელთ ჩვენდა ცნობად კეთილისა.

რედ. თ. მამაცაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 431 გვ. ISBN 978-9941-0-8683-0.

წიგნში აღწერილია წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) მოძღვრის – წმ. ეპისკოპოს ალექსანდრესა (ოქროპირიძე) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოძღვრის – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ევრემ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სინარულიძე იური. ბახმაროს ფერიცვალების ეკლესია.

რედ. ზ. სინარულიძე, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1998, 69 გვ. 1000 ც.

წიგნში შესულია ბახმაროს ეკლესიის მშენებლობის ისტორია, საზეიმო გახსნა, ტაძრის აღწერილობა.

სინარულიძე იური. ჯვარცმის მაცხოვრის ეკლესია.

რედ. ზ. სინარულიძე, თბილისი, 2002, 35 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვაზიანში (ძველი ზემო ჯვარცმა) მდებარე, თანამედროვე პერიოდში აგებული ქართული ტაძრის – ჯვარცმის მაცხოვრის ეკლესიის – მშენებლობის ისტორია და აღწერილობა.

სომხეთი – მტერი თუ მოყვარე ანუ რატომ იჩემებენ სომხები 650 ეკლესიას.

წიგნზე მუშაობდნენ: ავთ. უნგიაძე და მ. ბერიძე; რედ.: მ. ბელთაძე, გ. ჩხაიძე; წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი, დაიბეჭდა შპს „ფავორიტში“, თბილისი, 2006, 391 გვ. ISBN 99940-53-06-X.

წიგნში განხილულია ქართულ-სომხური ურთიერთობის ძირითადი საკითხები: სომეხთა საქართველოში გადმოსახლება, ქართველთა გასომხება, სომხების მიერ მართლმადიდებლური ტაძრების მიტაცება. თავმოყრილია 2005 წელს თბილისში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, რომლის თემა იყო სომხების მოთხოვნა, საქართველოს ეკლესიამ „დაუბრუნოს“ სომხეთის ეკლესიას 600-ზე მეტი ეკლესია-ნაგებობა. გამოქვეყნებულია 1995 წელს ერევანში გამოცემული რუკა-ცნობარი, რომლის მიხედვითაც 650 ეკლესია სომხურადაა წარმოდგენილი.

სონღულაშვილი ნატო. ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა. 1900-1921.

რედ. მ. ჩხარტიშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2013, 271 გვ. ISBN 978-9941-22-221-4.

ნაშრომი ეძღვნება ქართული ეროვნული იდენტობის პრობლემას, კერძოდ, როგორია ქართული ერთიანი იდენტობრივი აღქმები ეპოქასთან მიმართებაში და როგორ ხვდება დროის ახალ მოთხოვნებს სხვადასხვა სოციალური ფენა თუ ჯგუფი, მათ შორის, სამღვდელთა.

სოსიაშვილი გიორგი. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში. (XX საუკუნის 20-იანი წლები).

თბილისი, 2013, 572 გვ.

ნაშრომში გაანალიზებულია გორის რაიონულ არქივში ავტორის მიერ მოძიებული დოკუმენტები, რაც მკითხველს ობიექტურ ინფორმაციას აწვდის როგორც XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური კონფესიების, ასევე შიდა ქართლის (გორის მაზრა) ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

სოსიაშვილი გიორგი. შიდა ქართლის ისტორიის საკითხები.

რედ. ე. მამისთვალიშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2013, 243 გვ. ISBN 978-9941-22-087-6.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ ბოლო პერიოდში სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება: „კიდევ ერთი უცნობი დოკუმენტი შიდა ქართლის რელიგიური ცხოვრების შესახებ“, „ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან“.

სოსიაშვილი გიორგი. მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში.

რედ.: ე. მამისთვალიშვილი, ს. ვარლოსანიძე; „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 149 გვ. ISBN 978-9941-22-431-7.

ნაშრომში საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შესწავლილია XX საუკუნის I მეოთხედში, ბოლშევიკური ტერორის პირობებში, მართლმადიდებელი ეკლესიისა და რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა შიდა ქართლში.

სპანდერაშვილი როლანდ. 1905 წლის 28-31 მაისს გამართული ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა.

რედ. ქ. პავლიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 195 გვ. ISBN 978-9941-12-353-3.

ნარკვევში განხილულია 1905 წელს გამართული ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა, რომელმაც ოფიციალურად მიმართა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები 1917-1927 წწ.-ში, წერილები, ილიას ბიბლიოთეკა. 3.

წინასიტყვაობა ლევან გიგინეიშვილის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2010, 60 გვ. ISBN 978-9941-18-000-2.

კრებულში თავმოყრილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონ II-ის (საძაგლიშვილი), ლეონიდეს (ოქროპირიძე) და ამბროსის (ხელაია) წერილები და სიტყვები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა (პირადი არქივების აღწერილობა, წიგნი 3).

შეადგინეს მიხეილ ქავთარიამ, მილენა მეტრეველმა და ირმა ხოსიტაშვილმა; რედ. მ. ქავთარია, სერიის მთ. რედ. ბ. კუდავა, იბეჭდება ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსი ხელაიას დაბადებიდან 150 წლის იუბილეს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შპს „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011, 101 გვ. ISBN 978-9941-9091-8-4.

წიგნში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ბიოგრაფია, ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა მისი ცხოვრების შესახებ, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, ნაშრომების არქივის აღწერილობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის ბიო-ბიბლიოგრაფია პერიოდულ გამოცემებში. (1977-2007).

რედ. მამა თეიმურაზი (თათარაშვილი – უიარალო), წიგნი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. პროექტის, მაკეტის, ყდის ავტორები და შემდგენელი: ნანა კაჩუხაშვილი, ნატო ფურცელაძე. კონსულტანტი: ეროვნული ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ბიბლიოგრაფი [დ. პაპუაშვილი], საქართველოს საპატრიარქო ბიბლიოთეკა, „აკადემიური წიგნი“, შპს „არტლაინსი“, თბილისი, 2013, 288 გვ. წიგნში შესულია კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ შედგენილი ლოცვები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი თარიღები, მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით გამოცემული ნაშრომების ბიბლიოგრაფია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 35, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 173 გვ. ISBN 978-9941-21-447-9.

წიგნში გადმოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, წმიდა კირიონ II-ის (სამაგლიშვილი) ცხოვრება და ღვაწლი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე. (1918-1921 წწ.). წერილი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ.

გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ და ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 12 გვ. ISBN 99940-0-532-4.

ბროშურაში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ლეონიდეს (ოქროპირიძე) მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და წერილი, რომელშიც გამოთქმულია კათოლიკოს-პატრიარქის მოსაზრება ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის თაობაზე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

შემდგენელი როინ მეტრეველი. რედ.: ნ. გიოშვილი, მ. ინასარიძე; კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, აკადემიის საპატიო აკადემიკოსს, აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2007, 231 გვ. ISBN 978-9941-9018-0-5.

კრებულში შესულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და საზოგადოების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების მილოცვები და მოგონებები პატრიარქთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია და ცნობები არსებული ეპარქიების შესახებ.

სტეფანაძე ჯემალ. რელიგიის როლი საქართველოს საგარეო ორიენტაციაში.

რედ. გ. გიორგაძე, თბილისი, 2001, 139 გვ.

ნაშრომში კონკრეტული ისტორიული მასალის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს (ერთიანი თუ ცალკეულ სამეფოებად დაშლილის) მესვეურთა რელიგიური კუთვნილების როლი ქვეყნის საგარეო ორიენტაციაში. განხილულია იმის მაგალითები, როგორ ხდებოდა ამა თუ იმ მეფის სარწმუნოების შეცვლასთან ერთად პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაც.

სურგულაძე მზია. „მცხეთის სახლი“.

რედ. ზ. აბაშიძე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2016, 251 გვ. ISBN 978-9941-22-768-4.

ნაშრომი ეძღვნება მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიას – „მცხეთის სახლს“, როგორც მას უწოდებდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. მცხეთის სახლი წარმართავდა არა მხოლოდ ეპარქიის საქმიანობას, არამედ განსაზღვრავდა საეკლესიო პოლიტიკას, მონაწილეობას იღებდა ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ამოცანების გადაჭრაში. ნაშრომში წარმოდგენილია საკათალიკოსო ეპარქიის ისტორიულად განვლილი გზის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მისი დაარსებიდან გაუქმებამდე XIX საუკუნის 10-იან წლებში.

სურმანიძე რამაზ. თეთროსანი.

რედ. შ. მუშლაძე, „ალიონი“, ბათუმი, 2007, 131 გვ. 300 ც. ISBN 929-28-43-75-6.

წიგნში შესულია წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიების ჩამონათვალი მე-16-19 საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით (გვ. 10-12).

სხირტლაძე ზაზა. ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში.

რედ. ზ. ალექსიძე, გარეჯის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000, 134 გვ. ISBN 99928-73-03-9.

წიგნი ივრისპირა გარეჯის ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტრის – ქოლაგირის მთავარ ტაძარში შემორჩენილ ისტორიულ პირთა პორტრეტებს ეძღვნება. პორტრეტთა იდენტიფიკაციისას ფრაგმენტულად შემონახულ განმარტებით წარწერებში აღბეჭდილ რეალებთან ერთად გათვალისწინებულია საისტორიო წყაროების მონაცემები, XII-XIII სს.-ების საქართველოს პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების აღმოსავლეთი მხარის ისტორია.

სხირტლაძე ზაზა (იზოლდა ჭიჭინაძის მონაწილეობით). სორის ეკლესია.

„სეზანი“, თბილისი, 2009, 60 გვ. 1000 ც. ISBN 978-9941-416-20-0.

წიგნში გადმოცემულია რაჭაში, სოფელ სორში მდებარე „უგუმბათო მონასტრის“ ისტორია, ცნობები მისი მხატვრობის, წარწერებისა და სიძველეების შესახებ. ნაშრომი გამდიდრებულია ფოტომასალით.

ტაბიძე ნოდარ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე.

რედ. ი. ჭუმბურიძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 67 გვ. ISBN 978-9941-12-290-0.

ნაშრომში გადმოცემულია 1932-52 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

ტარყაშვილი ნინო. საქართველოს მეფე წმინდანები.

რედ. კ. ჩოლოყაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 36 გვ. ISBN 99940-0-523-5.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული ქართველი წმინდანი მეფეების ცხოვრება. 2004 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ წიგნი დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის.

Тархнишвили М. В. Грузинская Православная Церковь.

Издание Московской Патриархии, по благославлению Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II, 1983, 32 гв.

ბუკლეტში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ტბელობა – 2008.

ტბელობა – 2009.

რედ.: დ. მელიქიშვილი და სხვ.; იბეჭდება სხალთის ეპისკოპოს სპირიდონის (აბულაძე) ლოცვა-კურთხევით, სხალთის ეპარქია, „სეზანი“.

კრებულებში თავმოყრილია 2008 და 2009 წლებში გამართული კონფერენციების მასალები, რომლებიც საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება.

ტიგინაშვილი გიორგი. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II და ქართული საზოგადოება.

რედ. ს. ვარდოსანიძე, იბეჭდება ბოლნისის ეპისკოპოს ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთხევით, „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011, 112 გვ.

ნაშრომში წარმოჩენილია წმიდა კირიონის (საძაგლიშვილი) ღვაწლი, დამსახურება და თავდადება საქართველოს ეკლესიის ავტოკაფალიის აღდგენის საქმეში, მისი შემოქმედებითი საქმიანობა და იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და სულიერი რეალობა.

ტოგონიძე ლუარსაბ. წმიდა ექვთიმე აღმსარებელი.

იბეჭდება აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მასნარაძე) ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 19 გვ. ISBN 978-99940-59-24-0.

ბროშურა შეიცავს მოკლე ინფორმაციას წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) შესახებ.

Turkadze Erekle. Priestermärtyrer Grigol Peradze.

რედ. G. Lomidze, „PrintExpress“, Tbilisi, 2016, 109 გვ. ISBN 978-9941-0-8592-5.

წიგნი მოგვითხრობს წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ტულუში აბესალომ. ცაიშის საეპისკოპოსო.

რედ. გ. არახამია, საძიებლის შემდგენი ე. ჯინჯოლია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამეცნიერო ცენტრი, თსუ-ს ზუგდიდის ფილიალი, „ორნატი“, ზუგდიდი, 2001, 150 გვ.

წიგნში გადმოცემულია ცაიშის საეპისკოპოსოს ისტორია, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური ნუსხა, საეპისკოპოსოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ტყეშელაშვილი გივი. გელათის საგანძური.

რედ. მ. სტეფანია, ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს, ქუთაისის მუზეუმის განვითარების ასოციაცია „საგანძური“, შპს „თეთნულდი“, ქუთაისი, 2006, 302 გვ.

წიგნში შესწავლილია ცხრასაუკუნოვანი გელათის მონასტრის საგანძურის ისტორია. დართული აქვს მონასტრის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

ტყეშელაშვილი ლევან. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარი დოსითეოსი და ეფვთიმე. 1820 წ... სიცოცხლე უფალთან გრძელდება...

რედ. გ. ტყეშელაშვილი, იბეჭდება მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, გელათის სასულიერო აკადემიის რექტორის კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით; გელათის სასულიერო აკადემია, „თბილისი“, ქუთაისი, 2005, 71 გვ. ISBN 99940-0-389-5.

ნარკვევში გადმოცემულია გამორჩეული სასულიერო პირების: დოსითეოს ქუთათელისა და ეფვთიმე გაენათელის ცხოვრება და ღვაწლი.

ტყეშელაშვილი ლევან. გელათი: „მეორე იერუსალიმი სხვა ათინა“.

რედ. გ. ტყეშელაშვილი, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია; შპს „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2007, 251 გვ.

წმიდა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულმა გელათის აკადემიამ, რომელიც სულიერების ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო, დიდი როლი ითამაშა ქართველი ერის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი დღესაც აგრძელებს ძველ ტრადიციებს. წიგნში მრავალფეროვანი მასალაა თავმოყრილი მონასტრის ისტორიისა და დღევანდლობის შესახებ.

ტყეშელაშვილი ლევან. მოწამეთა.

რედ. ნ. ფარჯანაძე, იბეჭდება მოწამეთას დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, ილუმენ ელიაზარის (ივანეიშვილი) ლოცვა-კურთხევით; გელათის სასულიერო აკადემია, შპს „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2010, 92 გვ. ISBN 978-9941-9127-4-0.

წიგნში თავმოყრილია მოწამეთას მონასტრის შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ეხება მის ისტორიასა და დღევანდელობას, წარმოდგენილია ასევე წმიდა მოწამეების – დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრება, რომელიც საბინინის „საქართველოს სამოთხის“ ძველი ქართული ტექსტის მიხედვით გაათანამედროვა ნ. ფარჯანაძემ.

ტყეშელაშვილი ლევან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები.

რედ. გ. მჭედლიძე, იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარის, რუსთავეისა და მარნეულის მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, შპს „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2014, 502 გვ. 500 ც. ISBN 978-9941-429-62-0.

მონოგრაფიაში შესწავლილია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შესაბამისი პრობლემური და აქტუალური თემატიკით, რასაც ადგილი ჰქონდა V-XX საუკუნეებში, თავმოყრილია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან არის დაკავშირებული.

ტყეშელაშვილი ლევან. ქუთაისის სიონი (ბაგრატის ტაძარი).

შპს „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2015, 24 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ქუთაისის სიონის ისტორია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ტყეშელაშვილი ლევან. იმერეთის მეფე სოლომონ I – დიდი.

რედ. მ. მურუსიძე, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ი/მ „მამუკა ფოფხაძე“, ქუთაისი, 2016, 180 გვ. ISBN 978-9941-429-94-1.

წიგნში აღწერილია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი რთული პერიოდი – XVIII საუკუნე. ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან მომენტებზე, როგორცაა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა და ქუთაისის საეკლესიო კრება, სოლომონ პირველის მიერ ეკლესია-მონასტრების აღდგენა.

Ученые о трудах исследователя Грузинской Церкви Митрополита Анании Джапаридзе.

Составители: И. Горгидзе, Ш. Начкебия, Р. Чиковани; Тбилиси, 2005, 32 გვ.

კრებული წარმოადგენს ქართველი მეცნიერების წერილების რუსულ თარგმანს მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ნაშრომების შესახებ.

ფანჯიკიძე თეიმურაზ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე.

რედ. რ. ბალანჩივაძე, „ლეგა“, თბილისი, 2003, 432 გვ. ISBN 99928-972-9-5.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქტუალური და მძაფრი წერილები, დიალოგები, პოლემიკური სტატიები და ინტერვიუები, რომლებშიც ასახულია საქართველოში მიმდინარე წინააღმდეგობრივი რელიგიური პროცესები მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

ფანჯიკიძე თეიმურაზ. ქრისტიანობა ქართულ-რუსულ ურთიერთობაში. წარსული და თანამედროვეობა.

რედ. ფ. ლომაშვილი, თბილისი, 2005, 80 გვ.

შრომა ეხება ორი ქრისტიანული მართლმადიდებელი ქვეყნის – საქართველოსა და რუსეთის – მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს. წიგნი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა.

ფანჯიკიძე თეიმურაზ, ყანდარელი თამაზ. რელიგიური ცხოვრება საქართველოში. წარსული და თანამედროვეობა.

რედ. ნ. კვარაცხელია, თბილისი, 2006, 162 გვ. ISBN 99940-58-26-6.

წიგნში ავტორები მიმოიხილავენ ქრისტიანობის როლს საქართველოს ისტორიაში და მის მდგომარეობას ისტორიის სხვადასხვა პერიოდში – რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ვითარებას 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის დროს, პოსტკომუნისტურ პერიოდში და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რელიგიის სფეროში მომხდარი ძვრებს.

ფერაძე ვახტანგ, მუშლაძე ლევან. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები. (X-XXI საუკუნეები).

რედ. ვ. შუბითიძე, წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2008, 371 გვ.

წიგნში ცალკე თავებად არის გამოყოფილი: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება“ (გვ. 107-110); „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია XX საუკუნის 50-60-იან წლებში“ (გვ. 319-320); „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია XX საუკუნის 70-80-იან წლებში“ (გვ. 334-336).

ფერაძე ილია. გრიგოლ ფერაძე – წმინდა მღვდელმონაქვე, მოქალაქე, მეცნიერი.

რედ. თ. ტყემალაძე, წმინდა მღვდელმონაქვე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება, თბილისი, 2005, 46 გვ.

ნაშრომში ასახულია წმიდა გრიგოლ ფერაძის მოწამებრივი ცხოვრების გზა, მეცნიერული დანატოვარი, კანონიზაცია.

ფერაძე ილია. გრიგოლ ფერაძე – წმინდა მღვდელმოწამე, მოქალაქე, მეცნიერი.

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, 52 გვ. ISBN 978-9941-404-88-7.

ნაშრომში ასახულია წმიდა გრიგოლ ფერაძის მოწამებრივი ცხოვრების გზა, მეცნიერული დანატოვარი, კანონიზაცია.

ფრუიძე ლევან. პატრიარქი რაჭაში. (ყოველთა ქართველთა სულიერი წინამძღვრის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოგზაურობა რაჭაში, ოქტომბერი, 1999 წ.).

მთ. რედ. ბ. გაგნიძე, „რაეო“, შპს „ნეოპრინტი“, 2000, 48 გვ. ISBN 99928-30-04-2.

წიგნში თავმოყრილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის რაჭაში ვიზიტის ამსახველი მასალები.

ფრუიძე ლევან. სოფელი ლაბეჭინა და ლაბეჭინის მონასტერი.

რედ.: ვ. ითონიშვილი, ლ. თაბუკაშვილი; „რაეო“, თბილისი, 2003, 160 გვ. ISBN 99928-30-37-9.

წიგნში გადმოცემულია აწ უკვე ნასოფლარის – ლაბეჭინის – მდიდარი ისტორიული წარსული და ტრაგიკული დასასრული, ლაბეჭინის მონასტრისა და მისი ამშენებლის გაბრიელ ლაბეჭინელის, ასევე უძველესი ქართული გვარების – ინასარიძეთა და ჯინჭარაძეთა ისტორია.

ფუტკარაძე შუშანა. სტამბოლის ქართული საგანე.

მთ. რედ. რ. მეტრეველი, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 81 გვ. ISBN 978-9941-421-61-7.

ნაშრომი ეძღვნება საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას – სტამბოლის ქართულ საგანეს, მის ისტორიასა და დღევანდლობას.

ქათამაძე ციური. საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან. (XVI-XVIII სს.).

რედ. ა. დიასამიძე, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი; „უნივერსალი“, თბილისი, 2013, 209 გვ. ISBN 978-9941-22-100-2.

ნაშრომში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან XVI-XVIII საუკუნეებში, ამ ურთიერთობის სათავეები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გამოსულ სასულიერო და საერო პირთა დამსახურება ქართული კულტურის იერუსალიმური საგანძურის გამდიდრებისა და გადარჩენის საქმეში. შესწავლილია

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში „წმიდა ქალაქის“ კუთვნილი მეტოქის დაარსების, „საჯვრისმამო“ ყმა-მამულის წარმოშობის ისტორია, გადასახადების რაობა და სხვა საკითხები.

ქართველიშვილი თეა. გურიის საეპისკოპოსოები. (XV-XIX საუკუნეები).

მთ. რედ. ბ. კულავა, რედ. ქ. პავლიაშვილი, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 163 გვ. ISBN 99940-11-89-8.

წიგნში გადმოცემულია გურიის საეპისკოპოსოების დაარსების ისტორია და საეპისკოპოსოების მღვდელმთავართა მოღვაწეობა საეკლესიო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართული დიპლომატიის ისტორია. (ქრესტომათია).

რედ. რ. მეტრეველი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბილისი, 2004, 655 გვ. 500 ც. ISBN 99940-20-46-3.

ქრესტომათიაში თავმოყრილია საქართველოს დიპლომატიის ისტორიის შესახებ არსებული ქართული თუ უცხოენოვანი დოკუმენტები, რომელთა ნაწილი შეეხება საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობებს: „ლეონტი მროველი ქართლის გაქრისტიანებისა და რომის იმპერატორ კონსტანტინე I-თან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“, (გვ. 22-27); „სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ“, (605-608 წწ.), (გვ. 73-74); „ეპისტოლეთა წიგნი“ ქართლისა და სომხეთის კათალიკოსების მიმოწერის შესახებ“, (გვ. 74-79); „მატიანე ქართლისა“ აფხაზთა მეფის გიორგი II-ისა და კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“, (X ს. I ნახ.), (გვ. 91-93); „კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი აფხაზეთის მეფისადმი“, (X ს. I ნახ.), (გვ. 93-94); „გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი III-ის წინაშე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიური უფლებების დაცვის შესახებ“, (1057 წ.), (გვ. 127-129); „სილვესტროს სიროპულოსი ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართული დელეგაციის შემადგენლობისა და საეკლესიო კრებაზე მათი მოღვაწეობის შესახებ“, (1438-1439 წწ.), (გვ. 229-230); „ანდრეა დი სანტა კროჩე მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიისა და ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439 წწ.) იბერიის მეფის ელჩის საპატიო სტატუსის შესახებ“, (გვ. 231-232); „იტალიელი მოგზაური ნიკოლოზ რაძივილი წმინდა მიწაზე ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“, (XVI ს-ის 80-იანი წწ.), (გვ. 273); „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციას“, (გვ. 547-550).

ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I ნაწილი.

მთ. რედ. რ. მეტრეველი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-

კვლევითი ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბილისი, 1998, 549 გვ. 500 ც. ISBN 5-511-00896-6.

წიგნში საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად განხილულია „საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში VII საუკუნის დამდეგს, კირონ ქართლის კათალიკოსის დიპლომატია“ (გვ. 142-164).

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

ხელით ნაბეჭდი, უთარილო, 7 გვ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე საქართველოს საპატრიარქოს მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც შედგენილია ქართული, ბერძნული და სხვა უცხოური წყაროების გათვალისწინებით.

ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები.

რედ.: ნ. აბაკელია, მ. ჩხარტიშვილი; „მემატიანე“, თბილისი, 2000, 137 გვ.

კრებულში თავმოყრილია მეცნიერთა სტატიები, რომლებიც შეეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს.

ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები.

რედ.: მ. ჩხარტიშვილი, ლ. მირიანაშვილი; საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „უდაბნო“, თბილისი, „მემატიანე“, 2000, 107 გვ.

კრებულში დაბეჭდილია სიმპოზიუმში მონაწილე მკვლევრების მოხსენებების თეზისები, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობასთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული, ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი საკითხები.

ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები.

რედ.: დ. მუსხელიშვილი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ა. დაუშვილი, ლ. მირიანაშვილი, ე. ბუბულაშვილი, მ. ჩხარტიშვილი, ნ. ლამბაშიძე, ზ. აბაშიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, „მემატიანე“, თბილისი, 2005, 221 გვ.

სიმპოზიუმი მიეძღვნა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ოცსაუკუნოვან იუბილეს. კრებულში შესულია სიმპოზიუმის მასალები.

ქუთათელაძე ქეთევან. შრომები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 168 გვ. ISBN 978-9941-0-4647-6.

კრებულში თავმოყრილია ავტორის ნაშრომები, რომლებიც წაკითხულ იქნა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, მათ შორის არის „ისტორიული ცნობები ბოლნისის ეპარქიის შესახებ“ (გვ. 45-74).

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი. ახალმოწამენი. (ცხოვრება და მოღვაწეობა).

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გოჩა ასათიანმა, რედ. დ. მელიქიშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამომცემელი: მღვდელი ვ. ასათიანი, „პირველი სტამბა“, თბილისი, 1995, 45 გვ.

მე-20 საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული ღვთისმსახურის, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) ცხოვრება და მოღვაწეობა უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას 1921-24 წლებში. გააფთრებული დევნის პირობებში სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდა ჯერ დევნა, ხოლო შემდეგ – მოწამებრივი აღსასრული რწმენისა და ქვეყნისათვის თავდადებული მიტროპოლიტისა.

ღვთისკაცი ექვთიმე თაყაიშვილი. კრებული.

შემდგენელი ილია თავბერიძე, რედ. გ. ჭელიძე, ეძღვნება წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავს, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007, 395 გვ. ISBN 978-99940-8532-0-0.

კრებულში შესულია საარქივო და პერიოდული პრესის მასალები, რომლებიც ეძღვნება წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

ტექსტი ანა აბულაძის, თბილისი, 2011, 276 გვ.

კრებულში საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად შეტანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიიდან. წიგნი ქართულ და რუსულ ენებზეა.

ყამარაული სულიკო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

რედ.: გ. კოპლატაძე, ნ. ელიზბარაშვილი; წიგნი გამოდის რუის-ურბნისის მიტროპოლიტი იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 31-ე და დაბადების 75-ე წლისთავს, „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 318 გვ. ISBN 978-9941-10-113-7.

წიგნში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, ქადაგებები და მოხსენებები აღსაყდრებიდან 2008 წლის ჩათვლით.

ყულოშვილი მიხეილ, [ყულოშვილი ერეკლე]. ჰერეთის (საინგილოს) საერო და სასულიერო პირები I-დან XXI საუკუნემდე.

რედ. ი. ტოლიაშვილი, „ეთნოპოლიტიკა“, თბილისი, 2012, 224 გვ.

წიგნში შესულია ჰერეთში მოღვაწე საერო და სასულიერო პირების მოკლე ბიოგრაფიები.

შავიანიძე მარინა. გზა ღმერთისაკენ: მიტროპოლიტი ნაომი.

რედ. ე. თავბერიძე, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, შპს „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2006, 112 გვ. 500 ც. ISBN 99940-918-8-3.

წიგნის ტექსტი და ქადაგებები შედგენილია იმ მასალებისა და წერილების მიხედვით, რომლებიც შემორჩა მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე) ოჯახურ არქივს.

შანიძე მალვინა. ერკეთის დედათა მონასტერი.

წიგნი გამოიცა შემოქმედის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით; ინგლისურად თარგმნეს ი. კოხოდემ და თ. გიორგაძემ, ქუთაისის შპს „ხომლი ენ“ სტამბა, ქუთაისი, 2014, 79 გვ. 500 ც. ISBN 978-9941-9389-3-1.

წიგნში მოცემულია ინფორმაცია ჩოხატაურის რაიონის მთავარანგელოზის სახელობის ერკეთის დედათა მონასტრისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

შაორშაძე მაია. წმ. იოანე მანგლელი (სააკაძე).

რედ. გ. კობლატაძე, დაიბეჭდა გორისა და სამთავისის ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2000, 30 გვ.

ნაშრომი ეხება XVIII საუკუნის I ნახევრის ცნობილი საეკლესიო პირის – წმიდა იოანე მანგლელის (სააკაძის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ნარკვევს დართული აქვს შენიშვნები, რომლებიც წმინდანის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ გადმოცემას ისტორიულ დასაბუთებას უძებნის.

შაორშაძე მაია. ნინოწმინდის საეპისკოპოსო. (XVI-XVIII სს.).

რედ. მ. ლორთქიფანიძე, სერიის მთ. რედ. ბ. კუდავა, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 189 გვ. ISBN 978-99940-55-15-9.

წიგნში აღწერილია ნინოწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება, არქიტექტურა, წარწერები. მოცემულია ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XVI-XVIII საუკუნეებში და მათი საეკლესიო-კულტურული მოღვაწეობა, ნინოწმინდის საეპისკოპოსოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზღვრები და ნინოწმინდელთა დამოკიდებულების საკითხი დავითგარეჯის მონასტრებთან.

შიოლაშვილი ნელი. ჩვენი პატრიარქი.

რედ. თ. კალხიტაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბილისი, 2011, 257 გვ.

კრებულში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრების ცალკეული მომენტები, მოგონებები, ქადაგებები.

შიო (მუჯირი) – მიტროპოლიტი. დიდი ქართველი მოძღვარი ათონზე და მისი სულიერი მემკვიდრეები სენაკში.

რედ. ზ. აბაშიძე, კონსულტანტი ი. მელნიკოვა, ეძღვნება სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის დაარსებიდან 10 წლისთავს, სენაკი, 2013, 101 გვ. ISBN 978-9941-0-5929-2.

წიგნი მოგვითხრობს XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ორ შესანიშნავ ქართველ სასულიერო პირზე – მღვდელ-სქემონაზონ თეოდოსსა (ერისთავი) და არქიმანდრიტ შიოზე (ძიძავა), რომელიც იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სულიერი მოძღვარი. ორივეს აერთიანებს მჭიდრო სულიერი კავშირი გამორჩეულ სენაკელ მოღვაწესთან – ღირს ალექსისტან (შუშანია). სქემონაზონი თეოდოსი იყო მისი სულიერი მოძღვარი, ხოლო არქიმანდრიტი შიო – სულიერი შვილი და მოწაფე.

შიო (მუჯირი) – მიტროპოლიტი. დიდი ქართველი მოძღვარი ათონზე და მისი სულიერი მემკვიდრეები ქ. სენაკში.

რედ. ზ. აბაშიძე, ეძღვნება სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის დაარსებიდან 10 წლისთავს, შპს „პეტიტი“, სენაკი, 2014, 104 გვ. ISBN 978-9941-0-6326-8.

წიგნი არის ავტორის ამავე სახელწოდების ნაშრომის მეორე, შევსებული გამოცემა.

შიო (მუჯირი) – მიტროპოლიტი. თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან.

რედ. ზ. აბაშიძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, წიგნის გამოცემა უკავშირდება თეკლათის დედათა მონასტრის დაარსებიდან 150 წლის საიუბილეო თარიღს, შპს „პეტიტი“, სენაკი, 2014, 259 გვ. ISBN 978-9941-9386-2-7.

წიგნში გადმოცემულია თეკლათის დედათა მონასტრის ისტორია ღირსი ალექსი სენაკელის (შუშანია) მოღვაწეობის პერიოდში (XIX ს-ის 60-იანი – XX ს-ის 30-იანი წლები), ინფორმაცია იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ, მონასტრის სულიერი ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება.

შუბითიძე-მაჭარაშვილი ვაჟა, ბოლქვაძე დავით. ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები.

რედ. ზ. კვიციანი, „ინოვაცია“, თბილისი, 2008, 107 გვ. ISBN 99928-1-9.

წიგნი შეიცავს მოკლე ცნობებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების შესახებ.

ჩაგუნავა რაულ. საისტორიო ძიებანი.

სამეცნ. რედ.: გ. ცირეკიძე, ი. ბიჭიკაშვილი; მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, თბილისი, 2013, 386 გვ. ISBN 978-9941-0-5615-4.

წიგნი წარმოადგენს სხვადასხვა საკითხების ირგვლივ ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიების კრებულს. მასში შესულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მომენტი, მაგ.: პიტიუნტის უძველესი საეპისკოპოსოს ადგილმდებარეობის, ათონის მთის ქართული მონასტრის, უძველესი ქართული კალენდრის საკითხები.

ჩემი პატრიარქი.

იდეის ავტორები: ზაურ ნაჭყებია, ლაშა გვასალია; პროექტის ავტორი ზაურ ნაჭყებია, რედ. გ. კოპლატაძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წლისთავს, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, „ივერიონი“, თბილისი, 2013, 368 გვ. ISBN 978-9941-9320-9-0.

წიგნში შესულია საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების წერილები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-სადმი.

Чехановец Яна. Грузинская Церковь на Святой Земле.

„Индрик“, Москва, 2012, 43 გვ. ISBN 99940-727-7-3.

ნაშრომში ვრცლად არის წარმოდგენილი იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის და ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ანალიზი, ჯვრის მონასტრის დაარსება და მისი შემდგომი ისტორია.

ჩიკვაიძე დავით. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები.

რედ. ნ. კორძაია-სამადაშვილი, თბილისი, 2005, 43 გვ. ISBN 99940-727-7-3.

ნაშრომში განხილულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთაში, ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება.

ჩიტაია გოგიტა. ფოთისა და ზობის ეპარქია: ისტორიული ძეგლები.

რედ. გ. არახამია, „ცოტნე“, თბილისი, 2007, 128 გვ. ISBN 99940-41-15-0.

წიგნში გადმოცემულია ფოთისა და ზობის ეპარქიისა და ეპარქიაში მდებარე ტაძრების ისტორია.

ჩილოყაშვილი ბიძინა. ქართულენოვანი ეკლესია – ახალი იერუსალიმი.

„ნეკერი“, თბილისი, 2008, 164 გვ. ISBN 978-9941-9018-6-7.

ქართულენოვანი ეკლესიის წარსულის შესწავლა 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსსა და ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარ გიორგი მთაწმინდელს შორის კამათით დაიწყო და დღესაც გრძელდება. ნაშრომი არის ავტორის ცდა, ნათელი მოჰფინოს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს ამ თემის ირგვლივ.

ჩხარტიშვილი იზოლდა. ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში XIX ს.-ის II ნახევარში. (ქართული დემოკრატიული პრესის მიხედვით).

რედ. შ. ხანთაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 124 გვ. 1200 ც.

ნაშრომში რევოლუციამდელი ქართული დემოკრატიული პრესის მონაცემების საფუძველზე, გაშუქებულია ქართველი საზოგადოების ნაწილის ანტირელიგიური შეხედულებები.

Чхартишвили Изольда. Антирелигиозные воззрения грузинских просветителей (вторая половина XIX и начало XX вв.).

რედ. М. Гугушвили, Академия наук Грузинской ССР, государственный музей Грузии им. С. Н. Джанашиа, „Мецნიერება“, Тбилиси, 1988, 78 გვ. 500 ც.

ნაშრომში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებზე, საბჭოთა ისტორიოგრაფიაზე და პუბლიცისტურ თუ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოკვლეულია ქართველ განმანათლებელთა ანტირელიგიური შეხედულებები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, გამოვლენილია ამ პერიოდის საქართველოში ანტირელიგიური ბრძოლის ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებები, განსაზღვრულია ქართული ათეისტური აზრის განვითარების ისტორია.

ცაიშის საკათედრო ტაძარი: ცაიშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის და ცაიშის ეპარქიის ისტორიიდან.

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ზაურ ჯალაღონიამ, რედ. თ. ბერაძე, რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი ამირანი (შენგელია), დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსის, ყოვლადუსამღვდელოესი გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, „პირველი სტამბა“, ზუგდიდი-ცაიში, 2001, 67 გვ.

წიგნში გადმოცემულია ცაიშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის და ცაიშის ეპარქიის ისტორია. ნაშრომი გამდიდრებულია დოკუმენტებითა და ფოტომასალით.

ცერაძე ლალი. წილკნის საეპისკოპოსოს ისტორიისათვის.

კონსულტანტი რ. რამიშვილი, თბილისი, 2001, 125 გვ.

ნაშრომი მოგვითხრობს წილკნის საეპისკოპოსოს ისტორიას.

ციციქიშვილი დავით. თვალათვის დაფარული მოწმე: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1927-1932 წწ. ქრისტეფორე III.

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამოიცა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის შვილიშვილის ნიკოლოზ ცხაკაიას მიერ, თბილისი, 1999, 22 გვ.

ნაშრომში აღწერილია კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიისათვის მძიმე წლებში და ის განსაცდელი, რაც მას არგუნა ხვედრმა კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან.

ცოტნიდელი. ტ. I-VIII.

იდეის ავტორი, გამომცემელი და მთ. რედ. ნ. ნადარაია, შპს „ლეო“, თბილისი-ფაზისი, 1996-2015.

კრებულებში გამოქვეყნებულია ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო სესიების მასალები. მათში თავმოყრილი სტატიების ნაწილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

მამსაშვილი-ცერცვაძე ზოია, ცერცვაძე ნინო. მაღალყოვლადუსამღვდელოესი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლის (ცერცვაძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რედ. ს. ვარდოსანიძე, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავს, თბილისი, 2014, 248 გვ.

წიგნში მოთხრობილია აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლის (ცერცვაძე) შესახებ, რომელმაც სასულიერო მოღვაწეობა დაიწყო აგრესიული ათეიზმის, დედა ეკლესიისა და სასულიერო პირების დევნის ხანაში და ღირსეულად ემსახურა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და ხალხს.

ძნელაძე მერაბ. თბილისის კლდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესია.

რედ. ვ. საღრაძე, კონსულტანტები: ნ. ხაზარაძე, დეკანოზი მიქაელი (კაპანაძე); სერიის „თბილისის ეკლესიების ბედი“ I ტომი, ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბილისი, 2014, 192 გვ. ISBN 978-9941-0-6950-5. წიგნს ახლავს თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით (1735 წ.).

წიგნში გადმოცემულია თბილისის კლდისუბნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოკლე ისტორია და ინფორმაცია ეკლესიაში 2007 წელს წარმოებული სამეცნიერო-სადიებო სამუშაოების შესახებ.

ძნელაძე მერაბ, იზორია მაია, ჩიხლაძე ვერა, გოგოლაძე ანდრო. თბილისის წმიდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია.

რედ. ვ. საღრაძე, კონსულტანტები: ნ. ხაზარაძე, ი. ელიზბარაშვილი, არქიმანდრიტი ათანასე (კარანაძე); სერიის „თბილისის ეკლესიების ბედი“ II ტომი, საქართველოს ეროვნული აკადემია, ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბილისი, 2014, 224 გვ. ISBN 978-9941-0-7053-2.

წიგნში ვრცლად არის გადმოცემული აბანოთუბანში მდებარე, 1998 წელს აღმოჩენილი და შესწავლილი, წმიდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ნაეკლესიარის წარსული.

წერილები პატრიარქს.

იდეისა და პროექტის ავტორი **დარეჯან კვარაცხელია**, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, შპს „სეზანი“, თბილისი, 2010, 368 გვ. ISBN 978-9941-0-2417-7.

საზოგადო მოღვაწეთა და სასულიერო პირთა ხელნაწერ წიგნ-ალბომში შესულია მოგონებები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ზე.

წვერავა ვლადიმერ. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში.

რედ.: პ. ვაჭრიძე, ა. ბენდიანიშვილი; ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2003, 160 გვ. 500 ც. ISBN 99928-79-59-9.

XIX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“, რომლის ძირითადი მიზანი იყო სამისიონერო საქმიანობა. იგი აარსებდა სკოლებს, რომლებში აღზრდილი კადრები ცარიზმს უნდა დახმარებოდა კავკასიის დამორჩილებაში. ნარკვევში განხილულია საზოგადოების საქმიანობა.

წმიდა ნინო, ემბაზი ქართლისაი. რჩეული წყაროები.

შემდგენლები: **დოდო (მარიამ) ღლონტი, ასმათ ოქროპირიძე, მაკა (მანანა) ჩხაიძე**; რედაქტორი, წინათქმა, ლექსიკონი და საძიებლები: დოდო (მარიამ) ღლონტი; კონსულტანტი მ. ქავთარია, კრებული მომზადდა და გამოიცა სამთავროს დედათა მონასტრის ილუმენია ქეთევანის (კოპალიანი) კურთხევით და არქიმანდრიტ ლაზარეს (გაგნიძე) მეოხებით, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს, მცხეთა, 2015, 695 გვ. ISBN 978-9941-0-7660-2.

წიგნში შესულია იმ ქართულ ორიგინალურ წყაროთა რჩეული ნაკრები, რომლებშიც აღბეჭდილია წმიდა ნინოს ცხოვრება („მოქცევაი ქართლისაი“-ს სხვადასხვა რედაქციები და სხვ.), საგალობლები, დაუჯდომლები, გამოცხადებანი, სიტყვა-მოძღვრებანი. კრებულს ერთვის მრავალრიცხოვანი საილუსტრაციო მასალა, თითოეულ წყაროსთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია, ლექსიკონი და საძიებლები.

წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული. სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედ. ზ. აბაშიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ნეკერი“, თბილისი, 2009, 36 გვ. ISBN 978-9941-416-17.

2009 წლის 11 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღისადმი (13 დეკემბერი) მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კრებულში შესულია კონფერენციის მასალები.

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელ – ეპისკოპოსი იმერეთისა.

შემდგენელი ილია თავბერიძე, რედ. გ. კობლატაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2006, 271 გვ. ISBN 99940-852-9-8. კრებულში თავმოყრილ მასალაში ვრცლად არის აღწერილი XIX საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწის, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ცხოვრება და ღვაწლი.

წმიდა პეტრე იბერი და მისი სამშობლო – ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

შემდგენელი ანა აბულაძე, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2013, 296 გვ. წიგნში ისტორიული წყაროებისა და სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების საფუძველზე გაშუქებულია წმიდა პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაშრომი ინგლისურ ენაზეა.

წმინდა არსენ იყალთოელი; წმინდა არსენ დიდი, კათალიკოსი; წმინდა მღვდელმთავარი ანთიმოზ ივერიელი.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 37, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 141 გვ. ISBN 978-9941-21-475-2. წიგნში მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის სამი მნიშვნელოვანი წმინდანის: წმინდა არსენ იყალთოელის, წმინდა არსენ დიდი, კათალიკოსისა და წმინდა მღვდელმთავრის ანთიმოზ ივერიელის ღვაწლის შესახებ.

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი.

კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიაძე, თბილისი, 2006, 691 გვ. ISBN 99940-67-81-3. წიგნში შეკრებილია დოკუმენტები, მასალები, ქადაგებები, სამეცნიერო შრომები და პუბლიცისტური წერილები, რაც ნათლად წარმოგვიდგენს წმიდა აღმსარებელი ამბროსის ღვაწლსა და საქმიანობას.

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე.

კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დინარა დარსალიაძე, რედ. ჯ. გამახარია და სხვ. იბეჭდება ჭყონდიდელ მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით, შპს „საარი“, თბილისი, 2012, 267 გვ. ISBN 978-9941-0-3930-0. კრებულში შესულია გაზეთებში: „კომუნისტი“, „მუშა“ და „რაბოჩაია პრავდა“ გამოქვეყნებული მასალები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმიდა აღმსარებელ ამბროსის (ხელაია) და საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრებისა თუ

თანამშრომლების წინააღმდეგ 1924 წლის 10-19 მარტს გამართულ ე. წ. სასამართლოსთან დაკავშირებით.

წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი; წმინდა კათალიკოსი პეტრე პირველი; წმინდა სამოელ კათალიკოსი.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 36, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. კ. კენკიშვილი, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 189 გვ. ISBN 978-9941-21-454-7.

წიგნში მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის სამი მნიშვნელოვანი წმინდანის: მეფე ვახტანგ გორგასლის, კათალიკოსების: პეტრე პირველისა და სამოელის ღვაწლის შესახებ.

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 47, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 164 გვ. ISBN 978-9941-21-627-5.

წიგნი მოგვითხრობს გურია-ოდიშის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი.

კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ჯემალ გამახარამ**, თბილისი, 2006, 231 გვ. ISBN 99940-67-38-9.

კრებულში თავმოყრილია დოკუმენტები და მიმოწერა, რაც წარმოგვიდგენს წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს დამოკიდებულებას აფხაზეთთან მიმართებაში.

წმინდა მღვდელმთავარი ამბროსი ხელაია.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 29, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2013, 197 გვ. ISBN 978-9941-21-358-8.

წიგნში მოთხრობილია წმიდა მღვდელმთავრის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი.

კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ჯემალ გამახარამ**, თბილისი, 2007, 691 გვ. ISBN 978-99940-69-79-8.

კრებულში შესულია დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ეხება წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის (ქიქოძე) დამოკიდებულებას აფხაზეთის მიმართ, მისი კვლევა „აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამრევლოების მიმოხილვა“ და სხვა.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე). ნაწილი I.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 43, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 172 გვ. ISBN 978-9941-21-576-6.

წიგნში ასახულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე). ნაწილი II.

სერიიდან „საქართველოს იმედი“, წიგნი 44, რედ. თ. მამაცაშვილი, შემდგ. ს. თავაძე, „პალიტრა L“, თბილისი, 2014, 164 გვ. ISBN 978-9941-21-595-7.

წიგნში ასახულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) და აფხაზეთი.

მთ. რედ. ჯ. გამახარია, თბილისი, 2006, 487 გვ. ISBN 99940-62-42-5.

კრებულში თავმოყრილია მდიდარი დოკუმენტური მასალა, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სამეცნიერო შრომები და მოხსენებები აფხაზეთთან დაკავშირებით.

წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა.

რედ. [ს. მახარაშვილი], სარედაქციო კოლეგია: გ. ალიბეგაშვილი, გ. კუჭუხიძე, დ. მენაბდე, ზ. ტყემელაშვილი; შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 370 გვ. ISBN 978-9941-0-2100-8.

კრებულში თავმოყრილი სტატიების ნაწილი ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

ჭანიშვილი გია. სამთავრო: წმინდა ნინოს დედათა მონასტერი.

რედ. ლ. სინარულიძე, დაიწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 250 გვ. ISBN 978-9941-0-0721-7.

წიგნი-ალბომი გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას სამთავროს დედათა მონასტრის ისტორიისა და სიწმინდეების შესახებ.

ჭელიძე კარლო. თბილისის სასულიერო სემინარიის რევოლუციური წარსულიდან.

რედ. გ. მელიქიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, 39 გვ. 2000 ც.

ნაშრომში საისტორიო ხასიათის შრომებსა, პერიოდულ გამოცემებსა და ყოფილ სემინარიელთა მემუარულ მასალებზე დაყრდნობით გადმოცემულია თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის ისტორია, მდიდარი რევოლუციური წარსული, მისი აღზრდილების წვლილი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

ჭითანავა დავით. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში. (უძველესი დროიდან დღემდე).

რედ. თ. ბერაძე, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „მწიგნობარი“, თბილისი, 2010, 533 გვ. ISBN 978-9941-9138-0-8.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე შემორჩენილი თუ სხვადასხვა ეპოქის ისტორიული ქარტეხილებისგან განადგურებული ეკლესიებისა და თავდაცვითი ნაგებობების მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე. თითოეული ისტორიული ძეგლი განხილულია წერილობითი წყაროების, სარქივო მონაცემების, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული და ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის საფუძველზე. მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე უძველეს საეპისკოპოსოთა ისტორია და ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი.

ხალვაში რამაზ. ანდრია პირველწოდებული საქართველოში.

რედ.: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რ. სირაძე; დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, „ლაზარე“, ბათუმი, 2011, 164 გვ. ISBN 978-99940-803-9-7.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის ამსახველი ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურა.

ზარაძე კობა. ჩხარის წმიდა გიორგის მონასტერი.

რედ. ლ. კვინიკაძე, თბილისი, 2003, 24 გვ. ISBN 99928-0-697-4.

წიგნში მოცემულია იმერეთში, თერჯოლის რაიონში, მდებარე ჩხარის წმიდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსის შესახებ არსებული ინფორმაციული და ფოტომასალა.

ზახიაშვილი ინეზა. გარდაბნის რაიონის ციხე-ტაძრები.

იდეის ავტორი თამარ ქვათაძე, შპს „ფორმა“, თბილისი, 2008, 136 გვ.

წიგნი გვაწვდის მოკლე ცნობებს გარდაბნის რაიონში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ.

ხითარიშვილი თენგიზ. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები. (1519-1814).

ედღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს, მასალა ენციკლოპედია „ქუთაისის“ პირველი ტომისათვის, ენციკლოპედია „ქუთაისის“ მოამბე, №10, 2007, ოქტომბერი, 24 გვ.

ნაშრომში მოცემულია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები XVI-XVII საუკუნეების საქართველოს კათალიკოსების შესახებ.

ხინოწმინდა.

ფოტოები: მ. კომახიძის.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ისტორია. დართული აქვს ფოტომასალა.

ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. (X–XI სს.).

პროექტისა და გამოცემის ავტორი **დარეჯან კვარაცხელია**, სარედ. კოლეგია: დ. კვარაცხელია, ვ. ჭკადუა, ნ. გრძელიშვილი; ფოტოსა და ხობის ეპარქია, იბეჭდება ფოტოსა და ხობის მთავარეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 75 გვ. ISSN 1512-3626.

ნარკვევში გადმოცემულია ტაძრის უძველესი და უახლესი ისტორია და ინფორმაცია იქ დაცული სიწმინდეების შესახებ.

ხონისა და სამტრედიის ეპარქიის ისტორია. 1996-2011 წ.წ.

შემოქმედებითი ჯგუფი: დ. კვარაცხელია, მ. ლუღუშაური, ც. ნიკოლაიშვილი, ს. ვარდოსანიძე; დაიბეჭდა ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბას (ინწკირველი) ლოცვა-კურთხევით, შპს „პრეპრინტი“, თბილისი, 2011, 255 გვ. ISBN 978-9941-0-3623-1.

წიგნი გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას ხონისა და სამტრედიის ეპარქიის ტაძრებისა და მღვდელმსახურების შესახებ.

ხოშტარია დავით. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. (სამხრეთ კავკასია და ანატოლია).

მთ. რედ. რ. მეტრეველი, თსუ, საქართველოს ისტორიის კათედრა, სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის შემსწავლელი ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2005, 292 გვ. ISBN 99940-11-94-4.

წიგნის მიზანია, შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინოს ისტორიულ ქართულ პროვინციაში – კლარჯეთში – მიმდინარე საეკლესიო მშენებლობა და გაამუქოს კლარჯეთის არქიტექტურის ისტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

ხოშტარია დავით. მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი.

შესავალი ტექსტი: დ. თუმანიშვილი, თ. ხუნდაძე; ინგლისური თარგმანი: ნ. მატარაძე, ლ. ვესტი; სურათების ანოტაციები: დ. ხოშტარია; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, შპს „სეზანი“, თბილისი, 2008, 94 გვ. ISBN 978-9941-0-0319-6.

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული მცხეთის ჯვრის ისტორია ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამოყენებულია უხვი ფოტომასალა.

ხურცილავა ბესიკ. ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის.

რედ. ი. კვიციანი, თბილისი, 2006, 235 გვ. ISBN 99940-62-44-1.

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო სტატიების კრებულს, რომელშიც მოცემულია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ძიებანი ძველი ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიიდან, ახლებურად არის გაანალიზებული

ზოგიერთი ძველი ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროს მონაცემები. აღსანიშნავია სტატიები: „მოქცევაი ქართლისაის“ ერთი ფრაგმენტის აღდგენისათვის“; „პეტრე იბერის საერო სახელის შესახებ“; „თავი იგი ეპისკოპოსთაი სამოველ“-ის ვინაობის შესახებ“; „ქართლის ეკლესიის პირველი კათალიკოსის ვინაობის საკითხისათვის“.

ხურციბე ბეჟან. იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში.

რედ. გ. ტყემელაშვილი, დაიბეჭდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, გელათის სასულიერო აკადემიის რექტორის, მეუფე კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია, ქუთაისი, 2008, 200 გვ. ISBN 978-9941-0-0464-3.

წიგნი ეფუძნება მყარ ისტორიოგრაფიულ და წყარომცოდნეობით ბაზას. მასში ქრონოლოგიის დაცვით გაშუქებულია ეპარქიის შექმნის ისტორია და მის მმართველთა საქმიანობა 1821 წლიდან 1917 წლამდე, მათი ურთიერთობა საერო ხელისუფლებასთან.

ხურციბე ლილი. ზარზმის „ლაკლაკიძეთა (ჩორჩანელ-ხურსის ძე – ხურციბეთა) მადონა“, „ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი“ და ამ გვარის წმინდანთა ცხოვრება.

რედ. ი. ახუაშვილი, ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 32 წლის იუბილეს, იბეჭდება წმიდისა დიდმოწამისა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ზაზა ბეჟანიშვილის ლოცვა-კურთხევით, „მერანი“, თბილისი, 2012, 155 გვ. ISBN 978-9941-9307-1-3.

წიგნში არსებული ისტორიული მასალების საფუძველზე გადმოცემულია ლაკლაკიძეთა საგვარეულოს გამოჩენილ წმინდანთა ცხოვრება.

ხუციშვილი თემურ, შენგელა კახა, ციბაძე მარიამ, მაჭავარიანი შალვა. შატბერდის მონასტერი. (მასალები, იდენტიფიკაცია, კვლევის პერსპექტივები).

რედ. თ. ბერიძე, ინგლისურად თარგმნა ხ. ბასილაშვილმა, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, 41 გვ. ISBN 99940-861-1-1.

ნაშრომში თავმოყრილია მასალები IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული შატბერდის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის შესახებ. განხილულია შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი და კვლევის პერსპექტივები. ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზეა.

ხუციშვილი მირიან. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში.

რედ. შ. ხანთაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მეცნიერება“, თბილისი, 1987, 247 გვ. 1200 ც.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეებში, მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის

მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სამისიონერო სფეროში გატარებული ღონისძიებების მიზნები, ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლები XIX-XX საუკუნეებში.

ხუციშვილი ნიკო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.

მთ. რედ. ბ. კუდავა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 163 გვ. ISBN 99940-11-81-2. წიგნში გაშუქებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული საკითხები: იერუსალიმის ყმა-მამული საქართველოში და მისი მართვა, ჯვრის მამების რიგი XVII ს-ის II ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე.

ხუციშვილი ნიკო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. მეორე გამოცემა.

მთ. რედ. ბ. კუდავა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 164 გვ. ISBN 978-99940-59-55-3.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობის საკითხების კვლევა დაიწყო 1990 წელს, როცა საფუძველი ჩაეყარა იერუსალიმ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მონაცემთა ბაზის შექმნას. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ კვლევის შედეგების შესახებ არსებული მასალის მეორე გამოცემას.

ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი.

რედ. დ. თუმანიშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, წიგნი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრმა, „ნეკერი“, თბილისი, 2000, 171 გვ. ISBN 99928-857-0-X.

წიგნში აღწერილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი რეგიონის – ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა უმეტესობა.

ჯანელიძე ოთარ. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია.

რედ. ა. ბენდიანიშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 247 გვ. ISBN 978-9941-12-545-4.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის უმთავრესი საკითხები XIX საუკუნის დამდეგიდან დღემდე, მათ შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, საქართველოს ეკლესია საბჭოურ ხანაში და სხვა.

ჯვარი ვაზისა.

საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო. გამოდის 1978 წლიდან. იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ჟურნალში შუქდება საქართველოსა და მსოფლიო საეკლესიო ცხოვრების სიახლეები, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, ინფორმაცია საქართველოსა და მის

ფარგლებს გარეთ არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ, ეკლესიური ცხოვრების საკითხები, წმიდა მამების ცხოვრებები, ქადაგებები, სწავლანი, სასულიერო შინაარსის ლიტერატურა, განმარტებანი და სხვა.

ჯვარის მტვირთველი. (უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ქ. თბილისის ვ. ესვანჯიას სახ. იტალიური სკოლა „ცისკარის“ მოსწავლეთა 2013 წლის 29 მაისის სამეცნიერო კონფერენციის მასალები).

რედ.: მ. სიმონია, მ. ფინხაძე, დ. კირვალიძე-ტომარაძე; იტალიური სკოლა „ცისკარი“, თბილისი, 2015, 73 გვ. ISBN 978-9941-0-8263-4.

კრებულში თავმოყრილია იტალიური სკოლის მოსწავლეების სტატიები, რომლებიც ეხება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ჯობაძე ვახტანგ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში.

რედ. მ. ლორთქიფანიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მთარგმნელები: დ. თუმანიშვილი, დ. ხოშტარია; „უნივერსალი“, თბილისი, 2007, 440 გვ. ISBN 978-99940-61-11-2.

მონოგრაფიაში თავმოყრილია ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესახებ. კვლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე დაწერილ ნაშრომთა შორის. წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზეა.

ჯორჯიკია ნათელა. საქართველოს კულტურული ცხოვრება XIX საუკუნიდან ჩვენს დღეებამდე.

რედ.: მ. გურამიშვილი, ც. ჩხარტიშვილი; თბილისი, 2013, 205 გვ. ISBN 978-9941-0-5789-2.

წიგნში ასახულია საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო წოდების წვლილი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ჯონაძე გია. ისტორიული ესსეები.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 103 გვ.

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული ესსეები, რომელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიას შეეხება: „ისტორიოსოფიული განაზრებისათვის“ (გვ. 40-59), „ორი და“ (საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხისათვის, გვ. 70-81).

ჯოხაძე გრიგოლ. XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან.

რედ. რ. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2003, 190 გვ.

წიგნში მრავალრიცხოვანი წყაროების განხილვის საფუძველზე, ჩვენი ისტორიოგრაფიის თანამედროვე მოღვაწეთა გათვალისწინებით, გადმოცემულია XIII-XIV სს.-ის საქართველოს ეკლესიის ერთიანი ისტორია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2015-2016.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემა. მასში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც მიძღვნილია ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობის, დემოგრაფიისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

1978-2017 წლებში დაცული დისერტაციები

აბაშიძე ზაალ. სერგი გორგაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1997, 164 გვ. [ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი].

ნაშრომში განხილულია სერგი გორგაძის, როგორც ისტორიკოსის, დგაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში.

აბზიანიძე თამარ. სულხან-საბა ორბელიანი და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის მაცნე, სპეციალობა: პრაქტიკული ფილოსოფია – 09.00.02, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. გოგუაძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1994, 26 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში შესწავლილია სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები, დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მისი საეკლესიო-სასულიერო ხასიათის მწერლობა.

ალექსიძე მაია. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში. (ბრძოლა ქართული ენისათვის).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ოდიშელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1998, 140 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში საარქივო მასალების საფუძველზე ნაჩვენებია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარიის მიზანი და საქმიანობა და ქართველი ახალგაზრდების ბრძოლა ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ანანია ჯაფარიძე – მთავარეპისკოპოსი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. (შუა საუკუნეები).

დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შესულია წიგნში „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1998, გვ. 109-422, რედ.: გ. კოპლატაძე, გ. რუხაძე; დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 479 გვ. 4000 ც. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში.

ანდრეასი სოფიო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი – ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. პავლიაშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისი, 2006, 149 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში ნაჩვენებია დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის (შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი) როლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

არაბიძე ირინე. „განახლების მოძრაობა“ საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელები: [რ. კოჭლამაზაშვილი], ა. დაუშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 188 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში აღწერილია XX საუკუნის 20-იან წლებში ხელისუფლებისგან ინსპირირებული ე. წ. „განახლების ჯგუფის“ საქმიანობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ეკლესიაში ისეთი რეფორმების გატარება, რაც პრაქტიკულად მას მრევლს დააკარგვინებდა.

ბასილაძე იმერი. სასულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში.

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის მაცნე, სპეციალობა: პედაგოგიკის თეორია და ისტორია – 13.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი გ. სინარულიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1993, 22 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა].

ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი სასულიერო განათლების ისტორია მე-4 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით იმერეთის ეპარქიაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მე-19 საუკუნეში დაარსებულ სასულიერო სასწავლებლებზე.

ბენდელიანი მედეა. საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. (1941-1945 წწ.)

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. კვარაცხელია; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრა, თბილისი, 1999, 165 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში ნაჩვენებია ომის პერიოდში ეკლესიისადმი ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება და ამის შედეგად ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების კვლავ ამოქმედების საკითხი, ასევე ის დადებითი ტენდენციები, რაც მოჰყვა ხელისუფლებისა და ეკლესიის თანამშრომლობას.

ბერძენიშვილი ირმა. ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. (IV-VIII სს.).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: არქეოლოგია – 07.00.06, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ჯაფარიძე; ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი, 2006, 200 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში გადმოცემულია აფხაზეთის ადრეული ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია და წერილობითი წყაროები, აფხაზეთის ძეგლების არქეოლოგიური მონაცემები, რაც აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

ბოქოლიშვილი ლელა. XIX-XX საუკუნეების ქართველი მღვდელმთავრების სამეცნიერო მოღვაწეობა.

სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 168 გვ. [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი].

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ქართველი სასულიერო წოდების ღირსეული წარმომადგენლების: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების – კირიონისა და ამბროსის, გაბრიელ ეპისკოპოსის, სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის სამეცნიერო მოღვაწეობა.

ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2006, 91 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული

სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].
ნაშრომში საარქივო მასალის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა ევზარქოსობის პერიოდში.

გაბისონია პაპუნა. ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ბერაძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, 144 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].
დისერტაციაში განხილულია საკითხები: ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება, მისი საზღვრები, 27 ქუთათელი მთავარეპისკოპოსოს ვინაობა და ზეობის თარიღი XI-დან XIX საუკუნემდე, მათი პოლიტიკური, საეკლესიო და კულტურული საქმიანობა.

გოგიტიძე სიმონ. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, წარმოდგენილია მონოგრაფიის სახით, რედ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. კახიძე; აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტი, აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის გამომცემლობა „მეცნიერება“, ბათუმი, 1997, 150 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].
ნაშრომი არის პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის – მირიანის, ნანა დედოფლისა და წმიდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ასევე ქართლის მოქცევის თარიღების დაზუსტების ცდა. განხილულია მონაცემები აჭარაში ქრისტეს მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ, მოთხრობილია ქართველი მეფეების წვლილზე ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებისა და საკულტო ნაგებობების მშენებლობის საქმეში.

დასამიძე ბიჭიკო. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. (I-X საუკუნეები).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 1999, 286 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].
ნაშრომში არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე გადმოცემულია დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების,

საეკლესიო ცენტრების შექმნის ისტორია და დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების იურისდიქციის საკითხები.

ვარაზაშვილი აკაკი. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. (XX საუკუნის დასაწყისი – 1918 წლამდე).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი [შ. ბადრიძე]; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2001, 159 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

სადისერტაციო ნაშრომში წარმოჩენილია ქართველი ისტორიკოსების (ივ. ჯავახიშვილის, ნიკო მარის, ექ. თაყაიშვილის, ალ. ცაგარელის) უდიდესი როლი და დამსახურება პატრიოტულად განწყობილ სამღვდელოებასა და პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად XX საუკუნის დასაწყისში ქართველთათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, როგორცაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია, სამეცნიერო კონსულტანტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფ. ლომაშვილი; სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2001, 271 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში მრავალრიცხოვან დოკუმენტებსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1917-დან 1952 წლამდე.

Зубиашвили Зураб. Грузинская православная церковь в процессе демократизации общества.

Автореферат на соискание ученой степени кандидата философских наук, специальность: 09.00.06 - научный атеизм, история религии и атеизма; Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили, научные руководители: В. Гагоидзе, В. Гогоберишвили; Тбилиси, 1990, 23 გვ. 100 ც. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში.

თადუმაძე მაია. საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში. (XIX საუკუნის პირველი ნახევარი).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ორჯონიკიძე, თბილისი, 1993, 146 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია აღნიშნულ პერიოდში გატარებული საეკლესიო რეფორმები, საეკლესიო გლეხთა რაოდენობა და განსახლება, მათი მეურნეობა და საქმიანობა.

იაკობ უშიკიშვილი – დეკანოზი. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო.

სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 143 გვ. [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი].

კვლევაში განხილულია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს სამეფო კარის ოფიციალურ წარმომადგენელთა მონაწილეობის საკითხი, როგორც ჩვენი ეკლესიის მიერ მართლმადიდებლობის დაცვისათვის თავგანწირვის მაგალითი.

იოანე ჩიგოგიძე – დეკანოზი. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის თანამედროვე პრობლემები (აფხაზეთის საკითხი) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წვლილი ამ პრობლემის დარეგულირების საქმეში.

სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, 144 გვ. [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი].

ნაშრომში გაანალიზებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პოზიცია აფხაზეთის სარწმუნოებრივ საკითხთან დაკავშირებით, მსოფლიო საპატრიარქოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის მიღწეული შეთანხმებები, გამოკვეთილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წვლილი აფხაზური საეკლესიო სეპარატისტული მოძრაობის ე. წ. „საისტორიო არგუმენტაციის“ დაძლევისა და რეალური ისტორიის წარმოჩენაში.

კალანდია გიორგი. ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორია. (ცაიში, ბეღია, მოქვი, ხობი).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ნინიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002, 56 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა].

ნაშრომში საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ოთხი მნიშვნელოვანი საეპისკოპოსოს ისტორია.

Касрадзе Г. Состояние православной веры среди населения Грузинской ССР (Опыты конкретно-социологического исследования).

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилисский государственный университет, Тбилиси, 1984, [წიგნის პალატა].

ნაშრომში სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მართლმადიდებლური რწმენის საკითხი.

კახაბერ შურღაია – დეკანოზი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია. (VI-XI სს.).

სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 179 გვ. [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი].

ნაშრომში ისტორიული წყაროებისა და არსებული ლიტერატურის გამოყენებით შესწავლილია ლაზიკის ეპარქიის ისტორია VI-XI საუკუნეებში.

კეზევაძე მერაბ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. მჭედლიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2005, 171 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში აღწერილია ეგზარქოსობის პერიოდში გელათის სამონასტრო კომპლექსის საქმიანობა და მართვა-გამგეობის წესი, დაზუსტებულია მონასტრის მიწათმფლობელობა და მოსახლეობის ვალდებულება მონასტრისადმი.

კვიციანი ტასო. რუსი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში 1905-1917 წლებში. (პრესის მასალების მიხედვით).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: გ. როგავა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 46 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში განხილულია საკითხები: ქართლში და ეგრისში ქრისტიანობის გავრცელება და ავტოკეფალიის მოპოვება, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1801-1905 წლებში, ავტოკეფალიის გაუქმება, რეაქციული რუსი ინტელიგენციის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ და ქართველი სამღვდლოებისა და საზოგადოების თავდადება ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რაც, საბოლოოდ, გამარჯვებით დასრულდა.

კიკნაძე ვაჟა. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში. (ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2005, 318 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

დისერტაციაში შესწავლილია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დიდი საეკლესიო მოღვაწეების ნააზრევი, რომელიც ეროვნულთან ერთად ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონეა.

კუდავა ბუბა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია. (IX-XI სს.).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ნინიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002, 172 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში საუბარია დასავლეთ საქართველოს აფხაზთა საკათალიკოსოსა და მისი საეპისკოპოსოების ისტორიის შესახებ. განხილულია მისი ურთიერთობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან და მცხეთის საკათალიკოსოსთან.

Леван Матешвили – протоиерей. Проблемы объявления христианства государственной религией в Грузии.

Диссертация на соискание учёной степени кандидата теологических наук, специальность: теология, научный руководитель: кандидат теологических наук, диакон Павел Ермилов; Московский Свято-Тихоновский гуманитарный университет, Москва, 2015, 195 гв. [Московский Свято-Тихоновский гуманитарный университет].

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ადრექრისტიანული რეალობა საქართველოში, მირიან მეფის საეკლესიო პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კოლიზიები, მირიან მეფისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული ეკლესიის ორიენტაციის საკითხი.

მაშულაშვილი მარიაშ. ქრისტიანობა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ისტორია საქართველოში. (IV-XII სს.).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. პავლიაშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2001, 155 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში წერილობითი წყაროების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ეტაპები, ქრისტიანობის როლი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში, ქართული მესიანიზმის პრობლემები და ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო პოლიტიკა მოცემულ პერიოდში.

მაშულია გიორგი. ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, წარმოდგენილია მონოგრაფიის სახით, რედ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ახალაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1992, 103 გვ. 1000 ც. ISBN 5-520-01313-6, [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში შესწავლილია V-VI საუკუნეების ქართლის ეკლესიის ისტორია. ავტორს უწინ ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობ ან ნაკლებად ცნობილ წყაროთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხილული აქვს ქართლის ეკლესიის ურთიერთობა ნესტორიანობასთან, მონოფიზიტობასთან და ქალკედონიტობასთან. აღნიშნული პრობლემა განხილულია ქართლის საგარეო პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართლის ეკლესია, დროის მცირე გამონაკლისის გარდა, პრობიზანტიურ ორიენტაციას ემხრობოდა.

მერკვილაძე დავით. სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში. („ასურელი მამები“).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჯამბურია; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1996, 109 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში არის მცდელობა, დაზუსტებულ იქნას ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის დრო, მათი წარმომავლობა, სახელები და რაოდენობა, განხილულია მათი ღვაწლი ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში.

მჭედლიძე გულნარი. ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან. (გუდარეხი, ფიჭარეთი).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მარიაშ ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის

სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, 164 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში აღწერილია აღნიშნული ორი მონასტრის ისტორია, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეპიგრაფიკა.

პავლიაშვილი ქეთევან. ვატიკანის პოლიტიკა საქართველოსა და ირანის მიმართ XVII საუკუნის 20-50-იან წლებში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: სსრკ ისტორია – 07.00.02, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ი. ტაბალუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1989, 197 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოსა და ირანის ურთიერთობა ევროპასთან XVII საუკუნეში, კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა საქართველოსა და ირანში.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. წარმოდგენილია მონოგრაფიის სახით, რედ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ბოცვაძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1995, 252 გვ. 1000 ც. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში განსაზღვრულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, ქართველი სამღვდელოების როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

პაპაშვილი მურმან. საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: მსოფლიო ისტორია – 07.00.03, სამეცნიერო კონსულტანტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ტაბალუა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1998, 370 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში აღწერილია საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან XVII-XVIII საუკუნეებში. ავტორი ძირითადად ეყრდნობა მიხეილ თამარაშვილისა და ილია ტაბალუას მიერ გამოცემულ დოკუმენტებს და ახდენს მათ ანალიზს.

როგავა გივი. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი, 1999, 322 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში საარქივო მასალების საფუძველზე აღწერილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსების მმართველობის დაწესება და რუსეთის საერო ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში.

როსტომაშვილი ნინო. კალისტრატე ცინცაძე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. მამუკელაშვილი; ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, 2008, 141 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში ნაჩვენებია დეკანოზ კალისტრატეს (შემდეგში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) როლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, განხილულია მისი წერილები, ნაშრომები, მიმართვები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ეხება.

ტოლიაშვილი კახა. რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში. (XIX ს. 80-იანი – 1917 წწ.).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2005, 128 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში ნაჩვენებია რუსეთის სინოდის ანტიქართული პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობა მოცემულ პერიოდში.

ტყემელაშვილი ლევან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები.

ისტორიის აკადემიური დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქუთაისი, 2012, 267 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა]. დისერტაციაში განხილულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მდგომარეობა V, VIII, XI საუკუნეებში.

ფირჩხაძე მაია. ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოში. (I-IX სს.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის კათედრა, თბილისი, 2002, 167 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა]. ნაშრომში ავტორი არსებული წყაროების საფუძველზე განიხილავს ქრისტიანობის გავრცელებისა და შემდგომი განვითარების ეტაპებს.

ფხალაძე თამარ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. (პერიოდიკის მიხედვით). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. პავლიაშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისი, 2004, 155 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა]. დისერტაციაში ნაჩვენებია ქართველი სასულიერო პირების ბრძოლა ეკლესიაში ქართული საღვთისმსახურო ენის შესანარჩუნებლად, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ქათამაძე ციური. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმთან. (XVI-XVIII სს.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფ. სინარულიძე; ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2002, 165 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი]. ნაშრომში ნაჩვენებია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული და სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა იერუსალიმთან XVI-XVIII საუკუნეებში, ამ კუთხის მკვიდრთა მოღვაწეობა იერუსალიმში, ჯვარის მამათა ქრონოლოგიის საკითხი.

ქართველიშვილი თეა. გურიის საეპისკოპოსოების როლი ქართულ კულტურაში. (XV-XVIII საუკუნეები).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. პავლიაშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002, 165 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში განხილულია გურიის საეპისკოპოსოების ისტორიოგრაფია, გურიის სამთავროების საეპისკოპოსოთა ჩამოყალიბება, მათი კულტურული დანიშნულება, ეკლესიამონასტრების ხუროთმოძღვრება და ხელოვნება, გურიის ეპისკოპოსთა კულტურულ-საეკლესიო საქმიანობა.

ქორიძე თამარ. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია. (IX-XVI სს.).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი [ნ. შოშიაშვილი]; აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003, 71 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა].

ნაშრომში საარქივო მასალებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია IX-XVI საუკუნეების აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია.

ქოქრაშვილი ხათუნა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ჯანელიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2001, 185 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ბიოგრაფია, ისტორიული წყაროების საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია მისი ეროვნულ-საზოგადოებრივი ნააზრევი და საისტორიო შეხედულებანი.

Чхартишвили Изольда. Антирелигиозная борьба во второй половине XIX в. (По материалам грузинской демократической прессы).

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Академия наук Грузинской ССР, Институт истории им И. Джавахишвили, Тбилиси, 1984, [ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი].

ნაშრომში გამოკვლეულია XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ანტირელიგიური ბრძოლის ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებები, განსაზღვრულია ქართული ათეისტური აზრის განვითარების ისტორია.

წვერავა ვლადიმერ. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ბენდიანიშვილი; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი პ. ვაჭრიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1999, 171 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიელებში სამისიონერო-კულტურული მიმართულებით („ოსეთის კომისია“, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ საქმიანობა, მის მიერ დაარსებული სკოლები და ა. შ.).

ხუციშვილი ნიკოლოზ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწისმფლობელობა საქართველოში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ე. მეტრეველი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზ. ალექსიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1999, 172 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

ნაშრომში აღწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის ქართველი მეფეებისგან გადაცემული ყმა-მამულების რაოდენობა და ის ვალდებულებები, რაც მათ ჰქონდათ ამ მონასტრის მიმართ.

ჯავახიშვილი მანანა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს.-ში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნ. შოშიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1997, 140 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

დისერტაციაში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობა XI-XIV სს.-ში, არის მცდელობა, დაზუსტებულ იქნას მართლმადიდებელი ეკლესიისაგან რომის კათოლიკური ეკლესიის გამოყოფის ზუსტი თარიღი, შედარებულია მართლმადიდებლური და კათოლიკური ტიპიკონები.

ჯაფარიძე შორენა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. პავლიაშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, „უნივერსალი“ თბილისი, 2003, 41 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა].

ნაშრომში მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შესწავლილია 1905-07 წლებში ქართველი საზოგადოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

ჯოხაძე გრიგოლ. XIII-XIV სს. საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, სპეციალობა: საქართველოს ისტორია – 07.00.01, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. მეტრეველი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2001, 46 გვ. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა].

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები.

1978-2017 წლებში გამოქვეყნებული სტატიები

აბაშიძე ზაზა. XIX საუკუნის მატთანე.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 422-431.

სტატიაში აღწერილია XIX საუკუნის საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა.

Абашидзе З., Бубулашвили Э., Павлиашвили К. Грузинский экзархат Русской Православной Церкви. (Предположительно материал для Православной Энциклопедии).

უთარილო, 67 გვ.

კოლექტიურ სტატიაში, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს მიერ გამოცემულ „მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში“ დაიბეჭდა, აღწერილია საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია (1812-1917 წწ.).

აბაშიძე ზაზა. ნეტარ იყვნენ მოწყალენი.

„ფუძე“, მართლმადიდებლური ჟურნალი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, 2004, №2, გვ. 23).

სტატიაში გაშუქებულია წმიდა გაბრიელ ქიქოძის დამსახურება საქართველოს ეკლესიის წინაშე.

აბაშიძე ზაზა. განუწყვეტელი სათნობა.

„ფუძე“, მართლმადიდებლური ჟურნალი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, 2005, №1, გვ. 11.

ჟურნალში გამოქვეყნებულია წმიდა ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ბიოგრაფიული მონაცემები.

აბაშიძე ზაზა. ქართლის გაქრისტიანების ქრონოლოგიის შესახებ.

„ხანძთა“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, ქუთაისი-თბილისი, 2009, №2, გვ. 54-66.

სტატიაში განხილულია ქართლში ქრისტიანობის გავრცელების თარიღის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები.

აბაშიძე ზაზა. კიდევ ერთხელ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელის შესახებ.

„რელიგიის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 2013, ტ. II, გვ. 136-150.

სტატიაში განხილულია ორი მნიშვნელოვანი თანამდებობის – მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდის ეპისკოპოსის გაერთიანების დრო და გარემოებები.

აბღალაძე ალექსანდრე. გელათის აკადემიის ისტორიიდან.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1989, №2, გვ. 56-58.
სტატია მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის პერიოდში საქართველოში, კერძოდ, გელათის აკადემიაში, მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

აბღალაძე გვანცა. გიორგი IV ლაშა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები; ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია; 2001, №338, გვ. 63-71.
სტატიაში განხილულია გიორგი IV-ის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ.

ავალიანი თემურ. აჭარამ უნდა მოაქციოს საქართველო.

„ტბელობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 112-114.
XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდში, როდესაც გარკვეული სიძნელები იყო აჭარის საკითხთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებმა: „საქართველომ კი არ უნდა მოაქციოს აჭარა, არამედ აჭარამ უნდა მოაქციოს საქართველო“. სწორედ ეს სიტყვები გასდევს ლაიტმოტივად სტატიას.

ავთანდილ გიორგობიანი – მღვდელი. ფუტიეთის ბრძოლა. (რატომ მოხდა საეკლესიო აჯანყება საქართველოში).

„არსენალი“, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი, 2008, №8, გვ. 20-23.
სტატიაში გადმოცემულია ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რაჭაში საეკლესიო ამბოხებისა და მისი მონაწილეების დასჯის ისტორია.

ათონელი ქართველი ბერები (მამა ბენედიქტე, მამა ბესარიონი).

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1991, №1, გვ. 56-58.
სტატიაში წიგნიდან „XIX საუკუნის ათონელ მოღვაწეთა ცხოვრებანი“ ამოკრებილია ათონელი ქართველი ბერების: მამა ბენედიქტე ქიტიშვილისა და მამა ბესარიონ ქიქოძის ცხოვრება და წმიდა მოღვაწეობა.

ათონი – ათასწლოვანი.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1982, №2, გვ. 33-35.
სტატია ეძღვნება ათონის ივერთა მონასტრის 1000 წლის იუბილეს.

აივაზოვი ანა. დუსელდორფის ქართული ეკლესია – ქართველთა კერა შორეულ მიწაზე. „თანამემამულე“, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალური პერიოდული გამოცემა, 2008, №2, გვ. 13-14.

სტატია მოგვითხრობს ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაში დუსელდორფის ქართული ეკლესიის როლისა და მისი ისტორიის შესახებ.

ალასანია გიული. ჰერაკლე კეისრის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში.

„ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 10.

კრებულში შეტანილია ავტორის მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ალექსი ქშუტაშვილი – დეკანოზი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო სტატუსის ისტორიულ-კანონიკური პრინციპები.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, თბილისი, 2011, №3, გვ. 30-42.

სტატიაში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო სტატუსის დამადასტურებელ ისტორიულ წყაროებს.

ალექსიძე ზაზა. ოცსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესია.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1978, №1, გვ. 47-49.

სტატიაში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს.

ალექსიძე ზაზა. ასურელ მამათა ღვაწლი.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 118-121.

სტატია ასახავს ასურელ მამათა მოღვაწეობას საქართველოში.

ალექსიძე ზაზა. ტაოს საეპისკოპოსო VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში.

„აღმოსავლეთმცოდნეობა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 2014, №3, გვ. 206-220.

სტატიაში გაშუქებულია ისტორიული წყაროები ტაოს საეპისკოპოსოს შესახებ.

ალიბეგაშვილი გიორგი, ჟვანია ნინო. უცხოური მასალები საქართველოს მოქცევაზე.

კრებ. „წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა“, 2009, გვ. 119-136.

სტატიაში განხილულია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არსებული უცხოური (ბიზანტიური, სომხური) წყაროები.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). კათალიკოსი დომენტი IV – ქართული კულტურის მოამაგე.
შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2011, №2, გვ. 166-179.

სტატიაში გადმოცემულია XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე კათალიკოს დომენტი IV-ის (დამინა ბაგრატიონი) მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). კათალიკოსი დომენტი I.

„საისტორიო ძიებანი“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექ. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, წელიწდეული, 2013-2015, ტ. XII, გვ. 88-119.

სტატიაში აღწერილია XVIII საუკუნის I ნახევრის გამოჩენილი სასულიერო პირის – კათალიკოს დომენტი I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ალიმბარაშვილი იოსებ. რა გახდა დომენტი კათალიკოსსა და სულხან-საბა ორბელიანს შორის დაპირისპირების მიზეზი?

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №10, გვ. 7-26.

სტატიაში წერილობითი წყაროების საფუძველზე განხილულია XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე კათალიკოს დომენტი IV-ისა და სულხან-საბა ორბელიანის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი.

ამბროსი ქათამაძე – ეპისკოპოსი. ინდოეთის გზებზე.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1982, №2, გვ. 10-13.

სტატიაში აღწერილია საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ინდოეთში.

ამირან შენგელია – დეკანოზი. წმიდა ქალწულმოწამე ბარბარე.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1980, №2, გვ. 23-25.

სტატიაში ასახულია ნავთლულის წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის ისტორია.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. ვმადლობ უფალსა ჩვენსა.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1981, №2, გვ. 26-33.

სტატია მოგვითხრობს 1981 წლის სექტემბერში საბერძნეთში ივერთა მონასტრის მოსალოცად წასული საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ვიზიტის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. მესხეთის წარსულიდან.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1986, №2, გვ. 47-55.

სტატიაში ავტორი მოგვითხრობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ მესხეთის ისტორიიდან.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. პირველი წირვა საფარაში.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1988, №4, გვ. 47-50.
1988 წლის 28 აგვისტოს საფარის წმიდა საბას ტაძარში ჩატარდა პირველი წირვა 20-იანი წლების შემდეგ. წირვა ჩატარა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე). ჟურნალში გამოქვეყნებულია მის მიერ წარმოთქმული ქადაგება.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. თამარ დედოფლის ვაჟის სახელი.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1989, №4, გვ. 43-50.
სტატიის ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვესაუბრება თამარ მეფის ვაჟის – ლაშა-გიორგის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. ჩვენგან გავაუცხოოთ ჩვენი სისხლი და ხორცი?

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1990, №1, გვ. 52-57.
სტატიის ავტორი იმ საჭირობო პრობლემის შესახებ, რომ ქართველების ერთი ნაწილი მიჩნეულია ოსებად მათი „ოსური“ გვარების გამო. ავტორი ცდილობს, დაგვისაბუთოს ამ მოსაზრების უმართებულობა.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. ვასწავლოთ თუ არა საქართველოს ეკლესიის ისტორია სკოლაში?

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1992, №9, გვ. 67-74.
სტატიის ავტორი საუბრობს მომავალი თაობისთვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლების საჭიროების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – ეპისკოპოსი. საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1993, №1, გვ. 70-77.
ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვაწვდის ინფორმაციას, რომელი ადგილი ეკავა საქართველოს საპატრიარქოს მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. აფხაზეთის ეპარქია.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1995, №1, გვ. 11-19.
სტატიის ავტორი მოკლედ არის გადმოცემული აფხაზეთის ეპარქიის ისტორია დაარსებიდან XIX საუკუნემდე.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. დედა ეკლესია, ქადაგებანი, წერილები, 1996, 319 გვ.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები და წერილები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება. მათ შორის აღსანიშნავია:

ქართველთა გაბერძნება. სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში (ლაზეთსა და მესხეთში) მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელთა ბედი, რომელნიც ოსმალური კანონების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს მრევლად გადაიქცნენ. (გვ. 10-16).

ქართველთა გამაჰმადიანება. სტატიაში მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილი საქართველოს კუთხეთა, კერძოდ, მესხების გამაჰმადიანება, რასაც ხალხი „გათათრებასაც“ უწოდებდა, მათ მიერ ქართული ენის დავიწყებისა და გვარების შეცვლის პროცესი. (გვ. 17-26).

ქართველთა გალექება. სტატიაში გადმოცემულია მტრის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) მცხოვრებ ქართველთა ბედი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს ეროვნული ეკლესია. მათი დიდი ნაწილი ეთნიკურად გადაგვარდა, ძირითადი ნაწილი კი შეერწყა საინგილოში ჩამოსახლებულ სხვადასხვა ხალხს, მათ შორის ლეკებსაც. აღწერილია საინგილოს ისტორიული გეოგრაფია, ეთნიკური სახე, სოციალური ყოფა, გვარების ეტიმოლოგია. (გვ. 26-34).

ქართველთა გაოსება. ზოგჯერ ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა წერა ქართველთა გაოსების შესახებ? საერთოდ არსებობს თუ არა ასეთი პრობლემა? ქართველთა გაოსების საკითხი მნიშვნელოვანი და სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემაა, რადგან ამ საკითხის არსში გაურკვეველობა თაობათა მანძილზე ოსურ თვითშექცევას უყალიბებდა „ოსური“ გვარის მატარებელ ქართველებს. სწორედ ამ საკითხებს ეხება აღნიშნული სტატია. (გვ. 34-46).

ქართველთა არმენიზაცია. სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა და ირანელთა მიერ XVII-XIX საუკუნეებში დაპყრობილ ქართლ-კახეთსა და მესხეთში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელთა ხვედრი, რომელნიც თანდათანობით გადაიქცნენ სომხური ეკლესიის მრევლად დამპყრობელთა პოლიტიკური ნების შესაბამისად. გამონოფიზიტების შემდეგ კი მათ შეეცვალათ ეთნოფსიქოლოგიაც და დაადგინეს გასომხების გზას. (გვ. 46-53).

ქართველთა გააფხაზება. სტატიაში გადმოცემულია აფხაზეთის ქართველთა ბედი XVI-დან XXI საუკუნემდე. XVI საუკუნიდან, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო, ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები, კერძოდ, ადიღე-ჩერქეზული ტომის აბაზები ანუ აფსუები. მკვიდრი მოსახლეობა გადაიქცა საზოგადოების დაბალ ფენად, ქართველმა თავად-აზნაურებმა კი შეძლეს ახალი ეთნიკური სახის ჩამოყალიბების სანაცვლოდ მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება. (გვ. 54-63).

სიტყვა, წარმოთქმული ახალციხის ეკლესიაში 1981 წლის სექტემბერში. ქადაგება წარმოთქმულია ახალციხის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიაში საზეიმო წირვის შემდეგ. (გვ. 65-75).

ქართლის ცხოვრების ფურცლები: მესხეთის წარსულიდან. სტატიაში საუბარია მესხეთში ქრისტიანობის გავრცელების, იქ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და მესხეთში მცხოვრებ ქართველთა მიერ პოლიტიკური ვითარებების შედეგად მართლმადიდებლური სარწმუნოების შეცვლის პროცესის შესახებ. (გვ. 78-92).

პირველი წირვა უდეს ტაძარში. ქადაგება წარმოთქმულია საქართველოს ერთ-ერთ უძველეს სოფელში, უდეში, 1987 წელს ამოქმედებული ტაძრის კურთხევის შემდეგ. (გვ. 93-98).

პირველი წირვა საფარაში. ქადაგება წარმოთქმულია XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ პირველად ჩატარებული ლიტურგიის დასრულებისას, 1988 წლის 28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, საფარის მონასტრის წმიდა საბას სახელობის ტაძარში. (გვ. 99-104).

წირვა ვალეს ეკლესიაში. ახალციხიდან თორმეტობდე კილომეტრში, სოფელ ვალეში, დგას პატარა სამნავიანი ბაზილიკა – X საუკუნის ტაძარი. ქადაგება წარმოთქმულია აღნიშნულ ეკლესიაში 1988 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის საღმრთო სასწრაფო წირვის შემდეგ. (გვ. 104-110).

მესხეთის შესახებ. (პოლემიკა). წერილი არის გაზეთ „ერის“ კორესპონდენტის მიერ წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის მოძღვართან პატრ იან სნიჟინსკისთან ჩაწერილი ინტერვიუს გამომხმაურება. (გვ. 110-115).

ენკენია აბასთუმნის ეკლესიისა. 1991 წლის 14 აპრილს, 70 წლის მანძილზე გაუქმებული წირვა-ლოცვის აღდგენის შემდეგ, აბასთუმნის ეკლესია ხელახლა ეკურთხა. მრევლს სიტყვით მიმართა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე). (გვ. 115-117).

პირველი წირვა კიმოთესუბანში. 70-წლიანი უქმობის შემდეგ, 1992 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, კიმოთესუბანში პირველი წირვა ჩატარდა, რომლის დასრულებისას მეუფე ანანიამ წარმოთქვა სიტყვა. (გვ. 118-122).

ნუ დაანაწევრებთ! სტატია არის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (27.02.93) საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ გამოქვეყნებული წერილის (ავტორი ამბროსი გრიშვილი) კრიტიკული გამომხმაურება. (გვ. 124-130).

მოციქულთა გზა. სტატიაში მოთხრობილია იესო ქრისტეს მოციქულების მოღვაწეობის შესახებ საქართველოში. (გვ. 132-138).

ქრისტიანობა ანდრია მოციქულიდან წმიდა ნინომდე. სტატიაში განხილულია ისტორიული წყაროები, კერძოდ, რუის-ურბნისის კრების „ბეგლისწერა“ და სხვა, რომლებიც პასუხს სცემენ პრობლემატურ კითხვას იმის თაობაზე, რომ თუ საქართველოში ქრისტიანობა წმიდა მოციქულებმა იქადაგეს, რაღა საჭირო იყო წმიდა ნინოს ქადაგება? (გვ. 138-146).

მირონის კურთხევის შესახებ. თანამედროვე შეხედულებით, საქართველოს ეკლესიამ მირონის კურთხევის უფლება მიიღო IX საუკუნეში. ძველ ქართულ მწერლობაში სხვაგვარი მოსაზრებაა დამკვიდრებული. სტატიაში ავტორი განიხილავს აღნიშნულ საკითხს. (გვ. 153-162).

საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში. საქართველოს წმიდა ეკლესიას საპატრიო ადგილი ეკავა მსოფლიო ეკლესიათა შორის. მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ მისი ადგილი მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის იმ დროისათვის გადაუჭრელ პრობლემად აქცია. სწორედ ამ საკითხს ეხება სტატია. (გვ. 163-172).

მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილები. სტატიაში მოთხრობილია მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახის წარმომადგენლების ღვაწლის შესახებ, რაც მათ მიუძღვით მეცნიერების სხვადასხვა დარგის აღორძინებისა და ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანის საქმეში. (გვ. 172-179).

თამარ დედოფლის ვაჟის სახელი. მრავალ ადამიანს ალუძრავს ცნობისწადილს თამარ მეფის ძის სახელი – ლაშა-გიორგი. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ თამარ მეფის ახალდაბადებულ ვაჟს ქართულმა მხედრიონმა მიუძღვნა ერთ-ერთი ლაშქრობა – „ბელსა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“. ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ „აფსარები“, რომელთა ენიდანაც ეწოდა სახელი მეფის ვაჟს, განხილულია სტატიაში. (გვ. 181-191).

ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს. სტატია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოქტორ ალ. ონიანსა და ბატონებს – თ. გვანცელაძესა და მ. ჩუხუას შორის გამართული პოლემიკის გამოცხილი. (გვ. 191-207).

„რაი არს ჭეშმარიტება?“ წერილში ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ წინა თაობის მეცნიერებმა ახალ თაობას უნდა გადასცენ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობილი ისტორია და ასწავლონ ფაქტების კრიტიკული თვალთ შეხედვა და გაანალიზება. (გვ. 207-217).

მეგრელთა სისხლი სწყუროდათ. სტატია ეხება აფხაზ-აფსუათა მიერ გაგრა-ლესელიძის დალაშქრისას ქართველთა მიმართ ჩადენილ სისასტიკეს, რამაც სულიერად შეძრა ცხუმ-აფხაზეთის მაშინდელი მიტროპოლიტი დავითი (ჭკაღუა). ამ ფაქტებთან დაკავშირებით იგი შეხვდა და ინტერვიუ მისცა უცხოელ კორესპონდენტებს. (მალე მეუფე მომეტებული მწუხარებისაგან გარდაიცვალა). (გვ. 217-224).

აფხაზეთში მიმდინარე ე. წ. „გამეგრელების“ იძულებითი პროცესის ნამდვილი არსი. სტატიაში საუბარია ქართველი ერის გენოციდის შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი ქართველების იძულებითი გამეგრელების პროცესის ფაქტებზე, რაც ხორციელდებოდა აფხაზი პოლიტიკოსების მიერ. (გვ. 227-235).

ნათლისცემის ძველი ქართული ტერმინოლოგია და წყალთან დაკავშირებული ზოგიერთი ტოპონიმი. სტატია ეხება ნათლისცემის აღსანიშნავად ძველ ქართულ ენაში გამოყენებული ტერმინებისა და ტოპონიმების წარმოშობისა და ენაში დამკვიდრების საკითხს. (გვ. 235-240).

აფხაზების საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაში. წერილში განხილულია ლენინგრადელი პროფესორის ა. ნ. გენკოს კვლევები, რომლებიც შეეხება აფხაზურ და აბაზურ ენებს, აღნიშნული ენებისა და კილო-კავების გავრცელების გეოგრაფიულ არეალს. (გვ. 241-247).

მებრძოლი ეკლესია. ღვთისმეტყველთა განმარტებით, ეკლესია ორ ნაწილად განიყოფა: ქრისტეს რწმენით, საღვთო სჯულით, იერარქიითა და წმიდა საიდუმლოებით შეკრულ ადამიანთა ერთობა – ხილული ანუ მებრძოლი ეკლესია, და მეორე – ზეციური ანუ მეღვთისწაუღეთა ეკლესია. სტატიაში გაანალიზებულია მებრძოლი ეკლესიის რაობა. (გვ. 247-256).

საბრძოლო დროშა. იშვიათად განუცდია ალბათ რომელიმე ერს ისეთი საშინელი გენოციდი, რაც თავს დაატყდა ქართველ ხალხს აფხაზეთის ტრაგედიის დროს. რამ ჩაკლა ქართველებში ეროვნული სულისკვეთება? რამ დაბადა ნიჰილისტური სული? ამ კითხვებზე გამოთქვამს ავტორი სტატიაში საკუთარ აზრს. (გვ. 256-265).

ჩვენგან გავაუცხოოთ ჩვენი სისხლი და ხორცი? სტატია ეხება საქართველოსთვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს – ჩვენი ეკლესიის სამწყსოში შემომავალ ოსებს, რომლებიც, როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი, საქართველოს ეკლესიის მრევლს წარმოადგენენ. (გვ. 267-276).

საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შეილი დასაკარგავი? წერილში საუბარია ისეთ უმნიშვნელოვანეს და სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემაზე, როგორცაა ქართველთა

გაოსების საკითხი. ოსებსა და ქართველებს ხშირად აქვთ ერთიდაიგივე გვარები, რაც გაურკვევლობას იწვევს და ოსური გვარის მატარებელი ადამიანი ოს ეროვნებისად მიგვაჩნია. ეს კი თაობათა მანძილზე ოსურ თვითშექცევას უყალიბებს ოსური გვარის მატარებელ ქართველებს. (გვ. 276-287).

„ახალი ერი“. სტატია ეხება თანამედროვე საქართველოს პრობლემებს, რომელთა ერთ-ერთი მიზეზია ჩვენს მიერ გამოჩენილი უგუნურება, თავისუფლების მოპოვების შემდეგ ქვეყანაში გაძლიერებული ურთიერთკინკლაობა, შინაბრძოლები და ქიშპობა. (გვ. 305-309).

„ეროვნული ეკლესია“. წერილში ავტორი გულისტკივილით საუბრობს საქართველოს ეკლესიის დღევანდელ პრობლემებზე. ჩვენს ერში ქვეცნობიერად დევს წინაპართაგან ნანადერძები და საუკუნეებით განმტკიცებული რწმენა, რომელიც დღეს მიმქრალია, რადგან არაა გამყარებული ახალი ცოდნითა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებით. (გვ. 309-318).

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. XIX საუკუნე: ქართველთა გაოსება (რელიგიური გზა).

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1997, №1, გვ. 19-23. სტატიაში აღწერილია ოსურ გარემოში მცხოვრები ქართველების მიერ ენისა და სარწმუნოების დაკარგვის პროცესი XVIII –XIX საუკუნეებში.

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი. მირონის კურთხევის ისტორია საქართველოში. „ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1998, №1, გვ. 128-132. სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილია საქართველოში მირონის კურთხევის ტრადიციის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად. „ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 21-23. სტატიაში ავტორი მიმოიხილავს ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდის საქართველოს ისტორიულ მდგომარეობას და იმ პირობებს, როცა ქართველები ახალ სარწმუნოებას ეზიარნენ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. „წარვედით და მოიმოწაფენით“: ქრისტეს მოციქულები საქართველოში.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 25-37. სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერილია I-IV საუკუნეების საქართველოს მდგომარეობა და მოციქულთა შემოსვლა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ასურელი მამები.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 112-117.

სტატია მოგვითხრობს საქართველოში ასურელი მამების ჩამოსვლისა და მოღვაწეობის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმ. გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არე.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 304-313.

სტატიაში საუბარია საქართველოს ეკლესიის უდიდესი საეკლესიო მოღვაწის – წმ. გრიგოლ ხანძთელის დამსახურების შესახებ ტაო-კლარჯეთში სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. XVI-XVIII საუკუნეების მატანე.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 362-421.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული XVI-XVIII საუკუნეების საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეპისკოპოსი VII მსოფლიო კრებაზე (787 წ.).

„ლოგოსი“, სამეცნიერო ჟურნალი, 2004, №3, გვ. 8-13.

წერილში საუბარია 787 წელს ნიკეაში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წარგზავნილი „ფაზისელი ეპისკოპოსის“ – ქრისტეფორე ტრაპეზუნტელის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ორი თვალსაზრისი ქართველი ერის ჩამოყალიბების დროის შესახებ.

დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი-მანგლისი, 2004, გვ. 3-8.

კრებულში შესულია ავტორის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. თბილისის საეკლესიო კრების „კანონი“. (16. XI. 1748 წ.).

საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“, საქართველოს საპატრიარქო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“, 2004, გვ. 7-9.

მოხსენებაში განხილულია 1748 წლის საეკლესიო კრების კანონები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი – ქართველთა კონსოლიდაციის კერები.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2005, №2, გვ. 155-158.

სტატიაში გაანალიზებულია ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის როლი ქართველი ერის გაერთიანების საქმეში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართველთაგან ეროვნების და სარწმუნოების შეცვლა (გააფსუება).

„მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2005, გვ. 20-30.

სტატიაში განხილულია ისტორიული ცნობები, რომლებიც ადასტურებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების ცხოვრების ფაქტს იმ მეცნიერთა გარკვეული წრის საწინააღმდეგოდ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე აქ მართლ აფხაზები სახლობდნენ. აღწერილია იმდროინდელი ვითარება, როცა ქართველთა გენოციდის შედეგად აფხაზეთში დარჩენილ ქართველებს აფხაზი პოლიტიკოსები მეგრელებად ჩაწერას აიძულებდნენ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ორი ეპისკოპოსი პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

„ფუძე“, მართლმადიდებლური ჟურნალი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, 2005, №5, გვ. 4-5.

სტატია მოგვითხრობს ნიკეის I მსოფლიო კრებაში ქართველი ეპისკოპოსების – ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილესა და ტრაპეზუნტელ ეპისკოპოს დომნეს მონაწილეობის თაობაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა „Православная Энциклопедия“-ს ტომეულებში.

„ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი, 2006, XIV-XV, გვ. 99-122.

სტატიაში ავტორი წყაროებზე დაყრდნობით აბათილებს საეკლესიო უცხოენოვან გამოცემაში „Православная энциклопедия“ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების არასწორ ასახვას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა „Православная энциклопедия“-ს ტომეულებში.

„ხვამლი“, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, 2006, №1-№3.

სტატიაში ავტორი არსებულ წყაროებზე დაყრდნობით აბათილებს საეკლესიო უცხოენოვან გამოცემაში „Православная энциклопедия“ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების არასწორ ასახვას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ტყვეთა სყიდვა.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2007, №1-2, გვ. 49-57.

სტატია ეხება XVII საუკუნის საქართველოში გავრცელებულ მანკიერ მოვლენას – ტყვეთა სყიდვას, რამაც უარყოფითი როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობის შეცვლის საქმეში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას. „ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2007, №1-2, გვ. 197-204.

სტატიაში გაანალიზებულია რეგიონალიზმის უარყოფითი გავლენა ქართველთა ეროვნულ კონსოლიდაციაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა. „თეოლოგიის კათედრა 5 წლისა“, სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, 2007, გვ. 23-44.

XIX საუკუნეში, რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, დამახინჯდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა. ნარკვევში განხილულია არასწორი შეხედულებები საქართველოს ეკლესიის შესახებ და დასაბუთებულია სწორი ისტორიის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. მეფე იყო ერთადერთი ერისკაცი, რომელსაც საკურთხეველში ზიარების უფლება ჰქონდა.

„კრილოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2007, №12, გვ.30-31.

ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ მიტროპოლიტ ანანიასთან (ჯაფარიძე).

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. დედა ღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა, 2008, 332 გვ.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები და წერილები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება. მათ შორის აღსანიშნავია:

ბერძენ-რომაელი ავტორები ქართველთა წარმოშობის შესახებ და „ქართიზაციის“ თეორია. სტატიაში განხილულია ძველი ბერძენი და ლათინი ისტორიკოსების: სტრაბონის, ტაციტუსის, დიოდორე სიცილიელის, პოლიბიოსის, პლინიუსის, ოვიდიუსის, აპოლონიოს როდოსელისა და სხვათა ცნობები აქეელების, ჰერიონების, კოლხ-იბერების, ალბანელების, ჩრდილო სომხებისა და ჩრდილო მიდიელთა წარმოშობის შესახებ. (გვ. 3-37).

ორი თვალსაზრისი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ. სტატიაში განხილული და შედარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ორი განსხვავებული თვალსაზრისი ქართველი ეთნოსის ჩამოყალიბების დროის შესახებ. (გვ. 222-233).

საქართველოს ეკლესიის სამწყსო და იურისდიქციის საზღვრები. სტატიაში გადმოცემულია, როგორ და ვის მიერ დაფუძნდა საქართველოს ეკლესია, ვინ გაავრცელა ქრისტიანობა ქართლში, რომელი ხალხებისგან შედგებოდა ქართული სამწყსო და როგორი იყო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები. (გვ. 55-75).

ხელმწიფე ივერიისა ლევან II დადიანი. სტატიაში განხილულია სამეგრელოს მთავრის – ლევან II დადიანის მიმოწერა რუსეთის ხელმწიფისადმი და სხვა საისტორიო წყაროები, რომლებიც აბათილებს საბჭოთა ათეისტური სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „ივერია“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სახელები ეწოდებოდა. (გვ. 82-102).

დედა ღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა. ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, საქართველოს წმიდა ეკლესიის მრევლი მოციქულების ეპოქიდანვე იყო მთელი ქართველი ერი და მისი იურისდიქციის საზღვრები მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. სტატია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებს ამ თვალსაზრისს. (გვ. 48-55).

სამეგრელოს საეკლესიო კრებები. სტატიაში საუბარია სამეგრელოს I (1889 წ.) და II (1905 წ.) საეკლესიო შეკრებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, ადგილობრივი საეკლესიო კრება არ ჩატარებულა და საეპარქიო შეკრებებს დიდი როლი ეკისრებოდათ საქართველოს ეკლესიისათვის. (გვ. 144-172).

ძველი ქართული ლიტურგიკული ენა. წერილი არის ძველი ქართული ენის შესახებ, რომელიც ფიქსირებულია IV ს-ის ეპიგრაფიკულ და V-VIII სს.-ების წერილობით ძეგლებში, და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ძველი ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენა. (გვ. 46-48).

აფხაზთა ინგლისელი სიძე მეგრელებს ქართველობას უწუნებს. სტატია არის გამომხაურება რუსულ-მეგრულ გახეთში „გალი“ კავკასიურ ენათა სპეციალისტის, დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ჯორჯ ჰიუტის თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც მეგრულ ენას უნდა მიენიჭოს ოფიციალური სტატუსი. (გვ. 186-190).

კოლხეთი – „ქვემო ივერია“. სტატია ეხება საქართველოსთვის მეტად საჭირობოროტო საკითხს, კერძოდ, საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიის მცდელობას, ყველანაირი გზით გაერუსებინათ ქართველები. ისინი ცდილობდნენ, „მეცნიერული“ მეთოდებით, თეორიებითა და სახელმძღვანელოებით დაენერგათ თვალსაზრისი, რომ ქართველი ხალხი შედგებოდა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხისაგან. (გვ. 37-46).

ქართული ეკლესიის სამწყსო. მსოფლიო საყოველთაო ეკლესიის ერთ-ერთი ადგილობრივი ეკლესია – საქართველოს ეკლესია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ქართველ ქრისტიანებზე. სტატიაში საუბარია საქართველოს ეკლესიის სამწყსოს რაობის შესწავლის მნიშვნელობაზე ჩვენი ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში. (გვ. 190-209).

„ქართიზაციის“ თეორიის კრიტიკის ისტორია XX საუკუნის ბოლოს. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთი ცდილობდა ისტორიოგრაფიული მეცნიერება გამოეყენებინა ქართველი ერის დასამორჩილებლად. სტატია წარმოადგენს ე. წ. „ქართიზაციის“ თეორიის

კრიტიკულ განხილვას, რომელიც ცარიზმის დაკვეთით შეიქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტში. (გვ. 212-221).

ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი. სტატიაში საუბარია ქართული სალიტერატურო ენისა და მეგრული და სვანური დიალექტების შესახებ, რომლებსაც ზოგიერთი მეცნიერი დიალექტებად არ მიიჩნევს. (გვ. 234-237).

წყაროები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ. სტატიაში თავმოყრილია ის ისტორიული წყაროები და მოსაზრებები, რომლებიც ადასტურებენ დასავლეთ საქართველოს ყოფნას საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში გაქრისტიანების პერიოდიდანვე. (გვ. 247-257).

საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა „Православная энциклопедия“-ს ტომეულებში. სტატია ეხება საეკლესიო უცხოენოვან გამოცემაში „Православная энциклопедия“ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების არასწორ ასახვას. (გვ. 258-287).

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით. სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის საკითხები ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და ეპისკოპოსის პროკოფი კესარიელის ცნობებისა და ძველი ქართული წყაროების მიხედვით. (გვ. 75-81).

სამეგრელო-აფხაზეთის 200 წლიანი ომი და სამეგრელოს სამთავროს დამარცხება აფხაზეთა მიერ XVII-XVIII საუკუნეებში. XVII-XVIII საუკუნეებში ჩერქეზი ხალხის შემადგენელი ერთ-ერთი მეომარი ტომი ჩამოსახლდა აფხაზეთში და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად დაიპყრო ისტორიული ოდიში (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები). მკვიდრი ქართული მოსახლეობა გადაიქცა საზოგადოების ყველაზე დაბალ, დამორჩილებულ ფენად, შეისწავლა მებატონეების ანუ აფსუების ენა და ადათ-ჩვევები, აფხაზეთის მკვიდრმა ქართველმა თავად-აზნაურებმა კი ახალი ეთნიკური სახის ჩამოყალიბების სანაცვლოდ შეძლეს თავიანთი მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება. სტატია აღწერს ამ პროცესს. (გვ. 103-143).

კულტურა და ეროვნული მისია. სიტყვა წარმოთქმულია კონფერენციაზე „ეროვნული მისია და სარწმუნოებრივი იდენტობა“, რომელიც ჩატარდა 2004 წელს. მასში საუბარია ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის როლზე ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. (გვ. 173-181).

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის. იოანე ლაზი.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2008, №1-2, გვ. 38-39. სტატია წარმოადგენს ამონარიდს ავტორის წერილიდან „ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის. იოანე ლაზი“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ნაოსნობა, ნავთმშენებლობა და ნავმისადგომები მდ. ჭკოროხზე, ვეიდენბაუმის და ბაქრაძის მიხედვით.

„ტბელობა-2008“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 178-182.

სტატიაში ავტორი, ვეიდენბაუმისა და ბაქრაძის ცნობებზე დაყრდნობით, აბათილებს საბჭოთა ეპოქის სამეცნიერო წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ მდინარე ჭკოროხი მისი ჩქარი დინების გამო არ გამოიყენებოდა სანაოსნოდ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. „თავისუფალ ეკლესიას გვერდით ამოვუყენოთ თავისუფალი საქართველო“.

„კრიალოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2008, №4, გვ. 11.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. რამ გამოიწვია ოდესღაც ძლიერი სახელმწიფოს რღვევა?

„კრიალოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2008, №10, გვ. 25-29.

ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ მიტროპოლიტ ანანიასთან (ჯაფარიძე).

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის პატრიარქის მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს.

„ტბელობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 11-12.

ჰქონდა თუ არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზია დასავლეთ საქართველოში თავისი იურისდიქციის თაობაზე? აღნიშნული მოსაზრების გასაბათილებლად სტატიის ავტორი იმოწმებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებს მიწერილს აფხაზთა მეფეების (ბაგრატის, კონსტანტინეს, გიორგის) მიმართ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქრისტიანობა I-V საუკუნეებში და პროზელიტიზმისა და „ქართიზაციის“ თეორიის პრობლემა. (მოხსენება და თეზისები).

„წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 4-21.

სტატიაში საუბარია XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში შექმნილი ანტიქართული ისტორიოგრაფიული თეორიის, ე. წ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ, რა საშიშროებას წარმოადგენს ის ჩვენი ქვეყნისათვის და როგორ უნდა ვებრძოლოთ მის გავლენას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ენა და სახელმწიფო.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 77-83.

რა არის აუცილებელი, რომ საქართველოს მოსახლეობა თანამედროვე ერად ჩამოყალიბდეს? რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? როგორ უნდა მოვემზადოთ გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად? ეს ის საკითხებია, რომლებსაც ავტორი სტატიაში განიხილავს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. „მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაყონ, ერი დაანაწევრონ“.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 84-88.

ინტერვიუ ჩაწერილია გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანი“-ს (26 იანვარი – 1 თებერვალი, 2006 წ.) მიერ და ეხება საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილ ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს შექმნას, საბჭოს მიზნებსა და ამოცანებს, საქართველოს ეკლესიისა და ქართველი მეცნიერების თანამშრომლობის საკითხებს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 89-99.

სტატიაში საუბარია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს მღებარეობის, საზღვრების, იურისდიქციისა და მოსახლეობის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ნაოსნობა, ნავთმშენებლობა და ნავმისადგომები მდ. ჭოროხზე, ვეიდენბაუმის და ბაქრაძის მიხედვით.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 100-104.

სტატიაში ავტორს განხილული აქვს რუსი მეცნიერის ევგენი ვეიდენბაუმის მდ. ჭოროხზე მოგზაურობის აღწერა, როგორ გამოიყენებდა მდინარეს სანაოსნოდ ადგილობრივი მოსახლეობა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე საეკლესიო იურისდიქციის საკითხის უკეთ გაგებისათვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 62-76.

იყო თუ არა საქართველოს ეკლესია პროზელიტური? სტატიაში ავტორი ცდილობს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გააბათილოს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №1, გვ. 58-61.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული ქართველების წარმოშობის ისტორია სხვადასხვა წერილობითი წყაროების მიხედვით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია. „დიდაჭარობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 15-24.

სტატია მოგვითხრობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს მღებარეობის, საზღვრების, იურისდიქციისა და მოსახლეობის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ე. წ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №2, გვ. 11-29.

სტატიაში საუბარია XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში შექმნილი ანტიქართული ისტორიოგრაფიული თეორიის, ე. წ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ, რა საშიშროებას წარმოადგენს ის ჩვენი ქვეყნისათვის და როგორ უნდა ვებრძოლოთ მის გავლენას.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართველები ე. წ. „დასავლეთ არმენიაში“. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2009, №2, გვ. 30-42.

სტატიაში განხილულია ე. წ. „სომეხ ქალკედონიტთა“ ეთნიკური წარმომავლობის საკითხი.

ანანია ჯაფარიძე – მიტროპოლიტი. „ანდრია მოციქულმა საქართველო მასობრივი მონათვლისთვის მოამზადა“.

„გუმბათი“, ყოველკვირეული ჟურნალი, 2009, №22, გვ. 36-37.

ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტთან, პროფესორ ანანია ჯაფარიძესთან.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ.

„საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 8-18.

ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. ამ მოსაზრებას ეთანხმება ავტორი და საუბრობს საქართველოს ეკლესიის ერთიანობის ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ლიტერატურნაია გაზეტას გეგმა საქართველოს დაქუცმაცებისა.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2010, №1, გვ. 73-74.

სტატია არის გამომხაურება ბაშკირეთის უნივერსიტეტის დოცენტის რუსტემ ვახიტოვის გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტა“-ს 2008 წლის ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „რაზდელ ნაროდა“, რომელშიც ავტორი საუბრობს სვანებისა და მეგრელების ეროვნულ უმცირესობებად, ხოლო სვანური და მეგრული ენების – ეროვნულ უმცირესობათა ენებად გამოცხადების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ათონზე. ვმადლობ უფალსა ჩვენსა.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2010, №2, გვ. 38-45.

სტატია მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ვიზიტის შესახებ საბერძნეთში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2010, №1, გვ. 30-36.

ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. სტატიაში მოყვანილია ავტორის მოსაზრებები საქართველოს ეკლესიის ერთიანობის ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თავი I-III.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2010, №1, გვ. 37-183.

ჟურნალში შესულია ავტორის წიგნის „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ პირველი სამი თავი: „ბერძნულ-რომაული წყაროები კოლხეთისა და ლაზიკის შესახებ“; „ტბები და მდინარეები ისტორიულ კოლხეთში“ და „გზები და ხიდები ისტორიულ კოლხეთში“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თავი IV-VII. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2010, №2, გვ. 30-146.

ჟურნალში შესულია ავტორის წიგნის „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ მე-4–მე-7 თავები: „ლაზიკა-კლარჯეთი“; „სარაპანა და სკანდა“; „რიონის ჭაობები“ და „ფაზისი-ფოთი-ფადისა-ფასიდი“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეკლესიო ენა სვანეთში.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 2011, №1-2, გვ. 19-25. ავტორი წერილობითი წყაროების საფუძველზე ასაბუთებს, რომ სვანეთში საეკლესიო ენა იყო ქართული.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თავი VIII-X. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2011, №1, გვ. 102-192.

ჟურნალში შესულია ავტორის წიგნის „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ მე-8–მე-10 თავები: „სამხრეთ ეგრისი“; „ადმინისტრაცია და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თავი XI-XIV. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2011, №2, გვ. 37-183.

ჟურნალში შესულია ავტორის წიგნის „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ მე-11–მე-14 თავები: „იბერიის თემის ქართული სამამამთავრო“; „ქართული თვითშემეცნების აღორძინება დასავლეთ საქართველოში“; „ლაზიკის ეპარქიებში ისტორიულად მცხოვრები ტომები“ და „არიან-ქართლი“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თავი XV-XXVII. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2011, №3, გვ. 30-291.

ჟურნალში შესულია ავტორის წიგნის „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ მე-15–27-ე თავები: „ავანის ანუ „ივერთა“ საკათალიკოსო“; „პონტოს ყოფილი გარემო და გეოგრაფიული პირობები“; „პეტრას ციხე-სიმაგრე“; „ქუთათისი, აფხაზეთი, აბაზგია, სვანეთი, ალანია, „ენა“; ჰერეთი, იაზონი-ამირანი“.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ლაზიკის ეპარქიაში შემავალი „იბერიის თემი“ და ვალაშკერტის სამამამთავრო (XI ს.) და საეკლესიო იურისდიქციათა ცვლილება.

„ლოგოსი“, სამეცნიერო ჟურნალი, 2011, №6, გვ. 43-51.

სტატიაში საუბარია ივერიის ანუ იბერიის თემის დაარსებისა და ვალაშკერტის სამამამთავროსთან მისი ურთიერთობის თაობაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სახელმწიფო ენის განვრცობა – მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №1, გვ. 16-20.

სტატიის ავტორს სახელმწიფო ენის გაძლიერება მიაჩნია საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევისა და კონფლიქტების დარეგულირების მნიშვნელოვან საშუალებად.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველო საკუთარი ეროვნული იდენტობით ევროპულ სივრცეში.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №1, გვ. 20-24.

სტატიაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, როგორ შეიძლება დაიმკვიდროს საქართველომ ღირსეული ადგილი ევროპულ სივრცეში.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უწმიდესი ილია II და წმ. სინოდი არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 13-16.

სტატია გვაცნობს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის შეხედულებას საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ და წმიდა სინოდის დადგენილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. აბაზგიის ეპარქია.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 20-28.

სტატიაში გაანალიზებულია ისტორიული ცნობები აბაზგიის ეპარქიის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. აფხაზეთის საკათალიკოსო.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 29-43.

წერილში განხილულია ისტორიული წყაროები აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ, ათეისტური ეპოქის დროს არსებული შეხედულებები აფხაზეთის საკათალიკოსოსა და მისი საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფის თაობაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 44-65.

ავტორი განიხილავს 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულს და ეხება მასში დასავლეთ საქართველოსა და კახეთთან დაკავშირებით ზოგიერთი ისტორიული მომენტის დამახინჯების ფაქტს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძიდრიტების შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 66-82.

სტატია აშუქებს II საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფლავიუს არიანეს მონაცემებს შავი ზღვის, მდინარე ფაზისისა და სხვა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტების, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 83-94.

სტატია მოგვითხრობს IV-V საუკუნეების საქართველოს სამონასტრო ცხოვრების, პირველი ქართველი მთარგმნელების, ეპისკოპოს პეტრე იბერიისა და მისი ბიოგრაფების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს საეკლესიო ცხოვრების მოწყობის შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 95-107.

უკანასკნელ წლებში უცხოეთში სამუშაოდ, საცხოვრებლად და სასწავლებლად ბევრი ქართველი გავიდა. სტატიაში საუბარია, თუ რა დიდი როლი აკისრია ქართულ სამრევლოებს უცხოეთში, რათა ქართველებმა შეინარჩუნონ რწმენა და სწორად წარმართონ თავიანთი ქრისტიანული ცხოვრება.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 108-122.

სტატია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის საზღვრებისა და იურისდიქციის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 123-153.

წერილში განხილულია გელასი კესარიელის, სოკრატეს, თეოდორეტოს კვირელის, სოზომენეს, ტირანიუს რუფინუსის, მოვსეს ხორენაცის და სხვათა ცნობები წმიდა ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 154-166.

სტატიაში მოთხრობილია ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ჩამოყალიბების, საზღვრებისა და მასში შემავალი სამიტროპოლიტოების თაობაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის. იოანე ღაზი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 167-178.

სტატია წარმოადგენს მოკლე ვარიანტს ავტორის ამავე სახელწოდების წიგნისა, რომელშიც აღწერილია მე-5 საუკუნეში „წმიდა წერილის“ ქართული თარგმანების მომზადების პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი მეცნიერები.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 179-240.

სტატია ვრცლად მოგვითხრობს იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ დაბადებიდან ჯვარცმამდე და ამაღლებამდე.

Anania Japaridze – Archbishop. Lazeti-Trialeti. Georgian’s Hellenization.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 241-254.

სტატია არის ამონარიდი ავტორის მონოგრაფიიდან, რომელშიც მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში ლაზეთსა და თრიალეთში მცხოვრები ქართველების გაბერძნების პროცესი. ნარკვევი განკუთვნილია უცხოენოვანი მკითხველისთვის.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. დიპტიხის საკითხები.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2012, №2, გვ. 255-281.

სტატიაში მოთხრობილია, რა ადგილი ეკავა საქართველოს ეკლესიას მართლმადიდებლურ დიპტიხში და დამოწმებულია დოკუმენტური მასალები მისი კუთვნილი მე-ნ ადგილის თაობაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმიდა ანდრიას მყინვარწვერზეც აღუმართავს ჯვარი.

„კრიალოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2012, №2, გვ. 20-21.

ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ მიტროპოლიტ ანანიასთან (ჯაფარიძე).

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №1, გვ. 11-61.

სტატიაში ავტორი მოგვითხრობს ალბანეთისა და ზუნძეთის საეპისკოპოსოების ჩამოყალიბების, მღებარეობის, საზღვრებისა და ამ საეპისკოპოსოებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ.

Anania Japaridze – Metropolitan. The history of the Holy Apostolic Church of Georgia. (An abridged version).

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №1, გვ. 62-98.

სტატია არის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიის“ მოკლე, ინგლისურენოვანი ვარიანტი.

Ανανίας Τζαπαρίτζε – Μητροπολίτης. Η ΑΓΙΑ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗ ΚΑΙ ΟΡΘΟΔΟΞΗ ΕΚΚΛΗΣΙΑ ΤΗΣ ΓΕΩΡΓΙΑΣ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №1, გვ. 99-112

სტატია წარმოადგენს „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ბერძნულ თარგმანს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №1, გვ. 113-126.

სტატია მოგვითხრობს საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიის ჩამოყალიბებისა და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის ატლასი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №2, გვ. 17-178.

სტატია შეიცავს საისტორიო რუკებს უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის.

Anania Japaridze – Metropolitan. A Concise history of the Georgian Church.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №2, გვ. 191-223.

სტატია წარმოადგენს „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ შემოკლებულ ვარიანტს ინგლისურ ენაზე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უწმიდესი ილია II და წმ. სინოდი არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ.

თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, ტ. IV, 2013, გვ. 209-216.

სტატია გვაცნობს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის შეხედულებას საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების თაობაზე და წმიდა სინოდის დადგენილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. კირიონ I.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2014, №1, გვ. 11-142.

წერილში დოკუმენტური წყაროების საფუძველზე ვრცლად არის გადმოცემული ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დამსახურება ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. არქანჯელო ლამბერტი ლევან მეორე დადიანის შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2014, №1, გვ. 143-161.

სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იტალიელი ეთნოგრაფი არქანჯელო ლამბერტი. იგი პირადად იცნობდა მას და, ამდენად, მისი ცნობები საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს სამეგრელოსა და მისი მთავრის შესახებ.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. უწმიდესი პატრიარქი ილია II ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ.

„მეცნიერება და რელიგია“, III საერთაშორისო კონფერენცია, რედ. რ. ჩიქოვანი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, გვ. 8-16.

სტატია ეხება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შესახებ არასწორი მოსაზრებების თაობაზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის

ილია II-ის მოსაზრებებს და მოყვანილია წმიდა სინოდის დადგენილებანი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმინდა ამბროსი ხელაია რეგიონალიზმის წინააღმდეგ. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №1, გვ. 13-18.

1922 წელს ბოლშევიკებმა დააარსეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აჭარის რესპუბლიკა. იმჟამინდელი პატრიარქი ამბროსი (ხელაია) ჩაერია სახელმწიფო საქმეებში და იტვირთა ეროვნული ინტერესების დაცვა, რისთვისაც ის დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე მან გააკეთა განცხადება რეგიონების ავტონომიების მიუღებლობის შესახებ. სტატია აღწერს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამ ფურცელს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიკის შესახებ. (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრების კვლევისათვის). „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №1, გვ. 19-33.

სტატიაში განხილულია პროფესორ გურამ გრიგოლიას მნიშვნელოვანი კვლევები დასავლეთ საქართველოს სრულიად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნის საკითხთან დაკავშირებით.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №1, გვ. 34-50.

ქართული საეკლესიო და საისტორიო წყაროების მიხედვით, საქართველოს ეკლესია აერთიანებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს. ათეისტურ ეპოქაში ჩამოყალიბდა ახალი ისტორიოგრაფია, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ბუნებისა იყო. სტატიაში განხილულია წყაროები, რომლებიც ეხება აღნიშნულ საკითხებს და ასაბუთებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ნამდვილ საზღვრებს.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. საეპისკოპოსოები ლაზიკაში.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №1, გვ. 51-70.

სტატიაში განხილულია წერილობითი წყაროები ლაზიკის საეპისკოპოსოების მდებარეობისა და საზღვრების შესახებ.

Анания (Джапаридзе) – Митрополит. Лазика.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №2, გვ. 45-87.

საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაზიკის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრას. სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია ლაზიკის მდებარეობის შესახებ არსებული ორი თვალსაზრისი.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. სიტყვები და მოხსენებები.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2016, №1, გვ. 12-63.

ჟურნალში თავმოყრილია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მიერ სხვადასხვა კონფერენციებსა და საეკლესიო დღესასწაულებზე წარმოთქმული სიტყვები.

ანანია ჯაფარიძე – მიტროპოლიტი. ქართველი მონოფიზიტები.

„საქართველოს ეკლესია გუშინ, დღეს“, სამეცნიერო კონფერენცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 4-5.

სტატიაში გადმოცემულია ქართველი მონოფიზიტების ისტორია ძველი დროიდან 1921 წლამდე.

ანანია (ჯაფარიძე) – მიტროპოლიტი. წმიდა ილია მართლის მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის შესახებ.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №11, გვ. 507-524.

წერილში განხილულია ილია ჭავჭავაძის ნააზრევი საქართველოს ეკლესიის შესახებ.

ანდრია (გვაზავა) – მიტროპოლიტი. სამონაზვნო ტრადიცია საქართველოში სამთავისის ტაძრის გათხრების ფონზე.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2011, №2, გვ. 54-61.

სტატიაში ავტორი განიხილავს სამონაზვნო ცხოვრების თავისებურებებს საქართველოში სამთავისის ტაძარში წარმოებულ არქეოლოგიური სამუშაოების მონაცემების მიხედვით.

ანდრიაძე გიორგი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და მისი იურისდიქციის საზღვრები.

კრებ. „გული ბრძენი, გონიერი“, 2013, გვ. 145-156.

სტატიაში მოკლედ არის აღწერილი 1917 წლის სექტემბერში დამტკიცებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით გათვალისწინებული ეპარქიები და მათი იურისდიქციის საზღვრები.

ანდრიაძე დარეჯან. საქართველოს ეკლესია დიდი სამამულო ომის წლებში.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2010, №4, გვ. 52-53.

სტატიაში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ანდრულაძე სოფიო. ვასილ კარბელაშვილის მოსაზრებანი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში. (1918-1921 წწ.).

„ხვამლი“, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, 2005, №1-№2.

სტატიაში განხილულია გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, მგალობლისა და პედაგოგის, დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის შეხედულებები საქართველოს ეკლესიის პრობლემებთან დაკავშირებით.

ანდრულაძე სოფიო. ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობა ქართული ეროვნული ეკლესიის ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დაცვის მიმართულებით.

„ხვამლი“, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, 2005, №3, გვ. 44-46.

სტატიაში აღწერილია გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის დამსახურება საქართველოს ეკლესიის წინაშე.

ანდრულაძე სოფიო. ქართული საეკლესიო საზღვრების ცვლილების საკითხი 1945-1946 წლებში და კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე).

„XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 38-49.

სტატიაში აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, რომელიც 1943 წელს დაგვირგვინდა რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების ცნობით და მასთან ლოცვით-კანონიკური კავშირის აღდგენით.

ანდრულაძე სოფიო. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების საკითხისათვის XX ს. 20-იან წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

„ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ტ. X, თბილისი, 2008, გვ. 186-201.

სტატიაში გაშუქებულია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში.

ანდულაძე სოფიო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურულ-ეკონომიკური ორგანიზაციის საკითხი XX საუკუნის 20-იან წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

„ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ტ. XI, თბილისი, 2009, გვ. 216-229.

სტატიაში განხილულია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის სტრუქტურული ორგანიზაციის შესახებ.

ანდულაძე სოფიო. სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეოთხე კრება და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2009, №1, გვ. 343-353.

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ეკლესიის მეოთხე კრების შესახებ არსებული მასალები, რომელიც ჩატარდა 1927 წლის 21-27 ივნისს.

ანდულაძე სოფიო. ქართული სახელმწიფოს საზღვრების შესახებ XX ს. 20-იან წლებში. (ეპ. სტეფანე ბოდბელის ღია წერილი ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძისადმი).

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2009, №3, გვ. 46-65.

სტატიაში განხილულია, როგორი იყო საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს საზღვრის პრობლემასთან მიმართებაში. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია იმდროინდელი თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწის – ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ღია წერილზე ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძისადმი, რომელშიც იგი საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დანაწევრების მტკივნეულ საკითხებს შეეხება და საოცარი მოქალაქეობრივი გამბედაობით ამხელს ქართველ კომუნისტებს ეროვნულ საკითხში გამოჩენილი დაუდევრობისა და გულგრილობისათვის.

ანდულაძე სოფიო. ქართველი სამღვდლოება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების პერიოდში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2010, №1, გვ. 412-422.

სტატიაში აღწერილია ქართველი სასულიერო პირების დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ანდულაძე სოფიო. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის 20-იან წლებში და ეპისკოპოსის სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2010, №4, გვ. 48-58.

სტატიაში ავტორი აღწერს ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელისა და სხვა ქართველი სასულიერო პირების ბრძოლას საბჭოთა იმპერიის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ანდულაძე სოფიო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი XX საუკუნის 20-იან წლებში და ეპისკოპოსის სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ. I, თბილისი, 2011, გვ. 18-25.

წერილში გადმოცემულია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთან დაკავშირებით.

ანდულაძე სოფიო. წმინდა აღმსარებელი ბოდბელი ეპისკოპოსის სტეფანე (კარბელაშვილი) საეკლესიო შემოსავლებისა და მისი განკარგვის შესახებ საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის პირობებში.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ. II, თბილისი, 2012, გვ. 16-22.

სტატიაში განხილულია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მოსაზრებანი საეკლესიო ქონებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

ანდულაძე სოფიო. წმიდა აღმსარებელი მღვდელი ფილიმონი (კარბელაშვილი) – „სამოციანელთა“ პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

„ჩვენი სულიერების ბალავარი“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 23-28.

სტატია მოგვითხრობს XIX საუკუნის გამოჩენილი სასულიერო პირის – მღვდელ ფილიმონ კარბელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ანტონ გულიაშვილი – არქიმანდრიტი. სტალინმა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე გადასახადებისგან გაათავისუფლა.

„გუმბათი“, ყოველკვირეული ჟურნალი, 2009, №37, გვ. 23-24.

ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ არქიმანდრიტ ანტონ გულიაშვილთან.

ანჩაბაძე გიორგი. აფხაზეთის ეკლესია იგივე ქართული ეკლესია იყო.

„რეზონანსი“, ყოველდღიური გაზეთი, 2009, №314, გვ. 1-2.

ინტერვიუში ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე საუბრობს აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნის თაობაზე.

არაბიძე ირინა. განხეთქილება საქართველოს ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში. „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 13.

კრებულში შეტანილია ავტორის მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

არაბიძე ირინა. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ისტორიიდან. (საოლქო მმართველობა XX ს-ის 20-30-იან წწ.-ში).

ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული მიძღვნილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხსოვნისადმი, 2002, გვ. 190-200.

სტატია ეხება მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ფორმასა და პრობლემებს.

არაბიძე ირინა. „განახლების მოძრაობა“ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. (XX ს. 20-30-იანი წლები).

„მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2005, გვ. 154-166.

სტატიაში საუბარია ხელისუფლების მიერ მართულ ე. წ. ეკლესიის „განახლების“ პროცესის თაობაზე, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მორწმუნეთა დაშორება ეკლესიისგან.

არაბიძე ირინა. „განახლების მოძრაობა“ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

„კლიო“, საისტორიო აღმანახი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2005, №28, გვ. 132-148.

სტატიაში საუბარია იმ სირთულეებზე, რაც მოჰყვა „განახლების მოძრაობის“ პროცესს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან მიმართებაში.

არაბიძე ირინე. ახალი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით. (1920 წ.).

სტატიამი აღწერილია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში არსებული ვითარება.

ლაცაბიძე ნათია. რომის კათოლიკურ ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის ისტორიიდან.

„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2015, №1.

ავტორი ცდილობს, არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე აჩვენოს საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის თავისებურებანი რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან.

ლაჭყევიანი სოფიო. ქართული დიასპორა და ქართული ეკლესია კვიპროსზე.

„დიდაჯარობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 415-422.

სტატია მოგვითხრობს კვიპროსზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ვიზიტის შესახებ, რომელიც 2000 წელს შედგა, ასევე იქ არსებული ქართული ეკლესიისა და ქართული დიასპორის ისტორიას.

ლებანიძე ტარიელ. კაბადოკიის ქართული ეკლესია.

„საპატრიარქოს უწყებანი“, საქართველოს საპატრიარქოს საინფორმაციო სამსახურის ყოველკვირეული გამოცემა, 2009, №17, გვ. 17.

სტატია მოკლედ მოგვითხრობს კაბადოკიის ქართული ეკლესიის შესახებ.

ლებანიძე ქეთევან. გაბრიელ ქიქოძე – ეპისკოპოსი იმერეთისა.

„დიდაჯარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 511-515. სტატიაში გადმოცემულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ცხოვრების ზოგიერთი მომენტი.

ლევან მათეშვილი – დიაკვანი. საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება.

„მეცნიერება და ტექნოლოგიები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი, 2005, №4-6, გვ. 150-155.

სტატიაში განხილულია ისტორიული წყაროები, რომელთა შედეგადაც ავტორი გამოთქვამს ვარაუდს საქართველოს ეკლესიის პირველი იერარქის ტიტულატურის, კერძოდ, საპატრიარქო ღირსების თაობაზე. მოხმობილია ანალოგიები ჩვენი მეზობელი ქვეყნების შესაბამისი საეკლესიო ვითარებიდან.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი. ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე. (1438).

„კარიბჭე“, მართლმადიდებლური ჟურნალი, 2008, №11, გვ. 36-37.

სტატიაში მოკლედ არის განხილული საისტორიო წყაროები ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე ქართველი ეპისკოპოსების მონაწილეობის შესახებ.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი. საქართველოს ქრისტიანიზაციის პრობლემების საკითხისათვის.

„ინტელექტუალი“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, 2010, №13, გვ. 10-15.

სტატიაში განხილულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიოგრაფიაში ითვლება თეთრ ლაქებად ან ნაკლებადაა შესწავლილი.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი. ტრაპეზუნტის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხებისათვის. „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №2, გვ. 179-185.

სტატიაში განხილულია ქართველი ისტორიული ტომების – ლაზების ლოკალიზაციის ადგილი და მოცემულია ამ საკითხთან დაკავშირებული ისტორიულ-ეთნოლოგიური მომენტების ანალიზი.

Леван Матешвили – Протоиерей, Эпиташвили Иван. Писменные источники о „путешествиях» Апостолов.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2013, №2, გვ. 186-189.

სტატიაში განხილულია ის ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი. ლაზეთის ეპარქიების ლოკალიზაციის საკითხისათვის IV-V სს.

„ინტელექტუალი“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, 2014, №27, გვ. 34-41.

სტატიის მონაცემებით დგინდება ლაზეთის ეპარქიების ლოკალიზაცია, რაც ყოველთვის საკამათო იყო. ძველი ავტორების გათვალისწინებითა და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული ჰიპოთეზების საპირისპიროდ, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ლაზეთის ეპარქიები განლაგებული იყო ტრაპიზონის რეგიონში (შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში), სადაც ისტორიული ლაზეთი მდებარეობდა და სადაც დღეს ლაზები ცხოვრობენ.

ლევან მათეშვილი – დეკანოზი. ექვთიმე თაყაიშვილი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

„გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“, სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი, 2013, გვ. 13-17.

სტატიაში ავტორი ცდილობს, ექვთიმე თაყაიშვილი წარმოაჩინოს რელიგიური მსოფლმხედველობის კუთხით. თუკი იგი აქამდე ცნობილი იყო, როგორც ისტორიის მკვლევარი, სიძველეთა შემკრები, წინამდებარე სტატია გამოხატავს მის მსოფლმხედველობას და დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ.

ლეფორი ჟაკ, პაპასრიზანტუ დენიზ. პირველი ქართველები ათონზე ბიზანტიური დოკუმენტების მიხედვით.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1994, №1-2, გვ. 11-17.

სტატიაში განხილულია ბიზანტიური დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ X საუკუნეში ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობას ათონზე. ფრანგულიდან თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა.

ლიჩელი ვახტანგ. ანდრია მოციქული აწყურში – წერილობითი წყაროს არქეოლოგიური ექსპერტიზა.

„წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 22-26.

სტატიაში ავტორი განიხილავს ერთ წერილობით წყაროს, რომელიც ასახავს წმ. ანდრია პირველწოდებულის კოლხეთსა და სამცხეში მოღვაწეობას.

ლომინაძე ბაბილინა. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1992, №1-2, გვ. 86-118.

სტატიაში საუბარია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ.

ლომინაძე ბაბილინა. საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. (აფხაზეთის ეპარქია XIX ს.).

ბედის ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და მედიცინა: ბედია – 1000“, სრულიად საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი, 2000, გვ. 10-12.

მოსხენებაში ასახულია აფხაზეთის ეპარქიის მდგომარეობა XIX საუკუნეში.

ლომინაძე ბაბილინა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-განგება და მიწისმფლობელობა ძველი დროიდან XX საუკუნემდე (1917 წლამდე).

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 484-488.

სტატია მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის მიწისმფლობელობის შესახებ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდიდან 1977 წლამდე.

ლომიძე დოდო. საერო პირთა საეკლესიო მოღვაწეობის ისტორიიდან შუა საუკუნეების საქართველოში.

„ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 48-49.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ლომოური ნოდარ. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1990, №3, გვ. 45-52.

სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორია.

ლომოური ნოდარ. ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების თარიღის და პირობების შესახებ.

სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1995, გვ. 231-237.

სტატიაში სხვადასხვა წყაროების საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი ქართლში ქრისტიანობის IV საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თაობაზე.

ლომოური ნოდარ. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება & საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია.

„საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, გამომცემლობის თავმჯდომარე გ. კოპლატაძე; მოადგილე გრ. რუხაძე; შემდგენელი: მღვდელი თ. ბარაბაძე, „სამშობლო“, თბილისი, 2001, გვ. 111-146.

კალენდარში წარმოდგენილია ავტორის ორი ნაშრომი: „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“ და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“.

ლომოური ნოდარ. მოკრძალებული მოგონებები.

„სამი საუნჯე“, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი, 2012, №4, გვ. 135-141.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ავტორის მოგონებები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან დაკავშირებით.

ლორთქიფანიძე ბესიკ, ზაქარაია პარმენ, ლომიჯაშვილი დავით. ახალი მასალები ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის.

„ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 50.

კრებულში დაბეჭდილია ავტორთა მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ლორთქიფანიძე ირაკლი. აღსაყდრება უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-სა.

„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები“, ტ. VI, 2016, გვ. 152-155.

სტატიაში აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის აღსაყდრება, რომელიც ჩატარდა 1917 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

ლორთქიფანიძე მარიამ. საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1995, №1, გვ. 51-54.

სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია აფხაზთა სამეფოს დაარსებისა და დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოყოფის ისტორია.

ლორთქიფანიძე მარიამ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2003, №10, გვ. 3-11.

სტატიაში საუბარია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარების მიზეზებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მათიაშვილი შოთა. ქართული ეკლესია IV საუკუნესა და V საუკუნის I ნახევარში და სპარსეთის პოლიტიკა ქრისტიანული ქვეყნების მიმართ.

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი, 2011, №6, გვ. 50-67.

სტატიაში განხილულია საქართველოსთვის რთული პერიოდი – IV-V საუკუნეები, როდესაც პოლიტიკასთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ქართველთა რელიგიური ორიენტაციის საკითხი.

მათიაშვილი შოთა. დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის სათავეებთან.

„ქართული წყაროთმცოდნეობა“, 2013/2014, №XV-XVI, გვ. 81-87.

სტატიაში გამოუქველდება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ფურცელაძის დამსახურება ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში.

მაისურაძე გიორგი. ქართველი სამღვდელოების სასულიერო მოღვაწეობის ისტორიიდან.

„საქართველო და ქრისტიანობა“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2001, გვ. 52-59.

სტატიაში აღწერილია სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე სასულიერო პირების ღვაწლი საქართველოს ეკლესიის გაძლიერებისა და ღვთისმსახურების დროს ქართული საეკლესიო გალობის გამოყენების საქმეში.

მაისურაძე კახა. ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დრამატული ეპიზოდები.

„გზა“, 2002, №10, გვ. 40-42; №11, გვ. 42-44.

ჟურნალის აღნიშნულ ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიაში გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ქართველი ინტელიგენციისა და „ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ ბრძოლის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი.

მაისურაძე მზია. ქალთა სასულიერო და პროფესიული სკოლები კახეთში XIX საუკუნის II ნახევარში. თელავისა და სიღნაღის მაზრის სასულიერო სასწავლებლები XIX საუკუნის 80-90-იან წლებში.

„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2013, №2, გვ. 260-277.

სტატიაში აღწერილია ქალთა განათლების მდგომარეობა კახეთში XIX საუკუნეში.

მამარდაშვილი გიორგი. ცაგერის საეპისკოპოსო XVII-XVIII საუკუნეებში.

„ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ტ. VIII, თბილისი, 2006, გვ. 191-211.

სტატიაში წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ცაგერის საეპისკოპოსოს ისტორია.

მამისთვალიშვილი ელდარ. ქრისტეს კვართი რუსეთ-ირანისა და საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში. (1624-1625 წწ.).

„ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2002, №9, გვ. 181-216.

სტატიაში განხილულია უფლის კვართის მცხეთიდან შესაძლო გატანის ისტორია.

მამისთვალიშვილი ელდარ. იერუსალიმის ქართული სიწმინდეების განთავისუფლებისათვის ბრძოლა გიორგი ბრწყინვალის დროს.

დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი-მანგლისი, 2004, გვ. 37.

კრებულში შესულია ავტორის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველოსა და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან.

„ისტორიანი“, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 2009, გვ. 251-272.

სტატიაში განხილულია ისტორიული წყაროები საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან ურთიერთობის შესახებ.

მამისთვალისშვილი ელდარ. სასულიერო მოღვაწე დიპლომატი – ხუცესი ნილო.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2011, №2, გვ. 180-196.

სტატიაში აღწერილია XV საუკუნის II ნახევარში მცხოვრები, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის კარის ეკლესიის მოძღვრის – ხუცეს ნილოს ეგვიპტეში ელჩად მოღვაწეობა.

მამისთვალისშვილი ელდარ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენის ისტორიისათვის.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, ტ. VI, 2012, გვ. 100-132.

სტატიაში განხილულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენის ისტორიული წინამძღვრები, საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობა, როგორც მონასტრის აღდგენის წინაპირობა, ინფორმაცია აღმდგენელთა შესახებ, მონასტრის აღდგენის ქრონოლოგიური ჩარჩო.

მამისთვალისშვილი ელდარ. მართა მონაზონის წერილი იერუსალიმის ქართული მონასტრების მდგომარეობის შესახებ.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2014, №5, გვ. 143-152.

სტატიაში გაშუქებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული, XVII საუკუნის I ნახევარში ვინმე მართა მონაზონის მიერ დაწერილი წერილი, რომელიც იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების იმდროინდელ მდგომარეობას ასახავს.

მამულაშვილი ზაზა. ბესარიონ კათალიკოსი. (1724-1737 წწ.).

„დიდაჭარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 17-22.

სტატია ეძღვნება XVIII საუკუნეში მოღვაწე კათალიკოს ბესარიონს, რომელიც იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ორატორი და მქადაგებელი, და რომელმაც შექმნა მნიშვნელოვანი თხზულებები და საგალობლები.

მანია ესმა.

ავტორი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გაზეთში აქვეყნებს წერილების ციკლს, რომლებშიც წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის წერილები და მოგონებები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის პრობლემებს შეეხება.

1801... 1832... 1921... 1937... 1993... 2008. „ქართული უნივერსიტეტი“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოცემა, 2010, №49, გვ. 2;

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ერის მეტაინტერესმა განაპირობა. 2010, №52, გვ. 2;

ნაპირსა ვხედამ, მამაო! 2010, №53, გვ. 2;

ყველა მოთხოვნილებაში ზომიერება იქონიეთ! გახსომდეთ, რომ ძალა ერთობაშია! 2010, №54, გვ. 3;

კანტორის უსარგებლობა, უსაფუძვლობა და არა კანონიკური არსებობა ერთხმად აღიარა ყველამ. 2010, №55, გვ. 2;

ლოცულობა ქართველისა ერთი პოეზიაა. 2010, №56, გვ. 2;

თქვენ იქნებით ლამპარნი, მანათობელნი გარემოს კაცთა შორის. 2010, №57, გვ. 2.

მანია ქეთევან. ქრისტიანობის ისტორიის წერილობითი წყაროების კვლევა საქართველოში.

„ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, ტ. X, გვ. 92-112.

სტატიაში განხილულია ისტორიული თხზულების „მოქცევაი ქართლისაი“ შესწავლის ისტორია.

მარკოზაშვილი ლედი. ოქონის ხატის ისტორიისათვის.

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრი, 2010, №5, გვ. 29-36.

ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს ოქონის ხატის ისტორიას.

მარკოზ ტყემალაძე – დეკანოზი. თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1992, №1, გვ. 34-47.

სტატიაში მოცემულია სიონის საკათედრო ტაძრის ხატების აღწერა.

მაჩაიძე ოთარ. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობის კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს ეკლესიის 1748 წლის კრების მაგალითზე.

„სარჩევი“, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, №1, გვ. 215-229.

სტატიაში მოცემულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა, ეკლესიის მდგომარეობა ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში, 1748 წლის კრების მოწვევის წინაპირობები, საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონი.

მაჩიტაძე ანა. იცით თუ არა, რომ...

„კარიბჭე“, მართლმადიდებლური ჟურნალი, 2011, №21, გვ. 56.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაცია სოფელ ჭანდრის სიახლოვეს მდებარე წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის შესახებ.

მაცაბერიძე მალხაზ. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2014, №5, გვ. 228-240.

სტატიაში ნაჩვენებია საქართველოს ეკლესიის პოზიცია 1921 წლის ომის დროს.

მაჭარაშვილი გიორგი. ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2010, №11, გვ. 10-12.

წერილში განხილულია სხვადასხვა მოსაზრებები რომისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით.

მაჭარაშვილი გიორგი. მცხეთის ანტიოქიის დედათა მონასტერი.

„სამი საუნიჯე“, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი, 2013, №4, გვ. 80-86.

სტატიაში საუბარია ანტიოქიის ტაძრის მეტოქე მცხეთის დედათა მონასტრის შესახებ.

მაჭარაშვილი ტრისტან. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია.

„საისტორიო შტუდიები“, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2000, ტ. I, გვ. 129-140.

1054 წლის საეკლესიო განხეთქილებასთან საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა ავტორი სტატიაში აშუქებს ქართველი სასულიერო მოღვაწეების პოზიციას დიდ სქიზმასთან დაკავშირებით.

მახარაძე ირაკლი. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა. როგორ დაითანხმეს ტუსაღები მკვლელობაზე მეტეხის ციხეში. (პატიმრის მონათხრობი).

„ისტორიანი“, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, 2013, №9, გვ. 40-45.

სტატიაში განხილულია ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია.

მახობეშვილი გიორგი. როგორ მოიპარეს ეგზარქოსმა ევსევიმ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა თამარმეფისეული ოქროს თვლები.

„თბილისელები“, 2014, №12, გვ. 47.

ავტორი სტატიაში აღწერს გელათის მონასტრის სავალალო მდგომარეობას ეგზარქოს ევსევის მმართველობის პერიოდში.

მახობეშვილი გიორგი. როგორ ძარცვავდნენ საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები.

„თბილისელები“, 2014, №23, გვ. 72.

სტატიაში აღწერილია საქართველოს ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა რუსი ეგზარქოსების მმართველობის პერიოდში.

მასობეშვილი გიორგი. რა საოცრება ააშენეს ქართველებმა და რატომ დაანგრეს ის რუსმა ჯარისკაცებმა.

„თბილისელები“, 2014, №33, გვ. 76-გვ. 86.

სტატია ეძღვნება დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანას უძველესი ტაძრის ისტორიას.

მგალობლიშვილი თამილა. მცხეთა – ქართველთა ახალი იერუსალიმი.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2011, №2, გვ. 83-98.

სტატიაში გადმოცემულია მცხეთის, როგორც საქართველოს უძველესი ქრისტიანული ქალაქის, ისტორია.

მგელაძე ნუგზარ. ოძრხეს საერისთავოს მოქცევა და ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში.

„ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 55-56.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

მგელაძე ნუგზარ, ქურდიანი მიხეილ. ანდრია პირველწოდებული და პირველი სამოციქულო ეკლესიის მშენებლობის ისტორია საქართველოში.

„დიდაჯარობა-2008“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 12-15.

სტატია მოგვითხრობს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობისა და პირველი ქრისტიანული სამლოცველოების შესახებ.

მგელაძე ნუგზარ. კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი.

„ჩვენი სულიერების ბალაგარი“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 192-198.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ისტორია.

მებაღიშვილი ლელა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სამეცნიერო მოღვაწეობა და ბრძოლა წარსულის გადასარჩენად.

„XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 94-102.

სტატია ასახავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის პედაგოგიურ მოღვაწეობასა და მეცნიერულ საქმიანობას, რომელიც იყო ბრძოლა წარსულის გადასარჩენად და ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად.

მეგრელიშვილი მერაბ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და რუსული სეპარატიზმი.

„დიდაჭარობა-2008“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 28-29.

სტატია მოკლედ განიხილავს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საკითხს.

მეგრელიშვილი მერაბ. თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან.

„დიდაჭარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 28-29.

სტატია მოგვითხრობს XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის სინოდის მიერ საქართველოში წარმოებული საგანმანათლებლო პოლიტიკის ანტიეროვნული ხასიათის შესახებ.

მელიქიშვილი დამანა. მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1990, №2, გვ. 65-67.

სტატიაში საუბარია მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) ერთ-ერთი თანამოღვაწისა და მასთან ერთად 1924 წელს ქუთაისში დახვრეტილი მღვდლის – სიმონ მჭედლიძის შესახებ.

მელიქიშვილი დამანა. წმინდა მღვდელმოწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდლო კრებული.

„დიდაჭარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 8-14.

სტატიაში აღწერილია 1924 წლის აგვისტოში ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დახვრეტილი მღვდელმთავრისა და სხვა სასულიერო პირების ღვაწლი.

მელიქიშვილი დამანა. წმიდა მღვდელმოწამე სიმონი (მჭედლიძე).

„მაყვლოვანი“, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა, 2011, №6, გვ. 53-57.

სტატიაში ასახულია მღვდელ სიმონ მჭედლიძის მოწამებრივი ცხოვრება, რომელიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1924 წელს.

მელიქიშვილი დამანა. წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის 150 წლისთავისათვის.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, №3-4, გვ. 47-63.

სტატიაში აღწერილია მღვდელ სიმონ მჭედლიძის მოწამებრივი ცხოვრება.

მელნიკოვა ია. ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) მსახურება გორის კათედრაზე. (1900-1902 წწ.). (რუსულ ენაზე).

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2014, №6, გვ. 112-117.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა გორში XX საუკუნის დასაწყისში.

მენაბდე ლევან. ანტონ პირველი რუსეთში.

სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1995, გვ. 282-300.

სტატიაში წარმოჩენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდი.

XX საუკუნის კათოლიკოს-პატრიარქები. მნე ერთგული და მარად მორჩილი.

„კრილოსანი“, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, 2010, №10, გვ. 18-19.

პუბლიკაციაში საუბარია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონ II-ისა (საძაგლიშვილი) და ლეონიდეს (ოქროპირიძე) მოღვაწეობის შესახებ.

მერკვილაძე დავით. ალავერდის სავანის დაარსების ისტორიიდან და მისი სახელწოდების მნიშვნელობისათვის.

„ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი, 2005, ტ. XIII, გვ. 44-60.

სტატიაში გაშუქებულია ალავერდის სამონასტრო კომპლექსის დაფუძნება და სახელწოდება „ალავერდის“ ეტიმოლოგია.

მერკვილაძე დავით. ალავერდის სავანის დაარსების ისტორიიდან და მისი სახელწოდების შესახებ.

„ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2007, გვ. 9-16.

სტატიაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ალავერდის ტაძრის ისტორია და მისი სახელწოდების წარმოშობის საკითხი.

მერკვილაძე დავით. წმიდა დოდო გარეჯელი.

„დიდაჭარობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 30-40.

სტატია ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით მოგვითხრობს დავით გარეჯელის თანამოღვაწის – დოდო გარეჯელის ცხოვრებისა და სასულიერო ღვაწლის შესახებ.

მერკვილაძე დავით. ასურელი მამები საქართველოში.

კრებ. „დიდნი საქმენი“, 2011, გვ. 68-73.

სტატია აღწერს საქართველოში ქრისტიანობის განსატკიციებლად შემოსული ცამეტი ასურელი მამის მოღვაწეობას.

მერკვილაძე დავით. წმ. დავით გარეჯელის თბილისში მოღვაწეობის ამსახველი თქმულების ზოგიერთი სკიზნი.

„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, ტ. V, გვ. 297-320.

სტატიაში განხილულია ხალხური გადმოცემები წმ. დავით გარეჯელის შესახებ.

მერკვილაძე დავით. ქართლისა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილების რელიგიურ-პოლიტიკური წანამძღვრები.

„საქართველოს ეკლესია გუშინ, დღეს“, სამეცნიერო კონფერენცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 40-52.

სტატიაში განხილულია ის ისტორიული პირობები და მიზეზები, რამაც წარმოშვა ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის არსებული საეკლესიო დაპირისპირება, რის შედეგადაც ეს ორი ეკლესია ერთმანეთს დაშორდა.

მესხაძე ნინო. ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია.

„მოსე ჯანაშვილი – 150“, კონფერენციის მასალები, თბილისი, 2007, გვ. 96-102.

სტატიაში აღწერილია საინგილოში მდებარე წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ისტორია.

მესხი თამარ. ათონელი ბერები საქართველოში.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1986, №2, გვ. 23-25.

სტატიაში საუბარია 1986 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ უფლის კვართის დღესასწაულზე მოწვეული ათონელი ბერების ვიზიტის შესახებ.

მესხია ერმილე. მართლმადიდებლობა და ეროვნული ცნობიერება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. (XIV-XVIII სს.).

„დიდაჭარობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 194-197.

სტატია მოგვითხრობს მართლმადიდებლობის როლის შესახებ ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში საქართველოსთვის მეტად მძიმე პერიოდში – ერთიანი ქართული მონარქიის დასუსტებისა და შემდგომი დაშლის დროს – XIV-XVIII საუკუნეებში.

მეტრეველი გიორგი. საქართველოს საპატრიარქოს ადგილის ისტორიისათვის მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2008, №1, გვ. 133-141.
ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასახულებს საქართველოს საპატრიარქოს ადგილს მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

მეტრეველი ნიკა. აფხაზი სამღვდელოების საკითხი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პეროგატივას წარმოადგენს.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2012, №11, გვ. 2.

სტატია მოგვითხრობს აფხაზი სასულიერო პირების ე. წ. ახალგაზრდა ფრთის წარმომადგენლების მსოფლიო პატრიარქ ბართლომესთან შეხვედრის თაობაზე.

მეტრეველი როინ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 239-248.

სტატიაში საუბარია რუის-ურბნისის 1104 წლის საეკლესიო კრების ჩატარების მიზეზებისა და მასზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

მეტრეველი როინ. გელათი – მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა.

კრებ. „დიდნი საქმენი“, 2011, გვ. 160-169.

სტატიაში ავტორი აღწერს XII საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში, გელათის ტაძრის მშენებლობის პროცესს, რომელიც შემდგომში გადაიქცა უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად.

მეტრეველი როინ. ილია II.

კრებ. „დიდნი საქმენი“, 2011, გვ. 549-555.

სტატიაში ავტორი საუბრობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ.

მეტრეველი როინ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

კრებ. „დიდნი საქმენი“, 2011, გვ. 150-155.

სტატიაში მოკლედ არის განხილული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარების მიზეზები და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები.

მეტრეველი როინ. „დამმარხეთ საქართველოში“.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013, №11, გვ. 12-16.

სტატიაში განხილულია რამდენიმე მომენტი წარმოშობით რუსი მკვლევრის მიხეილ (გობრონ) საბინინის ცხოვრებიდან.

მეტრეველი როინ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

„ცოტნიედელი“, 2013-2014, ტ. VI, გვ. 61-94.

ჟურნალში თავმოყრილია მასალები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მეტრეველი როინ. წმიდა ამბროსი აღმსარებლის მოღვაწეობის შეფასებისათვის.

„აღმოსავლეთმცოდნეობა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 2014, №3, გვ. 241-248.

სტატიაში განხილულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – წმიდა ამბროსი ხელაიას მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი.

მეუფე ანანიას პუბლიცისტური ნაშრომები.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2014, №2, გვ. 32-210.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მიერ სხვადასხვა წლებში დაწერილი პუბლიცისტური ნაშრომები.

მექვაბიშვილი ამირან. კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1997, №10-11-12, გვ. 104-110.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) ცხოვრება და მოღვაწეობა.

მირიანაშვილი ლადო. სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი XIX საუკუნის საქართველოში.

„ქრისტიანობა საქართველოში“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, 2000, გვ. 45-49.

სტატიაში ავტორი განიხილავს სამონასტრო ცხოვრების თავისებურებებს საქართველოში ეგზარქოსობის პერიოდში.

მირიანაშვილი ლადო. 1808-1810 წწ.-ში ბატონიშვილ იოვანეს ქტიტორობით წმ. დავითის ლავრის ქვიტკირის ზღუდის ერთი მონაკვეთისა და მთავარი კარიბჭის კოშკის მშენებლობის უცნობი ისტორია.

საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“, საქართველოს საპატრიარქო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“, 2004, გვ. 25-27.

კრებულში შესულია ავტორის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისები, რომელიც ეხება დავითგარეჯის ერთ-ერთ მონასტერს.

მიტროპოლიტი ნაომი.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1989, №4, გვ. 82-87.

სტატიაში საუბარია მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე) ცხოვრების რამდენიმე საინტერესო მომენტის შესახებ.

მიქაელ (მახარე) ბუკია – მღვდელი. საქართველოს ეკლესია 1905-1907 წწ. ადგილობრივი კრებები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2011, გვ. 4-22.

სტატიაში აღწერილია ადგილობრივი საეკლესიო კრებები, რომლებიც ჩატარდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით.

მიქაელ (მახარე) ბუკია – დეკანოზი. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები“, ტ. I, 2014, გვ. 203-233.

სტატია ეძღვნება ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობას გურია-ოდიშის ეპარქიაში.

მიქაელ (მახარე) ბუკია – დეკანოზი. ეპისკოპოს კირიონ II-ის მეცნიერული მემკვიდრეობიდან.

„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები“, ტ. VI, 2016, გვ. 67-74.

სტატიაში განხილულია ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ძირითადად უკავშირდება ეროვნული თავისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პრობლემებს.

მიქაელ (მახარე) ბუკია – დეკანოზი. „მწყემსი კეთილი“ – წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №11, გვ. 49-69.

პუბლიკაციაში ასახულია ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ღვაწლი.

მიქავა სვეტა (ნათელა). სამეგრელოს საეკლესიო მმართველობის ისტორიისათვის.

„ცოტნიდელი“, 2013-2014, ტ. VI, გვ. 122-123.

წერილში გაშუქებულია ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა საცავში დაცული უცნობი მასალები, რომლებიც სამეგრელოს საეკლესიო მმართველობის ისტორიას ეხება.

მიქელაძე ჯემალ. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება აჭარაში და მისი როლი ადამიანის ფორმირებაში.

„დიდაჭარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 74-75.

სტატიის მიზანია იმ მნიშვნელოვან როლზე, რაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ შეასრულა აჭარის რეგიონში მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საქმეში.

მოლაშხია ბადრი. ქვაში ჩაკირული ისტორია.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, 1989, №28, გვ. 1.

გაზეთში მოცემულია მოკლე ინფორმაცია ზუგდიდის რაიონში, სოფელ აბასთუმანში (ხეცერა), მდებარე უცნობი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ.

მუმლაძე ლ. ცოცხალი ისტორია.

„ზესტაფონის მოამბე“, საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ორგანო, 1990, №62, გვ. 3.

სტატიის მიზანია განხილულია 1928 წლის 18 მარტით დათარიღებული წერილი, რომლითაც მარგვეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა ვარლამ მარგველმა შორაპნის სამაზრო აღმასკომს მიმართა ეპარქიის ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მურუსიძე მალხაზ. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება.

„ქართველური მემკვიდრეობა“, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2005, ტ. IX, გვ. 278-282.

სტატიის მიზანია გადმოცემულია ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს მოკლე ისტორია.

მურუსიძე მალხაზ. ჭელიშის მონასტრის ისტორიიდან.

„ქართველური მემკვიდრეობა“, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2008, ტ. XII, გვ. 207-212.

სტატიის მიზანია მოკლედ არის აღწერილი რაჭის ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის ისტორია.

მურუსიძე მალხაზ. სხვაგვარი მონასტრის ისტორიიდან. (მონასტრის წინამძღვრები).

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, ქუთაისი, 2015, №1, გვ. 110-119.

სტატიაში გადმოცემულია სხვაგვარი მონასტრის ისტორია და იქ მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება XVIII-XIX საუკუნეებში.

მშვილდაძე მარია. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წინაპირობები ქართლში.

„დიდაჭარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 26-28.

სტატიაში განხილულია ქართლში არსებული ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას.

მშვილდაძე მარია. ადრეული ქრისტიანობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

„საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 38-48.

სტატიაში საისტორიო წყაროების საფუძველზე განხილულია დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

მცხეთის ქალაქს მირონი ღუღს...

„სარკე“, ყოველკვირეული ჟურნალი, 2011, №17, გვ. 8.

ინტერვიუში დეკანოზი მიქაელ მაჭარაძე საუბრობს საქართველოში მირონის ხარშვის ისტორიისა და წესების შესახებ.

მჭედლიძე გიორგი. ქუთაისის ეპარქიის დაარსება და პირველი მღვდელმთავრები.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2010, №1-2, გვ. 45-48.

სტატიაში გადმოცემულია ქუთაისის ეპარქიის მოკლე ისტორია.

მჭედლიძე მაგდა. ერთი ბერძნული წყაროს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველთა მონაწილეობის შესახებ.

„დიდაჭარობა-2009“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 58-61.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების მიზნით 1438-39 წლებში გაიმართა ფერარა-ფლორენციის კრება, რომელზეც ქართველების მონაწილეობა სათანადოდ არის გამოკვლეული ი. ტაბალუას, ო. ჟუჟუნაძის და სხვათა მიერ. წინამდებარე სტატიაში განხილულია ერთი მნიშვნელოვანი წყარო – კრების უშუალო მონაწილის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიკეოფილაქსისა და ეკლესიარქოსის სილვესტროს სიროპულოსის „მემუარები“.

ნადირაძე თეა. აფხაზ სასულიერო პირთა ნაწილი „აფხაზეთის ეკლესიის“ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში დაბრუნებას აპირებს.

„რეზონანსი“, ყოველდღიური გაზეთი, 2013, №332, გვ. 6.

სტატია გვაწვდის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“, რომელიც გამოეყო ე. წ. „აფხაზეთის ეკლესიას“, გეგმავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში დაბრუნებას.

ნარეშელაშვილი იოსებ. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაციის შესახებ.

„მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2005, გვ. 141-144.

სტატიაში განხილულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მოსაზრებანი XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზეთის ეპარქიაში ჩასატარებელი რეფორმების თაობაზე.

ნასყიდაშვილი ეკა. საქართველოს პატრიარქი დავით V დევდარიანი.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013, №11, გვ. 24-27.

სტატიაში აღწერილია რამდენიმე მომენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის (დევდარიანი) ცხოვრებიდან.

ნატროშვილი მიხეილ. ბაზილიკური ტიპის ერთი უცნობი ეკლესია კახეთიდან.

„დიდაგარობა-2010“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010, გვ. 421-422.

სტატია ეძღვნება გურჯაანის რაიონში მდებარე „ტატიას საყდარს“.

ნაჭყებია მათა. ქეთევან დედოფლის აღმსარებლობა უცხოურ წყაროთა შუქზე.

„რელიგია“, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 1998, №3-4, გვ. 15-32.

სტატიაში ავტორი სხვადასხვა უცხოური წყაროების ანალიზის საფუძველზე განიხილავს წმ. ქეთევან დედოფლის აღმსარებლობის საკითხს, რომელიც ბოლომდე მართლმადიდებლური დარჩა.

ნაჭყებია მერაბ. მოღვაწე და მეცნიერი – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი.

„სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ორგანო, 2015, №1, გვ. 157-159.

სტატია მოგვითხრობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

ნაჭყებია მერაბ. წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №11, გვ. 198-211.

სტატიაში განხილულია ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ.

ნებიერიძე-ვაჩნაძე მაია. ბოდბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის ეროვნული იდეოლოგია.

დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი-მანგლისი, 2004, გვ. 47. კრებულში შესულია ავტორის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ნებიერიძე-ვაჩნაძე მაია. საქართველოში რუსიფიკატორული რეჟიმის უკანასკნელი ბოდბელი – იოანე მაყაშვილი. (1796-1837).

„კავკასიის მაცნე“, კავკასიოლოგთა XII საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 2005, №13, გვ. 76-82.

სტატიაში გაშუქებულია არქივისკოპოს იოანე ბოდბელის (მაყაშვილი) მოღვაწეობა საქართველოში ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში.

ნებიერიძე-ვაჩნაძე მაია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-იან წლებში და კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III.

„XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 50-62.

სტატიაში განხილულია XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მომენტი.

ნიაური მარინე. დიდუბის ღმრთისმშობლის შობის ეკლესია.

„ომეგა“, საზოგადოებრივი ჟურნალი, 2000, №12, გვ. 20-24.

სტატიაში აღწერილია დიდუბის ღმრთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოკლე ისტორია.

ნიკოლეიშვილი მიხეილ. დავით აღმაშენებელი და გელათის აკადემია.

„ცოტნეიდელი“, ტ. V, 2011-2012, გვ. 61-65.

სტატიაში ავტორი ქართული საისტორიო წყაროების საფუძველზე განიხილავს დავით აღმაშენებლის დამოკიდებულებას გელათის აკადემიის მიმართ.

ნიკოლეიშვილი ოთარ. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქია.

„ჩვენი სულიერების ბალავარი“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 230-235.

წერილში მოთხრობილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შედარებით ახალი – დასავლეთ ევროპის ეპარქიის შესახებ.

ნიკოლეიშვილი ოთარ. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №12, გვ. 241-248.

სტატიაში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შედარებით ახალგაზრდა – ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ისტორია, როლი და მნიშვნელობა ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაში.

ნიკოლოზი (მანარაძე) – მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე.

„ჯვარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ორგანო, 1983, №1, გვ. 10-13.

სტატიაში საუბარია საქართველოს ეკლესიის პოზიციის შესახებ ეკუმენური მოძრაობის გააქტიურების ფონზე თანამედროვე სამყაროში.

ნიკოლოზიშვილი ნიკოლოზ. არმაზი და ფარნავაზი. (ქართლის სახელმწიფოს რელიგიის საკითხებისათვის ელინისტურ ხანაში).

საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“, საქართველოს საპატრიარქო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“, 2004, გვ. 29-30.

კრებულში შესულია ავტორის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

ნინიძე დავით, ჯოხაძე გია, აბაშიძე ზაზა. XIII-XV საუკუნეების მატანე.

„ნათელი ქრისტესი“, წიგნი I, 2003, გვ. 331-361.

სტატიაში აღწერილია საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XIII-XV საუკუნეებში.

ოდიშის საეპისკოპოსოები.

„ისტორიული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2011, №7, გვ. 47-49.

სტატიაში განხილულია ქართველი და უცხოელი ავტორების ცნობები, რომლებიც ოდიშის საეპისკოპოსოების ისტორიას შეეხება.

ოთარაშვილი ვაჟა. „მოურავი გიორგი... თანაჰყვა მეფესა“.

„ქართველოლოგია“, სამეცნიერო ჟურნალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, №4, გვ. 48-57.

წერილში მოცემულია გიორგი სააკაძის პიროვნების შეფასება საერო და სასულიერო კუთხით. ავტორი ეყრდნობა ქართლის კათალიკოს ბესარიონ ორბელაშვილი-ბარათაშვილის ნაკლებად ცნობილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს „წამება წმიდისა მეფისა ლუარსაბისა“.

ონიკაძე დოდო. რელიგიური კულტურის უძველესი ძეგლები აწყურში.

„ინტელექტი“, საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტი“, თბილისი, 2010, №2, გვ. 61-62.

სტატიაში შესწავლილია აწყურის ეკლესია-მონასტრების ისტორია.

ოქროპირიძე ზურაბ. ოქროპირიძეების სასულიერო დასი.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №11, გვ. 223-287.

სტატიაში აღწერილია ოქროპირიძეების გვარის სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ოქროპირიძე უჩა, ოქროპირიძე ზურაბ. მღვდელმონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობა.

„ჩვენი სულიერების ბალავარი“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 236-241.

სტატიაში მიმოხილულია მღვდელმონაზონ ლეონიდეს ოქროპირიძის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოს მთიანეთსა და საინგილოში, ნაჩვენებია ის სიძნელები, რაც მას ამ გზაზე შეხვდა.

ოქროპირიძე უჩა. ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა.

შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, 2016, №11, გვ. 288-296.

სტატიაში გადმოცემულია ქართველი სასულიერო პირების საქმიანობა XIX-XX საუკუნეებში და ნაჩვენებია მათი როლი აჭარის შემოერთების შემდეგ მოსახლეობის დელასამშობლოსთან ინტეგრაციის პროცესში.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის პოლიტიკურ-რელიგიური მოღვაწეობის ისტორიიდან საქართველოსა და რუსეთში. (XIX საუკუნის 10-20-იანი წლები).

„ისტორიანი“, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი, თბილისი, 2000, გვ. 358-373.

სტატიაში განხილულია რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული თეოფილაქტე რუსანოვის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის მიმართ და მის მიერ გატარებული ღონისძიებები.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია.

„ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, გვ. 65-66.

კრებულში შესულია ავტორის მიერ სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენების თეზისები.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის გაყალბების მცდელობის შესახებ.

„ახალი დროება“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტის პერიოდული გამოცემა, 2000, №2, გვ. 20-22.

სტატიაში განხილულია 1994 წელს მოსკოვში უფლის ცხოველმყოფელი წმიდა საფლავის მართლმადიდებლური საზოგადოების (მმობის), ახალი ათონის სიმონ კანანელისა მონასტრისა და მოსკოვის იერუსალიმური მეტოქის ძალისხმევით გამოცემული წიგნი „მართლმადიდებლური აფხაზეთი“, რომელშიც არასწორად არის გადმოცემული სოხუმის ეპარქიის ისტორია.

პავლიაშვილი ქეთევან, გელდიაშვილი ნუნუ. აჭარის ეკლესიის ადგილი რუსულ საეკლესიო პოლიტიკაში. (XIX-XX სს.-ის მიჯნა).

„ტბელობა-2008“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 31-35.

სტატია განიხილავს XIX-XX საუკუნეებში აჭარის ეკლესიის პრობლემებს რუსულ საეკლესიო პოლიტიკასთან მიმართებაში.

პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების საკითხი და კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III.

„XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, კონფერენციის მასალები, 2008, გვ. 17-37.

სტატიაში გაშუქებულია XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მომენტი, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს.

პავლიაშვილი ქეთევან. ქართული მართლმადიდებლობის დენაციონალიზაციის პროცესი და რუსული ბიზანტიზმის შედეგები საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში. (XIX-XX ს-ის დასაწყისი).

„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2009, №1, გვ. 295-310.

სტატიაში ავტორი ცდილობს, გააანალიზოს რუსეთის სახელმწიფოს მიზანი, ბიზანტიის ნაცვლად მართლმადიდებელი სამყაროს ცენტრი გადმოტანილ იქნას მოსკოვში.

პავლიაშვილი ქეთევან. ქრისტიანობა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის პრობლემებში.

„ქრისტიანობის კვლევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2010, №4, გვ. 34-48.

სტატიაში განხილულია საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები ქრისტიანობასთან მიმართებაში.

პავლიაშვილი ქეთევან. საეკლესიო მოძრაობის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში. (საქართველოს მაგალითზე).

„საქართველო და ქრისტიანობა“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2011, გვ. 182-193.

მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველი ერის ეთნოფსიქოლოგიური რაობა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. სტატიაში ისტორიული ფაქტების განხილვის საფუძველზე მოთხრობილია, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესია-სახელმწიფოს ჰარმონიულ ურთიერთობას, საქართველოს საეკლესიო ინსტიტუტების ორიენტაციასა და შიდასაეკლესიო სიმტკიცეს.

პავლიაშვილი ქეთევან. საისტორიო ცნობები რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენებისადმი. (XVIII ს-ის პირველი ნახევარი).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, ტ. I, თბილისი, 2011, გვ. 184-195.

სტატიაში ვრცლადაა საუბარი ქართულ კოლონიაზე ასტრახანში, იქ მოღვაწე სასულიერო პირებსა და მათ მიმართ რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების დამოკიდებულებაზე.

პავლიაშვილი ქეთევან. წმინდა ნინოს ბოდბეს დედათა მონასტრის ილუმენია ნინო ვაჩნაძე და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ეპოქა. (XIX საუკუნის 70-იანი – XX საუკუნის 20-იანი წლები).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, ტ. II, თბილისი, 2011, გვ. 324-335.

სტატიაში აღწერილია ბოდბის მონასტრის ისტორია ილუმენია ნინო ვაჩნაძის მოღვაწეობის პერიოდში.

პავლიაშვილი ქეთევან. ბოდბეს ეპარქიის უძრავი ქონების ექსპროპრიაცია-სეკულარიზაციის მიზეზები და შედეგები. (XIX ს.).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, ტ. III, თბილისი, 2011, გვ. 245-258.

სტატიაში განხილულია ბოდბეს ეპარქიაში არსებული ვითარება რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ.

პავლიაშვილი ქეთევან. საბჭოეთის მართლმადიდებლური „კატაკომბიზმის“ არსი და აფხაზეთი.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ. I, თბილისი, 2011, გვ. 26-34.

სტატიაში გაშუქებულია ბერ-მონაზვნების პრობლემები საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

პავლიაშვილი ქეთევან. აფხაზეთის ავტოკეფალიის საკითხი თანამედროვე საეკლესიო პოლიტიკაში.

„ჩვენი სულიერების ბალავარი“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 242-249.

სტატია ეხება დღევანდელი აფხაზეთის სეპარატისტულ პოლიტიკას.

პაპასკირი ზურაბ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაარსების თარიღის საკითხებისათვის.

„მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2005, გვ. 74-88.

სტატიაში ავტორი განიხილავს დასავლეთ საქართველოში „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაარსების დროსა და პირობებს.

პაპასკირი ლალი. ქართულ-სომხურ ეკლესიებზე დავა ისევ გრძელდება.

„რეიტინგი“, 2009, №4, გვ. 14.

